მიქაელ მულვიჰილი

ციმბირის ჯოჯოხეთური ხვრელი

წიგნი გამოიცა
საქართველო-ირლანდიის კულტურული ურთიერთობების ცენტრის
პროექტის ფარგლებში
ირლანდიელი მეგობრების დაფინანსებით

მიქაელ მულვიჰილი
ციმბირის ჯოჯოხეთური ხვრელი

გამომცემლობა „ივერიონი“. თბილისი. 2018. გვ. 272.

რედაქტორ-
გამომცემელი: **ზაურ ნაჭყებია**

თარგმნა: **ნანა შალამბერიძემ**

რედაქტორი: **დიანა შალამბერიძე**

კონსულტანტი: **სალომე მულვიჰილი**

ყდის დიზაინი: **ტომი კერმინენი**

© ნანა შალამბერიძე.

ISBN - 978-9941-8-0126-6

მიქაელ მულვიჰილი

ციმბირის ჯოჯოხეთური ხვრელი

თბილისი
2018

შინაარსი

თავი 1. საღამო ციმბირულ ქოხში ---------- 6

თავი 2. რატომ დატოვა ტობიასმა მოსკოვი ---------- 27

თავი 3. ტობიასის წასვლა ვოდკა ვილიჯში ---------- 36

თავი 4. ადგილობრივი ქალბატონების შემოსვლა ---- 57

თავი 5. ლუბას აღიარება ---------- 64

თავი 6. ქალი ტობიასისთვის ---------- 75

თავი 7. „ჩეხოვში“. აგორებული შფოთი ---------- 81

თავი 8. ბოლოს წასულები და ისინი, ვინც დარჩნენ --- 91

თავი 9. ტრანსფორმაციის შიმშილი ---------- 101

თავი 10. სისხლისა და სინათლის ღამე ---------- 122

თავი 11. ხატმწერი ---------- 136

თავი 12. ტობიასი. ქოხში დაბრუნება ---------- 150

თავი 13. ცოდვის საფასური ---------- 158

თავი 14. ჯასნა და მისი საყვარლები ---------- 166

თავი 15. დემონები, მთხრელები და ვამპირები -------- 175

თავი 16. ბურღვა ---------- 185

თავი 17. ჯოჯოხეთის საფასური ---------- 191

თავი 18. სიზმრიდან გამოფხიზლებულნი ---------- 198

თავი 19. თავშესაფარი და ძალა ---------- 205

თავი 20. ბოროტი თვალი (ვასკანია) ---------- 213

თავი 21. დიმიტრის ოჯახი ---------- 224

თავი 22. ახალბედა ქალაქში ---------- 228

თავი 23. ნიკიტას განსაცდელი ---------- 238

თავი 24. მღვდელი და მისი მოქიშპე ---------- 243

თავი 25. ბრძოლა ძალაუფლებისთვის ---------- 255

თავი 1
საღამო ციმბირულ ქოხში

ღამე ნელ-ნელა დაეშვა ირგვლივ და დღის სინათლე საბოლოოდ განდევნა. უმთვარო იყო ღამისეული ზეცა, ვარსკვლავების გარეშე, უკუნი. ტობიასი უცხო იყო ამ ქვეყანაში. არასდროს დაუფლებია შეგრძნება, რომ შეძლებდა შეგუებოდა აქაურობას. თავდაპირველად კინაღამ შეშალა აქ გამეფებულმა ანტისოციალურმა გარემომ. საათობით სცემდა ბოლთას – წინ და უკან დადიოდა დაბნეული. აქ რა უნდა გაეკეთებინა ვერ აცნობიერებდა და უნდოდა, მოსკოვში დაბრუნებულიყო. მისი კაბინის გარეთა კედელზე დამაგრებული შუქი ვერ არღვევდა ამ ადგილის უკაცრიელობას, რაც ფსიქიკურად ასე ძლიერად თრგუნავდა მას.

ტობიასი კაბინის ფანჯრისკენ წავიდა, თვალი რომ კარგად შეევლო ღამისეული ზეცისთვის. უცებ თვალი მოჰკრა დაახლოებით ექვსი ფუტი სიმაღლის კაცის გამოსახულებას. მსუბუქმა კაკუნმა აიძულა, ფანჯრიდან გაეხედა.

– რა გინდა? – გასძახა ტობიასმა მაინც, თუმცა იცოდა, გამორიცხული იყო, ამ მიტოვებულ ტერიტორიაზე ვინმე შემოხეტებულიყო.

პასუხი არავინ გასცა. კიდევ ერთხელ გასძახა. მხოლოდ ქარის ზუზუნი გაისმა პასუხად. ხელახლა მივიდა ფანჯარასთან და გაიხედა: არავინ იყო. ალბათ, მომეჩვენაო, გაიფიქრა ტობიასმა და შვება იგრძნო.

არ ღირდა, კარი გაეღო ციმბირული სიცივისთვის და ქოხი არაფრის გულისთვის გაეყინა. ასე რომ მოქცეულიყო, მერე გაუჭირდებოდა სიცივეში დაძინება. უნდა დაეჯერებინა, რომ

ის, რაც ქოხის გარეთ ხდებოდა, მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფი იყო.

ჩამოჯდა თავის შავი ფერის ხის სკამზე და დაიწყო წითელყდიანი ლოცვების წიგნის კითხვა, რომელიც ჩვეულებრივ სკამის გვერდით, მაგიდაზე ედო ხოლმე. ლოცულობდა და ღრმად სჯეროდა, რომ ეს ის საქმიანობა იყო, რისთვისაც მეტი დრო უნდა დაეთმო. ათმა წუთმა განვლო. ისევ დადო წითელყდიანი წიგნი მაგიდაზე და სიგარეტს მოუკიდა, რომ რამენაირად თავი ხელში აეყვანა.

სიგარეტის პირველი ბოლი ამოუშვა. ამოისუნთქა თუ არა, შეამცივნა. „აუტანლად ცივა, მინადგურებს ნერვულ სისტემას“, – გაუელვა თავში. როგორც ყველა ნორმალური ადამიანი, ვერც ის იტანდა სიცივეს. განსაკუთრებით – ციმბირულს, ყველაზე მწარესა და სულის შემძვრელს, რაც კი ოდესმე გამოეცადა.

მუდამ მზადყოფნაში იყო, როგორმე სიცივეს გამკლავებოდა. შვებას ჰგვრიდა ფიქრი, რომ ჯერაც ჰქონდა მარაგად 10 ბოთლი ალკოჰოლი: არაყი, ვისკი, ბრენდი და კონიაკი – აქ ყოფნის პერიოდში, საჭიროების შემთხვევაში რომ გამოეყენებინა. ანადუღარ ცხელ წყალში აზავებდა მათ ან სულაც ისე, პირდაპირ სვამდა ხოლმე. სპირტი დიდებულად მოქმედებდა: სისხლს უთბობდა ან აწეწილ ნერვებს უმშვიდებდა!

ჩაიდანში წყალი დუღდა. ახლავე შეეძლო, შეერია ერთმანეთში ადუღებული წყალი და ერთი წვეთი ვისკი, როგორც ექიმმა ასწავლა. წყლის ჩამოსასხმელად რომ წავიდა, გრძნობდა, როგორი ბაგაბუგი გაუდიოდა გულს. ისევ გაისმა მკვეთრი კაკუნი კარებზე, აგრესიული, თითქოს ვიღაც ბრაზს ანთხევსო ამ კაკუნში. ტობიასმა შეხედა კარს. კვლავინდებურად არაფერი იყო. კაკუნს ყური არ ათხოვა შეგნებულად, მიზანმიმართულად. ასე ამჯობინა, საღი აზრი რომ შერჩენოდა.

„კაკუნის ხმა მხოლოდ ჩემი ფანტაზიის ნაყოფია“.

მისი ნერვული სისტემის ეს მდგომარეობა აშკარად იზოლაციის შედეგი იყო. ნუ გეშინია! გააგრძელე, რასაც აკეთებ

და ყველაფერი დალაგდებაო – ამხნევებდა საკუთარ თავს.

როცა ფინჯანი ცხელი წყლით აივსო, ერთი წვეთი ვისკი შეურია და ის-ის იყო, დააპირა მოესვა, კარზე კვლავ აგრესიული კაკუნი გაისმა. მისი აზრით, ახლა უბრალოდ სასაცილო იყო იმის ამაო მტკიცება, რომ ეს ყველაფერი მისი აქტიურ ფაზაში მყოფი ფანტაზიის ნაყოფი იყო. იცოდა, რომ ღამე ადამიანში შიშის ემოციებს აღძრავდა. კაკუნის ცრუ მიზეზებით სპეკულირება კი იმას ჰგავდა, გავარდნილიყო დანაღმულ ველზე კიდევ უფრო უარესის მოლოდინში.

– დიახ, რით დაგეხმაროთ? – გაისმა მისი გაწონასწორებული ხმა.

ჩქამი არ ისმოდა.

ფანჯარას მიაჩერდა. ეგონა, მთელი საათი გავიდაო, სინამდვილეში მხოლოდ ერთი წუთი გასულიყო. ნამდვილად არავინ ჩანდა.

„ხომ არ გავიდე?“

ძარღვებში სისხლი გაეყინა.

„ვიდგე აქ და არ მივაქციო ყურადღება, რომ კაკუნი ნამდვილად გავიგონე? ვამტკიცო, რომ შიზოფრენიით დაავადებულად და ფსიქოპატად მაქცია ამ უკაცრიელ ადგილას ცხოვრებამ, თუ რეალურად ჩავთვალო ის, რაც იქ, გარეთ, ხდება?“

ტობიასმა მთელი ყურადღება ციდან მოფარფატე თოვლის ფიფქებზე გადაიტანა, იმის იმედით, ნერვებს მოვთოკავო.

„მეტყვის ვინმე, რომ არ უნდა გავიდე?“

ტობიასი თავისი კაბინის კართან მივიდა და შედგა. საზვერიდან გაიჭვრიტა, იქნებ გარეთ რამისთვის მოეკრა თვალი.

„აბსურდია, არაფერი ვიღონო და აქ უძრავად ვიდგე“. მას არ შეეძლო, რეაგირების გარეშე დაეტოვებინა ეს უჩვეულოდ ხმაურიანი, აგრესიული ბრახუნი წინა კარზე. ვერაფერი დალანდა, აბსოლუტურად ვერაფერი. კი, ბატონო, ნამდვილად იჭვრიტებოდა კარის საზვერიდან! ბრახუნის ხმაც ნამდვილად მისწვდა მის სმენას! ყინულმა დაუარა მთელ სხეულში. მართალია, გაიგონა კაკუნი, მაგრამ რატომ ვერაფერი იგრძნო? რა-

ტომ არავინ ჩანდა კართან? ნუთუ შეგრძნებები დაუჩლუნგდა, ადამიანებისგან ასე შორს მცხოვრებს?

თუკი ასე იდგებოდა ქოხში უმოქმედოდ, ის ამ ვითარებას კი გადაურჩებოდა ნორმალური, მაგრამ იქნებოდა აბსოლუტურად შეშინებული, ტრავმირებული და, შესაძლებელია, უარეს მდგომარეობაშიც კი. წარმოიდგინა თავისი თავი გარდაცვლილი, დამახინჯებული სხეულით. თვალწინ დაუდგა, ტკივილებით გატანჯული როგორ კვდებოდა ხელოვნური სიკვდილით ვიღაც შეშლილის ხელით. შეშლილს განზრახული არ ექნებოდა ტობიასის მოკვლა. მაგრამ ქოხში ყოფნა, სავსებით შესაძლებელია, მისი სიკვდილის მიზეზი გამხდარიყო.

ტობიასმა ხელი წამოავლო AK-47-ს, რომელიც საბრძოლო იარაღების ყუთის გვერდით, ტანსაცმლის კაბინის უკან, ეკიდა. საწოლზე ჩამოჯდა და იარაღი დატენა. ჩექმების ენა ამოწია, თვალები ზეცას მიაპყრო და თავისი გაჩენის დღე დაწყევლა.

შეამოწმა, იყო თუ არა იარაღი მწყობრში. იცოდა, მისი ყოფნა - არყოფნა ამ იარაღზე იყო დამოკიდებული.

ისევ კარისკენ წავიდა. ცხადია, დარწმუნებული იყო, რომ კარს გარეთ ვიღაც ან რაღაც – ნამდვილად უმოწყალოდ აგრესიული და მოძალადე, ელოდა. პასუხისმგებელი იყო, ემოქმედა და ჯოჯოხეთივით შეშლილი ყოფილიყო, მასავით შეშლილი. უმჯობესია, ჯოჯოხეთზე უფრო მეტად შეშლილიც, რომ როგორმე თავი გადაერჩინა.

„ვის გავუკეთე ცუდი ჩემს ცხოვრებაში? ვის ვაწყენინე?“

რაღაც ნამდვილად ვერ იყო რიგზე. არ შეეძლო, თვალები დაეხუჭა ამ გამოწვევაზე, არ შეეძლო, ასე უმოქმედოდ ყოფილიყო და ისე ჩაევლო ყველაფერს.

ლოცვით გადაატრიალა კარის გასაღები, დარწმუნებულმა, უცნობს პირისპირ შეევჩეხებიო. კარი რომ გააღო, პირველი, რაც თვალში მოხვდა, იყო მოფარფატე თოვლი და წყვდიადი. მთვარის შუქიც წაეშველა, დაენახა, იყო თუ არა რაიმე იქ, გარეთ.

რაღაც მოესმა! თითქოს ვიღაცამ მისი სახელი დაიძახა. აქცენტი ვერ გაარკვია. დაბალმა და დახშულმა ხმამ ხერხემალში დაუარა.

– მაპატიეთ, ვერ გხედავთ, ვინა ხართ! დამენახვეთ, გთხოვთ! – გასძახა ტობიასმა.

შეკითხვას არავინ უპასუხა. მშვიდად ყოფილიყო თუ ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლა განეხორციელებინა? იცოდა, ეს უკანასკნელი უგუნური და აგრესიული ქმედება იყო. მიხვდა, ვერც მთვარის შუქის იმედად გახდებოდა რამეს და ქოხში შებრუნდა ელემენტებიანი ფანრის გამოსატანად. თუ არ დამენახვები, მაინც გიპოვი, ვნახოთ, რა შვილიც ბრძანდებიო, ფიქრობდა თან.

ფანრის აღების შემდეგ გავიდა ქოხიდან და კარის ჩასაკეტად შემოტრიალდა. გასაღები რომ გადაატრიალა, იგრძნო, მის მარჯვენა მხარზე ვიღაცის ცივი და მძიმე ხელი დაესვენა.

„არასდროს მიუშვირო ზურგი შენს მოწინააღმდეგეს!“ ეს მისი ფატალური შეცდომა იყო – დაავიწყდა, რომ ნებისმიერი სიტუაციისთვის თავდაცვის პოზიციაში უნდა ყოფილიყო!

იდაყვი გაჰკრა იმ მხარეს, სადაც სავარაუდოდ მის მოწინააღმდეგეს სახე ექნებოდა. ღამის ლოგიკიდან გამომდინარე, მხოლოდ მსუბუქ ჰაერს შეეჯახა. შემოტრიალდა მოწინააღმდეგის პირისპირ. მის წინ არავინ იყო.

„როგორ ხდება უხილავი მტრის დამარცხება?“ ტობიასმა აღიარა თავისი ფსიქიკური უსუსურობა. ვერ გარკვეულიყო, ვისთან ჰქონდა საქმე: სტუმართან თუ მტერთან.

ახალ დადებულ თოვლს გაუყვა. დაინახა, შიში რომ თავდაჯერებულობის საპირისპირო იყო. სულ ცოტა იყო შანსი იმისა, ეფიქრა, რომ ის, ვინც მისი მღელვარების მიზეზი გახდა, აქ მეგობრული ვიზიტისთვის მოსულიყო. იარაღი ცისკენ აიშვირა და ოთხჯერ გაისროლა.

– რა გინდა? თუ ჩემი დახმარება გჭირდება, დაგეხმარები, – შესძახა მან სიბნელეს.

დიდი მანძილით დაშორდა თავის ქოხს, შემდეგ თავისი ფან-

რით მოათვალიერა მიდამო, ანათებდა წინ და უკან. „ვერ ვხედავ ჩემს ქოხს!“ არ იცოდა, რა ექნა და უხმაუროდ შედგა.

ტობიასის ჩვეულებრივი ხასიათი ნამდვილად ვერ ჯდებოდა უსაფრთხოების სამსახურის ოფიცრის ჩარჩოში. მისი ნორმისთვის შეუფერებელ მძაფრ კონტრასტულ სიტუაციაში ის ზედმეტად ფრთხილი ხდებოდა.

ტობიასი შევიდა ციმბირის ტერიტორიის ტყისთვის ტიპურ, მეტისმეტად გაუვალ სივრცეში. აქ რომ რამე შემთხვეოდა, ნამდვილად, აბსოლუტურად ვერავინ უშველიდა.

რაც უფრო ღრმად შედიოდა ტყეში, მით უფრო მხურვალედ ლოცულობდა. გრძნობდა, განწირული იყო: თითქოს ციცაბო კლდის ქიმზე იდგა, რომელსაც ძირი არ უჩანდა. იცოდა, უშედეგო იყო მისი წინასწარი ჩარევის პერსპექტივა. მხოლოდ უფალმა უწყოდა, იყო თუ არა მისი აღსასრულის ჟამი მოახლოებული.

რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ნერვების ბრალიაო, არწმუნებდა ტობიასი საკუთარ თავს.

მან იცოდა, როგორი სასტიკი ხდება ხელი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ცდილობს, მოგგუდოს. სუნთქვა ეკვროდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, ვერ გაუმკლავდებოდა მასზე აღმატებულ ძალას. ტობიასს უკნიდან ესროლეს. მთელი ძალით დაჰკრა კეფა ხის ზურგს. თავი თითქოს ორად გაეპო და წონასწორობა დაკარგა. ისღა დარჩენოდა, ბრძოლა შეეწყვიტა! ფეხები ვერსად მოიკიდა და პირდაპირ მიწისკენ წავიდა. თავი ასწია, გადახრილ ხეს შეეჩერებინა. საბედნიეროდ, მიწაზე არ დაშვებულა. ტობიასი არ იყო ქვეითი მებრძოლი. თვალის დახამხამებაში ამოიღო თავისი შვეიცარიული სამხედრო დანა წელზე შემორტყმული ქამრიდან, დარწმუნებულმა, რომ თავდამსხმელს უნდოდა ის დაეხრჩო, და სიცოცხლისთვის გამოესალმებინა. სარკესავით დანა ხელში რომ ეჭირა, ხედავდა, რა ხდებოდა მის უკან. მტრის მკრთალი ანარეკლი ადასტურებდა, რომ ის ნამდვილად არ ჰგავდა ადამიანს.

ბრძოლის დროს ტობიასი დათმობაზე ვერ მიდიოდა. ზევით

ასწია დანა და მის ყელზე შემოჭდობილ ხელს დაარტყა. მარჯვენა ხელი ჩავლებული ჰქონდა თავდამსხმელის ხელზე, რომ ყელზე მისი შემდგომი ზეწოლა შეესუსტებინა. ორჯერ სახეში დაარტყა მოძალადეს, შემდეგ - მკლავებში, სანამ კისერზე ხელის შემოჭერა მოდუნდებოდა.

გადარჩენის ინსტინქტმა ტობიასი აიძულა, თავისი AK-47 მიწიდან აეღო. დანა ქამარშივე ჩააბრუნა. მეტი აღარ შეეძლო, გაეძლო და მოეთმინა. იარაღი ღრიალით ისროლა ჰაერში და დაინახა, თავდამსხმელი როგორ გაიქცა. დაითვალიერა ხელი, მაგრამ თავდამსხმელის სისხლის კვალი არსად იყო. ყურადღება არ მიაქცია, ამ გაუგებრობას თუ რა შეიძლებოდა, მოჰყოლოდა.

ძალიან აცივდა და ის საკმაოდ შორს იყო წასული. ამ ღამეს იმდენი რამ მოხდა, რომ არ იყო გამორიცხული, დაბნეულიყო და შიშს, რომელსაც ის შეეპყრო, დაებრმავებინა.

„მოიკრიბე გონება! – შეუძახა თავს. – დამშვიდდი და მხოლოდ ის განაგრძე, რასაც აკეთებ! აბსურდი შეიძლება აბსურდად დარჩეს, თუ სუბიექტური გამოცდილება ნათელი და ტრავიალურია.“ ამ რწმენას მინდობილმა, ტობიასმა გადაწყვიტა, უმჯობესი იყო, ყველა თავისი სურვილი უგულებელეყო და საბოლოო დასკვნა გაეკეთებინა: აბსოლუტური აზროვნება ვიწრო აზროვნებაა. ეს ორომტრიალი გათენებამდე მშვიდობიანად ჩაწყნარდება. ჯერ მხოლოდ ღამის ცხრის ნახევარიაო.

ტობიასს შებოჭილობის შეგრძნება ჰქონდა, თითქოს პირდაპირ ხაფანგისკენ მიდიოდა. უნდა ეპოვა გზა ამ ტყიდან გასასვლელად. ამას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ეს გზის პოვნა, მისთვის ასე ადვილი არ იყო. ფაქტობრივად ის უფრო და უფრო ვერ ცნობდა იმ ბილიკს, რომლითაც ტყეში შემოვიდა. შინაგანი ხმა თანდათან ბობოქრობდა.

„ასე შორს არ უნდა შევსულიყავი ტყეში. როგორი პატარა ჩანდა! ქოხიდან ხომ ყოველდღე ვუყურებ.“

რაც უფრო წინ მიიწევდა ტობიასი, რწმუნდებოდა, ტყიდან გასასვლელ გზას ვადგავარო. უსიერი ტყე გადაიშალა მის

თვალწინ. იგრძნო, როგორ აუძგერდა გული. გაიხედ-გამოიხედა მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან. ირგვლივ მხოლოდ ხეები ჩანდა.

როცა მან მარცხენა ფეხი წინ გადადგა, რაღაც ძალამ, რომლისთვისაც წინააღმდეგობის გაწევა, ჩათვალა, რომ შეუძლებელი იყო, უკან გადააგდო. თვალის დახამხამებაში მარცხენა ფეხი თითქოს მუხლამდე ქვიშაში ჩაეფლო. მთელი ძალით: მკლავების, ხელების, მარჯვენა ფეხის დახმარებით ეცადა, მაგრამ ვერ შეძლო მარცხენა ფეხის მიწიდან ამოღება. დრო გადიოდა, ყოველი დაძაბული წამი ლამის მარადისობას უტოლდებოდა. რაც უფრო თოვდა, მით უფრო ამცივნებდა. იარაღი და ჩანთა მოიტყორცნა, რომ უფრო მეტი ძალა მოეკრიბა თავის გასათავისუფლებად.

„საშველადაც კი ვერავის ვუხმობ. როგორი უძლური ვარ აქ!“

დამანგრეველი იყო ეს უარყოფითი ემოცია. შოკის მერე მან ძლიერი ემოციური განცდები დაუტოვა. ტობიასის ირგვლივ თოვდა და თოვდა. დაუჯერებლად ცივი ჰქონდა სახე და მარცხენა ფეხი. თითქოს პარალიზებული იყო სხეულის ეს ნაწილი. სანამ ხაფანგში მოხვდებოდა, მას სიცივე ასე მწვავედ არ უგრძვნია. მთელი სხეული თითქოს ყინულის ქანდაკებად ექცა. არ შეეძლო, რაიმე ეღონა, რაიმე შეეძახა თავისთვის.

„აამოძრავე მარჯვენა ფეხი, მკლავები და ხელები!“

ამ შეძახილის შედეგი მის სურვილს ეწინააღმდეგებოდა. სხეული უძრავი გაუხდა და საფარნე ბოძივით გაუშეშდა. ეს ნიშნავდა, რომ რის გაკეთებასაც გონება კარნახონდა, მხოლოდ სასარგებლო ფსიქოლოგიური რეაქცია იყო. შემდეგი შეგრძნება, რაც მას დაეუფლა, მოულოდნელი გახლდათ. მიწამ თითქოს პირი გახსნა და ღია ორმოდ იქცა – ეს აბსურდულად ეწინააღმდეგებოდა რეალობას და არაკონტროლირებად არარეალობას უფრო ჰგავდა. ნამდვილად ჯობდა, ცალი ფეხი ჩაფლობოდა ორმოში, ვიდრე მთელი სხეულით ჩაფლობილიყო და ხელებით ორმოს კიდეზე მდგარ ხეს შემოსჭდობოდა. „ქვე-

მოთ არ დაიხედო! რას შვრები? ქვემოთ არ დაიხედო!“

გამომწვევად იყურებოდა. ვერ გაქვავდებოდა. მთელი მისი არსება ნერვულმა დაძაბულობამ შეიპყრო. გადაწყვიტა, ეღრიალა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა და ამავდროულად თავისი სხეული ამოეზიდა.

სიჩუმემ შთანთქა მისი სურვილი. გაყუჩდა. დიდმა დრომ განვლო. ორმოს მეორე მხრიდან ლაპარაკის ხმები მოისმა. ერთმანეთში ლაპარაკობდნენ, მაგრამ არავინ ჩანდა.

– არ ამოვავსოთ ორმო ტალახით?

– ხომ გვითხრეს, ეს ხვალ გააკეთეთო?

– კარგი, წავიდეთ აქედან!

„მოითმინე, მოითმინე, სანამ წავლენ! არ გაინძრე!“ – ევედრებოდა ტობიასი საკუთარ თავს. მას ესმოდა თოვლში, ფოთლებსა და ნიადაგზე მოტკაცუნე ნაბიჯები, რომელიც ორმოს თანდათან შორდებოდა. ის წყნარად იდგა და ფრთხილად უსმენდა ყველაფერს, რაც მის მახლობლად ხდებოდა. ესმოდა, როგორ გაუდიოდა ტოტებს ტკაცატკუცი მათ ფეხქვეშ. ეს იმას ნიშნავდა, რომ ისინი მას და ორმოსაც თანდათან შორდებოდნენ. იმედი მოეცა, მეტი არავინ მოვაო ორმოსთან. ასე თუ ისე, ტობიასი აზარტში შევიდა, როგორმე ორმოდან ამომძვრალიყო. მაგრამ იქნებ დარჩენა ჯობდა? ვითომ ორმოში დარჩენილიყო? ტობიასი დარწმუნდა, ისინი ამ ტერიტორიას გაეცალნენო. ამ დაუდასტურებელი, მაგრამ სრული რწმენით აღვსილმა შვებით ამოისუნთქა.

სხეულში გაუქრა ნერვული დაძაბულობა. გრძნობდა, როგორ მოეძალა ენერგია. დავიწყებას მიეცა მისი სხეულის უუნარობა. თავისით ამოძვრა ორმოდან ზემოთ. არავინ იყო! შეისვენა და თავისი ნივთები შეაგროვა.

„ნუთუ ის, რაც იქ, ქვევით, ვნახე, ადამიანის სხეულის პატარა ნაწილები იყო? ერთის თუ უფრო მეტის? სულ ეგ იყო, რასაც ერთი შევლებით მისწვდა ჩემი თვალები?“

უნდოდა, უკან მიეხედა, რომ ეს დაედასტურებინა. მაგრამ დარწმუნებული იყო, თუკი ორმოსთან ახლოს მივიდოდა, რა-

ღაც ძალა ისევ ქვევით ჩაითრევდა. ბრმად გაუჯდა უკან მიხედვის მომაკვდინებელი შიში. მას მოაგონდა სოდომისა და გომორის ამბავი და ლოტის ცოლის ბედისწერა. მართალია, მას არ უნახავს გოგირდი და ცეცხლის ორმო, მაგრამ ეშინოდა, რომ რაღაც ენით აღუწერელი შეიძლებოდა შემთხვეოდა.

ორმოდან ამოსვლის შემდეგ ის განსაკუთრებული სიფრთხილით მიაბიჯებდა ტყეში. იცოდა, ყველაფერი იყო მოსალოდნელი. გაცილებით მეტი გულმოდგინებით და გულწრფელად ლოცულობდა, ვიდრე ოდესმე ულოცია მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე: „დამიფარე, უფალო! მომხედე! ჩემ გვერდით იყავი და ნურასოდეს მიმატოვებ .... განსაკუთრებით ამაღამ!“ ხედავდა, ტყის სიხშირეს ბოლო არ უჩანდა.

გრძნობდა, თანდათან კარგავდა წონასწორობას. ფსიქოზი დაეწყო და ისიც შეუპოვრად წინ მიიწევდა .... მიაბიჯებდა ტყეში ამ უსასრულო ღამეს: მედიდურ, საშიშ, მომაკვდინებელ, საძაგელ, ციმბირის ტყეში, რომელიც გარეული ცხოველებით იყო სავსე. მათი შემოხედვა იმდენად საზარელი და საშინელი იყო, რომ ძალაუნებურად ძალა გელეოდა, ღონე გეცლებოდა.

რაც უფრო წინ მიიწევდა, ხვდებოდა, რომ უფრო და უფრო ებმებოდა ამ თავბრუდამხვევი, უარყოფითი ტრანსის ხაფანგში. ნადავლივით გავებიო, დარწმუნდა. დაღლილობამ გადაწონა საფრთხის განცდა. როგორი არასასურველი სცენები შეიძლებოდა მოჰყოლოდა ძილს ამ ტყეში! უნდოდა, ძილისთვის როგორმე თავი წაერთმია. ამ სურვილს დიდი სიამოვნებით დაგმობდა, მაგრამ ძალა არ შესწევდა.

„მარტოობაა ყველანაირი შიშის თავი და თავი. ტალღები, კლდეებთან შეჯახებისას, გაშმაგებულნი, შეიძლება, ისეთი სიძლიერით და გასაოცარი სისასტიკით დაიმსხვრნენ, რომ გეგონება, მათ შეეძლოთ ამ შეუღწევი, დაკბილული კლდეების გაჭრა თავისუფლად, ზუსტად ისევე, როგორც დანა ჭრის კარაქს.

მდინარის წყალი მშვიდობიანი, წყნარი და უწყინარი ჩანს. შემდეგ გაგაქანებს ქვევით, ჩაგითრევს მდინარის ფსკერზე

და ცელქი დინებით შეუმჩნევლად დაგასვენებს წყლის ქვეშ.

მოჩვენებითად მშვიდ, იდეალურ ტბას, რომელიც ოდესღაც პოეტ ვილიამ ბატლერ იეიტსის წარმოსახვას აჯადოებდა, შეუძლია შთანთქას თავისი საძაგელი მიწისქვეშა ფაშვი, თავისი ზედაპირი, შეუსაბამო თავისი ფსკერისადმი, სადაც უხვადაა არტერიული ჭები და ფხვიერი მიწა, გადაგყლაპოს და შენი მკვდარი სხეული სამუდამოდ დამალოს.

ასევე მარტოობაა ყველა ამ საფრთხის მიზეზი. ეს ისევე მარტივია, როგორც ჭეშმრიტება: ჩამარხული ხართ ტბის თუ მდინარის ფსკერზე, მიწაში თუ უღრან, უღრან ტყეში, ტალღები გშთანთქავენ თუ ჩაგითრევენ მღვიმეში ქვევით, გაუვალი კლდის ძირში, საბოლოოდ თქვენ საკუთარ თავთან მარტო რჩებით და მარტოდმარტო ხართ."

როცა ტობიასმა გააანალიზა, რაც მან თავის თავს გაუკეთა, დაუჯერებლად გააქნია თავი. იცოდა, რომ ამ ფიქრებს შეეძლო, მისთვის წონასწორობა დაეკარგვინებინა. აგრძელებდა გზას და ებრძოდა ეგოისტურ სურვილს, ცოტა ხნით დაესვენა. სურვილს რომ დანებებოდა, რა სახის მტერი შეიძლებოდა, დასხმოდა თავს?

დაბალმა ტემპერატურამ თითქმის გათოშა მისი სხეული. ჯერ კიდევ ჰქონდა უნარი, ებრძოლა და გადაელახა ყველაფერი, რაც შეემთხვეოდა. მაგრამ თუკი ასე გაგრძელდებოდა, დარწმუნებული იყო, ჭკუიდან შეიშლებოდა ... ან სულაც სიგიჟე გამოაცლიდა ძალას.

საბოლოოდ, როცა თავი დაანება თავის დახსნის საშუალებების ძიებას, სწორედ მაშინ მოვიდა ხსნა. შემთხვევით, თვალის კუთხიდან დალანდა. ყველაზე შემაშფოთებელი ის იყო, რომ კინაღამ გამორჩა. ლამის გამოეპარა ის, რაც ასე ახლობლად მიაჩნდა და რაც სიკვდილისგან თავის დახსნას უტოლდებოდა.

განაგრძო წინ სიარული და როგორც იქნა, დაინახა ნაცნობი ტერიტორია. გაოცებულმა აღიარა, რომ მან არამიწიერი შეხვედრა განიცადა, ყოველგვარი რუტინის გარეშე. ის მართ-

ლა ერთ-ერთ იმ სიზმარში იყო, რასაც კოშმარს ეძახიან. ეს არ გახლდათ ყოველდღიური ცხოვრების ყოფა.

გზა ნაცნობი ჩანდა. თუ პირდაპირ ივლიდა, დარწმუნებული იყო, თავის ქოხს დაინახავდა. რაიმეში დარწმუნება რაღაცას ნიშნავდა, მაგრამ არ უნდოდა გაზვიადება, განსაკუთრებით – ამ ღამეს. ათი წუთის შემდეგ, მისდა ნუგეშად, მართლაც თვალი მოჰკრა თავის ქოხს. დაიფიცა, არასდროს აბსოლუტურად არაფერი ხელახლა მარტოს არ წამოეწყო.

„მადლობა უფალს, სადღაც შემიძლია დავისვენო, სადმე დავდო თავი!“

ხის ქოხისკენ რომ მიდიოდა, თან განუწყვეტლივ ლოცულობდა, ყველაფერი წესრიგში ყოფილიყო. ზუსტად ისე წარმოიდგინა, როგორც უნდოდა დახვედროდა. თუ მართლა ასე იქნებოდა, მაშინვე დაჯდებოდა. ნელა დახუჭავდა თვალებს. მშვიდად დაიძინებდა. სამყაროში არ იარსებებდა ძალა, რომელიც შეაჩერებდა მის ღრმა, ღრმა ძილს. შესაძლებელი რომ ყოფილიყო, მას წინასწარ ენახა მთელი ეს ღამე - გათენებამდე, დარწმუნებული იყო, აღარასოდეს გამოცდიდა ამ საშინელებას.

– წლის ამ დროს მუდამ რაღაც ცუდი შემემთხვევა ხოლმე. თითქოს სამყაროს კანონზომიერებასავითაა, რომ ჩემმა ადგილმა ამ უპიროვნო სამყაროში კალაპოტი შეიცვალოს, მსგავსად მდინარისა.

თუ სიკვდილს გადავურჩები, სადმე წამიღებს ეს დინება. მარტო ჩემი სურვილი არ განსაზღვრავს, რომ ვიცოცხლო..... თუმცა დედამიწაზე ყველაზე ძლიერი სურვილი – სიცოცხლეა. მაგრამ სამყაროს კანონზომიერება ჩემზე ბევრად დიდია. მე მტვრის პაწაწინა ნაწილაკი ვარო, – ამბობდა ტობიასი თავისთვის.

მოულოდნელად ყველა მისი ფიქრი შეწყდა. ხელები თვალებზე აიფარა, რომ დამშვიდებულიყო. არაბუნებრივად ასტკივდა თავი. თავის ქოხში რომ მივიდა, ყველაფერი ისევე დახვდა; ისიც კი არ შეცვლილიყო, რასაც ნამდვილად უნდა განეცადა ცვლილება. საათი ზუსტად იმავე დროს უჩვენებდა,

როგორც დატოვა. ეს საათი, მისი ბავშვობიდან მოყოლებული, მუდამ ერთგულად ემსახურებოდა ხოლმე.

„არ მივაქცევ ყურადღებას, თვალებს დავხუჭავ. დილას ყველაფერი კარგად იქნება.“

ტობიასი დიდი მოთმინებით იცდიდა. ელოდებოდა, ძილი როდის ეწვეოდა. ჯიუტობდა ძილი. ტობიასი კი ელოდა, ვიდრე ღამე გაბაცდებოდა და ინათებდა. ელოდა საღ აზრს, შეედგინა ჭკვიანური გეგმა, თუ რა უნდა გაეკეთებინა შემდგომ ზუსტად.

გარე დისტანციური კომუნიკაციები შეუძლებელი გახდა. მოუსვენრობა ასატანი იყო. სიჩუმე ამშვიდებდა ტობიასს. ბუნება ამშვიდებდა. უყურებდა თოვლს. თეთრი ფიფქები ნაზად ცვიოდნენ და გროვდებოდნენ. სალბუნად ედებოდა ყოველი სათუთი ფიფქი, თითქოს ეუბნებოდა, ყველაფერს თავისი დრო აქვს და წარმავალიაო.

რამდენადაც უფლის არსი ესმოდა, ის დრო იყო, შეევედრებოდა უფალს, შესწეოდა მას, მართალი იყო, ღვთისთვის უნდა ეთხოვა დახმარება! დამამშვიდებელი და გამაძლიერებელი იყო სულიერ საზრდოსავით, ღმერთს რომ შველას სთხოვდი. ტობიასი შეევედრა უფალს, ეხსნა ის შიშისგან. ის, რამაც მის გონებას ამ ღამეს ავნო, საჭიროებდა განკურნებას და განიკურნებოდა. ჩუმად იდგა და სჯეროდა ღვთის შემწეობის.

ტობიასმა სთხოვა უფალს, წინ წამძღვარებოდა და შესჩივლა, რომ აღიარებდა, რამდენად არასანდო იყო მისი სავალი გზა. „ეს ბილიკები სრულიად უცნობია ჩემთვის. მომივლინე რაიმე, სიმბოლო, მიმართულება, გზავნილი, უსაფრთხოება რომ დავიცვაო.“

ამის თქმის შემდეგ სამჯერ დაილოცა, როგორც აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ქრისტიანები ილოცებიან ხოლმე. შემდგომ დაჯდა თავის ხის ქოხში.

მეტი რა უნდა ექნა? დალოდებოდა ამ გაუთავებელ იზოლაციაში, უკაცრიელი უდაბნოს შუაგულში მომხდარიყო რაიმე ამ სათანადო არარაობაში, რამაც ის გარემოიცვა? მისი კონფლიქტი აისახა ორივე - სომატურ და ფსიქიკურ - დონეზე.

თვალები თავისით დაეხუჭა. იგრძნო, სხეული დაუმშვიდდა.

ხანმოკლე აღმოჩნდა მშვიდობა.

გონება ისე ნათლად გაუბრწყინდა და იმდენად ჭეშმარიტად ღრმად, რომ მაშინვე გამოფხიზლდა. წამოხტა და სრულიად სუნთქვაშეკრული ორმოს მომენტს დაუბრუნდა. *დაივიწყეთო ფსიქიკური უარყოფის მცდელობა და განცალკევებაო, იგულისხმებოდა ფრანკლინ რუზველტის ცნობილ ფრაზაში: „არაფერი არაა საშიში, გარდა საკუთარი შიშისა.“*

გაქრობის შიში აბსოლუტურ შიშად იქცა: რა იყო იქ, გარეთ .... ახლა რა არის გარეთ ... მოვა ამ მიყრუებულ ადგილას?

ტობიასმა იცოდა, ტყუილი ოცნება იყო იმაზე ფიქრი, რომ შეძლებდა დაძინებას რაიმეს დახმარების გარეშე. გახსნა კონიაკის ბოთლი, პირამდე ააპიპინა ცარიელი ჭიქა, რომელიც მარჯვენა ხელში ეჭირა და მოიყუდა. ბოთლიდან რაკრაკით მომავალი კონიაკის ხმამ მას გაახსენა სხვადასხვა მომენტები თავის ცხოვრებაში: პირველი დალევა 18 წლის ასაკში; დასამშვიდობებელი დალევა 21 წლის ასაკში, როცა არმიაში მიდიდოდა; დაბრუნებასთან დაკავშირებული დალევა 22 წლის ასაკში; საზეიმო დალევა 23 წლის ასაკში, როცა მან მიუხედავად უმუშევრობის კრიზისისა, როგორც იქნა, რუსეთში სამსახური იშოვა.

ტუჩებთან რომ მიიტანა სასმელი პირველი ყლუპის მოსასმელად, იმ ადამიანებზე ფიქრობდა, ვინც უყვარდა. ეს ადამიანები იღიმოდნენ და ბედნიერები იყვნენ. მას შვება მოჰგვარა ამ კადრებმა. სკამის საზურგეს მიეყრდნო და თავს ნება მისცა, შეესრუტა ხის ქოხის სითბო.

ღრმად ჩაისუნთქა, ამოისუნთქა და მოეხსნა ნერვიული დაძაბულობა მთელ სხეულში.

გაცილებით მშვიდ მდგომარეობაში მყოფს, უკვირდა, ნუთუ ეს ყველაფერი გონების ტრიუკი იყო და ეს საშინელი ილუზია და ჰალუცინაცია მხოლოდ ტიპური სახეა, ფსიქიური დაავადებების მქონე ადამიანები რომ მოჩვენებებს მიაწერენ ხოლმეო? ნუთუ ასე ადვილია, შეშლილობის მომენტი ველურ

ბუნებაში დიდი ხნით ცხოვრებას გამოეწვიაო? ვიდრე შეშლილობა ხანმოკლე და ეპიზოდური იყო, ვინ იზრუნებდა ამაზეო?

სწორედ მაშინ, როცა ამას ფიქრობდა, სრული დისკომფორტი დაეუფლა. ტობიასმა იგრძნო, როგორ მყარად მიაჯაჭვა ადგილს ორმა ცივმა ხელმა. ყველაზე ცივმა ხელებმა, რაც კი ოდესმე ეგრძნო. ეცადა, თავი გაეთავისუფლებინა, მაგრამ ხელები მაგრად ჩასჭიდებოდნენ მხრებში.

შემდეგ ეს ცივი ხელები მხრებს მოშორდნენ. თავისუფალი იყო! მაგრამ როცა წამოდგომა დააპირა, იგრძნო, როგორ დაანწვა საპირისპირო - ძალიან თბილი ხელები თავზე. თითქოს ამ ზეწოლით ცდილობდა, მისი თავი ორად გაეპო. ხელები ფუსფუსებდნენ იქ, სადაც მისი ტვინი იყო მოთავსებული. შემდეგ კეფაზე შემოეჭდნენ. ტობიასს თვალები უცებ იქით გაექცა, სადაც ქურა იდგა. ზეთის ბოთლი ჰაერში აიწია და შიგთავსი ტაფაზე დაისხა. ბოთლი გაჩერდა, როცა ტაფის ძირი საკმარისად დაიფარა. სრული სიჩუმე ჩამოვარდა.

იგრძნო, თავი თითქოს ზეწოლისგან შეუმსუბუქდა, როცა ტაფაზე შიშხინის ხმა გაიგო. შვებამოგვრილმა ტობიასმა მაგრად დახუჭა თვალები. შვების ნაცვლად, თავზე ხელის შეხება იგრძნო. ხელი სწრაფად მოძრაობდა და თავში ჩაუძვრა, თითქოს უნდოდა, მისი თავიდან ყველაფერი ამოეცალა. მან კარგად დაინახა, თოვლივით „თეთრმა ხელმა“ როგორ ამოიღო და როგორ ეჭირა ხელში მისი ტვინი მთლიანად. სისხლი – დალეკერტებული სისხლი, მისი ტვინის სუნი - ყველაფერი ცხადი იყო. ტობიასი უყურებდა, როგორ გადაიტანა „თეთრმა ხელმა“ ტვინი ტაფაზე. ტვინი უხეში ჩანდა, განსაკუთრებით თავისი მრავალფეროვანი ნაოჭებით. ტობიასი გრძნობდა, როგორ სდიოდა სისხლი თავიდან.

მალე მან თავი უჩვეულოდ იგრძნო, თითქოს თავისი სხეული გარედან შეიგრძნო. უნდოდა ერწყია, მაგრამ მუცელში არაფერი იყო. „თეთრმა ხელმა“ განჯინის კარი გააღო. აიღო ორი თეფში, ორი ჩანგალი, ორი დანა და ერთი ხორცის დასაჭრელი ბასრი დანა.

საოცრად პათოლოგიური საყურებელი იყო, „თეთრი ხელი“ როგორ ახორციელებდა ამ მრავალმხრივ ფუნქციებს. მაგრამ „თეთრ ხელზე“ დახელოვნებულიაო, რომ გეთქვა, გადაჭარბებული ქათინაური იქნებოდა ასეთი საძაგელი რეალობისთვის.

ტობიასმა იგრძნო, როგორ ჩაიძირა „თეთრი ხელი“ მის ტვინში. ეს იყო სრული ძალმომრეობის შეგრძნება, ძლიერი, აუტანელი და შემაძრწუნებელი საყურებელი .... „თეთრმა ხელმა“ მისი ტვინი ნაწილებად დაახარისხა, შემდეგ პატარა ნაჭრებად დაანაწევრა და ეს ნაჭრები ისე ამაყად დააწყო, როგორც ყასაბი გამოფენს ხოლმე რჩეულ ხორცს თავის მაღაზიაში. მთელი ამ სისხლიანი პროცედურის მანძილზე „თეთრი ხელი“ არც კი დალაქავებულა.

ტობიასს სულიერად წაბილწულის, აუტანელი ზიზღის და ავადმყოფური ცნობისმოყვარეობის შეგრძნება დაეუფლა. გრძნობებმა ისევე აავსეს პირთამდე, როგორც ჭის ვედრო, რომელიც დაბინძურებულ წყალში იძირება ხოლმე. მისი ცნობისმოყვარეობა მეტყველებდა მის უგონო მდგომარეობაზე; ვერ აცნობიერებდა, რომ ეს ყველაფერი მის თავს ხდებოდა. მისი კუჭი შამფურზე წამოცმული ღორის ხორცივით იტრიალებდა, მას რომ თავისი სხეულის და ამ განცდის შეგრძნება ჰქონოდა. მაგრამ ტობიასი გრძნობდა, რომ სხეულს მოცილებული იყო.

არჩევაზე თუ მიდგებოდა საქმე, ტობიასს მაყალზე შემწვარი ხორცი ერჩია, ტაფაზე შემწვარს. მაგრამ ეს მზარეული არაფერს ეკითხებოდა. ტობიასს აინტერესებდა, რატომ ჰქონდა ცნობისმოყვარე ფიქრები და აზრები თავის დიეტურ კვებასთან დაკავშირებით, მაშინ როცა, მის ტვინს, პატარა ნაჭრებად დანაწევრებულს, სადაცაა, შეწვა ელოდა.

ტობიასი უყურებდა: „თეთრმა ხელმა“ დაიწყო მისი ტვინის ორ ნაწილად, მარცხენა და მარჯვენა ნახევარსფეროებად, დანაწილება. ტვინის მარჯვენა ნახევარსფეროს, რომელიც ითვლებოდა, რომ გონების შემოქმედებით ნაწილს, ფანტაზიის უნარს, გაუცნობიერებელ ქვეცნობიერს მართავდა, ტობიასი

ყურადღებით შეჰყურებდა. მოეჩვენა, რომ მარჯვენა ნახევარსფერო შიგნიდან კომპიუტერს ჰგავდა.

„თეთრმა ხელმა“ შემთხვევით აიღო მისი მარჯვენა ნახევარსფერო. ტობიასმა ნახშირივით შავი ფერის ფონზე დაინახა წითლად დაწერილი სიტყვები: *შემოქმედებითი* და *ქვეცნობიერი*. ამ სიტყვების დანახვამ მას თვალები ცხელი ცეცხლის საჩხრეკივით დაწვა. „თეთრი ხელი“ უმანკო თოვლივით ხელუხლებელი გამოიყურებოდა. „თეთრმა ხელმა“ ლოგიკურად, წინასწარგანუზრახველი და მიამიტური მოქმედებით ტობიასის ტვინის მარცხენა ნახევარსფერო ხელში ააქანავა („თეთრი ხელი“ ასევე ბუნებრივად მოქმედებდა ღვარძლით და ტკბებოდა ამ საქმიანობით).

შეგნებული გონება, რაციონალური აზროვნება, ლოგიკა, არითმეტიკა - ყველა ეს სიტყვა, ცეცხლოვანი წითელი ფერით დაწერილი, აელვარდა მის თვალწინ. თუ „თეთრი ხელი“ შეწვავდა ტობიასის ტვინს, შეეძლო, უბრალოდ შამფური აეღო, გაეყარა მარცხენა და მარჯვენა ნახევარსფეროებში და დამცინავად ეყურებინა, შესაძლოა ტობიასისთვის ხელიც მხიარულად დაექნია. ტობიასი თავს მიაბრუნებდა, მაგრამ რაკი კონსერვატიული იყო, აღელვებული და დადარდიანებული იქნებოდა.

მაგრამ „თეთრ ხელს“ არ უნდოდა მაყალზე შემწვარი. მას ადამიანის ტვინი ტაფაზე დაბრაწული ერჩივნა.

როცა „თეთრი ხელი“ ენერგიულად ჭრიდა და აქუცმაცებდა, ტობიასის თვალწინ კედელზე სხვადასხვა ნევროლოგიურმა ტერმინებმა დაიწყეს გაჩენა. დაინახა ბალახისფერი მწვანე ***ამიგდალა;*** ის ემოციურად შეჰყურებდა ტობიასს. შემდეგ ნახა ***ცერებელუმი*** - ლამაზი თეთრი ფერის. წინა ***ლობები*** იყო პათოლოგიური, შავი ფერის. სიტყვა ***„ლობს“*** ტობიასმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო, რადგან ის გზის მაჩვენებელივით ეკიდა მის წინ.

ტობიასს სჯეროდა, რომ სიტყვა „ლობირება“ ეწინააღმდეგებოდა ლობოტომიების ფართოდ გავრცელებულ, ისტორიულ და ზოგად ფსიქიატრიულ პრაქტიკას, მძიმე ფსიქიური და-

ავადების ძირითადი ფსიქიატრიული მკურნალობისას.

– ადექი, – უბრძანა ხმამ რადიოში, – და მიუჯექი სადილის მაგიდას, სანამ შენს ტვინს მოვიტანთ.

„თეთრმა ხელმა“ არ შეწვა ტვინი მთლიანად. მან ცოტა მარჯვენა ნახევასფეროდან და ცოტაც მარცხენა ნახევარფეროდან შეწვა. დანარჩენი ტვინი თხელ ფოლგაში გაახვია ფრთხილად. ხვალ, ბოლოსდაბოლოს, სხვა დღეა და საკვებს მაცივარში თუ შევინახავთ, ცუდი არ იქნებაო.

– რაც ამ თხელ ფოლგაშია, ამას ყველას ხვალ ლანჩისთვის შევინახავთ. შენ ძალიან, ძალიან ჭკვიანი ხარ. დიდებულ საჭმელს გავაკეთებთ. ნეირონები და ნეიროტრანსფორმატორები, განსაკუთრებით სეროტონები აღადგენენ ინჰიბატორებს და გამორჩეულად დელიკატურია. ყოველთვის ძალიან ჭკვიანია ის, ვისაც ასეთი ფაქიზი ტვინი აქვს. მე თავს ვარიდებ ნელ, მსუქან ხალხს. მათი ტვინი კანიანი, პატარა და მაგარია.

როცა ტვინს ჭამ, მაშინ ნამდვილად ითვისებ უნიკალურ უნარს, სამყაროს სხვანაირად შეხედო და ემსახურო. მაშინ სამყაროს სრულიად ახალი პერსექტივიდან უყურებ.

ყოველთვის საუცხოოა, როცა ტვინს ორად ჭრი. ის ძალიან ცოცხლად აჩვენებს ცნობიერების გამოვლინებას. ასევე საინტერესოა მარჯვენა ნახევარსფეროს ჭამა. ახლა მე არ ვილაპარაკებ გასროინტესტინალის სიამოვნების პირობებზე, მაგრამ ამ პირობებში თქვენ მეტაფსიქოლოგიურად განადგურებული ხართ.

„თუკი, დავუშვათ, შეჭამთ მესამე თვალს, შებას თვალს, ის კოლექტიური გაუცნობიერებელი, რაც ადამიანს აკავშირებს ფილოგენეტიკურ მემკვიდრეობასთან, უკან უბრუნდება ქვის ხანას. და თუკი ხარბად შთანთქავ გაუცნობიერებელ ტვინს, მაშინ ითვისებ ყველაფერს, რაც შეკავებული, დავიწყებული, მაგრამ ჯერაც დაცულია ამ მეხსიერების საუნჯეში. გთხოვთ, მოითმინოთ! ადამიანის ტვინი კარგად უნდა მომზადდეს.

ტობიასი, „თეთრ ხელს“ რომ უყურებდა, ერთობოდა, რადგან ხელები იმდენს მოძრაობდნენ, თან რადიო გაუთავებ-

ლად აგრძელებდა ლაპარაკს.

– მხოლოდ გაამზადე და აზრებს ნუ გამოთქვამ, – შეეპასუ-ხა გაბრაზებული და მსუბუქად შეურაცხყოფილი ხმა რადი-ოში. „თეთრმა ხელმა“ ცერა თითის ქვევით ჩამოწევით გასცა პასუხი, მაგრამ შიშით შეძლებისდაგვარად აგრძელებდა ტვი-ნის მომზადებას. დრო გადიოდა და რადიომ, რომელიც სულ უფრო მოუთმენელი ხდებოდა, ჰკითხა „თეთრ ხელს“: – გაა-მზადეთ ტვინი უკვე? – კიო, ანიშნა „ თეთრმა ხელმა.“

– ძალიან კარგი. ტობიასი ისე გამოიყურება, თითქოს პრო-ტეინი კარგა ხანია არ უჭამია!

ტობიასი გაითოშა. თოვდა და თოვდა. ტობიასი არასოდეს ყოფილა ასე სევდიანი მთელი ცხოვრების მანძილზე. ის ჩუმად ატირდა. სძულდა საკუთარი სხეულის სასიცოცხლო ორგანო-ების ჭამა.

– არ დაგავიწყდეს, მართლა მოსპო შენი სინდისი! – თქვა მუდმივად რჩევის მომცემმა რადიოს ხმამ. – შთანთქე შენი სინდისი ბოლომდე! მასში უხვადაა ზნეობა. არაფერი ისე არ ზღუდავს ადამიანას, როგორც იმის შეგრძნება, რა არის კარგი და რა არის ცუდი. ეს იმას ჰგავს, მთელი შენი ცხოვრება მუდ-მივად გიჟის პერანგი გეცვას.

ტობიასის თვალები თავიანთი ბუდეებიდან ამოცოცდნენ და კედელზე გადაცოცდნენ. კედლიდან გაიწიეს ფანჯრისკენ. ფანჯრიდან მხოლოდ ის მოჩანდა, ქარიშხალი როგორ შმაგად ატრიალებდა გაყინულ თოვლს. ღამე იყო და შესაძლებელია, კომპასსაც და ამ არემარის კარგ მცოდნესაც ვერ ეცნო, ისე შეცვლილიყო გარემო, თითქოს ჩვეულებრივი მიმართულე-ბაც დიდიხანია, არ იყო ისეთი, როგორიც მას ახსოვდა. როგორ ტრაბახობდა ხოლმე ბებიამისთან, საკუთარი ხელისგულივით ვიცნობ ამ მიდამოსო. გუშინ ეს სიმართლე იყო; მაგრამ დღეს, ნამდვილად არა.

– ისეთი ნაღვლიანი ვარ, – შესჩივლა ტობიასმა რადიოს, – შეგიძლია ჩემი გულიც ასევე მიირთვა!

„თეთრი ხელი“ შეუდგა დანის ალესვას. მან გაიგო ტობია-

სის შეთავაზება მაშინ, როცა მისი თვალები ჭერისკენ მიცოცავდნენ. ჭერიდან ჩიტის თვალსაწიერიდან ხედავდა ტობიასი ყველაფერს, რაც ხდებოდა. დაინახა დიდი ჭრილობა და სისხლი, რომელიც იქიდან, მისი თავიდან, ასხამდა. უყურებდა თავის შიგა მხარეს მთლიანად. მას არ ჰქონდა მენტალიტეტი, სიტყვათა მარაგი, მისწრაფება ან უნარი, აღეწერა სრულად, როგორ გამოიყურებოდა მისი თავი შიგნიდან, ტვინის გარეშე.

მაგრამ ეს არ იყო ერთადერთი თავსატეხი ამ შემთხვევაში. ტობიასმა არ იცოდა, რატომ აგრძელებდა შინაგან დიალოგს საკუთარ თავთან, როცა ტვინი ამოცლილი ჰქონდა. მას ყოველთვის მიაჩნდა, რომ ორგანო, რომელიც მის აზროვნებას განაგებდა, იყო ტვინი, რომლის გარეშეც მისი აზროვნება ყველა ოპერაციას შეწყვეტდა. თუკი ტვინი მოკვდებოდა, ანუ ტვინის უქონლობა, გულისხმობდა ყველა შესაძლო იდეისა და მენტალობის უქონლობას.

ჭერიდან ქვემოთ რომ დაჰყურებდა, ტობიასმა შენიშნა, როგორ გაუბუნდოვანდა მხედველობა ცრემლებისგან, განსაკუთრებით მაშინ, როცა ხედავდა, „თეთრი ხელი“ მზად იყო, ამოეცლია მისთვის გული. თუკი ტობიასმა თავისი შიდა დიალოგი დაუკავშირა თავის ტვინს, ახლა თავის სულსა და სულიერ ცხოვრებას გულს უკავშირებდა; გულის დაკარგვა ნიშნავდა, დაეკარგა კავშირი ღმერთთან, რაც ყველა ადამიანს გააჩნია და რასაც ის – ტობიასი ყველაზე მეტად ესათუთებოდა.

– მე არ შევჭამ ჩემს ტვინს. მხოლოდ ზომბები ჭამენ ადამიანების ტვინს. მე ნამდვილად არა ვარ ზომბი! – უთხრა ტობიასმა რადიოს. ეს სიტყვები მან ხაზგასმით წარმოთქვა.

ამ ეტაპზე იგრძნო ძალის მოზღვავება სხეულში. თვალი თავის ბუდეს დაუბრუნდა. გაშმაგებამ უკარნახა, როგორ უნდა ემოქმედა. მას არ აწუხებდა შიში ან ღელვა, არ ადარდებდა შეურაცხყოფა, რომელსაც აყენებდა ხმა რადიოში. არც ის აინტერესებდა, რომ „თეთრ ხელს“ შესაძლოა საკმარისი საბრძოლო უნარი ჰქონოდა და ნაჭრებად აექნა. გადაწყვიტა, აღშფოთებისგან წაქეზებულმა, როგორმე დაემარცხებინა ის.

„თეთრი ხელი“ ცდილობდა მის წაქცევას. ტობიასმა იგი დაჭრა დანით, რომელიც „ხელს“ ეჭირა. შემდეგ სტაცა ხელი და დაიწყო მისი დაჭრა პატარა ნაჭრებად. „თეთრი ხელის“ პატარა ნაჭრები ჩაყარა ბლენდერში და ჩართო. შედეგი ის იყო, რომ „თეთრი ხელი“ ნაზ სუპად იქცა.

– შენ ჩემთან ჯერ ანგარიში არ გაგისწორებია, – თქვა ხმამ რადიოში.

– ხო, ნამდვილად! – უპასუხა ტობიასმა, – შემდეგი შენ იქნები! ტობიასი ხელს ჩაქუჩივით იქნევდა და ურტყამდა რადიოს მანამ, სანამ ის მთლიანად დაიფშვნებოდა. ყველაფერს რომ მორჩა, ქოხში თითქოს ნორმალური სუნი დატრიალდა – არც მყრალი, არც შემწვარი ხორცის სუნი იგრძნობოდა. ტობიასმა ტაფას შეხედა. ზეთი არ იყო ჩასხმული. არც არავის გამოეყენებინა! მაგიდასაც შეხედა – მხოლოდ ორი თეფში, ორი დანა და ორი ჩანგალი ეწყო. მაგრამ არანაირი საჭმელი არ იყო. ტობიასმა თავი ხელებში ჩარგო. თავის ყველა წერტილი სრულიად დაუზიანებელი ჰქონდა. ტვინი, ქალა, სხეული - ყველაფერი მთელი და ჯანსაღი იყო (მაშინაც კი, როცა ტვინი სხეულიდან გამოცალკავებული ჰქონდა, გრძნობდა, რომ ყველაფერი წესრიგში იყო). შეამოწმა მიქსერი, მაგრამ ისიც სუფთა იყო. ერთადერთი ის ვერ აეხსნა, ვისთვის გახლდათ განკუთვნილი მეორე ადგილი....

თავი 2
რატომ დატოვა ტობიასმა მოსკოვი

გათენდა, ნამდვილად ინათა და გათენდა. გადაგორდა ღამე – ყველაზე გრძელი ღამე, რომლის მსგავსი არასდროს გამოუვლია ტობიასს და, მისი აზრით, არც არასდროს ჰქონია ცხოვრებაში. ალბათ, ეს იქნებოდა ყველაზე უცნაური, მეტად ტრავმული ღამე მთელი მისი ცხოვრების მანძილზე.

ტობიასს სჯეროდა ეს, რადგან კეთილგონიერება კარნახობდა, რომ წინ ჰქონდა ყველაზე საუკეთესო პერიოდი და მას უკეთესი მომავალი ელოდა. ღმერთს ევედრებოდა, ამ ახალ დღეს ცვლილება შეეტანა მის ცხოვრებაში და დავიწყებას მისცემოდა წინა ღამის საშინელება. რაც მან გამოსცადა, ილუზიად უნდა დარჩენილიყო – შეშლილობის განცდად, რომელიც აღარასდროს არ უნდა დაბრუნებულიყო, ვიდრე მას საკუთარი გონების გაკონტროლება ძალუძდა.

მისთვის აუცილებელი იყო სამოქმედო გეგმა, მიმართულება, თუ როგორ წარემართა ცხოვრება შემდგომ. დასვენება ნამდვილად მოუხდებოდა მის ჯანმრთელობას. თვითონაც კარგად იგრძნობდა თავს და ნორმალური აზროვნებაც დაუბრუნდებოდა.

– ვიყიდი კარგ, ნოყიერ, თბილ საჭმელს; დავლევ ცხელ სუპს; დავნაყრდები ახალი ხორცით, კარტოფილითა და ახალგამომცხვარი პურით. წავალ სოფელში. ჯერ ვოდკის ხეობის ვილიჯში დავნაყრდები. ერთ ფინჯან მაგარ ჩაის... არა, ორ ფინჯან მაგარ ჩაის ან ორ ფინჯან ზომიერ ყავას დავლევ. არა აქვს მნიშვნელობა. იქ, ვილიჯში ყოფნით ვისიამოვნებო. მოვისმენ სოფლის მცხოვრებთა ამბებს, იქნებ სულაც ვინმეს მოუნდეს, მიამბოს, იქაურ მობინადრეთა შესახებ. რად ეღირე-

ბა, თუნდაც ერთ ისეთ ვინმეს თუ შევხვდები, ვისთანაც ვისაუბრებო – ფიქრობდა იგი.

ასევე ფიქრობდა, რომ შეუძლებელია მარტოდმარტო ცხოვრება – ცოცხალ არსებას, სრულყოფილ ადამიანს სჭირდება ღმერთთან ზიარება და ახლობლებთან ურთიერთობა. უკანასკნელი ღამის შემდეგ ირგვლივ მხოლოდ ეს უნაყოფო, გაპარტახებული ბუნება, ნაკლებად კომფორტულიიყო ჩემთვის.

ტრავმის ღამემდე ტობიასი ერთხელ იყო სოფელში. მთელი თვის მანძილზე მხოლოდ ერთადერთი დღე გამონახა და ზუსტად 20 წუთში არაკეთილგანწყობილება დაეუფლა. დროის ეს მონაკვეთი საკმარისი აღმოჩნდა, გაეგო ამბები და ფულიც გაეგზავნა ბებიისთვის, რომელიც საპენსიო ასაკში თბილისში ცხოვრობდა. იქაურ კლიმატს ბებია ასაკისთვის შესაფერისად თვლიდა. ტობიასი ხშირად ფიქრობდა მასზე, დაჰყურებდა მის ფოტოსურათს და აგონდებოდა, როგორ ზრუნავდა ბებია მასზე ბავშვობაში. ის სინათლის სხივი და განსაკუთრებული პიროვნება იყო, როგორიც აუცილებელია ხოლმე ბავშვის სწორად აღზრდისათვის.

ტობიასმა გონებაში გაიფიქრა, რომ კრინტი არ დასცდენოდა ვინმესთან იმაზე, რაც მან წინა ღამით განიცადა. ეს საქციელი ლოგიკური იყო საკუთარი თავის დასაცავად. სოფელში ხალხი ყველა ერთმანეთს იცნობს და იშვიათად თუ დაუფარავს ერთმანეთს რამეს. მათი ცხოვრება იმდენად მოსაწყენია და მარტივი, რომ ჭორები უფრო მედგრად ვრცელდება, ვიდრე ციმბირის თოვლი... ის ძალიან ფრთხილი და ანალიტიკური იყო. არ იცნობდა ამ ხალხს. იქნებ სულაც სხვაგვარად გაეგოთ მისი მონათხრობი და ამიტომ სჯობდა, ენაზე კბილი დაეჭირა და სიფრთხილე გამოეჩინა. ცილისმწამებლებს მეტი სიფრთხილე მართებდათ – რადგან ისლამი ამ ცოდვას, როგორც მისთვის ცნობილი იყო, მკვდარი ძმის ხორცის კბილებით გლეჯასთან აიგივებდა.

ზოგჯერ ის, რაც სხვისი ცხოვრების შესახებ იცი, შეიძლება, უკურნებელ შხამად გექცეს, თუკი მოსვენებას გიკარგავს

სხვისი სავალი გზები. მთავარია, ცხვირი არ ჩაყო იქ, სადაც არაფერი გესაქმება... მაშინაც კი, თუკი იქ უნებურად გარდაუვალი შემთხვევის გამო აღმოჩნდები.

ტობიასის ამ შუა უკაცრიელობაში გადმოხვეწის მიზეზი კაცობრიობისადმი მისი ანტიპატია იყო. მისი გადახვეწა ადასტურებდა, რატომაც არჩია მან ეს განმარტოება. თავისი პრობლემების მოსაგვარებლად მას ეს ერთადერთი გზა ეგონა.

იქნებ ტობიასმა განუწყვეტელი თვითანალიზისთვის საუკეთესო საშუალებად ჩათვალა, ადმიანებისგან შორს ეცხოვრა. მაგრამ რაღა მაინცდამაინც ნაკლებად შეუფერებელი ციმბირის ტყე აირჩია მან თავშესაფრად? პასუხი სლავურ ენაზე ერთი სიტყვით ასე აიხსნებოდა: *პერესტროიკა*. ეს *რესტრუქტურიზაცია*, ლიტერატურული სლავურით რომ ვთქვათ, რაღაც გაურკვევლობას იწვევდა.

მოსკოვში დაბადებულ ტობიასს არასდროს უცხოვრია რუსეთის სხვა რეგიონში. არც მის ოჯახს. შემდეგ „პერესტროიკამ“, დაუანონსებლად (რაშზე შემომჯდარ სატანასავით) გამოცხადებულმა, გამოიწვია მისი მოსკოვიდან გამგზავრება. სწრაფმა და უცნაურმა ცვლილებამ, დახურულიდან ღია საზოგადოებაში გადასვლამ, ძალიან ბევრი დაძაბულობა შეიტანა მასებში, რომლის ერთი ნაწილი ტობიასი იყო. პერესტროიკამ მოიყვანა ის თავისი კომფორტული ზონიდან აქ, ამ ადგილას, რომელიც ადრე იმ უბედური ადამიანებისთვის იყო განკუთვნილი, რომელთაც საზოგადოებიდან აძევებდნენ. იქ, სადაც კომუნიზმი პრობლემური იყო, პერესტროიკა კატასტროფული აღმოჩნდა. პოსტკომუნიზმი (ტობიასის მსგავსი განათლების მქონეთათვის) ნახევრად ჯოჯოხეთს ნიშნავდა.

მოსკოვი, თავისი ზურგზე მოკიდებული „პერესტროიკით“ და ახალი რეფორმებით, მართლაც, ჯოჯოხეთს დაემგვანა, სადაც თვით სატანა კურირებდა საბჭოთა სისტემის დასჯას ღვთის უარყოფისა და კომუნიზმის ყალბი იდეების პროპაგანდისთვის. ტობიასი უმწეოდ შეჰყურებდა, როცა ხალხს სოციალური ცუნამი გამორიყავდა ხოლმე.

მოსკოვში ნახა ტობიასმა, როგორ იბრძოდნენ მისი მეგობრები, როგორ ინგრეოდა მათი მომავალი. ნარკოტიკების მოხმარება გახდა საერთო გამოსავალი, თითქმის ღირსეული საქციელი. დამოკიდებულება იყო, ალბათ, ადამიანისთვის დამახასიათებელი რეაქცია უაზრო პირობებში. ტობიასი ამ დამოკიდებულების ეპიდემიას გარე ფაქტორებს აბრალებდა.

საბჭოთა პერიოდში, მაშინაც კი, როცა უკმაყოფილო პარტია – აბობოქრებული –საზოგადოებრივი თავშეყრის ისეთ ადგილებში მიდიოდა, სადაც ალკოჰოლი წინა პლანზე ფიგურირებდა და შეკვეთას შეკვეთა მოსდევდა ან „გლასნოსტისა“ და „პერესტროიკის“ ნაზავის დროსაც ეს არ შეიმჩნეოდა. ბარმენი არაყს უცხოს მისცემდა და ჩუმად გვერდზე მიდგებოდა. ნებისმიერს შეეძლო, ის დაესმინა და არავისთვის იყო ხელსაყრელი, დეზინფორმაცია ზემდგომების ყურამდე მისულიყო.

ასე ჩამოყალიბდა სოციალური ქაოსი. საშუალო ფენას თვალი უნდა დაეხუჭა ყველაფერზე, მაშინაც კი, თუკი კორუმპირებული თანამდებობის პირები ადგილობრივ პროდუქციას გადაჭარბებით წარმოაჩენდნენ, თითქოს მთასავით იყო დაზვინული წარმოებული ხორბლი ან მარცვლის გორები ევერესტის სიმაღლემდე აზიდული, როცა სინამდვილეში, ნებისმიერი პროდუქტი შორს, სივრცეში, თხუნელას ბორცვებზე ბევრად პატარა, საქონლის ნეხვის გორებივით მოჩანდა.

არანაირი განაცხადი არ კეთდებოდა, თუ ვისი გამარჯვება იყო მოსალოდნელი. ყველამ იცოდა, ვინ იყო გამარჯვებული. ჩუმი ანტიპათია უცნობის მიმართ, კოლექტიური პარანოია, ჩურჩულით ნათქვამი ცილისწამებები იმას მიეწერებოდა, რომ ყველაზე მეტად დისიდენტი იყო საფრთხის ქვეშ. დისიდენტი, მწერალი, ხელოვანი განიხილებოდნენ როგორც ფსიქოზურები და ავადმყოფები, ისევე როგორც დანარჩენი ფსიქიკურად დაავადებული პაციენტები და საჭიროებდნენ იძულებით, უმართებულო ფსიქიატრიულ მკურნალობას. „გიჟმა“ შეიძლება შენიღბოს თავისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა, მაშინ

როცა, ოფიციალურად ჯანსაღმა ფსიქიკამ შეიძლება თავი აარიდოს მოვალეობას, რომ გამოამჟღავნოს თავისი სიგიჟე. არავინ იყო დარწმუნებული, ვინ იყვნენ მავნებლები, რომელთა მიზეზით ცენტრალურ ხაზს კრემლამდე, უსწორდებოდნენ ხოლმე. მათ კაგებეს აგენტებს ეძახდნენ. აგენტს ან დასავლეთის ინფილტატორს, მეტად სრულყოფილი სლავურით რომ ვთქვათ.

„პერესტროიკის“ წინა პერიოდი, მართლაც, უცნაური და პარანოიდული იყო. პოსტპერესტროიკის პერიოდი – დიდი ცვლილებების ნაკადის გამო კი ემოციურად – ინდიფერენტული. ადამიანები, ვისთან ერთადაც ტობიასი სკოლაში დადიოდა და ოჯახები, რომელთაც ის სკოლის შემდეგ სტუმრობდა, ყველანი შეიცვალნენ. რაღაცნაირად გაუცხოვდნენ. ოჯახებმა დანგრევა დაიწყეს. რაც შეეხება ფულს და სამუშაოს – ეს უკანასკნელი, უწინდელზე მეტად გროტესკულად გაუფასურებული, გაქრა. ბავშვები, რომლებიც მას შეჰპირდნენ, როცა მხოლოდ ოთხნი იყვნენ, სამუდამო მეგობრებად დარჩენილიყვნენ, მოზრდილებივით სრულად გარდაიქმნენ.

ტობიასმა გამოსცადა საბოლოოდ ბევრი ჩალის კონის სიმძიმე, რომელმაც აქლემს ზურგი ჩაუმტვრია. მან ყველა შანსი მისცა მოსკოვს, ვიდრე საქმე ასე შორს წავიდოდა. იმდენად ბევრი ჩალა დაგროვდა ამ აქლემის ზურგზე, რომ მიმართულება შეეცვალა. ასეთ ცვლილებას შემდგომ მოსდევს დამყაყების შეგრძნება. ამ მდგომარეობაში მუშტების ტრიალი მოითხოვს უკანდახევას; დრო და ადგილია საჭირო აზრზე მოასვლელად. ასე მოხვდა ის ციმბირის რთული კლიმატის პირობებში. ეს ერთადერთი ადგილი იყო, რამდენადაც ის ინფორმაციას ფლობდა, რაშიც კომპანია ხელფასს გადაუხდიდა, და იმედოვნებდა, იქ საკუთარ თავს იპოვიდა.

მოაგონდა თივის კონა, რომელიც მის ზურგზე აღმოჩნდა. მაგალითად, ის დღე, როცა თავისი ბავშვობის მეგობრის, ნიკოლასის, სახლში წავიდა და ნახა, როგორ შეცვლილიყო იქაურობა. თითქოს მონსტრები დაპატრონებოდნენ იმ არემარეში

ყველაზე ლამაზ სახლს. სხვებიც იზიარებდნენ მის მოსაზრებას.

ნიკოლასის მშობლები მხატვრები იყვნენ, საბჭოთა სახელმწიფოს მიერ ყოველთვის დაფასებულნი (ისევე, როგორც მისი ბებია და ბაბუა). ამ შესანიშნავი ბინის სანაცვლოდ, რომელიც საუცხოო იყო იმ პერიოდისთვის, ისინი სახელმწიფოს პროპაგანდის ფანტასტიკურ ესკიზებს უმზადებდნენ. რკინის მუშტი, რომელიც რუსეთს განაგებდა, იფარავდა ამ ოჯახს და იმ ოჯახსაც, რომელსაც ტობიასი ეკუთვნოდა.

ამის ნაცვლად, ნიკოლასის სახლი პერესტროიკის სიმბოლოდ იქცა. დამპალი სახლი, წარსულში სანაქებო, მოუვლელობისგან ნანგრევად და ჩონჩხად ქცეულიყო. ერთ დღეს ტობიასი სტუმრად მივიდა ამ სახლში და, შიგნით შესული, დაელოდა მეგობრის გამოჩენას, რომ ძველი რუსული ფილმების ყურებით დამტკბარიყო. როცა მეგობრის ოთახში შევიდა, ფილმის სანახავად, მას არასდროს დაავიწყდება, როგორ შეუკრა სუნთქვა იქ ნანახმა კადრმა, როგორი თავზარი დასცა და შეძრა. მიხვდა, ნიკოლასს ნარკოტიკის გადაჭარბებული დოზა ჰქონდა მიღებული. ტობიასს ნარკოტიკებისგან თავი შეძლებისდაგვარად შორს ეჭირა, მაგრამ გააცნობიერა, რაშიც იყო საქმე. ინსტინქტურად შებრუნდა მისაღებ ოთახში და სასწრაფო დახმარება გამოიძახა.

ტობიასი არ იყო დარწმუნებული, აქ რა იყო ყველაზე დიდი უბედურება და დაუჯერებელი – ის ფაქტი, რომ მისი მეგობარი ნარკოტიკის გადაჭარბებულმა დოზამ იმსხვერპლა, თუ რამდენი რამე შეიცვალა რუსეთში რესტრუქტურიზაციის შემდეგ? იყო ეს კიდევ ერთი მიზეზი საიმისოდ, რომ მოსკოვი ჯოჯოხეთად იქცეოდა მალე? იქნებ უფრო იმედგაცრუებული და უბედური გახადა ნემსის დანახვამ და იმის ცოდნამ, რომ მისი მეგობარი, რომელსაც ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა, ინტრავენური ჰეროინის გამოყენებამ შეინწირა? ჩვენს გარშემო, ადამიანების მიერ ბნელი საიდუმლოს უცოდინრობა არის სამოთხე ცნობიერების გასანადგურებლად. ცნობისმოყვა-

რეობა იძლევა საშუალებას, აღმოაჩინო სხვისი ჩრდილოვანი მხარეები. ტობიასმა უნებლიედ აღმოაჩინა ერთ-ერთი ჩრდილი იმათგან, რომლებიც მის ირგვლივ ჩამოწოლილიყვნენ.

საზოგადოებაში ადამიანის მიმართ მზრუნველი დამოკიდებულება ძალაშია მანამ, სანამ დაიღლება, თანაგრძნობით შეაგნებინოს, როგორი დრომოჭმულია ასეთი დამოკიდებულება. საზოგადოება მოკვდა, რეფორმების წყალობით (დღეგრძელობა მას!). წარსული ცხოვრებიდან მხოლოდ ნოსტალგიური ფანტაზია დარჩა. ახალი სინამდვილე შეუცნობელი უნაყოფო უდაბნოა.

ტობიასმა იცოდა, პერესტროიკა რუსეთისთვის მისი ძველი მდგომარეობის კასტრაციას ნიშნავდა – „ რა თბილად ვხცოვრობდით ჩვენს მხიარულ საბჭოთა კავშირში, საძაგელი დასავლეთის მუშებივით კი არა. პურის, წყლის, თავისუფლების და მხიარული შრომისთვის ჩვენი საბჭოთა რაკეტები ბურჟუაზიას გააქრობენ“.

რა იყო რუსეთისთვის ახალი მანტრა ამ შიშსა და დამახინჯებულ სიმართლეში?

ტობიასმა, რომელიც მოწმე გახდა საზოგადოების ცვლილებისა და უფრო და უფრო მზარდი სიმძიმისა და გაურკვევლობისა, ხელი გამოჰკრა რაღაც სამუშაოს, რომლის მსგავსზე ის საბჭოთა პერიოდში არასდროს იფიქრებდა. მუშაობა მხოლოდ იმიტომ დაიწყო, რომ როგორმე თავი შეენახა, განა იმიტომ, რომ უკეთესი პირობები ჰქონოდა ან თავისი ცხოვრების ამბიციას კარიერის პერსპექტივა ელოდა.

ეს მწირი, ცუდად ანაზღაურებადი სამსახური შველოდა მას. მიუხედავად იმისა, რომ ამ სამუშაომ მას გულში ხანჯალგაყრილის შეგრძნება გაუჩინა. ინტელექტუალური და აკადემიური უნარი ლოიალური დამოკიდებულებით კომუნისტური პარტიის მიმართ უკვე არ იყო საკმარისი. ეს ჰგავდა უჩვეულოდ მწარე აბის გადაყლაპვას.

მან ამოწურა ალტერნატიული ძიების ყველანაირი შესაძლებლობა. უკვე ნათლად დანახული საჭიროების გამო, მზად

იყო, ჩამოშორებოდა თავისი ყოფილ კომპანიას. მან შენიშნა ნაპრალები, რომლებშიც ჩაცვივდა ბევრი მათგანი. ზოგი მათ ახასიათებდა, როგორც ცუდი ჩვევების მქონეთ. ცუდ ჩვევებს ცხვირის აბზუება მოსდევს. ცუდი ჩვევა არ არის „შპრიცის“ შეყვანა თქვენს ვენაში. თქვენს ვენაში ჰეროინის „შპრიცის“ შეყვანაა თვითმკვლელობა.

ჯობდა შორს დაეჭირა თავი ამ ხალხისგან, არასდროს ეცადა გაჰყოლოდა იმ ადამიანების გზას, რომელთა გაუკუღმართებული გზა ღუპავს ყველას, ვინც მათ შეუერთდება. ასოციაციის გზით განადგურება – დამანგრეველი გზაა.

ტობიასის რთული პერიოდი მოსკოვში შეცვალა მისმა ამჟამინდელმა, ცხოვრების თემად ქცეულმა საზრუნავმა. ბოლო ღამის შიში ბორგავდა მასში. უნდა ებრძოლა, როგორმე გაეგო, ეს რა ხდებოდა დედამიწაზე. ინტელექტუალურად, შეეძლო ამისთვის, როგორც სიგიჟის გამოვლინებისთვის, ყურადღება არ მიექცია. მაგრამ შინაგანი სული არასდროს ღებულობს ხოლმე სხვადასხვა კომპენსაციებს, რომელთაც რაციონალური გონება იყენებს.

ძალიან დაიბნა. ამ ტრავმის კადრები და გახსენება წყეული დემონივით სდევდა მას. თავისი უნარი და ენერგია რომ დაეზოგა, მხოლოდ ამიტომ უნდა წასულიყო ქალაქში და რამდენიმე ხანი იქ მშვიდობიან ვითარებაში დაეყო, დაასკვნა მან გააფთრებულმა.

„იქნებ...არა, ეს უფრო სიმპტომს ჰგავს. ხო, ტობიას, ესა ხარ, რაცა ხარ, როცა ხორცისა და სისხლისგან ხარ შექმნილი, ხარ ეული. ეს სიმპტომია სავარაუდოდ. ადამიანები ჯგუფურად ვითარდებოდნენ. უძველესი ადამიანები გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ სხვებთან ერთად. ასევე ისწავლა მან, ებრძოლა საკუთრივ თავისთვის, ენადირა და ეგროვებინა. ვინაიდან ადამიანი სხვებთან ერთად ცხოვრობდა, ისწავლა, როგორ განევითარებინა აგრარული საზოგადოება. რაც წუხელ განიცადე, სიმპტომია. შედეგი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე სრული იზოლაციისა ... იყო მარტოდმარტო და არ იცოდე,

სტრესი როდის დაგატყდება თავს.

ტობიასი მოემზადა ვოდკა ვილიჯში წასასვლელად. სულ რაღაც 30 წუთი დასჭირდებოდა ფეხით წასვლას. რა კარგი იქნებოდა ეს გასეირნება! რა მადიანად დანაყრდებოდა. მისი სული ყოველგვარი პანიკისა და შიშისგან განთავისუფლდებოდა. სრულად ეთანხმებოდა თავის მოსაზრებებს და დაასკვნა, რომ სხვებთან გარიდება იყო მისი წამალი – რა თქმა უნდა, თუკი ეს, იმ სხვების სურვილიც იქნებოდა. მაშინ – მართლაც, უეჭველად, განიკურნებოდა.

თავი 3
ტობიასის წასვლა ვოდკა ვილიჯში

თოვლში თვლემდა ვოდკა ვილიჯი, ტობიასი რომ მივიდა. ვილიჯმა მხოლოდ მაშინ გამოიღვიძა, როცა ეკლესიის ზარებმა რეკვა დაიწყო და ეკლესიის სახურავზე მთვლემარე ჩიტები ფოსტის ოფისისკენ გაფრთხიალდნენ და იქ შემოსკუპდნენ. ეს იდეალური დრო იყო წმინდა მიქაელის რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში წირვაზე დასასწრებად. ტობიასმა გადაწყვიტა, მთელ წირვას სრულად, ადრე დილიდან შუადღემდე, დასწრებოდა და, როგორც მლოცველს შეეფერებოდა, თავისთვის ნება დაერთო, ელოცა გონებისა და სულის განსაწმენდად.

ის ეკლესიის ჭიშკარში შევიდა. წმინდა ადგილის მიმართ სიყვარულით განიმსჭვალა. შებრუნდა ეკლესიისკენ და სამჯერ დაილოცა. სულ ხუთნი იყვნენ ეკლესიაში: ორი ხანშიშესული კაცი, ორი ახალგაზრდა ქალი და ერთი ქალბატონი, რომელიც გალობდა. ტობიასმა უფლის კურთხევა იგრძნო გულში. სიყვარულით შეხედა კანკელს, რამდენიმე რუბლი ჭიქაში ჩადო, აიღო სანთლები, შემოიარა ეკლესია და წმინდანების ხატების წინ სანთელი დაანთო. შემდეგ გაემართა ღვთისმშობლის – მთელი სამყაროს წმინდა დედის – მარიამის, ქრისტეს მშობლის ხატისკენ. ხატის წინ დაემხო, სულიერად მინდობილი, და ლოცულობდა: „ყოვლადშემძლე უფალო, ნუ მიგვატოვებ! გაჭირვებაში შენს გარდა არავინა გვყავს შემწე. ყოვლადძლიერო უფალო, შეგვიწყალე ჩვენ!“

ლოცვის შემდეგ ემთხვია ხატს. დაილოცა და ეკლესიის შუაგულისკენ წავიდა. აქ შეეძლო, მდგარიყო ჩუმად, თაყვანი ეცა ან ელოცა და მღვდლისა და გუნდისთვის ყური დაეგდო.

სამსაათნახევარმა განვლო გულწრფელ და მომხიბვლელ მართლამდიდებლურ ლოცვებში. ღვთისმსახურება დამთავრდა მღვდლის მიერ დამსწრეთა წმინდა ზიარებით. იქ მყოფებმა მიიღეს მღვდლის კურთხევა და ემთხვივნენ ჯვარს, რომელიც ხელში ეჭირა მღვდელს. კურთხევის შემდეგ ტობიასი ეკლესიიდან გავიდა, ამ წირვის სულიერი მადლით აღვსილი. გულმა შვება იგრძნო. განიწმინდა. უფალს მადლობა შესწირა ჯანმრთელობისა და იმ სულიერი ძალებისთვის, ამ მსახურებაში მონაწილეობის მიღება რომ შეაძლებინა.

– გამარჯობა! – მიესალმა ტობიასი შუა ასაკის კაცს, რომელმაც თავი დაუკრა, როცა ორივენი ეკლესიიდან გამოდიოდნენ.

– არ მგონია, ადრეც მყავდე ნანახი ამ მიდამოებში, ახალგაზრდავ, – უთხრა კაცმა.

ტობიასი მოხიბლა მისი წვერის ფორმამ – კარგად დავარცხნილმა. მუქი შავი ფერის თმა, მიუხედავად სიგრძისა, მოწესრიგებული და სუფთა იყო.

– მართალია. დაცვის სამსახურში ვმუშაობ ქალაქგარეთ. ტობიასი მქვია. კარგია, რომ შეგვხდი, – ხელი გაუწოდა ტობიასმა და ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

– კეთილი იყოს შენი ფეხი ვილიჯში. მე ანისიმი მქვია.

ჯენტლმენივით გამოიყურებოდა ანისიმი. ეცვა გაპრიალებული შავი ფეხსაცმლები, თეთრი მაისური, ყელამდე ღილებით შეკრული, ყავისფერი ჯემპრე და შავი ფერის ქურთუკი, ნაცრისფერი შარფით. შავი ხელთათმანები ეკეთა. 6,4 ფუტის სიმაღლის იყო, ნაცრისფერი თმებით. უწყინარი და მშვიდი გამოხედვა ჰქონდა.

– თუ სწორად მივხვდი, თქვენ ვილიჯში მუშაობთ?

– ადრე გავედი პენსიაზე. ჩემი საქმიანობა ახლა არის, ვილოცო ციმბირისთვის, ერისთვის, მთელი მსოფლიოსთვის, ჩემი ოჯახისთვის, ჩემი ცოდვებისა და სულისთვის.

– დიდებულ საქმეს ემსახურებით.

– მეტი რა უნდა გააკეთოს პენსიაზე მყოფმა კაცმა, დრო

რომ ნაყოფიერად გალიოს? ცხოვრების ყველა ეტაპზე სულს უნდა მიხედოს კაცმა. მაგრამ აბა სად არის დრო ცხოვრების გაწამაწიაში?

ტობიასმა შენიშნა, როგორ გაუნათდა სახე ანისიმის, როცა გათქვა საიდუმლო, თავისი ცხოვრება ღვთის სამსახურს სრულად რომ მიუძღვნა.

– მაგრამ ეს ყველაზე სწორი ეტაპია თითოეულის ცხოვრებაში. დრო რაც უფრო მეტია, უფრო თავისუფალია ადამიანი. ნამდვილად შეიძლება სულიერების მიხედვა.

– ასე რომ, თქვენ გიყვართ ამ ეკლესიაში ღვთისმსახურების დასწრება?

– ეკლესია ეკლესიაა. ღვთის სახლი ღვთის სახლია. ეკლესია ცოდვილთა განსაკურნებელი ადგილი და თავშესაფარია... ჩემნაირებისთვის.

– თქვენ ძალიან სულიერი ხართ, ანისიმ. სასულიერო პირი, მღვდელი ხართ?

– მართლმადიდებელი მღვდელი რომ იყო, ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა. ის უნდა იყოს თავისი სამწყსოს სულიერი მამა. ეს არის სამყარო, სადაც უამრავი ცოდვა არსებობს. ეს ადვილია? მე არა ვარ მღვდელი. ხშირად მეუფლება შეგრძნება, შემიძლია, გაცილებით მეტი დახმარება გავუწიო მამა დიმიტრის, მამა ევგენისა და მამა ილიას. მაგალითად, მე შემიძლია მომსახურება საკურთხეველში. ამაზე რომ ვფიქრობ და სარკეში ჩემს გამომეტყველებას ვუყურებ, ვხედავ, ეს არაა ჩემი საქმე. მე უფრო ჩვეულებრივი, პასიური პიროვნება ვარ, რომელსაც საერო წევრობა ურჩევნია.

– ანისიმ, ახლა უნდა დავშორდეთ ერთმანეთს, რადგან შეტყობინება მივიღე. მაგრამ მჯერა, კიდევ ვნახავთ აქ, სადმე, ერთმანეთს.

– მე კიდევ ყველაფერს გადავდებ, რომ თქვენთან ვისაუბრო, როცა თავისუფალი დრო გექნებათ.

ამ სულიერი ინტერლუდიის შემდეგ ტობიასს მოუნდა, მღვდელს მისი აღსარება მოესმინა. ასევე მიხვდა, საამისოდ

უფრო შესაფერისი იქნებოდა, ეკლესიაში მისი შემდგომი ვიზიტის დროს გონებრივად უფრო მომზადებული მისულიყო. ისევ დაილოცა და აღუთქვა უფალს, რომ წმინდა მიქაელის ეკლესიაში უფრო ხშირად ივლიდა.

ტობიასს ენატრებოდა კარგად მომზადებული კერძები და ეკლესიის გასწვრივ გზაზე მდებარე რესტორანში შევიდა. მდიდრულად გამოიყურებოდა ორსართულიანი რესტორნის ყავისფერი ხის ფასადი. ხის კარების შიგნით, პალტოების საკიდთან ახლოს, მსოფლიოში ცნობილი რუსი მწერლის, ანტონ ჩეხოვის სურათი ეკიდა. არის ეს სტერეოტიპული თუ არა, რესტორანს ერქვა „ჩეხოვის რესტორანი“. მფლობელს სურდა, ისეთი სახელი დაერქმია, რომელიც იქნებოდა მოკლე, გემრიელი და ასევე – ცნობილი. არ აქცევდა ყურადღებას იმ ფაქტს, მის რესტორანს ჰქონდა თუ არა რაიმე შეხება ცნობილ მწერალთან ან მის ცხოვრებასთან.

ტობიასს ყველაზე მეტად უყვარდა ჩეხოვის იგავი „მდიდარი და ღარიბი“. ორად-ორ გვერდზე ჩეხოვმა კეთილშობილურად და ხატოვნად ასახა ის, რასაც სხვები 1000 გვერდზე ვერ გადმოსცემდნენ. მისი აზრით, დადასტურდა, რომ სიუჟეტი არასდროს უნდა იყოს სრული და თუ ეს ასეა, მაშინ უნდა მიუბრუნდე ცხოვრებას, რომ მუდმივად სრულყო შენი ოსტატობა.

იგავი „მდიდარი და ღარიბი“ გრძნობიერია ადამიანის მდგომარეობის მიმართ. რესტორნის მფლობელი კი, პირიქით, თავისი არსებობით სულაც არ იყო მგრძნობიარე. მფლობელი, იმავდროულად მზარეულიც და მიმტანიც, რომელიც განაგებდა „ჩეხოვის რესტორანს“, დაახლოებით ექვსი ფუტი სიმაღლის სიფრიფანა ტიპი იყო.

მთლად მჭლეაო, ვერ იტყოდი. მოხრილი იყო (მაგრამ არა თავმდაბალი). ვიწრო მხრები ჰქონდა და ვერ შეატყობდი ფიზიკურ ძალას. მისი ფიზიკური თვისებები არ გამოხატავდნენ არც ზიზღს, არც ქედმაღლობას, არც მტრობას და არც უტვინობას. გეგონებოდათ, ბალახი წააქცევსო, თითქოს ჰაერით იკვებებოდა. ეტყობა, მთელი ცხოვრება მშიერი იყოო,

გაიფიქრა ტობიასმა. მან თავი ვერ შეიკავა დასკვნისგან, რომ კაცი უფრო ძლიერი, გაცილებით დაკუნთული და მხრებგანიერი უნდა იყოსო. მეორედ თუ შეავლებდი თვალს, ის ნახევრად ცოცხალ არსებას განასახიერებდა.

მიუხედავად ამისა, ტობიასისთვის უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა, რომ გამხდარი კაცი მტკიცე და უნარიანი მუშაკი იყო. ის თითქმის დამნაშავედ გრძნობდა თავს, ისეთი ვინმესგან აეღო ხორცი, ვისაც ის მასზე მეტად სჭირდებოდა. არაქრისტიანულად ეჩვენებოდა, თვითონ შეეკვეთა თავისთვის, როცა მისი მომსახურე ამას ასე საშინლად საჭიროებდა. მაგრამ ტობიასი არ იყო ექიმი. მას არ შეეძლო თავისი ვარაუდი უფრო მეტი მტკიცებულებით გაემყარებინა და დაუზუსტებელი დეტალების დემონსტრირება გაერისკა.

ყოველ შემთხვევაში, მისი ყურადღება კაცის ჯანმრთელობაზე კონცენტრირდა, როცა აღელვებული დაჰყურებდა საკონდიტრო ნაწარმს, რომელიც დახლზე იყო გამოფენილი.

– ეგენი რეებია? – იკითხა ტობიასმა იმ იმედით, არ გაემჟღავნებინა თავისი ნამდვილი განცდა ამ ნაწარმის ყურებისას და ის, რა კადრებსაც ისინი მის მეხსიერებაში აღადგენდნენ. სანამ პასუხს მიიღებდა, ტობიასმა იგრძნო, რომ სახე წამოუწითლდა.

– ეს არის ის, რასაც მე, ათანასი, სპეციალურად ვამზადებ ხოლმე.

– ეს არ არის რუსული. ხომ არ არის? – გააკეთა ტობიასმა ეს ეთნოცენტრიკული განაცხადი, რომ როგორმე თავისი გამოთქმის აუთენტიკური რეაქცია დაეფარა.

– დიახ, არაა რუსული. მათი მომზადება მაშინ ვისწავლე, როცა ზაფხული შვედეთში გავატარე. „შოკოლადის ბურთულები“ ან „ზანგის ბურთულები“ ჰქვია. მოგართვათ?

– არა, – სწრაფად უპასუხა ტობიასმა, დაიმედებულმა, რომ მისი ხმა ძალიან უხეშად არ გაჟღერებულა. – რამე სხვას შევუკვეთავ მენიუდან. მისმა მკვეთრმა ა რ ა-მ ნამდვილი მიზეზი ამგვარად სწრაფად დაფარა.

შოკოლადის ბურთულები ნაცრისფერ ფონზე გარეგნულად ტვინის ხვეულებს ჰგავდა. ტობიასს, როგორც წინათ დაადასტურა, მართლა ყველა საგნის ნეირობიო-ანატომიური სრული კვოტა ჰქონდა. შოკოლადის ბურთულების დანახვამ მისი კუჭი შეაჯანჯღარა, ტვინის ნეირონების ჟელესავით. მათი ყურება რომ გაეგრძელებინა, ნამდვილად არწყევდა. ეს საშინელი ასოციაცია მან თავიდან ამოიგდო დისასოციაციით.

– კარგად მინდა დავნაყრდე – ერთი თასი ბორშჩი, მწვადი, ლულაქაბაბი და შემწვარი კარტოფილი. ძალიან მშია. აქ კარგი ჭამა ნამდვილად გამომაკეთებს.

– რამეს ხომ არ დალევთ?

– არანაირი ალკოჰოლი. მინერალურ წყალს დავლევ.... და ყავას მოგვიანებით. გმადლობთ.

ტობიასმა თვითონ შეარჩია ადგილი რესტორნის მარჯვენა კუთხეში, ხის ყავისფრად შეღებილი ფანჯრის გვერდით, საიდანაც შეეძლო, სანამ მისი შეკვეთა გამზადდებოდა, ვილიჯში მოსიარულე ხალხი ეთვალიერებინა. შენიშნა რესტორნის მესაკუთრის ფიგურა, რომელსაც თავის კალკულატორზე დაედო ხარჯის ქვითარი. მას, მისთვის მომზადებული კერძის სურნელი ასდიოდა, რამაც წინასწარ აუწყა მისი მოახლოება. ტობიასი კომფორტულად გრძნობდა თავს, რომ იცოდა, მასზე ვიღაც ზრუნავდა ამ წუთში. მერე რა, ამ პრივილეგიის სანაცვლოდ თუ ფულს იხდიდა.

კერძები თბილი იყო. ტობიასი ულაპარაკოდ, მშვიდად ჭამდა. თითოეული ლუკმით ტკბებოდა და აუჩქარებლად ღეჭავდა, გემოთი კმაყოფილი. სრულიად დამშვიდებულმა, სულიერად და ფიზიკურად მომჯობინებულმა, გადაწყვიტა, დაბრუნებულიყო თავის ხის ქოხში და დღის დარჩენილი მონაკვეთი ძილში გაეტარებინა. ტობიასის მთელი არსება სიმშვიდემ მოიცვა და მხოლოდ სილამაზე ახსოვდა: სილამაზე ბუნებაში, სიმშვენიერე, როგორიც შეიცნო ამ სამყაროში. სილამაზე, რომელიც სრულ სიმშვიდეს მოჰგვრიდა და განაწყობდა საიმისოდ, თავისი სამუშაო გაეგრძელებინა ციმბირში.

მის სურვილს, უფრო დიდხანს დარჩენილიყო აქ, ახდენა არ ეწერა. მიუხედავად იმისა, რომ ვოდკა ვილიჯს ყველაფერი გაარჩნდა, რაც პატარა ქალაქს ესაჭიროებოდა.

– მითხარით ერთი, აქ, თქვენთან, ყოველთვის ასეთი სიწყნარეა? – ჰკითხა ტობიასმა რესტორნის მფლობელს.

– სიწყნარე? – უპასუხა მან თავის დასაცავად, ვაითუ ტობიასს უამბიციო ჰგონებოდა, რასაც შესაძლებელია, ევნო მისი ბიზნესის იმიჯისთვის.

– ჩვენთან ასეთი სისტემაა. ჩვეულებრივ დილის და ღამის საათებში გვაქვს ძირითადი მუშაობა. ზოგჯერ, განსაკუთრებით ზაფხულში, რომ დათბება, რუსეთის სხვა ადგილებიდან გვყავს სტუმრები. მაშინ გაცილებით საინტერესო პროდუქტს ვყიდულობ ხოლმე. შევადგენ მენიუს და შემდგომი რამდენიმე თვის მანძილზე ვამრავალფეროვნებ.

– თუკი ღამე ვოდკა ვილიჯში დარჩენას მოვინდომებ, იქნება ადგილი ჩემთვის, ვთქვათ, თხუთმეტ მანეთად?

– არა, მხოლოდ 30 მანეთად შემიძლია დაგრთოთ დარჩენის ნება.

– 30 ძალიან ძვირია. 25 მანეთი – საუზმის ჩათვლით.

– არა. 30 მანეთი ძალიან იაფია.

– კარგი. დავიღალე და იმიტომ გამიჩნდა ეს აზრი. თუკი ჩემი შემოთავაზება იაფად გეჩვენებათ, სახლში წავალ; ისედაც არ იყო ეს ჭკვიანური იდეა.

– მოითმინეთ! 26 მანეთი... პლიუს საუზმე.... და შეგიძლიათ, დარჩეთ.

– 26 მანეთი, პლიუს საუზმე და 3 მოსაწონი სასმელიც. გარდა ამისა, ამ საჭმლების ფულსაც გადავიხდი. გაუსწორეთ თვალი სინამდვილეს! – კაცმა რომ თქვას, აქაურობა არ არის სავსე და ხალხით გადაჭედილი.

იქვე, ცარიელი სკამის იქით, ორი კაცი იჯდა. ათანასეს სიწითლემ გადაჰკრა სახესა და დანაოჭებულ შუბლზე. შავმა, ხშირმა წარბებმა ვერ დაფარა მისი თავაზიანი, საქმიანი იერი. ნებისმიერ წამს შეეძლო, კლიენტი დაეკარგა. ისიც კარგად

იცოდა, რომ შინაგანი გრძნობების გამოხატვით მხოლოდ დაკარგავდა პოტენციურ კლიენტს.

– 30 მანეთი და სასმელებიც იქნება.

პატიოსანი დათმობა და კომპრომისი გონივრული იყო ამ შემთხვევაში.

– ხომ არ დაამატებდით ექსტრად კვებას გვიან საღამოს?

– შეუძლებელია.

– რა? მაგრამ ეგ არაა ჭკვიანური შენი მხრიდან. შენ გინდა, მე ღამე ვსვა მშიერ კუჭზე? საღამოს, შვიდის ნახევარზე, ველოდები შემწვარ ქათამს, დაბრაწულ ბრინჯს და ბოსტნეულს ფინჯან ყავასთან ერთად. მხოლოდ სულელები სვამენ მშიერ კუჭზე. დარწმუნებული ვარ, თანახმა ხართ?

– კარგი, 35 მანეთად ამ ყველაფერს თქვენი გულისთვის გავაკეთებ.

– არა, თქვენ ამას ჩემთვის გააკეთებთ 32 მანეთად.

მფლობელმა ოცწამიანი შესვენების შემდეგ თქვა: – 32 მანეთად დარჩებით ოთახში, რომელიც ზედა სართულზეა. უფასოდ გექნებათ სასმელები, საღამოს კვება და საუზმე – დილას. მაგრამ ახლავე უნდა გადაიხადოთ!

– ახლა უნდა გადავიხადო ისე, რომ არც არაფერი ვჭამო, არც დავიძინო, არც არაფერი დავლიო, არც ვისაუზმო? ახლა გადაგიხდით ამ კვების ფულს და კიდევ მოგცემთ 16 მანეთს. ეს იქნება ბე იმ განზრახვით, რომ უზრუნველყოფილი ვიქნები კარგი ღამით.

– კარგი, მოვრიგდით.

– რა თქმა უნდა, მოვრიგდით. მხოლოდ სულელი ანიავებს თავის ფულს. არ მინდა, რომ ერთმანეთზე ასეთი შეხედულება გვქონდეს. ასე რომ, მე თქვენგან კარგ მომსახურებას ველოდები, თქვენ კიდევ – ფულს ჩემგან. ხელი ხელს ბანს, ორივე ერთად – პირს. მითხარით მაინც, რა გქვიათ?

– ათანასე მქვია; უკვდავს ნიშნავს.

– ხო, ვიცი, რასაც ნიშნავს ათანასე. ჩემს საუკეთესო მეგობარს ერქვა. 4 წლის ასაკიდან ერთად დავდიოდით სკოლაში.

– ახლა სად არის?

– ცხრამეტი წლისა დაიღუპა უბედური შემთხვევით.

– რა საწყენია.

– რა თქმა უნდა, საწყენია. მოსიყვარულე ოჯახის ერთადერთი შვილი იყო. რატომ ხდება ასეთი რამეები, ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვიცით. ამ უცნაურ, ცვალებად და მისტერიულ ცხოვრებაში ადამიანი ბედნიერია თუ ჰყავს 5 ნამდვილი მეგობარი მაინც, თუნდაც- ნაკლები, ვისაც შეიძლება, ენდოს. როგორი ბედნიერებაა, გვერდით გყავდეს 5 მეგობარი, როცა ძალიან გიჭირს! დანარჩენები იფანტებიან. მათ არასდროს აინტერესებთ სხვა ადამიანის წუხილი და პრობლემები. მხოლოდ საკუთარი ცხოვრება და ბრმა ამბიციაა მათთვის გაცილებით მნიშვნელოვანი. თავს არაფერი ავნონ, ესაა მთავარი უმრავლესობისთვის. იქნებ სულაც ეს ხდის ჩვენს სამყაროს ასე უფუნქციოს. ხალხი გაღიზიანებულია და ერთმანეთს ახელებს. ათანასე ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო, თავდადებული, ყოველთვის გვერდით მედგა. თქვენ იცით, რას ნიშნავს ეს ადამიანისთვის?

– კი, რა თქმა უნდა, ვიცი, რასაც ნიშნავს. თქვენ რა გქვიათ?

– ტობიასი მქვია. თქვენ ხომ მაზიარეთ, თუ რას ნიშნავს თქვენი სახელი, ახლა მე გაგაცნობთ, ჩემი სახელი რასაც ნიშნავს. ტობიასი ებრაული სახელის –*ტოვიაჰის* –ბერძნული ვერსიაა და ნიშნავს, რომ *უფალი კარგია*. ინგლისურენოვან ქვეყნებში ეს სახელი შემოკლებით იხმარება ხოლმე: ტობი. მე ტობიასი მირჩევნია.

– ტობიასი არაა სლავური, – თქვა ათანასემ, რომელსაც გაუჩნდა შესაძლებლობა, მიბრუნებოდა თავისი საკონდიტრო ნაწარმის კრიტიკას.

– სლავურია თუ – არასლავური, ჩემთვის არაფერს ნიშნავს. ადამიანი უნდა ამართლებდეს თავისი მოქმედებით საკუთარ სახელს და არა – სახელი, რომელსაც ადამიანს დაბადებისას არქმევენ. სახელი ტობიასი მოსწონდათ ჩემს მშობლებს. მეც მომწონს. თუმცა გვეყო ლაპარაკი სახელებზე!

– ღმერთი მართლა დიდებულია, ტობიას. რას დალევთ ახლა?

– თბილ ჩაის. უკეთესი რა უნდა დალიო ასეთ ცივ ამინდში?

– რა თქმა უნდა. იჯექით!

ტობიასი ჩუმად იჯდა რესტორანში და თავს იმტვრევდა იმაზე ფიქრით, თუ რამდენი ფული გადაყარა, რომ ღამე აქ დარჩენილიყო. რა თქმა უნდა, მას ჰქონდა საამისო მიზეზი. არ იყო მოსალოდნელი მისგან, რომ სამუდამოდ დარჩებოდა ქოხში, ვინ იცის, იქნებ სულაც ასე მომხდარიყო? ნეტავ ისინი, ვინც მას ფულს უხდიდა, თუ დაუდგებოდნენ გვერდით, რომ სცოდნოდათ, თუ რას სჩადიოდა ტობიასი აქ, იზოლაციისგან თავგზააბნეული?

მის სამუშაოს არავინ უწევდა ზედამხედველობას. იმის პირობებიც კი არ იყო, თვითონ დაემყარებინა კონტაქტი საჭიროების შემთხვევაში. მთავარი ის გახლდათ, რომ სადღაც, ფურცლის რაღაც ნაგლეჯზე, ეწერა, ამ მიწის უსაფრთხოებას ოფიცერი იცავსო. მანამდე, უყურადღებობის გამო, უსაფრთხოების პროცედურა არასდროს ყოფილა პრობლემა. ბოლოსდაბოლოს, მისი საზრუნავი იყო, ამ საქმიანობაში ფული გადაეხადათ მისთვის.

ახლა გაფართოვდა მისი ცნობიერება. მას აღელვებდა სიმარტოვე და უსაფრთხოება, რასაც ციმბირის პირობები გულისხმობდა. მისი დამსაქმებლები მხოლოდ ამ მხარეში მოსალოდნელ მოგებაზე ზრუნავდნენ. ის მათთვის მხოლოდ რაღაც ციფრი იყო.

ტობიასი იჯდა რესტორანში და, რადგან, რა თქმა უნდა, ისევ ჰქონდა აზრი აკვიატებული, ბოლო ღამის ჭრილობა ხელახლა უცვლელად გაეხსნა. იმ უცნაურმა „თეთრმა ხელმა“ დაურღვია სიმსუბუქისა და კომფორტის შეგრძნება. მისი თავის ტვინის ის ნაწილი, რომელიც შინაგან წონასწორობას აცნობიერებდა, დაიმსხვრა. დავირუსდა. ტობიასი ვერასდროს შეძლებდა, ხელახლა მარტოს ემუშავა ამ უღრან ტყეში. შიშმა დარია ხელი, მწვავე შფოთმა შეიპყრო და ეს აშინებდა.

როცა კაცი რუსულ კულტურაში კარგავს მუშაობის შესაძლებლობას, განსაკუთრებით – ეკონომიკურად კონდიციურ სამყაროში, რომელიც აძლიერებს ფულის ფსევდო-გაღმერთების ძირითად მომენტს (სადაც ღმერთი ყოველდღიური დისკუსიის თემად არ განიხილება), ფული ფიქრის ძირითადი თემა ხდება. ნეგატიური მოვლენები ადამიანს ან პაციენტად აქცევენ, ან – მათხოვრად.

მუშაობა აქსიომატურია სიცოცხლისთვის. თუმცა, საეჭვოა მუშაობით თავის გადარჩენა. მუშაობა, ასე უაღრესად მნიშვნელოვანი ადამიანის ბუნებისა და არსებობისთვის, განსაზღვრავს მოთხოვნილებას, რომელიც ამოძრავებს ადამიანს, იშრომოს გათენებიდან გვიან ღამემდე იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს საკუთარი ოჯახი. მუშაობა და ადამიანების ამ კლასის უფლებები ამ კეთილშობილურ საქმიანობაში წინ წამოწეულია და დაცულია იმ უფლებით, რომ საზოგადოებამ უნდა უზრუნველყოს სამუშაოთი ისინი, ვისაც მუშაობა შეუძლია. მუშების უფლებები გავრცელდა მასებზე. უსახო მანქანას, წაქეზებულს კაპიტალიზმის ფილოსოფიით, უნდოდა, თავზარი დაეცა კაცობრიობისთვის თავისი კორპორაციებითა და სიხარბით, და ისეთი დაუცველი ადამიანები ჩამოეყალიბებინა, რომელთაც თავიანთი მოვალეობისგან გაათავისუფლებდა, როდესაც მათი სამუშაო ვადა ამოეწურებოდა.

* * *

მთელი ამ ხნის მანძილზე ტობიასს სიყვარული ენატრებოდა. ვერც მოსკოვში შეძლო მან, ამისთვის თავი მოება. უმუშევრობამ შეუფერებლობის განცდა გაუჩინა. შეუფერებლობის განცდის გამო ის თვლიდა, რომ არ ჰქონდა უფლება, ქალის ცხოვრების ნაწილი გამხდარიყო თუ რაღაცით მაინც ვერ უზრუნველყოფდა მას. ვოდკის ხეობაში, ციმბირში, მას ჰქონდა სამუშაოს მინიმუმი, მაგრამ ისეთი არა, ვინმესთან ურთიერთობა ჰქონოდა. სტუმრად ჩამოსული მოსკოველები უცხონი იყვნენ, რომელთაც მისი გაცნობაც კი არ უნდოდათ.

ასე გაუთავებლად აანალიზებდა ის წინა ღამის მოვლენების უმცირეს დეტალებს შემდგომი კვების მოლოდინში. რადიოს მონოტონური ხმა, რომელიც თან ახლდა „თეთრ ხელს“, ხაზს უსვამდა, როგორი უძლური იყო ტობიასი, გარკვეულიყო, რა ხდებოდა. ეს იყო გაღიზიანებული, მბრძანებლური ხმა, რომელსაც არ შეეძლო, სხვისი შეხედულებები მოესმინა. ხმას ვალდებული იყო უნდა მოესმინა, იმიტომ რომ, რადიოს ხმის მოკავშირე „თეთრმა ხელმა“ ჩააგდო ტობიასი ტრავმირებულ, უგონო მდგომარეობაში.

აპოკალიფსი სამყაროს განადგურების მხოლოდ უნივერსალური სიმბოლოა. პირადი აპოკალიფსი ასახავს სამყაროს განადგურებას. ჩვეულებრივი, მებრძოლი ადამიანის პერსონალურმა აპოკალიფსმა დაადასტურა და ხელახლა განიცადა ეს იდუმალებით მოცული დონეები, გამრავლდა პატარა ნაწილებად და გავრცელდა. ტობიასმა იცოდა, რომ ეს მუქარა ნამდვილად წინააღმდეგობით დაიძლეოდა.

მე აქ სულიერ კონფლიქტში ვარ, დაასკვნა მან. იქნებ ჩემი სიმპტომები ნამდვილად იმას ნიშნავს, რომ მოწოდებული ვარ, დავამარცხო ბოროტება. თუ ამ შემთხვევაში, მე ასევე მჭირდება მტკიცებულება, რომ ვოდკის ხეობაც და ვილიჯიც მოიცვა იმან, რაც მე უკანასკნელ ღამეს ვნახე? სულელი ფარავს ამას და შეშლილობამდე მიდის. ჭკვიანის გონება ეძებს ნიშნებს, რომლებიც უფრო მეტია, ვიდრე შინაგანი გამოცდილება.

ტობიასი იმედგაცრუებული იყო. ამ ბოლო თეზისზე ვერაფერს იტყოდა. მაგრამ მისი აზრით, ნაწილობრივ სერიოზულად სჯეროდა, ის, რაც მან ივარაუდა, ჭეშმარიტება იყო. ტობიასს არ ჰქონდა ფსიქიკური ავადმყოფობის ისტორია. ის ცხოვრებაში ჯანსაღად რეაგირებდა სტრეს-ფაქტორებზე და ივარაუდა, რომ არეულობა შესაძლოა ვოდკა ვილიჯშიც ვრცელდებოდა. შესაძლოა, ის გაიგზავნა გამოსაცდელ ტერიტორიებზე. მას არასდროს დაუგეგმავს თანამდებობის დაკავება და პირისპირ შეეჩეხა გაუგებრობას.

რასაც ის, ამ სკამზე მჯდომი, აქ, ვილიჯში, ხედავდა, იყო

ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრება. დრო თავისი ჩვეული გზით მიდიოდა. ხომ არ იყო დრო, შიში უკუეგდო და ეს ყველაფერი შინაგანი, უკმაყოფილო მდგომარეობის ანარეკლად აღექვა? თუმცა, თუკი მისი შინაგანი სამყარო ასეთი გაუწონასწორებელი იყო, როგორ დაუბრუნდებოდა სამუშაოს.....იქ, მარტოკა? ვილიჯში დიდხანს ვერ დარჩებოდა. დღეს მოსდევდა ღამე, ის დრო, რომლისაც მას ასე ეშინოდა. ეს ღამე დამთავრდებოდა და გათენდებოდა; საუზმის შემდეგ ისევ მოუწევდა წასვლა ქოხში, უდაბნოში. ისევ მარტო იქნებოდა.

ამბიციის გავლენის ქვეშ რომ მოექცა, მაშინ 13 წლის იყო. თითქოს მძიმე ფერფლის ღრუბელი გამუდმებით თან დაჰყვებოდა უკან ან თითქოს მაჯაზე ჯაჭვი ჰქონდა შემოხვეული. მას რაღაც უნდა დაეთმო აქ რომ ყოფილიყო, მოსკოვის სტრესი რომ უკუეგდო, რომელიც მოითხოვდა, ვიღაც ყოფილიყავი. კარგად რომ გეცხოვრა და სხვაზე გავლენა გქონოდა, რაღაც უნდა გქონოდა, რაიმე, ბოლსდაბოლოს, პატივი რომ ეცათ. წინააღმდეგ შემთხვევაში იქნებოდი ღარიბი, უღირსი ექსტრაორდინარი. საამისო შესაძლებლობები ქალაქში იყო მწირი. ტობიასი აქაც იყო და იქაც. ის გლოვობდა გამოგონილ ამბიციას, ოცნებას, რომელიც მან შექმნა ცხოვრებაში და რაც ისეთ რამეს ჩაადენინებს ადამიანებს, რომ მსოფლიოში ცნობილნი ხდებიან ხოლმე.

ოცნების ნაწილი, რაც მან აიხდინა რეალურ ცხოვრებაში (ამდაგვარი: კარგ ნიშნებზე ესწავლა და წარჩინებული მოსწავლე ყოფილიყო) საკმარისი არ იყო, რადგან „პერესტროიკამ“ მოცელა მისი ოცნებები და ამბიციები.

სტაგნაცია ეხმარება სიბნელეს, დაძლიოს სინათლე. ამან გაამუქა მოსკოვი, მისი აზრით. მან ნახა, რასაც დაემგვანა ყველაფერი - ქალაქის ქუჩები, ეკლესიები, როცა მოსკოვს კრიზისმა დარია ხელი. ქალაქი ჯოჯოხეთად იქცა. ამ დროს არ შეგიძლია, რაიმე იღონო საკუთრივ შენთვის. იძულებული ხარ მთელი დღე იარო სამუშაოს საძებნელად, რომ იქნებ ბედად რაღაცას გამოკრა ხელი ორი დღით მაინც. ასეთი კაპიკებით

სახლის ქათმებსაც კი ვერ გამოკვებავს ადამიანი.

ვოდკის ხეობაში ის დასაქმებული იყო. აქ შეეძლო, ჰქონოდა ურთიერთობა ხეებთან, მიწასა და თოვლთან, რომელიც ფეხს უფარავდა.

„რა დავაშავე სამაგისო, რომ აქ მოვედი? “ – ეს იყო პირველი, რამაც გაუელვა გონებაში, როცა ციმბირში შევიდა. სახელი, ისტორიული და სტალინური წარმოშობა, ციმბირის სახელწოდება და გულაგის მნიშვნელობა ამოტვიფრული იყო კოლექტიური აზროვნების შუბლზე. პირველმა დღემ ფსევდო-დანაშაულის გრძნობა აღუძრა გარდაუვალი რიტორიკული შეკითხვით: „კალმუკელი ვარ, ყარაბაღელი, ჩეჩენი, ინგუში თუ თათარი ბოლოსდაბოლოს? ეს ხომ იმას ჰგავს, უკან დაიხიო თაობების სივრცეში და ხელახლა გამოსცადო მოსახლეობის ტრანსფერი. უდავოა, რომ მე აქ ჩემი არჩევანით არ მოვსულვარ.

მსგავსად ეთნიკური წმენდისა, ციმბირის სახვადასხვა კუთხეში გაგზავნილი „არასასურველივით“, არც მე მაქვს უკან დაბრუნების შანსი. მე არაფერი დამრჩენია იქ, რომ აქ ჩამოვსულიყავი რაიმესთვის. ახლა ვიცი, რაც არის ეს რაიმე. ჩვენ, გადაადგილებული მუშები, ახალი ანტიმუშები ვართ ამ დაწყევლილ დროში.“

ტობიასმა რაც ნახა, იყო მხოლოდ თოვლი. თავდაპირველად თოვლი ციმბირის ამ კუთხეში ჭლექიანის სუნთქვას ჰგავდა. ის მისთვის ახალი ეკონომიკური ავადმყოფობის სიმბოლო იყო. შემდეგ ხელახლა აწონ-დაწონა: „თოვლო, ცუდად შეგაფასე. ბოდიშს გიხდი. შენ ჩემსავით რბილი და მგრძნობიარე ხარ. შენ არა ხარ კოროზიული საკუთარი არსებობისთვის. გამოქვაბულიდან ქვის სახლებში გადასვლის შემდეგ, ტომიდან ვიღაცას მოუნდა გაცილებით მეტი - თავის განდიდება. შენი სიამაყე კი შეუვალია. შენ ეს არ გემართება. შენ იქვე რჩები, სადაც დაეფინები. შენი თეთრად შეფიფქული სილამაზე პატიოსანი თვლებით შემკული გვიგვინივით ამშვენებს ამ ადგილებს.“

ტობიასი თანდათან შეეშვა თავის გაიგივებას „არამშრომელებთან“, რომლებიც თავიანთ მწუხარებასა და ტრაგედიაში ციმბირის გულაგს ადანაშაულებდნენ. „მათი ისტორია შავით თეთრზე წერია. ამ მოსახლეობის უმეტესი ისტორიები სამარისებულმა სიჩუმემ შთანთქა, რომ არასდროს გამჟღავნებულიყო მათი ყოველდღიური ცხოვრება და წარსული. არა. მათი ისტორია ერთ-ერთი განსხვავებული ჩაგვრაა, ქვესკნელში დაფლული და ყველასგან დავიწყებული. ისინი ვერასდროს იხილავენ დღის სინათლეს.“

„მაგრამ მე, ტობიასი, აქა ვარ, ამ ქვეყანაში და აქ უფრო თავისუფლად ვსუნთქავ, ვიდრე– მოსკოვში. აი ეგ არის ჩემი ისტორია.“

ბუნებამ გამოაფხიზლა. „აქ ხეები არიან ჩემი ახლობლები. მათგან ჩამოთლილი ნაჭრების ქოხში ვცხოვრობ მე. როგორ შევძლებ, დავუბრუნო მათ ის, რაც მათგან მივიღე? ისინი მიწყობენ მე თოვლისგან დასასვენებელ ადგილს. თოვლსა და სხვა ელემენტებს სულაც არ ადარდებთ ჩემი დასვენება. მარტო იმის ყურება რად ღირს, როგორ იზრდებიან ხეები და როგორ იდგამენ ფესვებს მიწაში! ხეები უქმნიან მოსასვენებელ ადგილებს ხალისიან დილის ჩიტუნებს, რომ მათ სიხარული მოჰგვარონ ყოვლისშემძლე ღმერთს, უამრავ ადამიანს, რომელთაც ეს განწყობა თან გაჰყვებათ ხოლმე. უმეცრებით, ამპარტავნობით, გამოშტერებით ან უარყოფით ადამიანები საკუთარ თავს ართმევენ ყველა იმ სიხარულსა და სიყვარულს, რაც ღმერთმა მათ უბოძა“.

ტობიასი კამჩატკის ამ სივრცეში დაახლოებით თვენახევრის ცხოვრების შემდეგ მოეგო გონს. მან გააანალიზა, რომ თავისუფალი იყო, *ადამიანისგან* თავისუფალი. იმდენად თავისუფალი, რომ არ ადარდებდა, თუ სად და როდის იყო ადამიანი კეთილი და როდის ბოროტი. ადამიანებს შორის და ძალაუფლებისათვის ბრძოლის შუაგულში ყოფნისას მიხვდა, ვერასდროს ივლიდა ამ გზით და ვერც მისი სული მიიღებდა ვერცერთ კონცეფციას ადამიანის მოწამლული საზოგადოე-

ბაში და ადამიანების არაადექვატურობას ვერ ახსნიდა მათი ავადმყოფობით და ვერც დაასკვნიდა. მისი ხორცი არასოდეს განწმენდილა და ვერც მის თვალებს ღირსებია დღის ნათელის მშვენიერება, როცა ის თავის ქალაქურ გარემოში იყო. ტობიასმა ამ სოფლის ქოხში იგრძნო თავისუფლება.

აქ იგრძნო მან უფლის სიყვარული. ემადლიერებოდა ბუნებას, რომ შეახსენა, რაც ასე მნიშვნელოვანია ცხოვრებაში. რწმენა, იმედი, ქველმოქმედება და ჭეშმარიტი ნდობა შემქმნელისადმი ყველაზე მნიშვნელოვანი გახდა მის ახალ ცხოვრებაში.

დაჯდა ტობიასი, რომ პირველი ცივი ლუდით დამტკბარიყო. ბევრს არ სვამდა, უბრალოდ უნდოდა ამ დღეებში ალკოჰოლური სასმელი მიეღო. გამოცდილებამ და მდგომარეობამ ახალი ფიქრები აღუძრა: „უფალი ვიპოვე იქ, სადაც ამას ყველაზე ნაკლებად მოველოდი, სადაც მარტოდმარტო ვიყავი და სადაც მე გარესამყაროსთან უცხო ვიყავი.“

ის არ ამტკიცებდა, რომ არ იყო შეშლილი, არც იმას, რომ წინასწარმეტყველი იყო, ან წმინდანი, ან სასწაულმოქმედი. არა, ის არ იყო წმინდა კაცი. მაგრამ მან იგრძნო, რომ თავი დააღწია წრიულად მბრუნავ გამანადგურებელ პრობლემებს, სტრესსა და მღელვარებას თავის ცხოვრებაში. ტობიასმა უკვე აღარ იცოდა, შემდგომ რა იქნებოდა. ერთ რამეში კი ნამდვილად დარწმუნებული იყო, რომ მონანიება იყო გამოსავალი; მას ამით უნდა ესარგებლა, ვიდრე სხვა, გარეშე ძალა, მას ამ ტერიტორიის განადგურებას აიძულებდა.

„სად შეიძლება წესიერად მონანიება?“ ის თავის ცოდვებზე ფიქრობდა – თავისი ღვთისადმი ურჩობა, დამღუპველი ქმედება და აზრები – და არაერთგზის შეევედრა უფალს მოტევება.

„იქნებ ვიცოდი, ეს ბოროტი ძალა ჩემს კარებსაც რომ მოადგებოდა. იქნებ მანამდეც ვგრძნობდი, ეს ვილიჯი და ხეობა რომ დაუცველი იყო. ღმერთს სურდა, რომ აქ ამ იზოლირებულ ადგილას მიმეღწია იმისთვის, რასაც მოსკოვში ვერასდროს გავაკეთებდი მისი ეკონომიკური და სოციალური პროგრესი-

სათვის, რაც ასე აბრმავებს ადამიანებს, ეძებონ ის მიმართულება, რომელიც უფრო სწორი და მართებულია ბედნიერებისთვის.

რეფორმატორად ვიქეცი. სხვა ძალას სძულს ასეთი ხალხი და სწირავს მარტოობისთვის, რადგან ისინი მიწიერ მამონებს კი არ ეკუთვნიან, არამედ – ღმერთს. ამიტომ არ სწყალობს მათ და ისინი განწირულნი არიან დასაღუპად."

ველურმა ადგილმა ტობიასს ის თვისებები შესძინა, რასაც ადრე არ ფლობდა. დარდმა, დაუკმაყოფილებლობის გრძნობამ და ღრმა იმედგაცრუებამ მას ასწავლა, უარი ეთქვა ნებისმიერ სურვილზე. საშინელი ღამე ებრძოდა მის განზრახვას, განთავისუფლებულიყო ცოდვებისგან. გადაწყვიტა, კეთილი საქმეები ეკეთებინა, სიმართლის გზით ევლო, სულიერებისთვის მიეხედა, ნამდვილად საყვარელი პიროვნება დამდგარიყო, ყოფილიყო ჭკვიანი და გამგები. მას სინდისი ქენჯნიდა და ნანობდა. დარწმუნებული იყო, ნამდვილი ბედნიერება ვერ მიიღწეოდა სამყაროში. ეს მხოლოდ ღვთისმოსაობაში იყო შესაძლებელი.

იმ საშინელი ღამის მოვლენებს ტობიასმა თავი ვერ დააღწია. „წინ უფრო მეტი სულიერი ბრძოლაა. მიენდე და სულიერება მოგიტანს წარმატებებს. უფალი შენთანაა, მაგრამ შენთვის იქ კონფლიქტი არსებობს ტობიას, შენ ამ კონფლიქტის შუაგულში ხარ. ის მოდის აღმოსავლეთიდან – მწარედ, და დასავლეთიდან – მკაცრად; მოდის ჩრდილოეთიდან –მიტევების გარეშე, და სამხრეთიდან – ჩაუქრობელი ცეცხლივით, ტანჯვის ნიაღვრებით. ფრთხილად იყავი, განსაკუთრებით დაღმასვლისას, განსაკუთრებით მაშინ, თუ მხოლოდ 30 დაღმავალი საფეხურია ..... იქ დრაკონი გელოდება საკმაოდ დიდი ხახით, რომ მთლიანად გადაგყლაპოს".

ღრმად გულში მან იგრძნო, როგორ დაიძრა სიბნელეში დიდი ძალა. მას სურდა ვოდკის ხეობისთვის სული და გული გამოეცლია. ტობიასს ეს სინამდვილე, რაზედაც მშვიდად ლაპარაკობდა, აბრკოლებდა იქ ჩასვლაში.

ანისიმი შევიდა „ჩეხოვში“ და ათანასეს მიუახლოვდა, რომ კათხა ლუდი და რამდენიმე კაკალი ეყიდა. როცა მან თვალი მოავლო დარბაზს დასაჯდომად, ტობიასი მიესალმა: – გამარჯობა, ტობიასი ვარ. გახსოვს, ერთად ვიყავით დილის წირვაზე ეკლესიაში? ხომ არ შემომიერთდები?

ანისიმმაც გაუღიმა ტობიასს. – ვხედავ გამოჩნდა ერთი მეგობრული სული კამჩატკაში, ერთადერთი პიროვნება, რომელსაც დრო აქვს თანამემამულისთვის.

– ყოველთვის მინდოდა კონტაქტური ვყოფილიყავი, მაგრამ ხშირად ამის საშუალება არაა, – უპასუხა ტობიასმა და შესთავაზა ანისიმს მის გვერდით დამჯდარიყო.

ანისიმმა, ტობიასის ნათქვამის შთაბეჭდილების ქვეშ მყოფმა, უპასუხა: – ეს ერთადერთი გზაა ადამიანის არსებობისთვის. ჩვენ ყველანი ერთნაირები ვართ ამ სამყაროში. არავინ არის მეტი ან ნაკლები შემდგომ თაობაზე. როცა ხალხი კარგავს უნარს, იყოს მეგობრული, სტუმართმოყვარე, გულღია და მზრუნველი, მაშინ იწყებს კაცობრიობა რღვევას.

ტობიასი ააღელვა ანისიმის ნათქვამმა. მას მოუნდა უფრო მეტი შეეტყო, მაგრამ ჭკვიანური დოზით.

– თქვენ იცნობთ ადამიანებს, რომლებიც ბოლო პერიოდში შეიცვალნენ?

– როგორც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ მე ანისიმი მქვია, ასევე დარწმუნებული ვარ, ხალხი შეიცვალა. ისინი საკმოდ სწრაფად მოქმედებენ, რომ მოგცელონ. მათ შეეძლოთ არ ეზრუნათ, ქუჩაში შემთხვევით შეხვედრილ ადამიანებზე. ხალხი გაბოროტდა და იქცევა ისე, როგორც ალბათ სოდომ-გომორამდე იქცეოდა, ვიდრე კონსტანტინეპოლი განადგურდებოდა.

– რატომ გგონია, რომ ადამიანები ასეთები არიან? – ჰკითხა ტობიასმა, სმენაგაფაციცებულმა, ფიქრებში ჩაძირულმა. – რა უნდა მოხდეს აქ, ამ ადგილზე?

– რატომ არიან ადამიანები ასეთები? ჩემი აზრით, ეს ნორმალური დამოკიდებულებაა ადამიანების მიმართ ამ ასაკში.

ისინი ფიქრობენ, რომ ზედმეტად დიდი პატივია, თავიანთი დრო იმაზე მეტად დაუთმონ ერთმანეთს, ვიდრე ოფიციალური ვიზიტითაა გათვალისწინებული. დარწმუნებულები არიან, რომ ამით თავიანთ თავმოყვარეობას ლახავენ. ჰგონიათ, ამით თითქოს ამჟღავნებენ, რომ დრო თავსაყრელი აქვთ და არ ადარდებთ უკეთესობისკენ შეცვალონ თავიანთი მდგომარეობა ამ სამყაროში. ეს სახადივითაა. მე ვხედავ, თუ როგორი გადამდებია ეს და მაწუხებს. მე მოხუცი ვარ და ვერ ვეგუები, ვუყურებდე, ჩემი ნაცნობი ადამიანები როგორი უცხონი ხდებიან. გულგრილობა სპობს ადამიანებს აქ და უკარგავს საკუთარ მეობას. შედეგი ამისა? მე არ ვეკუთვნი იმათ რიცხვს, ვინც მხოლოდ შეკითხვებს სვამს. მსგავსი არასდროს მინახავს. როცა ვცდილობ, ამაზე ვიფიქრო, სიგიჟემდე მივდივარ.

– ეკლესიის მრევლზე რას იტყვი? ისინი სხვაგვარად მოქმედებენ და მღვდელს უსმენენ?

ანისიმმა ღრმად ჩაისუნთქა და უპასუხა: – ზოგი მართლა მთელი არსებით ესწრება, რომ მოისმინოს ბიბლია და უსმინოს მღვდელს. უფრო და უფრო ცოტა ხალხი დადის ეკლესიაში, თითქოს სხვაგან მიაგნეს ცხოვრების მიზანს. სად? არ ვიცი... იქნებ იმ თავისმომაბეზრებელ სიცივეში, გარს რომ გვარტყია აქ. ეს თავისმომაბეზრებელი სიცივე უნდა იყოს ჯოჯოხეთის გაფრთხილება, სადაც ჩვენ უფლის წინაშე ვართ, მაგრამ ზეციურ სიხარულს ვერ მოვიპოვებთ.

– რა თქმა უნდა, არ არის აუცილებელი, იარო ეკლესიაში, რომ იყო კეთილი ადამიანი და გარკვეულ დროს უთმობდე სხვებს, – ჩაფიქრდა ტობიასი.

– ეს არასასიამოვნო ქცევები, ვხედავთ, როგორ აბამენ ადამიანებს ხაფანგში, – გააგრძელა ანისიმმა. – ეს არის რაღაც ბოროტების საწყისი. ბოროტება მაშინ იწყება, როცა საზოგადოებას, რომელსაც სჭირდება ხალხი, დააცილებენ ერთმანეთთან ერთგულად დაკავშირებულ ხალხს და საბოლოოდ დაიყოლიებენ, შეიფარებენ გარკვეული პერიოდი, ვიდრე მათ შეხვდებიან და დოზირებულად გაესაუბრებიან. ეს ნონსენსი

მხოლოდ ქალაქელებისთვისაა, ძალიან დამოუკიდებელი რომ ჰგონიათ თავი და თავს ზედმეტად რომ იფასებენ. მაგრამ ეს არაა რეგიონის ხალხისთვის. ჩვენ უფრო მარტივად უნდა ვიცხოვროთ აქ. ასე ჯობია.

– ქალაქი ილუზიაა. მოვიყვან მხოლოდ ადამიანის მაგალითს, რომელიც იზრდება და ფიქრობს, რომ ის ბუნებაზე დიდი და ძლიერია. მაგრამ ეს ადგილი რეალური ადგილია. ეს ის ადგილებია, სადაც გარკვეული ელემენტები მბრძანებლობენ და სადაც სიცოცხლისთვის ნამდვილი ბრძოლა წარმოებს. ეს არის ადგილი, სადაც პიროვნება იგებს, ვინ არის ის სინამდვილეში და რას წარმოადგენს და საერთოდ, რა არის ეს ხანმოკლე ცხოვრება. გლობალურ რთულ კითხვებს მხოლოდ აქ შეიძლება გაეცეს პასუხი და არა კაცობრიობის ფაბრიკაციის სამყაროში.

– ეს ადგილი ციდან მოვლენილია. ადამიანებმა რომ იცოდნენ, ეს ის ადგილია, სადაც შენს ხელშია ცხოვრება და ეს, მართლაც, ასეა. სხვაგან ყველგან უბრალოდ მხოლოდ შეუსაბამობაა.

ტობიასს უნდოდა შეძლებისდაგვარად დიდხანს ელაპარაკა ანისიმთან. ბოლოსდაბოლოს, რისი შეტყობაც სურდა, იყო ის, თვითონ მარტო ხომ არ იყო იმ მოძალებულ დემონებთან. მიანიშნა კიდევაც მან ანისიმს ამაზე.

– თვალებში რომ გიყურებ, მე ვგრძნობ შენს გამჭრიახ სულს, – თქვა ანისიმმა. – რატომ, ნამდვილად არ ვიცი. შენს სახეს თუ კარგად დავაკვირდები, გარკვეული გამოცდილების მქონე ადამიანივით გამოიყურები. დეტალებს არა აქვს მნიშვნელობა. შენ თუკი გინდა დაეხმარო ვოდკა ვილიჯს, ამას დრო აჩვენებს. შეგიძლია, მე დამხმარედ მიგულო. ამ სოფელში დავიბადე და გავიზარდე და მინდა მხოლოდ ის გავაკეთო, რაც მისთვის მეტად მნიშვნელოვანია.

ანისიმმა ტობიასს ისე შეხედა, თითქოს ენდობოდა, გაემჟღავნებინა მისთვის თავისი იდუმალი ფიქრები. იმედოვნებდა, ახლგაზრდა კაციც ასევე მოიქცევაო. მაგრამ ტობიასს,

ანისიმის იმედის საპირისპიროდ, არ უნდოდა ვიღაცასთან, ვისთანაც ის სასმელის დალევის დროს საუბრობდა, ასე სწრაფად ზედმეტად მიმნდობი ყოფილიყო.

– შევეშვათ იმას, ვინ რაშია მართალი და ვინ რაში ცდება,– თქვა ანისიმმა და თვალებში ჩახედა ტობიასს, თითქოს მის ფიქრებს კითხულობსო: „ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს, ვერც შხაპუნა წვიმა უშველის გვალვას. ისიც იცი, რომ არც ნდობა მოიპოვება ერთი შეხვედრით.“

ტობიასმა როგორღაც გაუღიმა ანისიმს და უთხრა: – ანისიმ, არ ვიცი რამ შეგიქმნათ შთაბეჭდილება, რომ მე რაიმე, სულიერის ან კრიზისის გარკვეული ფორმის გამოცდილება მქონდეს.

ვიდრე პიროვნებას ბოლომდე გაიცნობ, ღია საუბარი შეძლება მინიმალური იყოს. ტობიასს უჭირდა გარკვეულიყო, ხაზი რაზე უნდა გაესვა. ანისიმი კარგი კაცი ჩანდა, მაგრამ ადამიანები უფრო ხშირად იანუსივით არიან. ისინი პირველ რიგში სახის წინა მხარეს გიჩვენებენ, ხოლო უკანა მხარეს ფარავენ მანამ, სანამ დრო გამოაჩენს.

თავი 4
ადგილობრივი ქალბატონების შემოსვლა

ანისიმი ნელა მორჩა ჭამას. რესტორნის შემოსასვლელის მარცხენა შორი კუთხიდან ახალგაზრდა ქალბატონი – სახელად ალიონა, შიგნით შემოვიდა და დაჯდა. თუ ტობიასის გონება საშინელებასა და სულიერებაში იყო ფიქსირებული, იმ ძალებმა, რომლებმაც მისი გონება ამაზე ფიქრებით დააკავეს, ახლა მას შვება აგრძნობინეს.

ალიონა მომხიბლავი გარეგნობის და ამავე დროს მოდურად ჩაცმული ქალი იყო. ბაგე რომ გახსნა, იგრძნობოდა, როგორი არისტოკრატიული მანერები ჰქონდა. ბუნებრივია, რომ მისმა გამოჩენამ ათანასე გაამხიარულა. ნეტავ, მის სახეზე ღიმილი ალიონას გამოჩენამ და მომხიბლავმა გარეგნობამ გამოიწვია თუ (მარტივ, უფრო ფინანსურ დონეზე) მისი ბიზნესისთვის ადგილობრივი ქალბატონის კლიენტობა სარფიანი იყო?

ლამაზი ალიონას ყოფნამ რესტორანში განწყობა უფრო გაახალისა. მას სინათლის სხივები შემოჰყვა თან და მისი მხურვალება თითქოს რესტორნის ახალ მეპატრონედ იქცა.

მალე ალიონას მეგობარი, მამა დიმიტრის მეუღლე მარინა (40 წლის) გამოჩნდა. ის ცოტას ლაპარაკობდა, რადგან კონსერვატიული გახდა იმ დროიდან, რაც მღვდელზე დაინიშნა. მან კარგად იცოდა, რა მოეთხოვებოდა მღვდლის ცოლს, ან იქნებ სულაც გუმანით მიხვდა, ყოფილიყო მშვიდი და თავდაჭერილი და არა – ზედმეტად ყბედი. სხვა მის ადგილზე შეიძლება, პირიქით მოქცეულიყო, ზედმეტად ელაყბა და ყველანაირად ეღონა, ქმრის ცხოვრება ტანჯვად ექცია. მარინას კომპეტენცია სხვების მოსმენა იყო ძირითადად, არასასიამოვნო პიროვნებათა თავგზააბნეული ცხოვრების ამბების ჩათვლით.

მარინას რესტორანში თავისი მეგობარი ბორბალა მოჰყვა, რომელსაც ორი გოგონა ჰყავდა: შვიდი და ცხრა წლისანი (ავდოთია და ეფიმია). ბორბალას თან ახლდა მოხეტიალე ვაჭრის ცოლი, ნაღვლიანი ლუბა. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ლუბა უბედური გახლდათ. მან შეიგნო თავისი იმედგაცრუება, მუდმივად გაშეშებული იერით დადიოდა, თითქოს ლოდებზე მიუბამთო, მაგრამ მისგან განთავისუფლებას არასდროს უცდია.

სავამ, ლუბას მეუღლემ, მიიღო ეს ჰიპოტეზა. ყოველი დღე, რომელ ქვაზეც ოდესღაც მისი ფუმფულა ცოლი დააბა, მას მისგან აშორებდა. წუთიერი სექსუალური მოთხოვნილების ჩვეულებას ის დანაშაულად არ თვლიდა. ახერხებდა ლუბას ბნელი ენერგიის მოთოკვას. მისი აზრით, მრუშობა გამოსავალი იყო ლუბასთან დასარჩენად. ამ ლოგიკით სავა თავს უფლებას აძლევდა, თავისი დანაშაულებრივი ჩვევისთვის თერაპიული ინიციატივის ინტერპრეტაცია მიეცა, რომ შეეჩერებინა მელანქოლიური სენი, რომელიც პოსტსაბჭოურ პროფესიას ანადგურებდა და რაზედაც ნდობა ასე დიდად იყო დამოკიდებული.

მიუხედავად იმისა, რომ ალიონა ნაზი მოსაუბრე და ბუნებით მშვიდი იყო, მან საუბრის წამოწყება მოახერხა. მარინა შეკითხვებს სვამდა. ლუბა კომენტარებს აკეთებდა თავისი თვითდაჯერებული ბუნებით. მაგრამ ეს ნეგატიური კომენტარები თანდათან შემცირდა, რაც, ალიონას აზრით, იმას ნიშნავდა, რომ ლუბას პირადი პროგრესი ჰქონდა (და მისი მძიმე ლოდი მუდმივად არ იგრძნობოდა).

ალიონას გვერდით ორი ახალგზარდა გოგონა ეჯდა: ავდოტია და ეფიმია. ისინი თავაზიანი გოგონები იყვნენ და საუბრობდნენ თავიანთი სკოლის ცხოვრების, მეგობრების, მათი ჰობის შესახებ ან იმაზე, თუ რისი გაკეთება სურდათ მომავალში. ავდოტიამ საყვარლად უთხრა ალიონას, რომ გავიზრდები, მინდა, შენსავით ლამაზი და სათნო ვიყოო. ამ სიტყვებმა ალიონას გული გაუთბო. ეფიმია, ადვოტიაზე უფრო მორცხვი,

ხითხითებდა და ავდოტიას კვერს უკრავდა. ამ წყვილმა ალიონა აღაფრთოვანა.

აუტსაიდერის პერსპექტივიდან სასიამოვნო იყო ქალების ყურება. ყოველთვის არ უწევდნენ ანგარიშს ლუბასა და მის მძიმე განწყობას. ალიონას მოაგონდა, რომ მას დიდად უთანაგრძნობდა იმის შემდეგ, რაც რუსეთის სამედიცინო და საუნივერსიტეტო სისტემაში დაფასებულმა პროფესორმა ამის თაობაზე რაღაც მნიშვნელოვანი უთხრა ყავის დალევისას.

ფსიქიატრიული ტანჯვა და გონების ზოგადი პრობლემები ყველაზე ცუდი ტიპის ტანჯვაა–კიდევ უფრო მძიმე, ვიდრე ფიზიკური ტანჯვა. უფრო ავადური, უფრო მტკივნეული და მედიცინის მიერ არასწორად აღქმული. ამიტომ ამ დაავადების მქონე ადამიანები საუკეთესო პირობებს იმსახურებენ. მათთან შეცდომას ნუ დაუშვებთო.

ალიონას მოაგონდა, სავამ როგორ სასტიკად უთხრა ლუბას, იქ რომ ყავას უსხდნენ, ამერიკელი პოეტი ქალის ემილი დიკენსონის მსგავსად შენი ტვინი დასამარებულიაო. სავასგან განსხვავებით, ალიონა ლუბას მიმართ ლოიალური დარჩა და სჯეროდა, რომ მას ოდესმე ბედნიერი დღეები დაუბრუნდებოდა.

სავა ხშირად ერთ უკრაინელ ქალთან ათევდა ღამეს სოფლის მეორე ბოლოში. ალიონა ხვდებოდა, ლუბამ ეს იცოდა და რომ არ არსებობდა რაიმე მნიშვნელოვანი მიზეზი, რაც სავას და ლუბას ერთმანეთის გვერდით დააკავებდა. ლუბა არაფერს ამბობდა ამაზე და იმ ფაქტმა, რომ მათი უშვილობა სავასთვის ხელსაყრელი იყო, მას გული გაუტეხა. რა სიყვარული შეიძლება არსებობდეს ასეთ უგულო ურთიერთობაში? სავამ ინტერესი დაკარგა ჩემს მიმართ. არაფერი შეიცვლება უკეთესობისკენო.

იქნებ ლუბას დეპრესიის მთავარი გამომწვევი ფაქტორი სწორედ სავას ღალატი იყო. ალიონა მხოლოდ ინსტინქტით ებღაუჭებოდა ამას. არა, ლუბა გაცილებით ძლიერია, რაღაც მოხდება და ლუბა არასდროს გაიხსენებს ამ პერიოდს. ამაში დარწმუნებული ვარო.

ალიონა ნამდვილი მეგობარი იყო, არასისხლისმიერი და. ის მიუბრუნდა ყაზანელ ექიმთან შეხვედრის თემას, რომელიც ასევე მისი მეგობარი იყო. ნათესავი ექიმ ალექსანდრე რომანის ძე ლურიასი, იმდენად იყო მისგან შთაგონებული, რომ მისი ამბიცია გახდა, მასაც იგივე უნარებ-ჩვევები, გამოცდილება და აკადემიური განათლება მიეღო.

დოქტორი ევგენი საფუძვლიანად სწავლობდა ყაზანის სამედიცინო უნუვერსიტეტის ნევროლოგიის, ფსიქიატრიის, ფსიქოლოგიის, პედაგოგიური მედიცინის განხრით (დოქტორანტურაც მან ამ საკითხებზე დაიცვა) და, ბუნებრივია, ასევე მედიცინის განხრით. ის ფლობდა საიდუმლოს, რაც მისთვის ისეთივე ტკბილი იყო, როგორც, პაციენტის მიერ სტამბოლის ბაზრობიდან მოტანილი თურქული დელიკატესები. ექიმ ლურიასავით ის აღმერთებდა და გულმოდგინედ სწავლობდა ანტისაბჭოთა სუბიექტების ფსიქოანალიზს. ევგენიმ ეს აკრძალული ხილი, მისგან დამოუკიდებლად მოახმარა შესაბამისი საბჭოთა ხელისუფლების რადარის დაფარვას.

– შვილო ჩემო, – უთხრა ექიმმა ევგენიმ ალიონას ამ შეუზღუდავ დროში. – ვიცი, რასაც მე ვამბობ, ის ნორმა არ არის ამ ქვეყანაში, მაგრამ მე ვიყენებ საუბრების თერაპიას ნერვიული ადამიანების ამ მრავალფეროვან ოკეანეში. როგორ ფიქრობ, დაინტერესდება ლუბა და მოვა ჩემთან ფსიქოლოგიური მკურნალობისთვის?

– კი, – უპასუხა ალიონამ.

ალიონას „კი“-სა და ლუბას „კი“-ს შორის დაყოლიების მომენტს 9 თვე დასჭირდა. ლუბა, პირველი პერიოდი, სანდოდ ვერ აღიქვამდა მხოლოდ ლაპარაკისა და მოსმენის მეთოდს. ახლა რატომღაც დათანხმდა ექიმთან ვიზიტს, 20 საათისთვის. ექიმის ოფისი „ჩეხოვის რესტორნიდან“ ოდნავ მოშორებით მდებარეობდა. ქალბატონები მას რესტორანში დაელოდებოდნენ, ჩვეულებრივ, სანამ ლუბა მკურნალობდა.

დოქტორმა ევგენიმ აღნიშნა იქვე, რომ ლუბაში რაღაც გარკვეული პოზიტიური ცვლილებები იყო. პირველი 10 სესია

ლუბა საერთოდ დუმდა, იატაკს მიჩერებული. მეთერთმეტე-მეთვრამეტე სესიების წყალობით, 20-დან 60 წუთამდე ეძინა. მე-19 სესიაზე, დაწყებიდან 50 წუთი ის საერთოდ არაფერს ამბობდა. 56-ე წუთზე მან ამოთქვა: ექიმო, ნამდვილად ვგრძნობ, რომ ეს მკურნალობა მშველის. ალბათ, ოდესმე გეტყვით, რა შემემთხვა ამ გზაზე.

ლუბას დუმილი, ამ შემთხვევაში დარღვეული, არ იყო უჩვეულო ფსიქოანალიზისთვის, მაგრამ ერთ-ერთი მიზეზი ნამდვილად გახლდათ იმისა, პირადი ანალიზი წლობით გაგრძელებულიყო. მისი ამჟამინდელი სიმპტომები არ უშლიდნენ ხელს იმ ვითარებას, რომ მას, ლუბას, ჯერ კიდევ ჰქონდა თავისი ეგზოტიკური მომხიბვლელობა. მისი დეპრესია აბრკოლებდა მისი სახის გამომეტყველებას; სულიერი ტანჯვა და წამება მის თვალებს ნაღვლიან, ხოლო სახეს შეშინებულ იერს აძლევდნენ, მაგრამ ვერ ჩრდილავდნენ მის სილამაზეს.

– მომაწოდეთ ერთი ჭიქა წყალი! – თქვა მან მეოცე სესიის დაწყებისას. მომდევნო 10 წუთი დუმდა. თვალებს წინ და უკან ატრიალებდა, თითქოს მატჩს უყურებსო. ევგენის უნდოდა, მას თავისუფლად ელაპარაკა, თუნდაც – არეულ-დარეულად, იმის შესახებ, რაც პირველად ასოცირდებოდა მის გონებაში. ექიმმა შეძლო, შეენარჩუნებინა სიჩუმე, დაერღვია მისი დუმილი და დალოდებოდა იმ სიტყვებს, რომლებიც ჯერაც არ თქმულიყო.

– არ მივიღებ, – თქვა ლუბამ ძალიან მტკიცედ, – რომ მე მაქვს ფსიქიკური დაავადების რომელიმე ფორმა – ისტერია ან აშლილობა, ფსიქოზი, ჰალუცინაციები, ილუზიები ან რომელიმე ეტიკეტი, რომელიც პიროვნებას მიეკრობა და მის მთელ ცხოვრებას ამახინჯებს ხოლმე.

აქეთ-იქით აწყდებოდა, შეშინებული გამოიყურებოდა და ისევ ყუჩდებოდა. ევგენიმ იგრძნო, თუკი ის მოითმენდა, ლუბა უამბობდა, რაზეც ფიქრობდა. სირცხვილი, დანაშაული, თავდაცვითი რეაქციები და წინააღმდეგობა ზოგადია ფსიქოანალიტიკური პროცესისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როცა პროცესი ეხება მტკივნეულ, მაგრამ მნიშვნელოვან მოგონე-

ბებზე საუბარს. ლუბა ჩაიძირა ფიქრებში, თითქოს თავის ნაჭუჭში ჩაიკეტა და გამოსვლის ეშინიაო.

– ჩემი ისტორია ეხება იმას, რაც მე განვიცადე. საშინელება იყო. – როცა ლუბამ ეს თქვა, ექიმმა ევგენიმ შეამჩნია, სუნთქვა როგორ შეეკრა სასუნთქი ორგანოების ზედა ნაწილში და როგორ დაენამა ხელის მტევნები, რაც შფოთვას ნიშნავდა.

– განაგრძეთ საუბარი, გთხოვთ! – შეძლებისდაგვარად თავდაჭერილად უთხრა ექიმმა ევგენიმ.

– თუნდაც ის, რაც უნდა მითხრათ, იყოს სამარცხვინო, არასასიამოვნო, უმნიშვნელო, შეუფერებელი, არაპატივმცემელი, სისულელე, მაინც უნდა ითქვას, რათა თქვენ თავი უკეთ იგრძნოთ! ამ სამუშაოს მე ამდენი წელია ვასრულებ. ცდები, თუ ფიქრობ, რომ მე რამე ადვილად შემაცბუნებს. რადგან რაღაც ამდაგვარს, ალბათ, უკვე მოვისმენდი. გთხოვ, ნუ გეშინია. ჩვენი სამუშაო კონფიდენციალური და ეთიკური ხასიათისაა.

– ვხედავ ყველაფერს, რაც შემემთხვა, – დაიწყო ლუბამ და აკანკალდა, თან ცრემლები გადმოსცვივდა.

– სად მოხდა ეს?

– ჩემს თავს შევფიცე, რომ არასდროს არავის ვეტყოდი იმის შესახებ, რაც ვნახე. ყველაფრის თქმა არ შეიძლება, რაც ადამიანს ცხოვრებაში შეემთხვევა. მე შეიძლება შევცვალო ჩემი დამოკიდებლება ამის მიმართ. არ ვიცი. ვნახოთ.

ექიმი ევგენი აღფრთოვანდა, ლუბა რომ ასე გაიხსნა. მას ეს დიდ წარმატებად მიაჩნდა.

– გეშინია? – ჰკითხა მან ლუბას.

– ვის არ შეეშინდებოდა? რეალობაზე დაფუძნებული შიში იმ მგელს ჰგავდა, რომელსაც ის დიდი ხანია თავის კარებთან ელოდა და მუდმივად იმის ფიქრში იყო, ვინმესთვის დახმარება ეთხოვა.

– დიაგნოზი არაა ჩვენი ინტერესი. მე არ ვთვლი, რომ ფსიქიატრიული დიაგნოზი რაიმე სახის დახმარებას გაგვიწევს ამ სახის მუშაობაში.

– კარგი, – უპასუხა ლუბამ.

– ვხედავ ჩვენი დრო ამოიწურა, ლუბა.

– კარგია იმის ცოდნა, ექიმო, რაც თქვენ მითხარით. ერთ დღეს მოვიკრებ ენერგიას, რომ გითხრათ, რაც გადამხდა. მე თქვენ აღგიქვით ნორმალურ პიროვნებად, რომელიც ისეთად მიმიღებს, როგორიც ვარ. ეს მხნეობას მმატებს მე.

ლუბა გრძნობდა, რომ საკმარისად ილაპარაკა. დრო იყო, რესტორანში დაბრუნებულიყო და ალიონას და სხვა გოგოებს შეხვედროდა, რომლებიც მას იქ ელოდებოდნენ. მან გადაუხადა ევგენის მისი კუთვნილი გასამრჯელო და ხელის ჩამორთმევის შემდეგ შენობა დატოვა. ლუბას თვალწინ დაუდგა ის საშინელებები, რომლებმაც დააჩქარა მისი ავადმყოფობა. არ იყო დარწუნებული, სიმართლეს თუ იტყოდა. ბოლოსდაბოლოს რაც მას უნდოდა, იყო ის, რომ არ გაეგოთ არასწორად, თუმცა ისიც გაიაზრა, რომ სხვა პიროვნებასთან საუბარს შეეძლო, შვება მოეგვარა და შესაძლებელია, საკუთარ გამოცდილებაზე უფრო მეტი ურთიერთგაგება მოეტანა.

ლუბა დაბრუნდა რესტორანში. მიუხედავად სიმშვიდისა, ხაზი გაუსვა იმას, რომ მან საკუთარი ნებით დატოვა თერაპია. თავისი საზიზღარი ბუნებიდან გამომდინარე, ეგონა, ეს ყველაფერი მანამდე, რეალურად მოხდა. ათი წლის გასვლას ვერ გაეფანტა მის ხანგრძლივ მეხსიერებაში შემონახული გრაფიკულ-ვიზუალური შინაარსი.

როცა ალიონა ლუბას უყურებდა, ხედავდა მის გახარებულ სახეს, უფრო ცოცხალს, ვიდრე მას ენახა 10 წლის მანძილზე. ჩანდა, რომ პროფესიონალის საუბრის თერაპიას მართლა ეშველა, აღედგინა მისი ნამდვილი პიროვნება. ალიონას ეს სჯეროდა, როცა ათანასეს ფულს უხდიდა და თავის ჩეკის ანგარიშს ასწორებდა, მაგრამ დაფარა თავისი დადებითი დასკვნები. არ უნდოდა ეგრევე ამის მტკიცება დაეწყო, ვაითუ ლუბა წინანდელ მდგომარეობას დაუბრუნდესო. მან ლუბა თავის სახლში მიაცილა. იცოდა, რომ ის ჯერაც დაპირისპირებული იყო თავის მშობლებთან (რომლებიც სულ ეკითხებოდნენ, როდის გათხოვდები და შვილიშვილებს როდის გვაჩუქებო).

თავი 5
ლუბას აღიარება

როცა სახლში მივიდა ლუბა, ფარდები ჩამოაფარა და დაფიქრდა ვოდკის ხეობაში დატრიალებულ საშინელებაზე. არ იყო დარწმუნებული, ამ ცდას თვითონ მარტო ჩაატარებდა თუ ექიმთან ერთად თერაპიის ოთახის უსაფრთხოებაში.

შეიძლება თერაპია აქ მარტომ ჩავიტარო – ამ დუმილში, ამ ბნელ ოთახში, მარტოკამ, მოღალატე ქმართან ერთად, რომელიც მაიძულებს, უფრო მეტად დავიბნე ამ სამყაროში? ამ ფაქტორმა მომსპო მე და შეიწირა ჩემი ბედნიერება და ყოფა. მე მარტო ვარ და მარტო მოვკვდები გულმოკლული ამ ცივ სამყაროში.

ლუბა ჩაუფიქრდა თავის მდგომარეობას. მიხვდა, თუ ის დათანხმდებოდა ამ თერაპიაზე, ალბათ, განიკურნებოდა ან განთავისუფლდებოდა მელანქოლიისგან და ტრავმისაგან. „ო, რომ შემეძლოს ეს ექიმ ევგენის გავუზიარო, ნაცვლად იმისა, რომ ვითმინო.“

ლუბა ამაზე ფიქრობდა განუწყვეტლივ და დაუსრულებლად. შეძლებდა ამ თავისი ფარული საიდუმლოს გამხელას? ფხანა დაეწყო ამდენი ყოყმანისგან. შეხედა ტელეფონს თუ არა, იმ წამსვე დაინახა აქტიური მოქმედების აუცილებლობა. და ისიც ზუსტად ასე მოიქცა, ჩვენსავით, როცა ჩვენ ჩვენი აზრების სისწორეში ეჭვი არ გვეპარება. მან იმპულსურად გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ ემოქმედა.

საბედნიეროდ, როცა ლუბა მივიდა, ექიმმა ევგენიმ თავის კლიენტთან მკურნალობა დაამთავრა. მიხვდა, რომ ციმბირში ზედმეტად ფორმალური სტილი მას მნიშვნელოვანი ანალიზების შესაძლებლობას აძლევდა. გოგონა თავისი ნებით დაბრუნდა მასთან, ოფისში.

– ვიფიქრე, იქნებ ახლა ანალიზის სხვა სესია ჩაგვეტარებინა. რა თქმა უნდა, გასამრჯელოს გადავიხდი. მინდა გული გადავუშალო ვინმეს, სხვანაირად ვერ ვიგრძნობ თავს უკეთ.

ექიმი შეყოვნდა, რომ რამდენიმე წუთი დაჰკვირვებოდა ლუბას და შემდეგ კლინიკური გადაწვეტილება მიიღო: ჭკვიანური იყო, დათანხმებოდა პაციენტს, დაუგეგმავი სესიის ჩატარებაზე, „როცა ადამიანს უნდა დახმარება, უნდა დაეხმარო კიდევაც“.

– დაბრძანდით, ლუბა და შეძლებისდაგვარად კომფორტულად მოეწყვეთ. მინდა, თავი სრულიად თავისუფლად იგრძნოთ. მოხარული ვარ, რომ თქვენ ძალდაუტანებლად მოხვედით სამკურნალოდ.

ექიმ ევგენის გაცნობიერებული ჰქონდა მკურნალობის უკუქმედება. ის ამ სამუშაოს ყველაზე ფარულ საიდუმლო ვითარებაში ატარებდა ხოლმე საბჭოთა კავშირის პერიოდში. მან მოახერხა, კვლევითი საქმიანობის ფარგლებში, *შემეცნებითი ფსიქოლოგიური და ლინგვისტური კვლევის სახელით,* ოფიციალურად ეწარმოებინა თავისი საქმიანობა და ამ გზით ფული ეშოვა. მისმა საქმიანობამ ცოტა ეჭვი აღძრა. მასთან მისული ხალხი კვლევის ობიექტად მიიჩნეოდა. მისი რეკლამა იყო, მისი კარგი სახელი, როგორც ექიმის, ასევე ლექტორისა. ის ერთ-ერთი იმ უმცირესობათაგანი იყო, რომელიც მხარს უჭერდა ფსიქოლოგიურ შეხედულებებს და ესმოდა, რომ დასჯის ელემენტის ჩართვა ფსიქოთერაპიულ საქმიანობაში ამ პერიოდში რთული იყო.

მართალია, ხრუშჩოვის ეპოქას დათბობის ეპოქას უწოდებდნენ, მაგრამ ბევრად უფრო მეტი დათბობა საჭიროებდა ხალხის გონებისა და გულის გახსნას ფსიქოლოგიური მედიცინის მიმართ. მისი „სუბიექტები“ ცოტათი ერკვეოდნენ მკურნალობის საკითხებში. მათი ცნობისმოყვარეობა რომ დაკმაყოფილებულიყო და ამ სამუშაოს ღირებულებაში რომ დარწმუნებულიყვნენ, მათ დაურიგდათ თერაპიული ხასიათის იატაკქვეშა პუბლიკაციები. მათ წინასწარ იცოდნენ, რომ

ისინი თავიანთ აზრებს ღიად გამოთქვამდნენ და სიმპათიით განეწყვნენ დასავლეთელი მოაზროვნეების მიმართ, რომლებმაც ეს პრაქტიკა შედარებით უსაფრთხო გახადეს. სხვა შემთხვევაში ის საშიშ რისკებზე ვერ წავიდოდა.

ექიმი ევგენი აღიარებდა, არც თუ ისე დიდი ხნის წინ, საბჭოთა ფსიქიატრია როგორ ცუდად მკურნალობდა უმეტეს ფსიქოლოგიურ პრობლემებს – სამარცხვინო ძალადობით, რომელსაც ასევე იყენებდნენ ნორმალური ადამიანების მიმართაც.

– ვხედავ, აქ იმიტომ ხართ, რომ მიამბოთ იმის შესახებ, რაც ასე უსიამოვნო და მძიმე ასატანია თქვენთვის. ამ რაღაცამ გაგაშეშათ და ამას ამდენია ხანია საიდუმლოდ ინახავთ. არავის უმხელთ რა შიშს და ტანჯვას იწვევს ეს თქვენში. იმის შესახებ თავისუფლად ლაპარაკი, რამაც თქვენ ამდენი ზიანი მოგაყენათ, მკურნალობისას ეფექტური იქნება. მე მინდა, მოვადუნო თქვენი გონება. ხო, უფრო მეტად მოადუნეთ, ადრინდელზე მეტად. მე ასევე დახელოვნებული ვარ კლინიკურ ჰიპნოზში. ფსიქიატრები, ფსიქოლოგები, ფსიქოთერაპევტები და ფსიქოანალიტიკოსები – ყველანი იყენებენ ჰიპნოზს. მეც გამოვიყენებ, რომ შეძლებისდაგვარად უფრო მეტი დახმარება გაგიწიოთ. ჰიპნოზი სრულიად უსაფრთხოა. ამ მდგომარეობაში თქვენ სრულად აკონტროლებთ ღრმა რელაქსაციას. მე არ გაიძულებთ ჰიპნოზს. პიროვნება, რომელიც დაჰიპნოზებულია თვითონ განაგებს თავის თავს. ჰიპნოზის დროს თქვენ არაფერს იტყვით თქვენი ნების წინააღმდეგ. თუკი ჰიპნოზის დროს რაიმეს გეტყვიან, თქვენი მორალური კოდის საწინააღმდეგოს, თქვენ უარს იტყვით და გამოხვალთ ჰიპნოზიდან. ეს ურთიერთშეთანხმებით ხდება, ამიტომ უნდა გკითხოთ: გინდათ გაგიკეთოთ ჰიპნოზი?

– გჯერათ, რომ ეს ხელს შეუწყობს ჩვენს საქმიანობას?!

– ეს ხელს შეუწყობს თქვენი გონების მოდუნებას. დაგეხმარებათ, ჩასწვდეთ თქვენს ქვეცნობიერს, სადაც თქვენი ტანჯვის პირდაპირი მიზეზი ინახება. ასევე დახმარებას გაგი-

წევთ, ისაუბროთ მტკივნეული მოგონებების შესახებ, წყენის იმავე ინტენსივობით განცდის გარეშე. ასე რომ, ის სწორედაც ხელს შეუწყობს ჩვენს მუშაობას. სამწუხაროა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრაქტიკოსები უფრო მეტად ვერ ანვითარებენ აზრის გახსნილობას და უკეთ ვერ იყენებენ ჰიპნოზს თავიანთ პრაქტიკაში.

– გამიკეთეთ ჰიპნოზი, ექიმო!

ექიმმა ევგენიმ გამოიწვია ჰიპნოზის მდგომარეობა და უფრო და უფრო გააღრმავა. შემდეგ გამოიწვია ლუბა, თავისუფლად ესაუბრა იმაზე, თუ რა აწუხებდა.

– რაც უნდა ვთქვა, ჩემი აზრით, ზებუნებრივ კატეგორიას ეკუთვნის.

– ბოდიში, ბოლო სიტყვა ძალიან ხმადაბლა თქვით. „ზებუნებრივი" თქვით, არა?

– ხო, მეტად არ შემიძლია ამეების შეკავება. ყოველ შემთხვევაში რაში გამოვიყენებ? ვიცი, რა შემემთხვა 10 წლის წინ. ტყეში ვსეირნობდი. მე ვფიქრობ, ეს ყველაზე ლამაზი, ყველაზე ბედნიერი მოგონებაა, რაც კი ოდესმე მქონია. ეს ნამდვილად უნდა დავიტოვო ჩემს გონებაში. ამ რეგიონში ტყე განსაკუთრებით ლამაზია ივლისის შუა რიცხვებში.

კარგა ხნის შემდეგ, ტყის მეორე მხრიდან მომესმა ვირთხების ფუთფუთი, წკლაპუნი და წრუწუნი. სოფელში ცხოვრებიდან ვიცოდი, რომ იქ ვირთხების პრობლემა იყო. შხამიც კი დაუდეს, რომ გაეწყვიტათ. მკვდარი ვირთხები, თავიანთი მკვდარი სხეულებით, უკმეხი ცხვირებითა და შიშველი ფეხებით უფრო თვალშისაცემი გახდნენ.

მე ცხოვრებაში არ მშინებია ვირთხების. თავის დასაცავად თან მქონდა კარგი ჯოხი. ბუნებით მამაცი ქალი ვარ და ასე ადვილად არ ვშინდები ხოლმე. ყველაფერი კარგად იყო. იქ არაფერი იყო საეჭვო, ქაოტური ან შემაძრწუნებელი. ერთი სრულიად ნორმალური დღე იყო ვოდკის ხეობაში.

ასე მგონია ახლაც იქა ვარ, იმ დღეს. ვგრძნობ როგორ ვსეირნობ. სხეულში შესამჩნევად მეტი სითბო მეღვარება. მზე

ზუსტად ისე ანათებს, როგორც იმ დღეს. ჩემთვის ვმღერი ბავშვობის დროინდელ სიმღერას. ეს არის ყველაზე დიდებული ზაფხულის დღე, რაც ოდესმე მინახავს. მე არაფერი მაწუხებს ან მაშფოთებს. მხიარულად ვარ.

გადის დრო. დამავიწყდა, როგორი ბედნიერი ვიყავი იმ დღეს. მაგრამ ეს იმიტომ, რომ რაღაც ხდება და ცვლის ჩემს ბედნიერებას. უცნაური წინათგრძნობა მაქვს. ისეთ რაღაცებს ვხედავ, შიშისგან პარალიზებული ვარ. ნამდვილად არ ვიცი, რა მოხდება შემდეგ. მიკვირს, როგორ გამოვალ ამ სიტუაციიდან. ზოგჯერ, მიუხედავად იმისა, მე ვფიქრობ, რომ მოვლენები, რომლებიც უნდა აღვწერო, ჩემგან ძალიან შორსაა, ჩემი მოგონებები იმდენად ნათელია, თითქოს მე იქ, მოქმედების ახლოს, ვიყავი.

მე, რა თქმა უნდა, დავემალე იმას, რაც დავინახე და ვივარაუდე, რომ ეს გონების ტრიუკი იყო და ისე აღვიქვი, როგორც ძალიან შორს მყოფი, მაგრამ რელურად უფრო ახლოს აღმოჩნდა, ვიდრე თავდაპირველად მეგონა.

ამ დისტანციიდან მაღალი, სუსტი აღნაგობის კაცს ვხედავ, ჯოხივით გამხდარს. ხელში გრძელი, მარმარილოს შავი კვერთხი უჭირავს, სასეირნო ჯოხივით მოღუნულთავიანი; რაღაც დიდი კვერთხია. კაცი ჯოხს უშუალოდ ვირთხების გუნდის სამართავად იყენებს. ის მათზე ვირთხების უფალივით ბატონობს. ვცდილობ, დავინახო კაცის სახე. ის ვერ მხედავს. რომ მამჩნევდეს, დარწმუნებული ვარ, რაღაც უსიმოვნებას შემამთხვევს.

ნამდვილი ქვეწარმავალივით გამოიყურება. ამ კაცის სახეს რომ ვუყურებ, არც ადამიანს ჰგავს და არც მოკვდავს. რაღაც სხვაა. სახის მარჯვენა მხარე მარმარილოსავით შავია. მარცხენა მხარე კი ქვასავით თეთრი. მე მგონი, ალბათ, მომაკვდავია, მაგრამ ცუდი სიდამწვრე აქვს. რა სჭირს სახეზე, ხელებზე, ფეხებზე, თითქოს დასტაქარს თუ ვიღაცას რაღაც სახის სამუშაო შეუსრულებიაო.

მე არ ვარ დაინტერესებული გასართობი იდეით, რომ ეს

ზებუნებრივია. არც ღვთაების მჯერა, არც რელიგიის და არც შემდგომი ცხოვრების. მე ერთი უბრალო ადამიანი ვარ, რომელიც ვერ ჩასწვდება შემდგომი ცხოვრების არსს. ჩემი აზრით, ეს სამყარო იმდენად უსამართლოა, შეუძლებელია, მას სამართლიანი ღმერთი განაგებდეს. არც ოკულტიზმი მწამს. ყოველთვის მგონია, რომ ექსტრასენსები და მედიუმები ყალბია და ზებუნებრივი საგნები რეალური არაა, მხოლოდ ისტერიის შედეგია. მოჩვენებების ამბებიც წარმოსახვითია. განათლებულ ადამიანებს არ უნდა სჯეროდეთ. მე არ ვეკუთვნი იმ ადამიანებს, რომლებიც ღვთაებრივი ან ზებუნებრივი გავლენების ქვეშ იმყოფებიან.

ამ ბიჭის მარცხენა ფეხსაცმელი და ფეხი მარმარილოსია. ვხედავ, არ აცვია წინდები, მაგრამ ვერ ჩაიცვამს ტანსაცმელს. ვერც თვალებს ვხედავ მისას: მზის სათვალითაა დაფარული. ვერც ყელს ვხედავ: თეთრი შარფი აქვს შემოხვეული. სიმაღლით, ჩემი აზრით, ალბათ, შვიდ ფუნტზე მეტია. აცვია შავი პიჯაკი, თეთრი პერანგი. შავი ჰალსტუხი უკეთია. ჯოხს ძალიან აგრესიულად იქნევს. არა ვარ დარწმუნებული, რომელი უფრო ამაზრზენია, ვირთხების ერთობლივი ფუსფუსი თუ ბრძანება, რომელიც ამ უცნაურმა არსებამ მათ მიმართ გასცა.

რა ძალაუფლება აქვს ამ ვირთხებზე! რა მიმართულებასაც ეს ჯოხი მიანიშნებს, ვირთხები იქით გარბიან, თითქოს ავტოპილოტები არიან. უცნაურია მისი ყურება. ყოველგვარი დადებითი ენერგია მეცლება. ის სწორედ ისაა, რასაც სწავლულები შავ ხვრელს უწოდებენ. მან მე ყოველგვარი დადებითი აზრი გამომაცალა. მხოლოდ სიცარიელე დატოვა ჩემში. არ მკითხოთ, როგორ გააკეთა მან ეს. ძალიან ადვილად! არის რაღაცები ცხოვრებაში, რასაც ერთაბაშად, უცებ ვერ ჩასწვდები. მე ამას ახლა ძალიან ადვილად ვაცნობიერებ.

დავიღალე მისი ყურებით. ნელ-ნელა ვვარდები დეპრესიაში, ვგმობ საკუთარ თავს, მერევა მელანქოლია და მეძალება მწუხარება. ასე მგონია, ის არის ამ ფსიქიკური დისჰარმონიისა და ავადმყოფობის გამომწვევი. ადრე ჩემი პიროვნებისთვის

მიუღებელი რამეები თითქოს ახლა გამოცოცხლდა ჩემში. პასიურ მუქარას ჰგავს, სიკვდილის ბოროტ მაცნეს, რომელიც დედამიწას ქურდულად ეპარება და სულების განადგურებას ითხოვს. მისი არსებობა მე ტრავმას მაყენებს, მანადგურებს, მემუქრება და ტრაგედიაა ჩემთვის.

მაღალი ფიგურა ცას არის მიშტერებული. როცა ის იღიმის, ღამდება და მზე ვოდკის ხეობას ტოვებს. კბილები პატარა ბასრ დანებს მიუგავს. შიში მერევა და, რა თქმა უნდა, ვიმალები. ერთი დეტალი გამომრჩა. ახლა აღმოვაჩინე, რომ ის თითქოს ქვემოდან მოექცა ჩემი გონების ზედაპირს. ამას ცხადად ვხედავ . მზის ლამაზი სხივები გაქრა და ღამდება.

ვხედავ ვამპირების მთელ არმიას... ყოველ შემთხვევაში ისინი წოვენ ადამიანის სისხლს. სხვა არსებები კანიბალები არიან და ზომბებივით იქცევიან. საზიზღარი, ფრთიანი, დემონური არსებები გარს ერტყმიან ცაში მფრინავ თვითმფრინავს. ვხედავ სხვა ვირთხებსა და დემონებს, რომლებიც მდინარის გასწვრივ მარშით მოდიან და მოუძღვიან მარმარილოს კაცს. დემონების ფრთები შედიან თვითმფრინავში, რაც თვითმფრინავის ძრავის შეჩერებას იწვევს. მე მესმის, ასეთი წარმოდგენა მაქვს, რომ ხალხი ტირის და ღამის ზეცას ისე შეწკავწკავებს, როგორც ძალიან მოშიებული და უჭმელი მელია წკავწკავებს, როცა ღამე ქუჩებში დარბის და საკბილოს დაეძებს. ეს სრულიად საშიში და დამანგრეველია თვითმხილველისთვის. თვითმფრინავი ძალიან სწრაფად იწყებს ციდან ქვევით დაშვებას. დაშვებულ თვითმფრინავს ფრთიანი დემონები, აგზნებულები, მიწამდე მისდევენ მსხვრევის, დაღუპვის, დაზიანების და დასახიჩრებული ადამიანების მოლოდინით გახელებულნი. ბოლოს თვითმფრინავი იმსხვრევა და მარმარილოს კაცი ვირთხებთან ერთად არბის თვითმფრინავში და მოუწოდებს მათ, მოძებნონ ადამიანის სხეულები. ვირთხები ეძებენ სხეულებს.

ხუთი წუთის შემდეგ ასეთ რაღაცას ვაწყდები. თუ ადამიანი მკვდარია, ზომბები ნთქავენ მას. ცოცხლებს ვამპირები წოვენ

სისხლს და, თუკი მათ არ უნდათ მისი ვამპირად გადაქცევა, მოუწოდებენ ზომბებს, შთანთქან ეს სხეულები. მე მაფიქრებს ეს საცოდავი, უდანაშაულო ადამიანები, რომლებიც ჩემ თვალწინ გაანადგურეს. მაგრამ სისხლი გამეყინა.

დამაფიქრა იმან, რომ ვირთხებს შეეძლოთ, მეც ვეპოვეთ და ჩემთვისაც მოეღოთ ბოლო. მარმარილოს კაცი შმაგდება, როცა ვირთხები ქალებს პოულობენ, ჯერ კიდევ ცოცხალს, მაგრამ სისხლიანს და ტკივილებისგან გატანჯულს.

– კარგი, ვირთხებო! – ამბობს ის. მიუბრუნდება ვამპირებს და მათ ეუბნება, – დროა ახალგაზრდა ქალის თავიდან სიგიჟე ამოვიღო! ისედაც ვხედავ, ეს ქალი ისე იქცევა, ნამდვილად ისტერიულია. დასვით აქ, ქვევით, სკამზე. ზევითაც არის ვიღაც! თქვენზე, ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს ეს პროცედურა. თქვენ კი, ჩემო ვამპირებო, შეგიძლიათ მისი სისხლი შესვათ. ამ პროცედურის წყალობით ბევრი სისხლი წამოუვა!

– რას აკეთებ? – ეკითხება ვიღაც მოხუცი ვამპირი.

– ტრეპანაციას ვაწარმოებ, – პასუხობს ის.

ზომბები სიტყვა „ტრეპანაციას“ 10- ჯერ მაინც იმეორებენ.

–ტრეპანაციას? – ამბობს ვამპირი და ზომბები სიტყვა „ტრეპანაციას“ ისევ 10-ჯერ იმეორებენ.

– ხო, ჩვენ უნდა ვუწამლოთ ადამიანის მდგომარეობის სიგიჟეს. ეს უნდა გესმოდეთ. ეს ქირურგიული პროცედურაა. ამ ქალბატონის ქალაზე ხვრელს გავაკეთებ. თქვენზე დიდ შთბეჭდილებას მოახდენს, როცა მე მის მყარ მასას გამოვიღებ. ასეთი ქირურგია უტარდებათ განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალებს, რომლებიც თავისუფლად აზროვნებენ.

შევნიშნე, როცა ეს უცნაური არსება ამ ტრეპანაციას ატარებდა, ზომბს გადაუგდო რაღაც მრგვალი ხორცის ნაჭერი, რითაც ქალა იყო დაფარული. ვამპირები უფრო ახლოს მივიდნენ ქალის სხეულთან, რომ აელოკათ იქიდან გამოსული სისხლი.

– საოცრებაა! – თქვა ცალთვალა და კუზიანმა ზომბმა.

– კიდევ უფრო გემრიელია, როცა შეწვავ. მაგრამ მე მგონი თქვენ, ბიჭებს უმი გირჩევნიათ, – დაუმატა მან, რითაც გამოხატა, რომ ზრუნავდა თავის საყვარელ ზომბებზე.

იმ დროს, როცა ქალის ირგვლივ თავმოყრილები თავიანთ პრიმიტიულ მოთხოვნებს იკმაყოფილებდნენ, მე იმ აუტანელ ტკივილებს ვგრძნობდი, რომელიც ქალს სიცოცხლესთან განშორების დროს ჰქონდა.

– შესანიშნავია, – თქვა მარმარილოს სახიანმა კაცმა. – დამიჯერეთ, ჩვენ მონაწილეობას ვღებულობთ მსოფლიო წესრიგის შექმნაში. ცვლილება დღეიდან იწყება. ეს იქნება პერიოდი, როცა ყველაფერი დაწყნარდება. ასეთია ტერორის ხასიათი. ჩვენ მოულოდნელობებით ვცხოვრობთ. სწორედ მაშინა ვართ ყველაზე საშიშები.

მარმარილოს ნიღბიანმა კაცმა დაინახა სხვა ცოცხალი არსება აგზნებული ვირთხების ჯგუფში. – დაანთე ცეცხლი, – უთხრა მან მოწყენილ სახიან ვამპირს.

მარმარილოს სახიანმა მეორე ტრეპანაცია აწარმოა. – მოიტანე ტაფა! – უთხრა მან მოწყენილ ვამპირს, – რაღაც სასოწარკვეთილი და სევდიანი გამოიყურები.

მას ხელში ვირთხა ეჭირა და დადო ტაფაზე.

– შეწვი ეს ვირთხა და შეჭამე! შემწვარი ვირთხების ჭამა კარგად მოქმედებს დეპრესიაზე.

ზომბებმა და ვამპირებმა თავიანთი მკვლელობები რომ დაასრულეს, ფრთიანმა დემონებმა მათ ნიჩბები მიაწოდეს. ისინი საათობით თხრიდნენ ხვრელებს თვითმფრინავის ნამსხვრევების ირგვლივ.

– ეს ჩვენი ტერიტორია იქნება. ჩვენ მსხვერპლი გავიღეთ ბოროტი მეფის დასანაყრებლად.

უცნაური რამეები ხდება, როცა ამ ამბავს სხვა ადამიანს ვუყვები. ჩემში წარმოქმნილი უარყოფითი ენერგია იფანტება და მისგან ვთავისუფლდები. დღეს, ათი წლის შემდეგ მე ვგრძნობ სიმსუბუქეს და სიმშვიდეს. ეს არ იყო ჩემი არჩევანი. უბრალოდ ასე მოხდა.

ავდექი. გავიქეცი. არ ვწყვეტდი რბენას. სუნთქვას რომ ვიკრებდი, მაშინაც არ ვჩერდებოდი. აქამდე სიმშვიდე არ მღირსებია. ვოდკის ხეობაში თვითმფრინავის კატასტროფის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გადაუციათ. არც არავის აღუნიშნავს.

მე ხომ არ გამოვიდებდი თავს და არ დავიწყებდი თვითმფრინავის კატასტროფის შესახებ ლაპარაკს? რაკი არ ახსენებდნენ, იქნებ სულაც არ მომხდარა? არასდროს არ წავსულვარ ტყეში, რომ მენახა, გაასუფთავეს თუ არა ნამსხვრევებისგან.

სულელი ვიყავი, ამ ჯოჯოხეთურ ხვრელს მივბრუნებოდი? დეპრესია და ნევროზი ხომ არ ნიშნავს, რომ სულელი ხარ? რომელი ჯანსაღი ადამიანი ილაპარაკებს ამ ცხოვრებაში, რომ მოწმე იყო ისეთი საშინელების, როგორიც ტრეპანაცია, კანიბალიზმი, ვამპირიზმი და დემონიზმია?

ვინ შემოგხედავდა და ვინ იფიქრებდა, რომ სრულ ჭკუაზე ლაპარაკობდი მარმარილოს კაცზე, რომელიც ვირთხებზე, ზომბებსა და ფრთიან დემონებზე მბრძანებლობს, რომ მსხვერპლად შესწირონ ადამიანი და შეჰფიცონ ბნელ ძალებს ახალი სმყაროს შექმნა?

იძულებული ვიყავი, ჩუმად ვყოფილიყავი და ჩემს ტყავში დავტეულიყავი. არასდროს ვიტყვი, ხეობაში სად იყო ეს კატასტროფა. არც ისე მოვიქცევი, თითქოს ვიცი, რაზედაც ლაპარაკობენ, თუკი ამას ქარაგმულად მიხსენებენ. მე მუდმივად საიდუმლოდ შევინახავ ამ ყველაფერს. მე ჩემი კონკრეტული დასკვნები მაქვს ამასთან დაკავშირებით.

ვიცი, რომ ჩემს ფიქრებში ვცხოვრობ. ვერც ერთი მცდარი დიაგნოზი, რომელსაც ექიმი დამისვამს, ვერ მომიხსნის იმ მოვლენებს, რაც მე სრულად შევიგრძენი. მჯერა, ჩემი შეგრძნებები ჯანსაღ მდგომარეობაშია. რაც ვნახე, უბრალოდ ვნახე!

ლუბა ერთბაშად განთავისუფლდა იმ სიმძიმისგან, რაც მის მხრებს ათი წლის წინათ დააწვა. მან თვალები გაახილა. ჰიპნოზური ტრანსიდან გამოვიდა. იგრძნო გამონაყარი, თითქოს ში-

შის შავი ჭირისგან თავისუფლდებაო. ეს საჩუქრად აღიქვა მან. ეს ღვთიური ადგილიდან იყო, მას რომ ასე სწამდა. ათი წლის მანძილზე მისი სულიერი და ფსიქოლოგიური შეგრძნებები ბრმა იყო და ვერაფერს ხედავდა. ყრუ იყო და არ ესმოდა. არ შეეძლო სუნთქვა და არც ყნოსვა, როგორც ჯანმრთელ, თავისუფალ ადამიანს სჩვევიათ. ბორკილები ედო და გამოსავალი არ ჩანდა. იცოდა, რომ თანდათან ყველაფერი შიცვლებოდა.

გადაწყვიტა, მშვიდად, თავისთვის შეენახა საიდუმლო მისი მწუხარებაში ჩავარდნისა და იქიდან თავის დაღწევის შესახებ. ხალხი შენიშნავდა პოზიტიურ ცვლილებებს მასში. მისი ხასიათი გამოწვეული იყო სიცარიელით, სიხარულის უქონლობით. ეს სიცარიელე უკვე არ არსებობდა. არავის საზრუნავი არ იყო. შინგანი სიმსუბუქე და მომჯობინება გახლდათ ის, რაც მას ასე ძალიან უნდოდა. ექიმის ოფისი მან დატოვა, როგორც უფრო თავისუფალმა ადამიანმა.

ექიმისგან გამოსული ლუბა „ჩეხოვისკენ“ გაემართა.

– რა გავაკეთო? – დაუსვა შეკითხვა საკუთარ თავს. გადაწყვიტა, ძალიან მარტივად, „ჩეხოვში” დაელია.

თავი 6
ქალი ტობიასისთვის

ტობიასმა „ჩეხოვში" შემოსულ ლუბას რომ შეხედა, ეგონა, პირველად ვხედავო. ადრე არ მოხვედრია თვალში. ახლა ნამდვილად არ იყო ასე. თითქოს ახლა აღმოაჩინა საოცარი, კარგი აღნაგობის, ლამაზი და ქალური ლუბა. უკვირდა, რატომ ეს აქამდე ვერ შევნიშნეო. ასაკს ვერ წაერთმია ლუბასთვის იმის უნარი, მამაკაცებისთვის საინტერესო ყოფილიყო. მისი გადამდები ხიბლი საღად მოაზროვნეს კაცებსაც გრძნობებით ავსებდა და თავგზას უბნევდა. ტობიასის სურვილმა, მის გვერდით ყოფილიყო, შეუტია მორიდებულობას და დაძლია კიდევაც.

რაც უფრო მეტ ეგზოტიკას პოულობდა ლუბაში ტობიასი, უფრო და უფრო იზიდავდა იგი. უყვარდა ლუბას წაბლისფერი თვალები და მუქი სახის კანი. ნეტავ რუსულ-ციმბირული წარმომავლობის ხომ არ არისო, ფიქრობდა. მისი კანი რძიანი შოკოლადის ფერს აგონებდა.

ლუბას რომ უყურებდა და იმაზე ფიქრობდა, რა გაუგებრობაშიც მოხვდა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ლუბა სწორედ წამალივით იყო მის მდგომარეობაში მყოფი კაცისთვის. ვოდკის ხეობის მიტოვებულ უდაბურებაში მისი შველა მხოლოდ ლუბას თუ შეეძლო.

ლუბა დაჟინებით მიაცქერდა ტობიასს. დეპრესიის სიმძიმე ერთბაშად გაუქრა. რაც უფრო მეტს უყურებდა ტობიასს ლუბა, უფრო და უფრო ედებოდა სურვილი. წითელი ღვინო შეუკვეთა ლუბამ, ამ დროული განთავისუფლების აღსანიშნავად.

რაც სავას გაჰყვა ცოლად, სხვა კაცისთვის არც შეუხედა-

ვს; განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მელანქოლიამ დარია ხელი. უცნობმა შემოაბიჯა თუ არა დარბაზში, სავა წარსულში გადატყორცნა. ღვინოს წრუპავდა ლუბა და თავისთვის ლაპარაკობდა, ჩემი გონებრივი შესაძლებლობა აღსდგა და ჩემი პიროვნული თვისებები მწყობრშია. უსიყვარულო ქორწინება არ არის ქორწინება. რაც უფრო ცდილობ, შეაკავო, მით უფრო უარესდებაო. ცხოვრება ხალისიანი უნდა იყოს. მე სულ სხვა ქალი ვარ, ვიდრე ამას ლოთი სავა იმსახურებს. დღეს ერთი მეძავი ჰყავს, ხვალ – მეორე. ქალის საუკეთესო ატრიბუტი მისი გარეგანი სილამაზე კი არა, არამედ მისი სათნოებაა, რომელიც ქორწინებას თან ახლავსო.

მორიდებულობა აწამებდა ტობიასს. ათასი შესაძლებლობა, რომელიც ლუბასთან ურთიერთობის ყინულს გაალღობდა, ვერ გამოიყენა; ათასჯერვე უკუაგდო. ერთმანეთს გაუღიმეს, მაგრამ ეს ხუთი წუთის წინ იყო – საუკუნე გასულიყო მას შემდეგ. „ძალიან დიდხანს ვიკავებდი თავს. მოთხოვნილებამ ნერვიული გამხადა, ხოლო ადამიანებისგან შორს ყოფნამ გამაღიზიანა. ოთახის მეორე ბოლოში მყოფ მიმზიდველ ქალთან საუბარმა იქნებ მიშველოს, ნაწილობრივ მაინც აღვადგინო ბალანსი.“

დრო გადიოდა. საეჭვო იყო ტობიასს რაიმე ეთქვა ლუბასთვის. ბევრ ქალსა და მამაკაცს დამართნიათ ასე, იზიდავდათ ერთმანეთი, მაგრამ თავიანთი კომპლექსები თრგუნავდათ. ეს დღეც, სულიერებით დაწყებული, უკვე იწურებოდა. იყო აქ ვინმე, ვინც მეგობრულ სიტყვას შეაშველებდა? ამას ვინმე შეხვდებოდა კეთილგანწყობით ამ მშვიდ გარემოში?

„ნუთუ ენა ერთადერთია, რაც მე ამ ხალხთან მაკავშირებს? ის ქმნის კუთვნილების, საერთო რასის იდეას, რელიგიას, ეთნიკურობას, მხატვრულ ლიტერატურას. ყველაზე უარესი მაინც ისაა, რომ მიუხედავად ერთნაირი ცნობიერებისა, ის არასდროს მიცნობდა, არასდროს ვარსებობდი მისთვის. უცხოელები ამქვეყნიურები არიან და არა – კოსმიურები და ჩვეულებრივ ორი ფეხი აქვთ.”

სასმელი მოწრუპა ტობიასმა. რანაირად შეეძლო, აქ დაბადებულს, რომელსაც თავისი ქვეყნის წინაპრების სისხლი ამ ქვეყნის ხალხთან აკავშირებს, თავი ოკეანისგაღმა დაბადებულივით ეგრძნო?

ლუბას იქ ყოფნა, ტობიასს სასოწარკვეთილებაში აგდებდა. რაც უფრო მეტჯერ შეხედავდა ლუბას, მით უფრო ვერ ბედავდა, რაიმე ეთქვა. მან მწვავედ შეიცნო თავისი მარტოობა. ერთადერთი, რაც მას სრული გაუცხოვებისგან განასხვავებდა, იყო ის, რომ შიგადაშიგ შეხედავდა ლუბას, რომელიც 60 -იანი წლების რუსულ მუსიკას უსმენდა რადიოთი. თუმცა ერთმანეთს აშკარად არ დალაპარაკებიან, ლუბას მიერ მისი მოწონების ალბათობა არწმუნებდა, რომ ადამიანის მოდგმას ჯერ მთლიანად არ იყო მოწყვეტილი.

ტობიასმა კიდევ ერთი კათხა ლუდი დალია და იგრძნო ისე იმოქმედა, რომ მოუნდა, ამხედრებოდა თავის განმარტოებას. ვერ ეგუებოდა შეზღუდული პატიმრის მდგომარეობას, რომელსაც მთელი დღის მანძილზე ოთხ კედელშუა ყოფნა უწევდა, სევდიან მარტოობაში. უნდოდა, ჩაეხშო ხმები, რომლებიც შეახსენებდნენ, რომ ის უცხო იყო, განსხვავებული, მოცილებული იმ მიწას, სადაც დაიბადა.

საკუთარი თავი ორი სრულიად განსხვავებული იმიჯით წარმოუდგა. პირველი იმიჯი მას სხვებთან ურთიერთობის შეზღუდული კონტაქტის საშუალებას აძლევდა. მეორე ნათლად უჩვენებდა, როგორ მიილტვოდა ლუბასკენ, როგორ უწვდიდა მარჯვენა ხელს ჩამოსართმევად (როგორ იზიდავდა მისი სითბო, დიდსულოვნება, გულახდილობა და სიკეთე) და სთხოვდა, ნება დაერთო მისთვის, მის გვერდით ყოფილიყო.

„ეშმაკმა დალახვროს სამყაროსგან ასეთი მოწყვეტა! ქალი კაცის ცხოვრების ამბროზიაა!“ როცა ეს გაიფიქრა, წამოდგა, წელში გასწორებული და მხრებში გამართული. ვერავინ მაიძულებს, სრულიად მოვწყდე ადამიანების საზოგადოებას. „არ მინდა დავემგვანო იმ პიროვნებას, ვის შესახებაც წავიკითხე ჩარლზ დიკენსის წიგნში – „1842 ამერიკელის ციხის ტურნე“,

რომელიც ფილადელფიის სახელმწიფო სასჯელაღსრულებას მიუძღვნა....“

ამაზე რომ მსჯელობდა ტობიასი, ცდილობდა, მორეოდა თავის შინაგან მღელვარებას. გაუგებარია, ჩემი აზრით, რაც მან დაწერა და გამოაქვეყნა თავისი მოგზაურობის ამბებში, ამერიკულ ჩანაწერებში საყოველთაო გასავრცელებლადო. მან დაწერა: მიიყვანესო გალიაში, საიდანაც ვერასდროს გააღწევდა, ვიდრე მისი სასჯელის საერთო ვადა არ დამთავრდებოდაო.... კაცი დამარხესო ცოცხლად, რომ ამოეთხართ წლების ნელ დინებაში ....“

გეყოფა მარტოობა, ტობიას, კმარა! განა რა ჩაიდინე ისეთი ცუდი ამ სამყაროში, რომ თავდახრილმა და დამუნჯებულმა იარო, თითქოს უსამართლობა გამოაშკარავდაო, გადწყვეტილებამიღებული, ლუბასკენ იმ განზრახვით გაემართა, თვითონ გაცნობოდა მას. ლუბას ღვინის ჭიქა ეჭირა მარჯვენა ხელში. „გამარჯობა, ტობიასი მქვია“, - უთხრა ტობიასმა და მარჯვენა ხელი გაუწოდა. „შევნიშნე, რომ ჩვენ ორივენი მარტონი ვართ აქ. ვიმედოვნებდი, შევუერთდები-მეთქი “.

ლუბამ გაიღიმა და მარცხენა ხელით ანიშნა, მის გვერდით დამჯდარიყო. ტობიასის უარყოფითი განცდები კარს მომდგარმა ბედნიერებამ შეცვალა.

იმ დროს, როცა ათანასე ტელეფონზე ლაპარაკობდა, წყვილი უფრო და უფრო მეტ ინტერესს იჩენდა ერთმანეთის მიმართ. გიორგიმ აუწყა ათანასეს, რომ მისი სარდაფის ვირთხის პრობლემები ასე ადვილად ვერ მოგვარდებოდა.

– რას ნიშნავს, ვირთხები არ ეკარებიან მოწამლულ სატყუარას, რომელიც მათ დაუდე? ეს სრულიად არანორმალური მდგომარეობაა. მართლა დაუდეთ საწამლავი თუ დრო გაგყავთ და აფერხებთ ჩემს ბიზნესს, რომ ამ გზით უფრო მეტი ფული წაიღოთ ჩემგან?

– რაღაც გამორჩეულად ჯიუტები, მაგრამ დამიჯერეთ, ძალიან ლოიალური სახეობის ვირთხები არიან, – უპასუხა გიორგიმ თავდაცვის მიზნით.

– ამაღამ სად რჩები? – ჰკითხა ლუბამ ტობიასს, ათანასეს ტელეფონზე საუბრის ნაწყვეტი რომ გაიგო, რასაც ტობიასი რატომღაც ყურადღებას არ აქცევდა.

– ღამე აქ დავრჩები და დილით დავბრუნდები სამუშაო ადგილზე, ვილიჯს გარეთ ხეობაში.

– ხეობაში? უკვე დაჯავშნე ოთახი ათანასესთან?

– კი, ლუბა.

– კარგი, მაშინ გადაიხადე, რაც გმართებს და ჩემს სახლში დარჩი. დამიჯერე, ჩემი სახლი ბევრად სჯობს „ჩეხოვს“, თან საუბარს გავაგრძელებთ. თბილი საწოლი გექნება დასაძინებლად, მე კიდევ დიდებულ საუზმეს მოგიმზადებ. ყოველთვის ხაზს უსვამენ, რომ ძალიან მოსწონთ ჩემი ნახელავი.

– დარწმუნებული ხართ, რომ ყველაფერი რიგზეა?

– გადაწყვეტილება ჩემი მიღებულია და კომფორტულად ვგრძნობ თავს.

ტობიასმა ფული გადაუხადა ათანასეს და თან მადლობა მოახსენა, იქ გატარებული დღისთვის.

იმ დროისთვის, როცა ისინი სახლში მივიდნენ, ლუბა დარწმუნდა, რომ მასა და სავას შორის ურთიერთობები უკვე გარკვეული იყო. ტობიასი ჩაის დაელოდა.

– მახსოვს ყველაფერი, – განუცხადა მან ტობიასს, როცა მდუღარე ჩაიდნის გვერდით იდგა. – სტამბულში დავიბადე, თურქი ეროვნების დედისა და რუსი მამის ოჯახში, იქვე გავიზარდე. დავდიოდით რესტორანში, რომელიც ლურჯი ეკლესიიდან არც ისე შორს მდებარეობდა, შემეძლო დავმტკბარიყავი თურქული ცოცხალი მუსიკით და ანატოლიის მსგავსი, თურქული რეგიონების განსხვავებული ცეკვებით. მახსოვს, როგორ გამოვცოცხლდებოდი ხოლმე, განსაკუთრებით – ზაფხულობით. ათი წლისა, დედ-მამასთან ერთად ვმუშაობდი ბაზარში. ვისწავლე მომრიგებლობა, რომელიც მეხმარებოდა წარმატებით წარმემართა ჩემი ყოველდღიურ საქმიანობა. ერთი დღე დედასთან ერთად ქაშმირის შარფებს ვყიდდი; მეორე დღეს მამას ვეხმარებოდი ლამაზი ნახატების გაყიდვა-

ში. ყოველთვის სიცოცხლით სავსე ვიყავი, როგორც სტამბული. რომ წარმოვიდგენ ბოსფორის სრუტეს და მარმარილოს ზღვას, ვგრძნობ როგორ მენატრება თურქეთი. მიკვირს, რა მაკავებს ამდენი ხანი და არ ვბრუნდები? ციმბირში მოვხვდი იმიტომ, რომ დედაჩემის შვილი ვარ. შემიყვარდა რუსი კაცი, რომელიც სტამბულში ჩამოვიდა. სიყვარული ყოველთვის იმავეს არ მოგიზღავს, ზოგჯერ უბრალოდ კვდება.

– სტამბულში დაბრუნდები?

– ყოველღამე სიზმრებში სტამბულში ვბრუნდები. მალე ფიზიკურად დავბრუნდები, სამუდამოდ იქ დავრჩები და აღარასდროს მივატოვებ. მე მეგაპოლისში დავიბადე. როგორ აღმოვჩნდი აქ?

ტობიასმა ლუბაში დაინახა სიყვარულს მინდობილი ქალი და მისი ირონია იმის მიმართ, რამაც ციმბირში ჩამოიყვანა. სწორედ ამ ორი რაღაცის კავშირმა განაპირობა ეს. ტობიასი მიხვდა, ლუბა მეორედ ადვილად არ აჰყვებოდა გრძნობას, მაგრამ მასაც ტობიასივით ადამიანური სინაზე ენატრებოდა.

თავი 7
„ჩეხოვში“. აგორებული შფოთი

„ჩეხოვი“ შფოთავდა ვირთხების ხმებისა და შლიგინის გამო. დაუჯერებელი იყო, როგორ შეიძლებოდა, ვირთხებს ასეთი ხმაური გამოეწვიათ. დაკიდეს აბრა: რესტორანი დაკეტილია. ათანასეს უკვირდა, რატომ იყო ვირთხების შხამი ასეთი უვარგისი. ხელმეორედ დაურეკა გიორგის. შენმა მოტანილმა შხამმა ვირთხები უფრო დაასუქა, დაამახინჯა და აგრესიული გახადა. რა სახის სამსახურია ეს? თქვენ მათ უნდა ხოცავდეთ, გამრავლებას კი არ უნდა უწყობდეთ ხელსო.

გიორგის გაეცინა და უპასუხა, ნუ ნერვიულობ, ორი ნახტომით მანდ, „ჩეხოვში“, გავჩნდები ჯადოქრის ცოცხით ხელში და შენ მოგიწევს მთელ ვოდკა ვილიჯსა და ხეობას მხოლოდ მოახსენო, ციმბირში ყველაზე კარგად ვინ აკონტროლებს მავნებლებსო.

ვირთხებმა სარდაფიდან ამოძრომა დაიწყეს. ათანასე შიშმა შეპყრო, ესენი თვეების მანძილზე აქაურობას მთლიანად გადახრავენო. კარზე ძლიერმა კაკუნმა მას შიში გაუფანტა.

– ათანასე! – მოისმა გიორგის ძახილი.

– რა იყო, – უპასუხა ათანასემ.

– გააღე კარი და სამართალს გზა მიეცი!

– სამართალს გზა მივცე?

– ხო, მე მხოლოდ იქ მივდივარ, სადაც მიწვევენ.

გიორგი რაღაც უცნაურად იქცევაო, გაიფიქრა ათანასემ. თავისი შენობის ბინადარი ყველა ვირთხისადმი ზიზღით აღვსილმა, კარი იმ იმედით გააღო, იქნებ პრობლემა მოგვარდესო.

– ო, ათანასე, ვერ ხვდები შენი ოთხფეხა მეგობრები ასეთ პატივს რატომ მიაგებენ შენს დაწესებულებას?

– შეწვიტე ხუმრობა და მითხარი, რის გაკეთებას აპირებ? დაიკიდა აბრა – „ჩეხოვი“ დაკეტილიაო და ერთმა ღმერთმა თუ უწყის, როდის ჩამოიხსნება. ეს აზარალებს ჩემს საარსებო შემოსავალს.

– ბიზნესმენები ყველანი ერთნაირები ხართ. თქვენ მხოლოდ ფულზე ფიქრობთ – რამდენს მოიგებთ და რამდენს წააგებთ. არავის მოსწონს ასეთი სიძუნწე. არც არავინ თვლის მათ ჭკვიანებად და გონიერებად.

– ვინ ამბობს, რომ მე *მხოლოდ* ბიზნესმენი ვარ? თქვენ? ვინც ნამდვილად არაფერი იცით ჩემს შესახებ? – შეუტია ათანასემ.

– იქნებ ვირთხები დავტოვო აქ და თქვენ კიდევ „ჩეხოვს“ სახელი შეუცვალოთ და *ვირთხის სახლი* დაარქვათ.

– თქვენ თქვენი საქმე აკეთეთ! მე არ შემიძლია ჩემს შენობაში ეს ჭუჭყიანი არსებები ავიტანო.

– ჭუჭყიანი არსებები? – გაიმეორა გიორგიმ და თავი ნაწყენმა გააქნია, ასე როგორ უწოდეს ამ ვირთხებსო. აიყვანა ერთი მსუქანი ვირთხა და აკოცა. – ვირთხები უყვარს ზოგ ხალხს, მაგრამ თქვენნაირ უსიყვარულოებს, ნამდვილად არა. ინდუსებს თვიანთი ქალღმერთი ჰყავთ - კარნი მატა, რომლის ტაძარი მაჰარაჯა განგა სიგჰშია. მათ უყვართ ვირთხები. მეც მიყვარს ვირთხები იმიტომ, რომ შენნაირი არსებებისკენ მოვყავარ.

– რა?

– შენ კარგად გაიგე, - თქვა ძალიან მაღალმა, თეთხელიანმა და მარმარილოს სახიანმა კაცმა, როცა სასტუმროში შევიდა.

– არ მითხრა, რომ შენ გჯერა, იმისთვის ვართ ჩვენ აქ, გამოვასახლოთ შენი ბეწვიანი მეგობრები. თუ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ოფიცერს არ მოეწონა ჩემი ვირთხები, ძალიან მარტივად დავურეკავ და ვთხოვ, გაიმეოროს თავისი უკმაყოფილების მიზეზები. თუკი ერთხელაც შემახსენებს თავის პრობლემებს, ტვინს ამოვაცლი და ნებას დავრთავ ჩემს მეგობარ ზომბებს, რომ მიირთვან. თუ ეს საკმარისი არ იქნება, ნე-

ბას დავრთავ ჩემს ვამპირებს, მას სისხლი გამოსწოვონ.

ზედმეტი საჭირო ქადაგების გარეშე, გიორგი თავს დაესხა ათნასეს.

– ისე კარგად მოქმედებს „თეთრი ხელი“, ნებიმიერ მოთამაშეს შეშურდებოდა. როგორი დახვეწილია! მე ასმოდეუსი – დემონების, ვამპირების და ზომბების ლიდერი – ხოტბას გასხამ შენ, დიდებულო „თეთრო ხელო.“ ისე, გიორგი სადაა?

„თეთრმა ხელმა“ ანიშნა გიორგისკენ, რომელსაც ათანასესთვის პირზე ხელი აეფარებინა, მაგიდაზე დაება და ახლა ალმაცერად დაჰყურებდა, როგორ დაცოცავდნენ ვირთხები მის სხეულზე.

– გიორგი, შენ ყოველთვის ამბობ, რომ გინდა ამოდეუსი, დემონების მეფე, გაახარო.

– მე ვიცი, რადგან თქვენ მხოლოდ ცხრა ჯოჯოხეთს მართავთ, გწყურიათ, უფრო მეტი ადგილი აქციოთ ჯოჯოხეთად, რომ თქვენი სამფლობელო გააფართოოთ, – უთხრა გიორგიმ.

– მე ერთგული მსახურები მჭირდება, „თეთრი ხელისნაირი“ და შენნაირი. ერთგული მსახურები მე დახმარებას გამიწევენ, შევქმნა განსაკუთრებული რაღაც, იმედგაცრუებული ხალხის ბენდისმაგვარი. მინდა ეს ქვეყანა ჯოჯოხეთად ვაქციო. ერთგული ქმრები თავიანთი მეზობლების ცოლებთან იმრუშებენ. შემდეგ მათი ქმრები შეწყვეტენ თავიანთი შვილების უზრუნველყოფას. დები კარს მიუხურავენ ძმებს .... და მათს ხელმოკლეობაზე იცინებენ. მტრობა წარმოიშობა დედებსა და ქალიშვილებს, მამებსა და ვაჟიშვილებს შორის. ხალხი მიატოვებს საღვთო წიგნს და ზურგს შეაქცევს მისი სახლის თაყვანისცემას. ამ მიწაზე სისასტიკე იზეიმებს.

გიორგი ისე მისჩერებოდა, თითქოს უფრო მეტი განმანათლებლობა სჭირდებოდა.

– მეათე ჯოჯოხეთში სისხლის ღვრის მოთხოვნილება გაიზრდება. აქ განთავსდებიან უცხოელები ან პოლიტიკური და რელიგიური რწმენის მქონე დისიდენტები, ნებისმიერი შემოქმედებითი და სულიერი ადამიანები. არასდროს არ დაიწე-

რება და არ შეიქმნება დოკუმენტები სრულად ამის შესახებ. სიკეთე და ეთიკა უარყოფილი იქნება. ამ მხარის ხალხი თუკი შეამჩნევს მათ ევოლუციას, ისეთ სიძულვილი ექნებათ მათ მიმართ, რომ თვითონვე მოუღებენ ბოლოს. ჩვენ ბევრი რამე გვაქვს მისაღწევი.

– მეც ბევრ რაღაცას უნდა მივაღწიო, – დაეთანხმა გიორგი.

– მიბაძე „თეთრ ხელს“ და ჩვენი ერთობლივი შრომით მივაღწევთ.

– იქნებ სულაც ჯოჯოხეთის მერვე პრინცი გავხდე.

ასმოდეუსი გიორგის ძალაუფლების ჟინს სისულელედ თვლიდა, მაგრამ მას თუ ეს სურვილი ასმოდეუსის მსახურად აქცევდა, დაე ყოფილიყო, რა გაეწყობოდა. გიორგის დამახინჯებული, შეცდომაში შეყვანილი სული სიამოვნებას ჰგვრიდა ასმოდეუსს, რომელიც ხედავდა, რასაც წარმოადგენდა ის – როგორ აღანთებდა მის სულს საკუთარი დაცემის შეცნობა. გიორგი ამტკიცებდა, რომ შორსგანმჭვრეტელობა და წინდაუხედაობა, საგანგებო საჩუქრებივით მაცდუნებელი იყო მისთვის; რომ მრისხანებამ, რომელიც გაუხარელი ბავშვობისა და მოზარდობის ადრინდელი ცდუნების შედეგი იყო, შეუწყო ხელი მის გადაგვარებას. რომ წარსული ცხოვრების ძალადობა დაედო საფუძვლად მის მომაკვდინებელ საშინელებებს. მან თავი დაანება არქიტექტურულ დიზაინს ლუციფერის მსახურების გამო. თავისი წარსულის მიზეზით, ის გაურკვეველი მძვინვარების გაღვივებას გააგრძელებდა, რომ რისხვის უხვი მოსავალი მოემკო.

– შენ რა, მართლა ეს გინდა?

– რა უნდა გავაკეთო ჯოჯოხეთის მერვე პრინცი რომ გავხდე?

– მემსახურე მე და იყავი უნაკლო მეურვე! მიჰყევი ჩემს ყველა ნაბიჯს, საითაც წავალ. დაახშვე შენი კრიტიკული ხმა; ღრმად მოაყუჩე შენში! რაც შეეხება ათანასეს, მე დავუკარგავ მას ფიქრის უნარს.

მიუხედავად იმისა, რომ ათანასე სიკვდილის პირას იყო, ის

ჯერ კიდევ სუნთქავდა და საშინელებებს უყურებდა.

– გინდა სხვანაირ იდიოტ ზომბად ვაქციო ის? – იკითხა ეთაგორია ნებსონიამ, ვამპირმა, რომელიც სარდაფის ღია ფანჯრიდან შემოვიდა და ასმოდეუსის შიში არ ჰქონდა. ის იყო მაღალი, დაკუნთული, მხარბეჭიანი და კარგი აღნაგობის, მიუხედავად საკმაო სიმელოტისა. ვერცერთი დემონი და ვამპირი ვერ ბედავდა მის შეკამათებას. საკმაო პატივს სცემდნენ მის ისტორიას და არ აწუხებდნენ.

– ახლა არაა 10 წლის წინანდელივით, როცა ჩვენ ვამპირები ვასრულებდით ყველა სამუშაოს, ადამიანის მსხვერპლშესაწირად. ჩვენ ჩვენებურად გვინდა.

ეთაგონია ნებსონიამ შეხედა გიორგის. ის არასდროს არ გადააქცევდა გიორგის ვამპირად. ასეთი მდაბალი ხარისხის ადამიანს, ასეთ გონიერს და მცოდნეს, არასდროს მიუმართავს მისთვის. მოკლედ უთხრა გიორგის, შეუძლებელიაო ჯოჯოხეთის მერვე პრინცობა (ბალანსი ირღვევაო იმ შვიდთან, რომლებიც ღვთის წინაშე დგანანო); მისი სულელური ამბიცია ვერასდროს დაკმაყოფილდებოდა. მისი ტვინი ასმოდეუსის (ან „თეთრი ხელის“) ქირურგიული ჩარევით არ იყო შეცვლილი, გიორგი მაინც მიხვდა სიცრუეს.

– შენ შენებურად გინდა? – გესლიანად ჩაეცინა ასმოდეუსს.

– ჩვენ, ვამპირები, იდიოტი ჯიში კი არა ვართ. ჩვენ ჩვენს თავზე ვფიქრობთ. მე ჩავახშვე, ჩემს სექციაში თვითავტონომიის თაობაზე ყოველი მოთხოვნა, დავარწმუნე ჩემი მოძმე ვამპირები, რომ თქვენ მათ მიმართ საუკეთესო ზრახვები გაქვთ გულში.

– მიხარია, რომ მესმის, თქვენ მზადა ხართ, სამსახური გამიწიოთ... განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თქვენთვის გავაკეთე.

– შეწყვიტე, ნუ მექცევი შენი ტოლივით. რამ გაიძულა, გეფიქრა, რომ ჩვენ წინდაუხედავი სულელები ვართ ზომბებივით, როგორც შენ გგონია? უგუნური მდგომარეობა, როგორშიც შენ მათ ამყოფებ, ჩვენ არ გვაკმაყოფილებს.

– ჩემი ზომბები იმას აკეთებენ, რასაც მე ვეტყვი.

– შენი ზომბების მწარმოებელი ფაბრიკა დაიხურა დღეს! ათანასე ვამპირი გახდება.

– ვინ მიიღო გადაწყეტილება?

– ვოდკის ხეობის ვამპირებმა ასე გადაწყვიტეს. შენ გაგიხანგრძლივდა ვიზიტი ამ რეგიონის სხვადასხვა ადგილებში, ასე რომ, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება. ჩვენ შევქმენით ჩვენი საბჭო და ხმა მივეცით თქვენი ზომბების გადეპორტებას. ისინი არავისთვის არ მუშაობენ და ვერც ჩვენს საზოგადოებას მოუტანენ რაიმე სარგებელს. მათ უთხრეს ჩვენი გადაწყვეტილება. თქვენ ქმნით მუნჯ უსაქმურებს. ჩვენ უნდა განვთავისუფლდეთ მათგან. მათ რეგიონიდან გასასვლელსაც ვერ მიაგნეს, ისე შევყარეთ ღუმელში, რომელიც ჩვენ გავამზადეთ, და ასე გავაგრძელებთ, თუ საჭირო იქნება.

როცა ეთაგონია ნებსონია თავის საიდულმო ფიქრებს გასცემდა, ასმოდეუსს თვალებში უყურებდა და ცდილობდა არ ეხარხარა. ასმოდეუსი გულდაკოდილ დედას ჰგავდა, რომელსაც თავისი ძვირფასი შვილები ენატრებოდა. შემდეგი საკითხი, რაც ასმოდეუსს აინტერესებდა, სავარაუდოდ, ის იყო, რომ გამოეხატა თავისი დამოკიდებულება ჭკუა-გონებისადმი და დაეცვა თავისი ძვირფასი ზომბები.

– მაგრამ თუ შენ ათანასეს გადააქცევ ვამპირად, შეიძლება მან იფიქროს თავის თავზე.

– შენი შიში უსაფუძვლოა. მე განვავითარე ვამპირის უნივერსიტეტი ვოდკის ხეობის გამოქვაბულებში, სადაც დღის შუქი ვერასდროს აღწევს. ჩვენ ღრმად შევისწავლეთ ნევროლოგია. მე ვიცი, როგორ გამოვიწვიო მეხსიერების დაკარგვა, ამნეზია და სხვა ფსიქიური მდგომარეობა ადამიანებში, ვიდრე ისინი ვამპირიზმს ეზიარებიან. კომპიუტერის ჩიპივით, დრო სჭირდება, სანამ მათ სისტემაში კარგად აიტვირთება. შევისწავლეთ ფარმაკოლოგია და მომგებიანი ნივთიერებაც გამოვიგონეთ. რა თქმა უნდა, ტრანსპლანტაციური ქირურგიის გამოყენებაც შეგვიძლია... განსაზღვრულ დონეზე....შიგნით

ვდებთ ან ვიღებთ ხოლმე ტვინის შესაბამის ნაწილებს ჩვენი სერვისის სამართავად.

– მე არასდროს შევქმნი უსარგებლო ვამპირს. მხოლოდ ინტელიგენტ ადამიანებს გარდავქმნი ხოლმე. არცერთი ვამპირი, რომელიც შევქმენი, არ პაექრობდა ეთიკაზე, მორალზე, მიმტევებლობაზე, სიყვარულზე, მშვიდობასა და ცოდვებზე, როგორც კი მათ სისტემაში წარმატებით აიტვირთა სათანადო არაჰუმანური პროგრამა.

– ერთი ისეთი ნიჭიერი ვამპირიც კი შევქმენი, რომელმაც დატოვა ვოდკის ხეობა და დაიწყო ათეიზმისა და თავისი შეხედულების ქადაგება უღმერთო სამყაროს შესახებ. ვიცი, როგორი წინააღმდეგი ხარ იმ ძალის მიმართ, რომელიც სცდება კაცობრიობას. სწორედ იმან, რომ ეს პიროვნება ოდესღაც კარგად მოაზროვნე, საზოგადოების ეკლესიური წევრი გახლდათ, უფრო მეტი წარმატებითა და დიდებით გაგვამარჯვებინა სინათლეზე.

– ღმერთი ხელს უშლის ბნელი ძალების ნამდვილ პოტენციალს და უნარს, რომ იბატონოს, – დაიღრინა ასმოდეუსმა.

– ამიტომაა ადამიანების გულსა და სულზე ზემოქმედებას მათი ტვინის გამორეცხვით რომ ვაღწევთ, – თქვა ეთაგორია ნებსონიამ. მე თუ ნებას დამრთავთ, ათანასე ვამპირად გარდავქმნა, ის მაშინვე თავს დაანებებს ეკლესიაში სიარულს და მის დახმარებას. არ ექნება რწმენა, ღვთისა და ანგელოზების მიმართ. ის, რაც ადრე სატკივარი იყო მისთვის, ახლა სიხარულის მომგვრელი იქნება. სისხლის სმის მონა გახდება. მაგრამ შენი ზომბებისგან განსხვავებით, ნამდვილად არ ჩამოყალიბდება იდიოტად.

– ჩვენ შეგვიძლია, მისი ხელმძღვანელობის უნარი და ინტელექტი გამოვიყენოთ. ძალიან ბევრი გვავნეს თქვენმა ზომბებმა. მას შემდეგ, რაც ჩვენ აქ ათი წლის წინ ჩამოვედით, ჩვენი მიღწევები მხოლოდ ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც უნდა იყოს. ვერ მიმიგნია ზომბისთვის, შეძლოს, გააკეთოს ის, რასაც მე ვითხოვ. იძულებული ვარ, საქმის უმეტესი ნაწილი

თვითონ ვაკეთო ან კიდევ დამატებით სხვა ვამპირები დავიხ-მარო. ვამპირები ამ შემთხვევაში გაცილებით ფასდაუდებელ-ნი აღმოჩნდნენ.

– ეს ასეც უნდა მომხდარიყო, – კვერი დაუკრა ასმოდეუს-მა. – თქვენ, ვამპირები, შესანიშნავი შემსრულებლები იყავით. ფრთიან ანგელოზებსაც კი ყელში ამოუვიდათ ციმბირი და უარი თქვეს აქ ცხოვრებაზე. თქვენ გაუძელით ამ მავნე კლი-მატს და თქვენი მოვალეობებიც პირნათლად შეასრულეთ. გარდაქმენი ათანასე ვამპირად, მაგრამ გააანალიზე, რასაც აკეთებ. მე შემიძლია, ვიყნოსო მისი თავისუფალი ნება. ისეთი იდიოზურია მომაკვდავი ადამიანის ეს სუნი, განსაკუთრებით – მისი სინდისის, რომ ამაზრზენია ჩემთვის, როგორც ადამია-ნებისთვის საკუთარი მყარი ნარჩენების არასასიამოვნო სუნი. ასეთი სიმყრალე იმის კარგი მაგალითია, თუ როგორია ადამი-ანად ყოფნა. ამ ყველაფრის წარმოდგენაზე ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს ჩაიდანი ათუხთუხებდეს სისხლს ჩემს სხეულში.

– ჩემი აზრით მეც იმავეს გავაკეთებდი. დაახლოებით 200 წლის წინ გავეცი ბრძანება, ადამიანი გარდაექმნათ ვამპირად. ის შეპყრობილი იყო, როგორც თვითონ საუბრისას ამბობ-და ხოლმე, „ორთოპრაქსიით“ – სწორი ქმედების, ანუ სწორი საქმიანობის, სწავლებით. მე ვფიქრობდი, მას უნდოდა, შეეს-წავლა ორთოპრაქსია ძველმოდური, დემონური მიზეზებით, აკადემიური კარიერა რომ გაეკეთებინა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელის პოსტი მოეპოვებინა, სადაც მას გავლენა და კონტროლი ექნებოდა. ორასი წლის წინ მე არ ვფლობდი ინფორმაციას ადამიანის შესაძლებლობებზე. მეგონა, ყველა ერთნაირი იყო. დავიბენი, როცა დავინახე, როგორ იქნა უა-რყოფილი მეძავეები მის მიერ, ყოველგვარი სამედიცინო – იმპოტენციის და სტერილურობის – მიზეზის გარეშე. მეგონა, ჰომოსექსუალი იყო და შევთავაზე ნებისმიერი მამაკაცი, რო-მელიც მას სურდა სექსუალური ლტოლვის დასაყმაყოფილებ-ლად. ის ხმას არ იღებდა.

შევნიშნე, რომ გამოიცა ამ კაცის თესიზები ორთოპრაქსიის შესახებ. მიენიჭა დოქტორის ხარისხი და დართეს ლექციების ჩატარების უფლება. მე მივიღე გადაწყვეტილება, რომ ჩვენ გვჭირდებოდა ვამპირები პოზიციების გასაძლიერებლად. ვერ გადმოვიბირე მე ის ჩვენს რიგებში. მას თავისი ინტერესები ჰქონდა ორთოპრაქსიაში, არსებობის უკვდავი ფაზის შესახებ. ჩემი აზრით, აკადემიურ ხალხს აქვს უნარი, იცხოვროს იქ, სადაც მათი პიროვნების აკადემიური მხარე თავიანთ პირად ცხოვრებაში არ გაჰყვება, რადგან მათ მოსვენებას არ აძლევს ობიექტურობის ნეიტრალიტეტი.

– მერე რა უქენი?

– ის ნასწავლი პროფესორი იყო. მე მისგან ვსწავლობდი. კარგი მოსწავლე ვიყავი, რადგანაც საკმარისი იყო ჩემთვის ერთხელ ეთქვა, და არა ორჯერ. მე მისგან ვისწავლე, როგორ უნდა შეიქმნან ადამიანებისგან მხოლოდ ზნედაცემული ვამპირები მთელი რიგი უზნეობებით, როგორიცაა: დამნაშავეობა, გაუმაძღრობა და კორუფცია. როცა შევხვდებოდი მორალურ ადამიანებს, მათ, მსხვილი რქოსანი საქონლის ცხვრის ტვინიან მეჯოგედ ვაქცევდი ხოლმე.

– ის ვამპირია?

– არა, მასთან საქმის დაჭერა ძნელი იყო. ზედმეტად ფხიზელი გახლდათ და არასდროს იძინებდა. ამიტომ შევქმენი „თეთრი ხელი“ და მივეცი შესაძლებლობა, მე მომმსახურებოდა. „თეთრმა ხელმა“ გამოძერწა ეს უძილო ვამპირი, ასე რომ, ხელახლა არასდროს მომიწევს მისი თავისუფალი ნების მოთმენა. მინდა, დავიპყრო ციმბირის ეს ტერიტორია. ციმბირს თუ ავიღებ, რუსეთი ჩემი იქნება. მძულს, როცა ყალბი დემონები მეფე ვირთხა, მეფე ვირთხაო, მეძახიან, თითქოს მე ვიღაც შეშლილი დემონი ვიყო. მეტი პატივისცემით უნდა მომეპყრან.

– შეეშვი მერე ვირთხების დევნას და ხალხიც შეწყვეტს შენს დაკავშირებას იმ სუნსულა ვირთხებთან! იყავი ჭკვიანი, გაბედული ვამპირების ლიდერი, რომლებიც ინტელიგენტურად იმართებიან ან დაკარგავ ჩვენს რწმენას! ჩვენ ვიფიქრებთ სა-

დმე სხვაგან წასვლას, სადმე – მდიდრულ და გლეხებისთვის ნაკლებად შესაფერის ადგილას. ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ არისტოკრატიულ გარემოს, როგორც წესი და რიგია – სასახლეს და არა ტყეს. „ჩეხოვი“ კარგი ადგილია ჩვენთვის, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია.

– რაც გინდა, ის უქენი ათანასეს, გთხოვ! – თქვა ასმოდეუსმა.

თავი 8

ბოლოს წასულები და ისინი, ვინც დარჩნენ

ლუბას სახლში ტობიასს ძალიან მოუნდა მუსიკის მოსმენა, მხიარული და ამაღლებული განწყობის შესაქმნელად. ლუბას ჰკითხა, ხომ არ ჰქონდა რაიმე მუსიკალური ჩანაწერი, რომ მოესმინა.

– კი, თურქული მუსიკა მაქვს სტამბოლიდან. ვუკრავდი ხოლმე, როცა მოსიყვარულე ოჯახი შევიკრიბებოდით, ერთად რომ გვეჭამა და გვეცეკვა.

– იცი თურქული ცეკვა?

– მთელი ბავშვობა ვსწავლობდი. საოცარი იყო. ჩაის არ დალევ?

– კი, ჩაი კარგი იქნება.

ჩვენ ვცხოვრობთ ჩვენს რეალობაში და საკუთარ თავს ჩავჩურჩულებთ (ვეჩურჩულებით) მანამ, სანამ უფრო დიდი ინტერესი დაგვატყდება თავს. ტობიასმა მზერა შეაჩერა სურათზე, რომელზეც ლუბასა და სავას ქორწინების ბედნიერი დრო ოყო აღბეჭდილი.

– მოიტყორცნე ზღვაში! გადავწყვიტე, არასდროს დავემგვანო მას, – თქვა ლუბამ და მიუთითა ფოტოსურათზე. – რასაც იქ ხედავ, ჩემი და ჩემი ქმრის კავშირს, ის ახლა ფიქციაა; რეალური ცხოვრება ფიქციაზე დაფუძნებული ილუზიაა. როცა გამოდიხარ შენი ილუზიის ღრმა თვლემიდან, გული გიტყდება. სავამ ფიცი დადო, რომ ჩემი ერთგული იქნებოდა. მან ძალზე დიდხანს ისარგებლა ჩემი გულუბრყვილობით. დღეიდან უკვე აღარ ვარ გათხოვილი ქალი. მივიღე გადაწყვეტილება, რომ ერთმანეთს გავშორდეთ.

– დარწმუნებული ვარ, ეს გადაწყვეტილება დღეს არ მიგიღია?

– მრავალი წლის მანძილზე დანაშაულის გრძნობა მქონდა და არ მყოფნიდა გამბედაობა, სავას გავყროდი, რადგან ვფიქრობდი, ეს არასწორი საქციელია–მეთქი. მეგონა, შეიცვლებოდა. მაგრამ სავას არ ვაინტერესებდი. მეორე, რასაც ვფიქრობდი, ემყარებოდა რაბის ნათქვამს, რომელიც ჩემი შემთხვევითი მეგობარი იყო. ჩემმა მეგობარმა ებრაულად მითხრა, *განწმინდეო*. ეს იდეა ლევიტისგან მოდის, 1445 წლის წინ დაიწერა ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მან ამ სიტყვის მნიშვნელობა კარგად განმიმარტა. მინდოდა მეცადა, როგორ შევძლებდი ჩემი ქმრის განწმენდას.

მე ანგარიში გავუწიე ამ ძველ ლევიტურ სიბრძნეს, რომ იქნებ ჩემი ქმრის სიბინძურის ლაქები ჩვენს ქორწინებას მუდმივ ლაქად არ დამჩნეოდა, იქნებ ფუჭად არ ჩაევლო ჩვენს ცხოვრებას. ჩვენი ქორწინება უშვილო გამოდგა. მე უნაყოფო დავრჩი. ასეთ შემთხვევაში გიჩნდება უსიამოვნო შეგრძნება. მე მორჩილი ცოლი ვიყავი. ვცდილობდი, სიბინძურე განმეწმინდა. მაგრამ, ჩემი აზრით, კუზიანს მხოლოდ სამარე თუ გაასწორებს.

ტობიასი ხედავდა, ლუბას, სადაცაა, ცრემლები ღვარად წამოუვიდოდა. მარცხით დასრულდა ის, რაშიც ლუბამ დიდი ენერგია ჩადო და ამდენი დრო შეალია. ტობიასი არ იყო სულელი, ამას ბრმად ვერ მიმხვდარიყო.

– შენ სასურველი ქალი ხარ, ლუბა. მხოლოდ ცივი კაცი არ მოგაქცევს ყურადღებას, უგულო, უგრძნობი და არაწესიერი.

– სრულიად გეთანხმები.

მაშინ როცა ტობიასი და ლუბა, ბოლო ორი ადამიანი, რომელთაც დატოვეს „ჩეხოვი“ და ერთმანეთის გარემოცვაში კომფორტულად გრძნობდნენ თავს, „ჩეხოვის“ ბოლო სტუმრები თავს მშვიდად სულაც არ გრძნობდნენ. გიორგი იმედგაცრუებული იყო ასმოდეუსისგან ეთაგონია ნებსონიის წინაშე მის წარდგენაში.

– მე ამაღამ არაფერი წამიგია. მშვიდად წავედი კომპრომისზე, – განმარტა ასმოდეუსმა, რომ ეჩვენებინა გიორგისთვის, რომ ის კვლავაც აკონტროლებდა ბნელი საქმეების წარმოებას ამ რეგიონში. შინაგანად ასმოდეუსს აღიზიანებდა ვამპირების მიერ ზომბების მკვლელობა. ზომბები უნდა დახმარებოდნენ მას შეპირებული საქმეების შესრულებაში. შეიძლება, ასმოდეუსი ნელი აღმოჩნდა, ხეობის თავისი ადამიანურობისგან გაწმენდის საქმეში, მაგრამ მან ერთი რამ იცოდა, უნდოდა თავისი ზომბები წაექეზებინა, მისი სამუშაო შეესრულებინათ და ისინიც თავიანთი სურვილით დათანხმდნენ. ისინი კომპეტენტური კანიბალები იყვნენ, უხაროდათ, ბევრ ადამიანს რომ ჭამდნენ დღის განმავლობაში. ასმოდეუსმა განიზრახა, ესარგებლა მათი კანიბალური სურვილებით... ერთ დღეს ისინი შიმშილისგან დიდხანს მოთქვამდნენ, ის კი სიამოვნებით ყურს უგდებდა მათ მოთქმას. ერთი შეხედე ამ ურცხვ ვამპირებს, როგორ ჩუმად მოუმზადებიათ სამოქალაქო ომისა და არეულობების წამოწყება ბნელი ძალების სამყაროშიო, გული რისხვით ევსებოდა ასმოდეუსს. ათასობით ბავშვი მსხვერპლად შეწირა ამ ყველაზე სისხლიან კანიბალურ ომს. ბნელი სამყაროს ომის მბრძანებლებმა ვერ შეძლეს მისი შეფასება. „ჩემი პირადი გეგმები კაცობრიობის პრობლემების შესახებ ჩინებული იყო. მინდოდა, კაცობრიობა გამესუფთავებინა თანდათან. მინდოდა, სამყარო ორ კატეგორიად დამეყო და ისინი ორ ბანაკში მომეთავსებინა: სიკვდილისა და შრომის ბანაკებში. მინდოდა შემემსუბუქებინა ადამიანების სასიკვდილო მელკერიშასეული გეგმა, რომელიც მიმართულია კაცობრიობის განადგურებისკენ. ვამპირების ამ ურცხვი ნახირის მისწრაფება, უკვდავი მუქი რასის განათლებული ყაიდის შესაქმნელად, სწორი არაა. მელკერიშას უნდა, მხოლოდ ბოროტი ინტელექტები იყვნენ დემონების უმაღლესი ბრძანებების გამცემნი. ეს ვამპირები უთუოდ თვითონ გაითხრიან საკუთარ საძმო საფლავს.“ ასმოდეუსს ეშინოდა ღიად დაპირისპირებოდა ვამპირებს, რომლებიც ასე ადვილად ხოცავდენ მის ზომბებს.

გიორგიმ ასმოდეუსი მიახედა იმ მხარეს, სადაც „თეთრი ხელი“ უსაქმოდ ესვენა მის გვერდით (მაშინ როცა მას, სავარაუდოდ, ათანასე უნდა დაენაკუწებინა, ან იქნებ მისთვის უბრალოდ დამოუკიდებელი აზროვნების უნარი მოეცილებინა). გიორგი ცდილობდა, ასმოდეუსთან თავისი იმედგაცრუება არ გაემჟღავნებინა.

იმედგაცრუება ორმხრივი იყო. ასმოდეუსი მიხვდა, რომ გიორგის უნდოდა, გამორჩეული ყოფილიყო. მას ცხოვრებაში არაფერი გაეკეთებინა. ჩვეულებრივი ხელმოცარული ვინმე გახლდათ, რომელსაც უნდოდა, გამხდარიყო განსხვავებული, სრულყოფილი. მას უნდოდა, თავი დაეღწია იმ კავშირებისთვის, რომელიც ასოცირდებოდა ჩვეულებრივი, ამაღელვებელი ცხოვრების ბორკილებთან. აი, რატომ დაინტერესდა ის ჯადოქრობით.

ასმოდეუსისთვის გიორგი ზომბებზე მეტად გონებაჩლუნგი იყო. შეხედავდი თუ არა, ადვილად შეაფასებდი მის შესაძლებლობებს. ის ერთ-ერთი ჩვეულებრივი ადამიანი იყო, რომელიც არაადამიანური უსაქმურობის და დაუკმაყოფილებელი ცხოვრების არაფრით გამორჩეული არსებობის გამო სიბნელეში ჩაინთქა და ყველანაირ დისფუნქციურს, პათოლოგიას და მავნებლობლობას გადასწვდა.

ასმოდეუსმა აწონ-დაწონა ვამპირები, რომელთაც დაჰკარგვოდათ პატივისცემა მის მიმართ. მის ზურგს უკან ისინი თავისუფლად გრძნობდნენ თავს და ეთაგორია ნებსონიას მის შესახებ თავიანთ ნამდვილ შეხედულებას აწვდიდნენ: ასმოდეუსი უსარგებლო, ყოფილი დემონია. მართალია, ბრდღვინავს, მაგრამ ნუ დაფრთხებით! მან მთელი პოტენცია დაკარგაო. ეს სიტყვები როგორ წაახალისებდა მათ, ისინი სასაცილოდ აიგდებდნენ და მოისტყორცნიდნენ მის საყვარელ ზომბებს ორმოში, სადაც ისინი ვირთხებივით შეესეოდნენ და დაჭამდნენ ერთამანეთს.

– გიორგი, – უთხრა ასმოდეუსმა.

– დიახ, ბატონო?

– შენი გონებისთვის ეს დიდი არაფერია, რომ ჩასწვდე.

მიუხედავად იმისა, რომ მას ამოწურული ჰქონდა სურვილი თავისი ფიქრები ვინმესთვის გაეზიარებინა, ასმოდეუსი მაინც ყოყმანობდა. რატომღაც გაიფიქრა, იქნებ გამოვიძახო დემონები და ვთხოვო მათ, ვამპირებს სისხლიანი ალყა შემოარტყანო.

ასმოდეუსი წამიერად დააფიქრა უილიამ ბლეიკის ლექსმა – „უდანაშაულობის წინასწარმეტყველებანი.“ მას ცხადად წარმოუდგა ეს ვამპირები – დამარცხებულნი, განადგურებულნი, უმწეონი, როგორ სთხოვდენენ მას პატიებას. ის კი – ძლევამოსილი დემონი ასმოდეუსი – ვოდკის ხეობის ვამპირებს ქვესკნელში ყრიდა ზუსტად ისე, როგორც ისინი ასმოდეუსის საყვარელ ზომბებს ექცეოდნენ. გათენებას დაელოდებოდა და შემდეგ თავისი მეგაფონით გახარებული დააანონსებდა ისევ და ისევ ციტატით ლექსიდან „უდანაშაულობის წინასწარმეტყველებანი“: „ზოგი უსასრულო ღამეს იბადება.“ ამ ფიქრებში გართულს, თავშეუკავებელი სიცილი აუტყდა. ასმოდეუსი ყოველთვის მთლიანად წვავდა და ჭამდა ტვინს. ამით თავს იზღვევდა, ჩემ გარშემო მხოლოდ რამდენიმე ინტელიგენტი თუაო. დანარჩენები მუნჯები იქნებიან და გავლენის ქვეშ ადვილად მოექცევიანო. ის ინტელექტს უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე – საკუთარ თავს. ამიტომ მისი დევიზი, ტვინის მთლიანად ჭამა გახდა .

ასმოდეუსს გარკვეული ნაღველი შემოაწვა. მას ძალიან აღაშფოთებდა და აღიზიანებდა ნებისმიერი არსების მდგომარეობა, განსაკუთრებით – მომაკვდავის, რომელიც გრძნობდა, რომ მას შეურაცხყოფა მიაყენეს. მოაგონდა, როგორ უყვარდა ხოლმე შემწვარი ტვინით ზომბების გამასპინძლება, განსაკუთრებით თავის ერთგულ მეგობარ, „თეთრ ხელთან“ ერთად, რომელიც ეხმარებოდა სტარტერის მომზადებაში ან ტკბებოდა დანაწევრებული, ნედლი ნაწილების სუნით და დასცინოდა „თეთრ ხელს“, როცა ის დემონს ადანაშაულებდა ასეთი გაბედული შავი იუმორის ქონაში. ეს მისი საყვარელი მოგონებები იყო. ჩემი მეგობარი ზომბები იმსახურებენ შურისძიებასო, და-

ასკვნა მან და გადაწყვიტა, გიორგისთვის თავისი ფიქრები არ გაეზიარებინა, რადგანაც მას ეჭვი ჰქონდა, გიორგი ენას ვერ გააჩერებდა და ეს ამბავი, გადახსნილი ვენიდან ღვარად წამომსკდარი სისხლის მსგავსად, გავრცელდებოდა.

ასმოდეუსს გულს ურევდა ვამპირების ვითომ ჰუმანურობა, რითაც ისინი ათანასეს ექცეოდნენ. ნაცვლად იმისა, რომ მასზე გავლენა მოეხდინათ მაშინ, როცა მას ჯერ კიდევ საღი გონება და ტკივილის შეგრძნება ჰქონდა, ნარკოტიკს უკეთებდნენ, რომ ცნობიერება დაეკარგა. ათანასეს ვამპირად გარდაქმნის მთელი პროცესი ვამპირებს კვირაობით პარკში ჩვეული გასეირნების მსგავს სიამოვნებას ანიჭებდა.

ადგილობრივ მცხოვრებლებს ეჭვი რომ არ აღძვროდათ, დილის სამის ნახევარზე მოადგა მათ ორი სატვირთო მანქანა, კუბოებით დატვირთული, რომლებშიც ვირთხები იყვნენ ჩასმული. უკვდავი ადამიანებიდან ყველაზე მეტად მოკვდავი შესახედაობის ადამიანები მართავდნენ სატვირთოებს.

– როგორც იქნა! – თქვა ვაჟა ვულგარმა, რომელიც ერთ სატვირთოს მართავდა. – მეტად აღარ ვიცხოვრებთ ასმოდეუსის უღელქვეშ მიწისქვეშა ბუნკერებსა და გამოქვაბულებში, სადაც არც სითბო და არც კომფორტია.

თავისი ავტორიტეტის ასეთ უპატივცემულობას რომ ხედავდა, ნუთუ მართლა უძლური ვარ, როგორც ისინი ამბობენო, დაუსვა ასმოდეუსმა შეკითხვა თავის თავს. „ნუთუ ავტორიტეტის აურა დავკარგე? ნუთუ უფრო ნაკლებად ვიტან იმ იდიოზურ სიბნელეს და განადგურებას, როგორსაც ადრე ვთავაზობდი ამ სამყაროს? მახსოვს, ფრთიანი დემონები ვერასდროს ბედავდნენ ჩემს შეწუხებას.....”

ორმოცი წლის წინათ დემონის შიკრიკმა დაკარგა მნიშვნელოვანი ბარათი, რომელიც მასთან მოჰქონდა. როცა ის ამოდეუსს შეხვდა, ასმოდეუსმა სრულიად მშვიდად მიიღო. შიკრიკი რაღაც აუტანელ და გაუსაძლის განცდებში იყო, მიუხედავად იმისა, რომ ასმოდეუსს მისთვის არც თითი დაუქნევია და არაფერი უთქვამს – მხოლოდ შეხედა.

ოდესღაც სხვა ფრთიანმა დემონმა ასმოდეუსი დაინახა გაბრაზებული, მედიტაციურ ტრანსში და შეაჩერა. მან შეისწავლა ასმოდეუსის გარემო. ასმოდეუსსის ბრაზს ისეთი ძალა ჰქონდა, რომ წმინდა კაცები განაწყენდნენ და დაიწყეს გმობა იმ ხალხისა, რომლებიც ადგილობრივ ცეცხლოვან ჯოჯოხეთში ცხოვრობდნენ. რისხვა სენივით გავრცელდა. ადგილობრივმა ხალხმა იწყო ბრძოლა ერთმანეთის წინააღმდეგ წვრილმანების გამო, როგორც აღიარეს, არც იცოდნენ რისთვის იბრძოდნენ. მაგრამ ისინი გრძნობდნენ ბრძოლის მოჭარბებულ აუცილებლობას.

გამოიძახეს დემონების მთელი გუნდი, რომელიც დევნიდა იმ ხალხს, ვისაც სისხლი უდუღდა. დაიწყეს ამბოხი და შენობების გადაწვა. დემონებმა გაანადგურეს ყველაფერი. როცა ასმოდეუსმა ქაოსის შედეგი გააანალიზა, ნასიამოვნები დარჩა თავისი ნამოქმედარით.

თავის მიერ ინსპირირებული ნგრევის მაშტაბს რომ წარმოიდგენდა, ის მხოლოდ თავის ძალაუფლებაზე ფიქრობდა. „არასდროს არავის უჩვენებია ჩემთვის, რომ ჩემზე გამარჯვებას შესძლებდა," ამბობდა ის თავისი ნგრევით კმაყოფილი, „რატომ მეშინია მე სინათლის ძალის?"

ესენი მისი ამჟამინდელი ფიქრები კი არ გახლდათ, არამედ – ადრინდელი, მისი დემონური აზროვნების დროინდელი. პასუხი ვერ გასცა, უბრალოდ დაფიქრდა, კიდევ რისი გაკეთება შეეძლო. მას არასდროს დაუყენებია ეჭვქვეშ თავისი წარმომავლობა ან ბოროტების წარმოშობა. დასაშვები იყო ძალაუფლების განხილვა. ძალაუფლებას მოწყურებული მომაკვდავები ხშირად მიმართავდნენ ასმოდეუსს, რომ მათთვისაც გაენაწილებინა ეს ძალაუფლება. მას შეეძლო, ემსჯელა, ეშმაკი და მისი მიმდევრები, რომელთაგან ერთ-ერთი თვითონ იყო, როგორი დაუძინებელი მტრები იყვნენ კაცობრიობისა.

ჯადოქრობის დოქტორის შემთხვევამ დაადასტურა, თუ როგორ სძულდა ასმოდეუსს სხვისთვის რაიმეს განაწილება. ჯადოქარი ასრულებდა რიტუალებს – მეხვერპლად შეწირვას

და სხვა წესებს, რომლებსაც შემდეგ სატანისტები ინაწილებ-დნენ. ასმოდეუსმა აცნობა ეშმაკს, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ამ კაცმა.

ეს დოქტორი ოფიციალურად იყო დანიშნული ეშმაკებისა და დემონების შესასწავლად, რომ მოემზადებინა დისერტაცია თემაზე: სატანიზმი, დემონოლოგია, მანიპულაცია, კორუფ-ცია, სიხარბე, მასობრივი განადგურება და მათი როლი პო-ლიტიკურ ადმინისტრირებაში. აღმოჩნდა, რომ ჯადოქრობის დოქტორს უნდოდა არაორდინალური სწავლული გამხდარი-ყო. როცა მისი დისერტაცია წარედგინა სატანისტთა საბჭოს, ის მეორეხარისხოვნად იქნა შეფასებული. მას აუხსნეს, დისე-რტაცია ხელმეორედ დაეწერა მოკვდავი მოსახლეობისთვის და ყურადღება გაემახვილებინა ერისკაცობაზე. ეს იდეა ახალ ეპოქას შეესაბამებოდა და აბსოლუტურად არანაირი მინიშნე-ბა არ იქნებოდა ბოროტებაზე, სატანიზმსა და ამორალობაზე.

ასმოდეუსმა განუმარტა, სულისკვეთებას ყურადღება პა-ტარა ასაკიდან მიაქციეო. მათ საკუთარი თავის განდიდების, თაყვანისცემისა და სხვებზე უფროსობისკენ მოუწოდეო. ჩვენ ასე მოგვწონსო.

ჯადოქარმა დიდებულად შეასრულა დავალება. ადამიანის მოკვლის, ანუ ცოდვის ჩადენის გარეშე, მან შეასრულა სამუ-შაო, რომელიც კარგი რეპუტაციის მქონე გამომცემლების მიერ მაღალი სტანდარტების მქონე ნაშრომად შეფასდა (რომ-ლებიც იმას ნატრობდნენ, რომ აღმოეჩინათ ისეთი ნაშრომი სენტიმენტალურ ნაწარმოებთა დასტაში, რომელსაც ისინი უფრო რეგულარულად გამოსცემდნენ, რათა გავლენა მოე-ხდინათ სამყაროს მიმართულების არჩევანში).

მისმა გამოცემულმა ნაშრომმა ჯოჯოხეთი აღაგზნო. კა-რგად დაწერილი, მასობრივი აუდიენციისა და კრიტიკოსების მიერ კარგად იქნა მიღებული, ითარგმნა მრავალ ენაზე, რომ-ლებიც ამ სამყაროს ბაბილონის კოშკისგან ერგო მემკვიდრე-ობად. ამ ნაშრომს უფრო მეტი დაბნეულობა უნდა გამოეწვია იმ ადამიანებში, რომელთაც უკვე მრავალენოვან გარემოცვა-

ში უწევდათ მუშაობა. ასე, მოუწოდა მან გამორჩეულ საგამომცემლო პრესას, რომ დაეპყროთ მსოფლიო თავიანთი ნაწარმოებებით. მათი გმირობით, მაღალი ხარისხის ნაწარმოებების გამოცემაში (ჩვეულებრივი ბეჭდური პრესის პარალელურად და ურეიტინგო წიგნების გვერდით, რომელთაც თაროები გადატენეს) უნდა ეჩვენებინათ მსოფლიოსთვის ახალი ტიპის წიგნი, რომელსაც ეყოლებოდა მკითხველი. ჯოჯოხეთის მეპატრონემ, რა თქმა უნდა, ეს სპეციალური პროექტი ფართოდ გაავრცელა და ამით კარგად სარგებლობდა. ყველა ამ ნაშრომს ისეთი შესანიშნავი აღიარება ჰქონდა, რომ უპრობლემოდ გახდა შესაძლებელი მსოფლიო საგამომცემლო სახლების შესყიდვა და კონტროლი.

ვინაიდან შემდგომი მოვალეობები არ მიუღია (რადგანაც ჯოჯოხეთის ელიტა ზედმეტად აღფრთოვენებული იყო მისი წვლილით), ჯადოქარმა დაიწყო ლექსების წერა და გამოქვეყნება. ჯადოქარმა არ იცოდა, რომ მისი ლექსების მკითხველთა უმეტესობა ჯოჯოხეთში იყო. რაკი არაფერი ისმოდა ლუციფერის, ასმოდეუსისა და სხვა დემონებისგან, მან იფიქრა, ჯოჯოხეთმა მიმატოვაო. ერთმა მისმა დაწერილმა ლექსმა გააღიზიანა ასმოდეუსი, რომელსაც პოეზიის არაფერი გაეგებოდა. ამ ლექსის წაკითხვისას მან ჯოჯოხეთი წარმოიდგინა ძალაუფლების მარადიული სურვილის მდგომარეობაში, მაგრამ სინათლის ძალების მიერ შევიწროებული. დემონები პოემაში აღწერილნი იყვნენ, როგორც დიდი სურვილის მქონენი, მუდმივ ჟინს აყოლილნი, მაგრამ დეზერტირობის მდგომარეობაში მყოფნი, რომელთაც არ ძალუძდათ თესლის მიწაზე მიბარება, რადგანაც ისინი შექმნის პროცესის საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ. ის წერდა საჭურისების შესახებ სასახლეში, რომლებიც ვერასდროს მიიღებდნენ იმას, რაც მათ სურდათ ან თუკი ჰქონდათ, უძლურნი იყვნენ დაუფლებოდნენ იმას, რაც მათ სურდათ. მათი სურვილის ობიექტი ყოველთვის გაცრუებული იქნებოდა. საჭურისებივით ისინი ვერაფერს აკეთებდნენ. ჰარემში მრავლად იყვნენ მიჯნურები, რომელთაც სწადდათ

ნაყოფიერება, მაგრამ ისინი ძირითადად საყვარლებს ემსახურებოდნენ, მათი არასექსუალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად განწირულნი, მათი სხეულის ნაწილი გამხდარიყვნენ, ვისაც ემსახურებოდნენ.

ჯადოქარმა ზღვარს გადააჭარბა და ძალიან გაანაწყენა ასმოდეუსი, რომელმაც ლუციფერთან ერთად მიიღო გადაწყვეტილება, მისთვის ჭკუა ესწავლებინათ. ჯადოქარმა დაკარგა თავისი ყველანაირი ძალაუფლება. სინათლის ძალების დახმარების გარეშე ტკივილებით განაწამები მიიცვალა და ჯოჯოხეთის ყველაზე ქვედა ფენაში განამწესეს, რომ ყველაზე ბინძური სამუშაოები ეწარმოებინა, რომელიც გამოჩნდებოდა დანარჩენი მარადისობის გადასარჩენად.

თავი 9
ტრანსფორმაციის შიმშილი

ლუბას დაავიწყდა დემონის ტრაბახი, რომ *მე დავიპყარი*, განვადიდე ღამის ზეცა, სლავური და ემოციური ზემოქმედება, რამაც ასეთი ზეგავლენა მოახდინა მასზეო. საწყენია, რომ ასეთი დამპყრობლის გამარჯვება კაცობრიობისთვის უკიდურესი საფრთხის შექმნას ნიშნავს; ეს მოსვენებას არ აძლევდა ლუბას. ვირთხის ფუთფუთი „ჩეხოვში“ იმას მიანიშნებდა, რომ ვოდკის ხეობაში სიბნელემ დაისადგურა. სიბნელე ძლიერმოქმედიაო, დაასკვნა ლუბამ, და ახლა თავდაჯერებულობის შეგრძნებამ, რომ შეეძლო, შესულიყო ვოდკის ხეობაში, ის უფრო თამამი და ძლიერი გახადა. მიუხედავად იმისა, რომ სიამოვნებას ჰგვრიდა ტობიასის გვერდით ყოლა, იცოდა, ეს დროებითი იყო. ტობიასი თავის უსაფრთხოების პოსტს დაუბრუნდებოდა, თვითონ კი თავის დაბადების ადგილს – თურქეთს. დიდი ხანია, მისი ოჯახი მის დაბრუნებას ელოდა და დარწმუნებული იყო, თბილად მიიღებდნენ.

ათანასემ, „ჩეხოვის“ სახემ (ოფიციანტმა, მენეჯერმა, სასტუმროს მფლობელმა), მთელი ღამე უხალისოდ განცდებში გაატარა, რადგან იქაურობა დაიხურა. ამას მოწმობდა მაღაზიის წინა მხარეს, აბრაზე, მითითებული ოფიციალური მიზეზი: *დაიხურა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და უსაფრთხოების პრობლემების გამო.* „ჩეხოვის“ ფანჯრები, საიდანაც სინათლე შემოდიდა, დაილუქა. დილის ხუთ საათზე ხუთი საატვირთო მანქანა მოადგა რესტორანს. ვიდრე ვოდკა ვილიჯს ეძინა, სასტუმროში კუბოები შეიტანეს. პლასტმასის ბოთლებში ჩასხმული სისხლი ათანასესთვის სხვა სისხლის ბოთლების

გვერდით ეწყო, რომლებიც სატვირთო მანქანებმა მოიტანეს და სხვა ვამპირებს უნდა მოეხმარათ.

გათენდა. დღის საათები არ ჰგავდა „ჩეხოვის“ შესაბამისი დროის მონაკვეთს. ცხოვრებას, საყოველთაოდ ცნობილსა და გამოცდილს კაცობრიობის მიერ, არ შეეძლო, თავისით გადაეკვეთა ეს ზებუნებრივი ზღურბლი. როცა ათანასეს გამოეღვიძა, ჩაბნელებული რესტორანი იყო სწორედ ყველაზე დაცული ადგილი, მისი ახალი ბუნების შესატყვისი. პირველი, რაც მას უნდოდა გაეკეთებინა, იყო ის, როგორც ყოველთვის, ფანჯრები გაეღო. მაგრამ ვამპირებმა, რომელთაც მასზე ზედამხედველობა ევალებოდათ, ის იატაკზე გააკრეს. ამ ფიზიკურმა ზეწოლამ ათანასე გააბრაზა, რაც იმის მიზეზი გახდა, რომ თვალები ჯოჯოხეთის ცეცხლივით, წითლად აენთო და კბილები დააღრჭრიალა.

– ამ წამიდან აკონტროლე შენი ბრაზი, – გააფრთხილა ეთაგორია ნებსონიამ, რომელიც ბარის დახლიდან გამოვიდა, ბოთლების თვალიერებით გართული, რომლებშიც წინათ ალკოჰოლი, მაგრამ ახლა სისხლი ესხა.

ათანასეს იქნებ შეეშალა, და ფილანტროპი ბარის მფლობელი ადამიანური თავაზიანობით აწვდიდა რძეს, ნაცვლად შემთხვევითი დონორებისგან გამოწრეტილი ცოცხალი სისხლისა, რომლებიც ბოთლებში იყო ჩამოსხმული თავისი ფავორიტებისთვის. მას შეეძლო, ისიც წარმოედგინა, ეთაგორია როგორ დააანონსებდა, „ჩეხოვში“ პირველი ვამპირების ბარი გაიხსნა ბიზნესისთვის და სასმელები უხვადააო.

შენიშვნამ ათანასეს ფიქრი გააწყვეტინა. ნაცვლად იმისა, ვამპირს ბარის შესახებ საჯაროდ, სიხარულით გამოეცხადებინა, ეთაგორიამ განმარტა თავისი ახალი ფავორიტის მდგომარეობის დეტალები: – მთავარია, აკონტროლო შენი ემოციები. როცა ამის გაკეთებას შეძლებ, მაშინ ჩვენი საზოგადოების საჭირო და ღირსეული წევრი გახდები. შენ ახლა ერთი ჩვენგანი ხარ, ზედმეტად უცნაური გარესამყაროსათვის. ჩაიხედე ბარის სარკეში და მითხარი, ვცდები?

ვამპირებმა ათანასე სარკისკენ წაათრიეს, სადაც თავის გამოსახულებას რომ შეხედა, სიძულვილმა დარია ხელი. – ვინ ..... რას წარმოვადგენ ამქვეყნად? დემონი ვარ თუ ვინმე შეშლილი? მკვდარი ვარ? – იკითხა მან ყოყმანით.

– ვერაფერი გვიშველის. რაცა ვართ, ეგა ვართ. უნდა შევეგუოთ იმას, რაცა ვართ, – თქვა ეთაგორია ნებსონიამ. ხმის ტონით ხაზი გაუსვა იმას, რომ მეტი ნაწილი, რასაც ვამპირიზმის შესახებ წერენ, არის მითი, რადგანაც არავინ იცის მისი ნამდვილი წარმომავლობა და ბუნებაო.

– ახლა მოსვი ეს, დაგამშვიდებს! – მიაწოდა ფინჯანი სისხლი ჯუჯა ვლადიმირმა.

– რას წარმოვადგენთ? რა მივიღე?

– არ შემიძლია, შენს შეკითხვას გავცე პასუხი, – თავი გააქნია ვლადიმირმა.

ეთაგორიამ გადაწყვიტა, ყველაფერს აჯობებს, მარტო დავრჩე ათანასესთან და შევეშველო ფსიქოლოგიური და ხასიათის ცვალებადობის პროგრამის სწრაფ ატვირთვაშიო.

– ვამპირებო, გადით ოთახიდან და კარებთან ნუ დაგვიგდებთ ყურს!

ვამპირები ოთახიდან რომ გავიდნენ, ათანასეს მათმა ლიდერმა თვითონვე წარუდგინა თავი, მე ეთაგორია ნებსონია ვარ და შენ მე მეკუთვნიო.

– ეს რატომ არის ასე, ეთაგორია?

– იმიტომ რომ ტვინი, რომელსაც იყენებდი, ამოგაცალეს, ვიდრე უტვინო ზომბად გადაიქცეოდი. გახსოვს რაიმე შენი ვირთხების პრობლემებისა და გიორგისთან, ასმოდეუსის მსახურთან, შენი შეჯახების შესახებ? .... თუ ეს ყველაფერი დავიწყებას მიეცა?

– მკვდარი ვარ?

– არანაირად! პოტენციურად უკვდავი ხარ.

– კი, მაგრამ, სახელდობრ, რა ვარ მე ?

– მოდი, ლოგიკურად გავაანალიზოთ!

– მე მინდა, განვაახლო ჩემი სამუშაო „ჩეხოვში“.

– ამას ვერასდროს შეძლებ. „ჩეხოვი“ მხოლოდ შენი თავშესაფარი იქნება.

– თავშესაფარი რატომ? საფუძველი?

– ისეთივე დაავადება გაქვს, როგორიც ჩვენ, ყველას.

– გარეთ მინდა გასვლა, დღის სინათლეზე. ვნახავ ჩემს ოჯახის ექიმს, რომელსაც შეუძლია ჩემი განკურნება.

– ეს მდგომარეობა მკურნალობას არ ემორჩილება. ჩვენ გამოუვალ მდგომარეობაში ვართ.

– *დამიმტკიცე*, რომ ეს დაავადება მაქვს.

– ძალიან მტკივნეულია ჩემთვის ამ იშვიათი ფოტოსენსიტიური მდგომარეობის დემონსტრირება.

– რა?

– ჩვენი ეს იშვიათი დაავადება პორფირიას მსგავსია.

– ანუ ეს კეთრივითაა?

– არა, მაგრამ, პორფირიანის მსგავსად, ალერგიული ხარ დღის სინათლისადმი. ეს სასიკვდილოა.

– ეს აბსურდია. გონივრული ადამიანი ამას არ დაგიჯერებს. ჯერ კიდევ გუშინ გავედი დღის სინათლეზე.

– არ ხარ იგივე პიროვნება, რაც გუშინ იყავი. ვერც ერთი ჩვენგანი ვერ ბედავს გარეთ გასვლას. ჩვენ სულელები კი არა ვართ, იკაროსივით, ათასეული წლების წინ. ჩვენ ვაფასებთ თვითშეფასებას. რატომ გინდა იყო განსხვავებული?

– მე ცვილისგან არა ვარ ჩამოქნილი. ყოველ შემთხვევაში, მე საზიზღარი ვარ?

– ალბათ, მაგრამ *ოფიციალურად* არასდროს არავის დავუმცირებივართ. ბევრი არც მე გამეგება. ვამპირებს გვეძახიან, მაგრამ მე ყველაფერი არ ვიცი ჩვენი ზნის შესახებ.

– ჩვენ დემონები ვართ? ბოროტები ვართ?

– ალბათ, მაგრამ, როდესაც მიაღწევ რამდენიმე ასეულ წელს, ნახევრად გარდაცვლილის სტატუსით, მერე უკვე თავს ანებებ იმაზე ფიქრს, რა არის კარგი და რა –ცუდი. ის რატომღაც დამღლელი და მოსაწყენი ხდება მსგავსად წინა დღის ახალი ამბისა. მე მინდა, შევქმნა *დემონების მეგობრული* სა-

მყარო, სადაც კარგისა და ბოროტის დაყოფას ადგილი არ ექნება. ეს იქნებოდა ჯოჯოხეთური ადგილი, მაგრამ ვერავინ შეძლებდა ჩვენს შეწუხებას. ჩვენ, ვამპირები, თავისუფლები ვიქნებით.

– ჩემ გარდა ვინმეს უთქვამს შენთვის, როგორი გიჟური, დიქტატორული და უსამართლოა ეს ყველაფერი? – ათანასე დაჟინებით მიაჩერდა ეთაგორიას და ამით გამოხატა თავისი დამოკიდებულება. – თითქოს ჭკვიანური არსება ხარ. თუკი ასეთი ბოროტი ხარ, მაშინ რატომ ცდილობ ჩემზე ლოგიკით ზემოქმედებას?

– ბოროტი ის კატეგორიაა, რადაც მე ვიქეცი. მე არ მიცდია, მქონოდა ჩრდილოვანი რეპუტაცია. ვისწავლე, მყვარებოდა ადამიანის განათლება, გონებრივი უნარი, გამოძიების წარმოება. მე მიყვარს ცივილიზაციური რამეები – ხელოვნება და კულტურა და, რა თქმა უნდა, ღრმა აზროვნება. მაგრამ არ ვარ ადამიანი.

– თუკი ამდენი რამე იცი, რატომ ვერ ერკვევი შენს ჭეშმარიტ ბუნებაში? რატომ არა ხარ დარწმუნებული საკუთარ თავში?

– მე უბრალოდ თვითონ არ ვიცი. შენ მკითხე, ვარ თუ არა ბოროტი. მე ვიყავი დემონების, კანიბალების, ზომბებისა და ეშმაკის გვერდით იმიტომ, რომ ვფიქრობდი, ამ გზით ჩემი მოდგმისგან განვთავისუფლდებოდი. ლოგიკა და ცოდნა ამტკიცებს, რომ სინათლემ უკვე უარგვყო ჩვენ. ჩვენ დაღუპულები ვართ და თავს ვერ გადავირჩენთ. ძალიან უცნაურები ვართ. ჩვენი თანდაყოლილი შიმშილი, აკვიატებული ფიქრები და ფიქსირებული ბუნება გვაიძულებს, ვიყოთ ძალიან უცნაური. ჩვენი ამ უცნაურობის გამო ვინ გვამყოფებს ჩვენ კომფორტულად და ვინ დაგვრთავს ნებას, ვიცხოვროთ მათ შორის? რაც შეეხება მასებს, იმდენად გამონაკლისები ვართ, არ გვღებულობენ. უმცირესობების თანაარსებობა უმრავლესობასთან ყოველთვის პრობლემატურია. იმ უმცირესობიდან იყო ასე უცნაურად განსხვავებული, ეს ყველაზე მძიმე არსებობაა.

– მე რა მევალება, აქ გავაკეთო?

– ძალიან ცოტა რამ ... სანამ რაიმეს არ გაცნობებ. გეკრძალება ადამიანების მკვლელობა და მათი სისხლის გამოყენება. არ უნდა აღძრა ეჭვი სამართალდამცავთა შორის. ამას ემატება ისიც, რომ ეს ქცევა ასწავლის ჩვენს ბუნებას თავშეკავებას. თუ არ დაემორჩილები ჩემს ბრძანებებს და გაგაძევებენ, ეს ძალიან ცუდად აისახება ჩემზე, როგორც ციმბირის ვამპირების ლიდერზე.

– მაშასადამე, რითი უნდა ვიკვებო?

– ჩვენ აქ ვინახავთ ცხოველების, ზოგჯერ კი ადამიანების სისხლს. რომ იცოცხლო, ის უნდა დალიო. მე ამას ვეძახი ადამიანის ვეგეტარიანობას, როცა ვამპირი ვერ ღებულობს კმაყოფილებას მისი მოხმარებისას.

რამდენჯერმე ლაბორატორიაში ვიმუშავე უკეთესი ალტერნატივისთვის. კვლევა და განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია ჩემი დანაყოფისთვის. არაერთხელ განვიცადე მარცხი. ხელი ჩავიქნიე, რომ შევქმნით ისეთ პროდუქტს – ხელოვნურ სისხლს, რომელიც მოგვიკლავდა შიმშილს და შექმნიდა დანაყრების იმიტაციას. ამაზე ნამდვილად მე ვიღებ პასუხისმგებლობას. მომენდე, ჩვენ გამოგკვებავთ და შეგინახავთ კიდევაც. რაც შენ ახლა უნდა გააკეთო, მხოლოდ ისაა, რომ კარგად დაისვენო.

ათანასეს არაფერი უთქვამს, როცა მას თავისი თეთრი კუბოსკენ მიუთითეს.

– იძინე თავდახურულში! – განუმარტა ეთაგორიამ. მიენდე შენს ინსტინქტს! შინაგანი ხმა თვითონ გიკარნახებს, როცა დაბნელდება. შეგრძნებები ადრინდელზე უფრო გამძაფრდება. ეს არის სრულიად ახალი მდგომარეობა. ამას უნდა შეეგუო. მალე ჩვენი პროგრამა სრულად აიტვირთება შენს ტვინში და მეტად აღარასდროს იფიქრებ სინათლეზე. მთლიანად უნდა შეეგუო ამ მდგომარეობას.

ათანასეს კუბოს თეთრი სახურავი დაიხურა თუ არა, ვაჟა ვულგარმა გამოიძახა ეთაგორია ნებსონია, რომ მას მოთათბი-

რებოდა, ათანასეს ცხოველის სისხლი მიეცი, ამ ოთახში შემოდი, ვილაპარაკოთო; და მან ეთაგორიას ანიშნა ოთახზე, სადაც ორ უხუცეს ვამპირს განცალკევებულად შეეძლო ესაუბრა.

– იცი შენ, მე ასწლეულები დამჭირდა, ცხოველის სისხლის გემო დამეგემოვნებინა. ჩვენ განსაკუთრებული ჯგუფი ვართ, რადგანაც ჩვენ დიდხანს შეგვიძლია გავძლოთ ადამიანის მოკვლის გარეშე. ხომ იცი ათანასე ახალშობილია.

– მე ვენდობი ჩემს სამუშაოს. მან დაიმსახურა, იყოს მორჩილი ვამპირი, და მეტიც– დრო გაჩვენებს, რომ მე მართალი ვარ.

მიუხედავად იმისა, რომ ათანასე საშინლად ვერ იყო გუნებაზე თავისი ამ საძაგელი, არასასურველი ტრანსფორმაციის და შინაგანი გაუცხოების გამო, დაიხურა თუ არა ყუთის თავსახური, დაუოკებელი სურვილი გაუჩნდა, თვალი დაეხუჭა და თვალდახუჭული ყოფილიყო. სხეული ქვასავით დამძიმებოდა. მწვავედ გრძნობდა, როგორ უდედდებოდა სისხლი ძარღვებში, რომელიც ვიზუალურად ძალიან წააგავდა სტალაქტიტებსა და სტალაგმიტებს, ვიდრე გულის სარქველები და სატუმბი შენელდებოდა და გამოირთვებოდა. და დანამდვილებით გრძნობდა, რომ ძალიანაც რომ სდომოდა, ვერცერთ კუნთს ვერ გაატოკებდა. ყველა მოტივი გაქრა, დაადამბლავა კუბოში პირველად ყოფნის გარემოებამ. რაც შეეხება ძილს, მოვიდა სრულიად ცივი და სრულიად ბუნებრივი – გამყინავი სიმტკიცით.

ათანასეს მანამ ეძინა, სანამ ვოდკის ხეობის ცაზე სიბნელე დაისადგურებდა.

– ძალიან უცნაური შეგრძნებაა, – თქვა მან, როცა მის სხეულს მოძრაობა და სიმსუბუქე დაბრუნდა. გარკვევით იგძნო, დღის სინათლე როგორ შეცვალა სიბნელემ და თუკი კუბოს გახსნიდა, მის სხეულს ბუნებრივი სინათლე ვერ შეეხებოდა და ზიანს ვერ მიაყენებდა. ისეთ კავშირს გრძნობდა ბნელი ღამისეული ზეცისადმი, თითქოს ახალი, საიმედო მეგობარი გასჩენოდა.

როდესაც მან გახსნა კუბო, გაოცებულმა შენიშნა, ვამპი-

რებმა როგორ სინქრონულად, თითქოს ღამის დიდებულება იგრძნესო, ყველამ ერთდროულად ახადა თავსახურები კუბოებს. რაღაც ღრმა კმაყოფილება დაეუფლა ათანასეს. მიუხედავად იმისა, რომ სახურავი საკმაოდ მყარი იყო, ხოლო ფანჯრები ისე დაგმანული, რომ მას არ შეეძლო, გარეთ გაეხედა, იგრძნო, როგორი დაცული იყო ღამის ცის ქვეშ. თანახმა იყო მიწისქვეშ, 12 ფუტის სიღრმეში, დაემარხათ, ოღონდაც დარწმუნებული ყოფილიყო, რომ სიბნელეში გაეხვია. ამ მდგომარეობაში მყოფისთვის, ღამე და სიბნელე მისი უღალატო მეკავშირეები გახდნენ, რომლებიც ამცნობდნენ, თავისუფალი ხარ, შეგიძლია, სამარხი დატოვოო.

– რა კარგია, რომ გხედავ ამაღამ. ხომ მართალი ვიყავი, სიბნელის დადგომა ღრმა შეგრძნებებს იწვევს მეთქი, – მიესალმა ეთაგორია ათანასეს.

– შეიძლება, რამე შევჭამო?

– ჩვენი ახალშობილი შიმშილმა შეაწუხა, – უთხრა ეთაგორიამ ვაჟას.

–კარგი, უნდა შევამოწმო, რომ დავრწმუნდე, პროდუქტს აქვს თუ არა იგივე შეგრძნება, როგორიც ცოცხალს. როცა ჩვენ ცხოველის სისხლს ვინახავთ, რასაც ასე ძნელად მოვიპოვებთ, მაშინ ძალიან მომთხოვნები ვართ. დარწმუნებული ვარ, ეთაგორია გეტყვის, რისი ცოდნაა საჭირო ამის შესახებ.

– მართალია! – დაამატა ეთაგორიამ და ათანასეს მიუბრუნდა. – მე ყოველთვის ვიყენებ მაღალი ხარისხის სისხლს, რომელსაც ნორმოთერმია, ანუ ოითერმია, ჰქვია – სხეულის ნორმალური ტემპერატურის მქონე ცხოველური ან ადამიანური წარმოშობის სისხლს. მე უპირატესობას ვანიჭებ ასე შენახულ სისხლს.

ათანასე, თუმცა დაიტანჯა მოწყენილობისგან, მაინც ისმენდა შენახული სისხლის მომზადების ტექნიკურ დეტალებს. სევდის მიუხედავად, მან იკითხა, რატომ მოითხოვდა ეს ამდენი წვრილმან დეტალს და ყურადღებას.

– იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს ელემენტარული აგრესიული

მოთხოვნილებები, რომლებიც არასდროს უნდა დაგვრჩეს ყურადღების მიღმა. ეს მოთხოვნები გამანადგურებლად მოქმედებს, თუკი შეკავდება. ჩვენ გვინდა, რეალური კვლის პროცესის სიამოვნება ვიგრძნოთ ყოველდღე. ორალური სტიმულაცია ჩვენი პირის ღრუს კედლებზე ჩვენში იწვევს ადამიანურ ორგაზმს. კმაყოფილება მიიღწევა მაშინ, როცა თბილი სხეულის სისხლს ვღებულობთ. ეს ის ადგილია, სადაც ხდება ჩვენი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ორგაზმი – ჩემი, სისხლის რეპროდუქციის კვლევის თეზისის, პროტოტიპული მაგალითია. ჩემი ჰიპოტეზაა, თუკი მოვიპოვებთ, შევინახავთ და შემდეგ მივიღებთ სისხლს, მას რამდენიმე კომპონენტი დააკლდება და საკვების მიღებისას ნაკლები კმაყოფილება მიიღწევა. ეს კი უფრო დაუცველს გვხდის ალერგიული რეაქციის მიმართ. ჩვენი ტვინი გასცემს სიგნალს, რომ გემოს რეცეპტორები მთლიანად ვერ აღეგზნო, ასე რომ, ჩვენ ვერ ვიღებთ იმ სიამოვნებას, როგორსაც ვაღწევთ უშუალოდ ლაივი მოკვლის პროცესში.

– საუკუნეობრივი ძიება ჩვენთვის, ვამპირებისთვის, უკვე ამოიწურა, რადგანაც წლების მანძილზე ჩვენ მივმართავდით ხერხს, მოგვესპო და დაგვეწრიტა ცხოველები – შინაური თუ გარეული, ყველა ცოცხალი არსება, რომ მოგვეპოვებინა სისხლი. ის ყურადღება, რომელიც ამან მიიქცია, ჩვენ ხშირად გვაიძულებდა, მომთაბარენი გავმხდარიყავით. ჩემი ნაშრომი იმაში მდგომარეობდა, რომ მიგვეღწია იმ მდგომარეობისთვის, რაც შეცვლიდა ჩვენი მომთაბარული ცხოვრების წესს. და თუკი მე ვამზადებ სისხლს ისე, რომ მან ნორმოთერმიას მიაღწია, მაშინ რა ხდება?

– ჩემი ვარაუდით, თქვენ იმავე დონეზე განიცდით კმაყოფილებას, როგორც ეს ხდება უშუალოდ ლაივი მოკვლის მომენტში, – უპასუხა ათანასემ.

– თითქმის, მაგრამ ჩვენ, სამწუხაროდ, გვაკლია სისხლიანი ძალადობა და აგრესია. კარგი სიახლეებია ალერგიის დარგში. სუბიექტები იტყობინებიან, რომ სხეულის ნორმალურ ტემპე-

რატურამდე მომზადებული შენახული სისხლის მიღებისას, ალერგია არ აღინიშნება. ამ მდგომარეობის სისხლს თუ მოვიხმართ, დაგვეუფლება შიდა, ჯანსაღი კმაყოფილება, ნაცვლად ჰიპერთერმიისა და ჰიპოთერმიისა. სწორედ ცუდი ტემპერატურის სისხლი, ხაზს ვუსვამ, არის ჩვენში გამოწვეული ზიზღის მიზეზი. ჩვენმა კვლევამ სხვადასხვა ცხოველებისთვის, სხვადასხვაგვარი ნორმალური სხეულის ტემპერატურის შესახებ, ჩვენი რაციონი საუკეთესო გახადა; ამის წყალობით ვართ ჩვენ უფრო ჯანმრთელი ვამპირები.

– ეთაგორია და ათანასე, – აუწყა ვლადმა, – თქვენი სისხლი მოტანილია.

– დიდებულია, – თქვა ეთაგორიამ და ათანასეს მაგიდისკენ გაუძღვა.

ათანასემ შეავლო თვალი და დაასკვნა, რომ ეს იყო ყველაზე სისხლიანი ულუფა, რაც ოდესმე მიეღო. არავითარი სერვისი მაგიდასთან. ვამპირი ბეიბილი სადილის მაგიდაზე იდგა. ათანასემ ზიზღით შეხედა მას, მისი ფეხსაცმლების ჭუჭყიან ძირებს და მაგიდაზე დარჩენილ შავ ტალახს. ბეიბელმა აიღო ნახევარლიტრიანი ლუდის ჭიქა და სისხლით შეავსო. როცა სხვა ვამპრებმა შეხედეს, რასაც ბეიბელი აკეთებდა, ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ვის როგორც შეეძლო, ისე იკავებდა თავს. ბეიბელი, მხარბეჭიანი, მუქი ყავისფერი თმებით, ხარბად უყურებდა ჭიქას. ათანასეს ვერ დაეჯერებინა ყურადღების ასეთი კონცენტრირება: ოთახში ყველა თვალი ჭიქას მიშტერებოდა; თითქოს ყველასთვის აუცილებელი იყო, ორთქლი ცოტათი შეესუნთქათ. ეშვები მაშინ გამოჩნდნენ, როცა ისინი, მოწყურებულნი, დაჟინებით უყურებდნენ ბეიბელს და ჭიქას. ბეიბელის ნახევარლიტრიანი, თავამდე მოპიპინებული ადამიანის წითელი სისხლი, მათთვის მკვდრეთით აღდგომასავით იყო, ზუსტად ისეთივე, როგორიც იზოლირებული მამაკაცი პატიმრებისთვის ექვსი თვის შემდეგ პირველად ლამაზი, ვნებიანი, შიშველი ქალის დანახვაა.

ბეიბელის თავხედურმა ცქერამ ათანასეს მოაგონა ერთი

სცენა 1958 წელს გადაღებული ფილმიდან – *„ყინულის სიცივე ალექსში.“* ნებისმიერ წამს შეიძლებოდა, მას სითხე სულმოუთქმელად დაეცალა და ეთქვა: *ღირს ლოდინი!*

შემდეგ თითქოს სიბნელემ შთანთქა ბეიბილი. თვალები ჩაუშავდა და კანზე საშინელი ნაცრისფრი გადაეკრა. გიჟივით იცინოდა, ჭიქას ასწევდა და პირს აღებდა. კიდევ ორი წამი და პირიდან ნერწყვი გადმოუვიდა (პავლოვის საექსპერიმენტო ძაღლის მსგავსად). ბეიბელი ხელს უსვამდა სისხლიან ჭიქას, ალკოჰოლიკივით იძულებითი თავშეკავებით, რომლისთვისაც ჭიქაში ალკოჰოლის არსებობა მხოლოდ ოცნება იყო, რადგან სითხე ისე გამოეწრუპა, რომ არა თუ წვეთი, ლაქაც კი არ დარჩენილიყო.

ეს ნიშანი იყო დანარჩენი ვამპირებისთვის, რომ ნადიმი იწყებოდა. იდაყვები, რა თქმა უნდა, დალაგდა მაგიდაზე. თუკი იდაყვი რომელიმე ვამპირს სახეში მოხვდებოდა, ბოდიშს არავინ იხდიდა. მოულოდნელად ბეიბილმა გაშმაგებულმა დაიწყო დაპურება, რასაც ხარბი სისხლიანი ორგია მოჰყვა. ზოგი ვამპირი სისხლს თასში ისხამდა სუპივით, მერე ჩაყოფდა ხელს და ილოკავდა.

იყო ეს საზიზღრობა? ათანასეს ახალი ბუნება სულ სხვას მიანიშნებდა. ეს იყო დანაყრების გამძვინვარებული მოთხოვნილება, გაუმაძღარი შიმშილის გრძნობა და, რაც უფრო მეტს იღებდა, უფრო და უფრო მეტი უნდებოდა. ამ სიშმაგეს, დანაყრების ამ სურვილს, ზღვარი არ ჰქონდა.

– ხელებით ჭამე, დაისხი სისხლი ხელზე და ამათსავით მიიღე! ასე დანაყრება გაცილებით ბუნებრივია ჩვენნაირებითვის, – ურჩია ბეიბილმა მაგიდის ზემოდან. – მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ, ვისაც ჭიქიდან უყვარს სისხლის დალევა, საუკუნეები დასჭირდა ამ ჩვევის შესწავლას.

ის მართალია, გაიფიქრა ათანასემ. ასე, საკუთარი ხელიდან დანაყრება უფრო დაგაკმაყოფილებს, როცა არაა იმის საშუალება, უშუალოდ ლაივი მოკვლის პროცესში მიიღო საკვები (როცა გრძნობ, რომ შენი ტუჩები გულის ძგერით ისრუტავენ

რაღაცას, ბოლომდე გამოწოვენ, რადგანაც მათი სხეული შეიცავს მათ სულსა და მთელ სასიცოცხლო ენერგიას).

დანაყრების პროცესში ვამპირები მხოლოდ თავიანთ თავზე ზრუნავდნენ. არავის არაფერს უწილადებდნენ. არავინ უყურებდა, რომელიმე ვამპირს შეხვდა თუ არა თავისი ულუფა. დემონის შიკრიკი, რომელიც ვოდკის ხეობის უბანში დადიოდა, ნასიამოვნები დარჩა, როცა „ჩეხოვს“ შეხედა. ბოლოსდაბოლოს ის ლუციფერის სამყაროდ ქცეულიყო. წესისამებრ, (როგორც ებრაელები ეძახიან, ***ოლეიმ ჰი ზი*** ანუ ამ სამყაროში) ახლა სიბნელემ უდაბნოდან აქ გადმოინაცვლა, ტერიტორიაზე, სადაც ადამიანები შეკრებილიყვნენ. ეს კი ინფექციის გავრცელების მსგავსად, მოკვდავებს ყოველგვარ სიკეთეს გამოაცლიდა და ჭეშმარიტი ბოროტებისკენ უბიძგებდა.

შიკრიკმა შეჰღიმა „ჩეხოვს“ იმით ნასიამოვნებმა, რომ ვამპირები დედამიწაზე საკუთარ ჯოჯოხეთს იწყობდნენ. მან იცოდა, რომ სხვა ფაილში ***(ოლამ ჰა ბა,*** ებრაულად სიცოცხლის გაგრძელებას ნიშნავს) სულები უმნიშვნელო რაოდენობით მოხვდებოდნენ სამოთხეში. ეს იყო ბოროტების ოსტატის მიზანი, რომელიც იცინოდა და სიტუაციას აღიქვამდა, როგორც დიდი დოზით მიღებული ნარკოტიკის ეიფორიას. ეს ეიფორია მაშინ ჩაცხრა, როცა მან შეიტყო, ეთაგორია ნებსონიას ჭკვიანური იდეა განხორციელდაო. თუკი ასმოდეუსი გაბედავდა და მოსთხოვდა ლუციფერს, მის მხარეს ყოფილიყო ეთაგორია ნებსონიას წინააღმდეგ, პასუხი იქნებოდა სწრაფი და გადამჭრელი. ეტყოდა ასმოდეუსს, საითაც უნდა ექნა პირი. ეთაგორიას პროგრესის გათვალისწინებით, მალე გაიცა ახალი ბრძანება, ასმოდეუსი დაუყოვნებლივ ვოდკის ხეობიდან გამგზავრებულიყო, რომ ამბიციური ციმბირელი ვამპირების ლიდერისთვის მუშაობაში ხელი არ შეეშალა.

დირექტივის შესაბამისად, ასმოდეუსი გამოჩნდა მანამ, ვიდრე ლუციფერი მის საქმეს განიხილავდა. გამოჩნდა თუ არა, მაშინვე დაიწყო საუბარი თავის გარდაცვლილ ზომბებზე, თითქოს ყველა იმედი დაიმსხვრა ყველაზე უმოწყალო, სასტი-

კი გაჭირვების დროისთვის. მხოლოდ მე, ასმოდეუსს, მაქვს ციმბირის ახალი ბნელი საუკუნეების დაუფლებისა და სამყაროს შეცვლის უფლება მთელ ჯოჯოხეთშიო. ამ მეამბოხე ვამპირებს კი ყველაფერი თავისებურად უნდათო.

– რასაც ვამბობ, სრულდება. – ლუციფერიმა თავისი რქები დაბლა დასწია. შენ არ დაეჯახო ეთაგორია ნებსონიას! მალე ვოდკა ვილიჯი და ხეობა მოუწყობენ ჯოჯოხეთს და აზღვევინებენო.

ასმოდეუსმა ისე შეხედა, თითქოს ძალიან კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, თუ რა სასჯელი ელოდა ლუციფერის ძალაუფლების უარყოფისთვის.

– დაუბრუნდი ერთ-ერთ ჯოჯოხეთს, რომლის პრინცადაც აგირჩიეს!

ლუციფერს გაეღიმა, როცა ასმოდეუსი აორთქლდა და გადაწყვიტა, ეთაგორია ნებსონიას მალე შეეტყო, რომ ის თავისი სიმარჯვის წყალობით ციმბირის სამეფოთი უნდა დაჯილდოებულიყო.

ეთაგორია ნებსონია აკვირდებოდა ათანასეს ქცევას ვამპირების ორგიის დროს და კმაყოფილი იყო მისი ნორმალური ვამპირული ჩვევებით: დანაყრების მომენტში ის არაფრად აგდებდა თავაზიანობას. ხშირად იპარავდა სხვის ულუფა სისხლს. როცა ტანსაცმელი ან ხელები გაუჭუჭყიანდა, ამას ყურადღება არ მიაქცია, ისე განაგრძო დანაყრება.

ოდესღაც ის სხვას ემსახურეოდა. აქ კი, საკვების მიღებისას, მისი საზრუნავი პირველ რიგში, მხოლოდ საკუთარი ეგოისტური მოთხოვნები გახლდათ. ის სრული განსახიერება იყო დარვინის დევიზისა ბუნებრივი შერჩევის შესახებ, იმ პუნქტიანადაც კი, რომ ცხვირ-პირში უნდა ეთავაზებინა მუშტი, თუკი ვინმე გზაზე გადაუდგებოდა.

ეთაგორია კმაყოფილი იყო ღამის ამ დანაყრებით. ათანასემ კი დაინახა, თავისი მასტერი როგორ ხიბლავდა ვამპირების ხროვას მაგნიტური ქარიზმის აურით. ეთაგორია ნებსონია აჭარბებდა იმათ შეფასებას, ვინც თვლიდა, რომ ის მათზე იყო

მორგებული და მათ მოთხოვნებს შეეფერებოდა. ათანასე ეთაგორიას ისე შეჰყურებდა, თითქოს ეუბნებოდა, სწორედ შენ შეეფერები ჩემს მოთხოვნებს. შენა ხარ ჩემი ლიდერი. შენს ყველა რჩევას ვღებულობ. ყველა შენი თვისება მე აღმაფრთოვანებს. უსიტყვოდ შევასრულებ ყველაფერს, რასაც მოითხოვო.

ეთაგორიამ გამოაღო ფანჯარა, რომ თვალი შეევლო ღამისეული ზეცისთვის. უნდოდა, ყველაფერი სიბნელეს მოეცვა, რომ დღის ნათელს ვერსად დაევანებინა. მაშინ ვამპირების უკვდავებას არაფერი დაემუქრებოდა. თვითონ შეძლებდა, მიეღო გადაწყვეტილება, ვინ გამხდარიყო ვამპირი და ვინ განადგურებულიყო. ის ამაყობდა იმით, რასაც მიაღწია.

მან უამბო ათანასეს თავისი წარსული: – როცა მე მოკვდავი ვიყავი, რამდენიმე ასეული წლის წინ, ვასრულებდი ჩემი უბნის მოვალეობებს. არასდროს ვყოფილვარ დაფასებული, მხოლოდ დაქვემდებარებული ვიყავი. თუ მე გავბედავდი წინ წაწევას, ამავე უბნის იმედგაცრუებული ადამიანები შურის გამო ყველანაირად ცდილობდნენ, ეს თავიდან აეცილებინათ.

ამ მღელვარების საკომპენსაციოდ, რაც ამ დეგრადირებულ სულებს მოჰქონდა ჩემთვის, მიზნად დავისახე ჩემი ცხოვრება საკუთარი პიროვნების სრულყოფილებისთვის მიმეძღვნა. მაგრამ ჩვენი სურვილი, მივისწრაფოდეთ უკეთესობისკენ, მხოლოდ ნახევრად გვაკმაყოფილებს. მოუთმენლად ველოდებით, კიდევ რა არის ის, რაც გვაიძულებს, ვუყუროთ საკუთარ არაადეკვატურობას. ყველაზე ცუდი ის არის, როცა უნდა შეეგუო უსიამოვნებას და ვიღაცის დახშული გონების გავლენის ქვეშ ცხოვრობდე.

მახსოვს ცხოვრება ვამპირობამდე. დავიჯერე, რომ შემეძლო, სატანჯველისგან განვთავისუფლებულიყავი, თუ ოპიუმის სპარსეთის წამალს მივმართავდი. პირველ ღამეს მოვწიე ოპიუმი და შევნიშნე, რომ სხეულის ტკივილის შეგრძნება და მოუსვენრობა გაქრა. ამან მიბიძგა, მეშოვა ოპიუმი და გავმხდარიყავი მასზე დამოკიდებული. ის იყო ის, რაც შვებას ჰგვრიდა მომაკვდავ ადამიანს.

ოპიუმი გახდა ჩემი თანამგზავრი, რომელიც ყოველთვის გარემოს შესაბამის ზუსტ განწყობას მიქმნიდა. მეგობარზე მეტი იყო. ჩემს სისტემაში მისი მოქმედება მთელი დღის გამნმავლბაში გრძელდებოდა და ნებისმიერ წარმოქმნილ პრობლემას განმუხტავდა, დახმარებას მიწევდა, გადამელახა უცოდინრობა ან შეურაცხყოფა სამუშაო დღის მანძილზე.

ჩემი შემოსავალი იმდენად მცირე იყო, რომ შემეძლო, მეცხოვრა პატარა, ცივ ბინაში და მეკვება დიეტურად, რაც ძლივს მანაყრებდა. ამას უცნაური ეფექტი ჰქონდა ჩემზე: მინდოდა უფრო დიდხანს დავრჩენილიყავი სამუშაოზე მხოლოდ სითბოს გამო. ასეთი იყო ჩვეულებრივი მომუშავე ადამიანის არაფრის მომტანი, ექსპლოტირებული ხვედრი.

ფაბრიკის მეპატრონე, მეორე მხრივ, განცხრომით ცხოვრობდა, მდიდრულ გარემოში იჯდა და ახვავებდა მოგებას ჩემნაირი, ზედმეტად მომუშავე, არასრულფასოვანი თანამშრომლებისგან. ჩონჩხად მაქცია ჩემი მოკვდავი ცხოვრების ბოლო ეტაპმა.

ჩემი თანამშრომელები, დასუსტებულნი, წკავწკავებდნენ. ისინი კასრში ჩაყრილი ვირთხებივით კასრის ფსკერს დაპატრონებოდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ ერთმანეთს – შეურაცხყოფით, კონფლიქტით, მითქმა-მოთქმით, უთანხმოებით და გესლიანი ჭორაობით უგუნურად ანდგურებდნენ თავიანთი თანამშრომლების სამუშაო უსაფრთხოებას.

ასეთმა ავადმყოფურმა ქმედებებმა მე გამანადგურა. ბოროტი მითქმა-მოთქმის მსხვერპლი გავხდი, რამაც პარიად მაქცია სამსახურში. ბრალდება მდგომარეობდა იმაში, რომ ჩემმა ტყუილმა გამოიწვია შეხლა-შემოხლა ჩვენთვის პრივილეგიების შეწყვეტის თაობაზე. რა ფურორი გამოიწვია ამან! თითქოს მათ მე წავართვი მათი საცოდავი ხელფასები. იმ დროისთვის საკვებისა და გადასახადების ფასები ისე გაიზარდა, რომ რამდენიც არ უნდა მემუშავა, მხოლოდ ბინის ქირისთვის მყოფნიდა. მცირედი საკვებით ვიკვებებოდი. ჩემს გონებში განუწყვეტლივ ვმსჯელობდი, ვიდრე მივხვდებოდი,

რომ განდგომა, თავის არიდება, განმარტოება ხელსაყრელი იყო ჩემთვის. შევეშვი ქირის გადახდას და ვყიდულობდი მხოლოდ საკვებს, რომელსაც ფაბრიკაში ისეთ ადგილას ვინახავდი, სადაც არავინ დადიოდა. ხელი შემიწყო მეორე ფაქტორმა: როცა კარები დაიკეტებოდა, დაკეტილ კარებთან ერთი ღამის მცველი რჩებოდა ხოლმე, შენობების პატრულირებისთვის. როცა ეს მცველი დაითხოვეს (არალოგიკური მიზეზით), ფაბრიკის მეპატრონეს უნდა დაეკეტა შენობა, რასაც ის იშვიათად აკეთებდა. და რაც ყველაზე საოცარია, ის შენობას არ ამოწმებდა. ასე რომ, მე ვრჩებოდი და მეძინა იატაკზე უსაფრთხოდ და ჯანმრთელად ფაბრიკის შიგნით.

შიმშილის დღეები უფრო და უფრო აუტანელი იყო. პროდუქტის ფასი სულ უფრო ძვირდებოდა. იმის მადლობელი უნდა ვყოფილიყავი, ჭერი რომ მქონდა. ოფიციალურად უსახლკარო ვიყავი, სინამდვილეში ძლივს ვსუნთქავდი. კიდევ უფრო იკლო ყოველკვირეულმა ჯამაგირმა და კვებისთვის არ კმაროდა. სხეულში სამუშაო ძალა გამომელია და სერიოზულად დავფიქრდი ქურდობაზე. აი, ამას აკეთებს შიმშილი.

როცა მორალი სულელურია, რა აზრი აქვს, იმუშაო მხოლოდ ექსპლუატატორი მასტერის გასამდიდრებლად, რომელიც შთანთქავდა ჩვენი გამასავათებელი შრომისგან მიღებულ მოგებას. სამუშაო, რომელსაც მე ვასრულებდი, იყო სულელური. ყოველი ღამის შვიდი საათი ამ ფაქტს მიმტკიცებდა მე.

ფანჯარასთან ვიმალებოდი. ჩემი ფაბრიკის თავშესაფრიდან კარგად ჩანდა მასტერის სახლი. დავინახე, მისი მზარეული მფლობელს მადისმომგვრელი საჭმლით რომ გაუმასპინძლდა. ნერწყვი მომადგა და კუჭმა ყურყური დაიწყო მაშინ, როცა ის მგელივით სანსლავდა საკვებს. მისი მიუჩვეველი, არანავარჯიშევი, მეტისმეტად ნაპატივები სხეული თქვლეფისას თიმთიმებდა. რაც უფრო მაწუხებდა შიმშილი, უფრო მეტ ღამეებს ვათენებდი და ვუყურებდი ამ თავდაჯერებული მგლის მღელვარებას, როცა რაღაც ვერ იყო რიგზე. მუშები,

რომლებიც მის სამსახურში იყვნენ, ერთმანეთს ექიშპებოდნენ და მოკრძალებულად იკაკვებოდნენ, რომ დაეშოშმინებინათ თავიანთი მასტერი და დაქვემდებარებოდნენ მისი სხეულის მხოლოდ ერთ ნაწილს, პირს, რომელიც უფრო მეტად შეურაცხყოფდა და ამცირებდა მათ. ძალაუფლების ეფექტების ყურებამ მე მიჩვენა, როგორი გავლენა შეუძლია მოახდინოს მან სხვების ცხოვრებაზე.

ფაბრიკაში ჩემთან ერთად ეძინათ ღამურებს. მათთვის ხელსაყრელი გახლდათ ფაბრიკის სარემონტო მდგომარეობა. ცივი ცემენტის იატაკი ღამურებზე უარესი იყო, რომლებიც კომპანიონებად გრძნობდნენ თავს და დამყვებოდნენ ფაბრიკის დიდი შენობის დათვალიერებისას.

ვერაფერმა შეძლო ჩემში აგრესიის ჩაკვლა. ვერ დამეჯერებინა, როგორი უმძიმესი დრო იყო, სხვა მძიმე დროებთან შედარებით. უსახლკარობით, ადეკვატური კვებით თუ სხვისი ფართის მოკრძალებული დაპატრონებით ჩემი ცხოვრება კომფორტს მოკლებული უიღბლობა იყო. ყოველი ხუთშაბათის 8 საათი მშველოდა, ეს ყველაფერი გამეცნობიერებინა, რადგან ვხედავდი, ჩემი მასტერი როგორ ითვლიდა თავის ფულს და ჩანაწერებს. პროცესი, რომლისთვისაც მე ნახევარი წუთი დამჭირდებოდა, ჩემი ბატონისთვის ნახევარი საათი გრძელდებოდა.

მუშაობის განმავლობაში გამირბოდნენ დანარჩენი მუშაკები. მათ ჩემს თვალებში დაინახეს, რომ კოოპერატიული მუშა იქცა კაცად, რომელსაც შეეძლო, თავი დაეცვა. ფაბრიკის ოსტატი, მღელვარების შიშით, თანახმა იყო, გაეცა ექსტრა ხელფასი. გათვალისწინებული იყო, ეს თანხა თანაბრად გადანაწილებულიყო, მაგრამ დაიწყო ბრძოლები. ვისთანაც ვმუშაობდი, ესენი არ იყვნენ სამოქალაქო ადამიანური არსებები, არამედ იყვნენ ხარბი ცხოველები. გადავწყვიტე, გავქცეულიყავი ამ მტანჯავი ჯოჯოხეთიდან.

დღის უმეტესი ნაწილის განმავლობაში წვიმდა. ხუთშაბათ ღამეს რომ ვჭამდი, სახურავზე ჩამომდინარი წყლის გუბეში

ვიდექი. ჩემს თავზე მეცინებოდა, და როცა ყველაზე დაბალი ხარისხის პურის ნაჭერ-ნახევარი ჩავათავე, გავბრაზდი, გადავწყვიტე, გადამეწვა მასტერის დიდი სახლი. გუბეში, ცემენტზე, შევნიშნე, რომ თითქოს ღამურებს ადამიანის სახე ჰქონდათ. უცნაურია, ისინი სახურავზე თითქოს ჩემ ზემოთ შეგროვდნენ. წამოვწექი და დავუწყე მათ ყურება. დამშეული სხეულით, ყინულივით გათოშილი და არაქათგამოცლილი, ვერ ვინძრეოდი. თვალები ისე დამეღალა, ვერ ვახელდი. სამჯერ დამეხუჭა და სამჯერ ხელახლა გავახილე თვალები. მეოთხეჯერ საბოლოოდ დამეხუჭა. ვიგრძენი, როგორ შემომეხვივნენ ღამურები სხეულზე, მაგრამ ვერასდროს წარმოვიდგენდი, რაც შემდეგ მოხდა. ისინი ჩემს სხეულზე თითოეულ ვენას წოვდნენ!

ენძელა, ვამპირების მატრიარქი, გამომექომაგა, რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ გადავერჩინე, რადგან სისხლისგან დაცლილი ვიყავი, არამედ იმიტომ, რომ ვამპირად გადავექციე. შემიძლია, გითხრა დაბეჯითებით, ისევე, როგორც ჩემი სახელი და გვარი ეთაგორია ნებსონიაა, რომ ვამპირად გადაქცევამ, ნამდვილად გადამარჩინა. მე დავიწყე ჩემი უფლებების გაძლიერება იმ სასახლის მიმართ, სადაც ბინადრობდა ადამიანი, რომელიც მე მაშიმშილებდა და მონასავით მამუშავებდა, ის რომ შემენახა.

ათანასემ ბოლომდე მოუსმინა ეთაგორია ნებსონიას. თავისი სისხლის წყურვილი ღამის სიჩუმეში დაიკმაყოფილა. ათანასე ფიქრობდა, მე მისთვის ჯერ არ მომიკითხავს, რაღა მაინცდამაინც მეო? მისთვის ისედაც ყველაფერი ნათელი გახდა, როცა ეთაგორია ნებსონიას თვალებში შეხედა; ისტორია მეორდებოდა. სულ ერთი იყო, ათანასემ ნებსონიას დაუშავა თუ არა რამე მასტერივით.

ეთაგორია ნებსონიამ გამოიყენა ვამპირებისა და ენძელას ინტერვენცია, რომ თვითონ დაწინაურებულიყო იმ ძალებზე მეტად, რომლის შეცვლა მას ისევე არ ძალუძდა, როგორც ბანქოს დარიგებისას ჩამოსული კარტისა. ხოლო რაც შეეხება სა-

სტიკ მასტერს, რომელიც მაშინ ჭამდა, როცა ეთაგორიას შიმშილისგან კუჭი ეწვოდა, ეთაგორია ნებსონია ესტუმრა ჰინომის ხეობას და უყურებდა, მის მასტერს მთელ სხეულზე კანი როგორ დაუწვეს. ყოველ ახალ ფენაზე იგივეს იმეორებდნენ. ხოლო, როცა მან ითხოვა, მწყურია და რამე დამალევინეთო, უთხრეს, პირი გაეღო და რომ დაემორჩილა, მდუღარე წყალი ჩაასხეს ყელში და ნაწლავები დაუწყვიტეს.

იმან, რაც ჰინომის ხეობაში ნახა, ეთაგორია ნებსონიას უბიძგა, გვამი არ ყოფილიყო. მას მხოლოდ იმის ცხოვრებისეული გამოცდილება ჰქონდა, თავი მონად ეგრძნო. თავის გამოცდილებაზე დაყრდნობით, დედამიწაზე გვამი რომ არ იყო, ნიშნავდა ძალაუფლებას, კონტროლის უფლებას და შედარებით კომფორტს. ეს საკმარისი იყო მისთვის. ეთაგორია ნებსონიას ეს ყველაფერი წლების წინათ მოაგონდა. იგი თავისი მასტერის სახლის მისაღები ოთახის ჭერიდან მოულოდნელად ღამურასავით თავს დაესხა მასტერს და ისე მოსპო, მისი ამოცნობა ერთადერთი – სახით, შეიძლებოდა. ეთაგორიამ ასე გადაწყვიტა, რომ ეს სხვებს დაენახათ.

სახლის დამლაგებელ ქალს თავზარი დაეცა, რომ აღმოაჩინა მასტერის მკვეთრი კონტრასტული დამოკიდებულება თავისი შეუპოვარი მზარეულის მიმართ. გვამთან რომ მივიდა, ფსალმუნიდან წარმოთქვა მუხლი 2:7; „აქ არის კაცი, რომელიც არ აძლიერებდა უფალს თავისი ძალით, მაგრამ ენდობოდა თავისი სიმდიდრის მოხვეჭაში და თვითონვე განამტკიცებდა ბოროტებას.“

ეთაგორია სრულად შეესაბამებოდა ამ სენტიმენტალობებს. მისი ვიზუალური ტრანსფორმაცია, მთლიანად, ტყავის ფრთებით და ზომებით, რომელიც შესაბამისად იცვლებოდა (პატარა ზომიდან დიდი ზომისკენ) იმის მიხედვით, მფრინავი მღრღნელისა იყო თუ ვითომ-ადამიანის. გონება დაბნეული ჰქონდა, ვერ გაეგო, სად იდგა ღმერთი მასთან მიმართებაში.

ისტორია თავისით მეორდებოდა. ათანასემ დაასკვნა, სიბნელე აერჩია, რადგან სინათლე ვამპირებს არ წყალობდა. მან

განიზრახა მკვლელობა, მაგრამ არ იქნებოდა ის ეთაგორიასავით სამართლიანი. არავინ აშიმშილებდა, არავინ იგდებდა აბუჩად, არავინ აკოტრებდა, არც არავინ უწევდა ექსპლოატაციას პერიოდულად. ვოდკის ხეობა სულგრძელი იყო მის მიმართ, აადვილებდა მის კომერციულ სურვილს. ეთაგორია ნებსონიამ მას დაუმტკიცა, რომ ვამპირული შიმშილის რეგულირება შესაძლებელი იყო ცხოველის სისხლით. მაგრამ არსებობს პრიმიტიული მოთხოვნილებები, როგორიცაა ფსიქოლოგიური შიმშილი. ახალგაზრდა გვამების აზრით, ეს გაცილებით რთულად ექვემდებარებოდა კონტროლს. ვამპირების ხროვის ჯოჯოხეთური კვების მანერამ, მაგიდის გამოყენებაზე ზრუნვის არსაჭიროებამ ან იმან, ახალი გვამი მათ გვერდით, ახერხებდა თუ არა დანაყრებას, ათანასეს შიმშილი ლაივი კვების მიმართ უფრო ბოროტული და მტაცებლური გახადა. მაგიდასთან, სისხლიან ჯამში ხელების ჩაყოფით და ეშვებთან მისი პირველი კონტაქტით, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ ვერასდროს შეძლებდა დანაყრებას.

იდეა, დაკმაყოფილების ვერმიღწევის, თავის მოტყუების, რაც ბევრად უფრო სასურველია, აბსურდი იყო ათანასესთვის. თუნუქის ქილასავით, შეუძლებელი იყო ამ იდეის დახურვა. ის მუდმივად თან სდევდა და უფრო და უფრო ინტენსიური ხდებოდა ღამის სიბნელის შემცირების დროისთვის. ყოველ ჯერზე ათანასე გრძნობდა, რომ მოთხოვნილება, და მისი სურვილი დანარჩენი ვამპირების თანდასწრებით კმაყოფილდებოდა, რომლებიც უდაოდ ეტყოდნენ ეთაგორია ნებსონიას, ის რომ შენობიდან გასულიყო.

ათანასე სულ მოძრაობაში იყო. თვითონ განსაზღვრავდა თავის გზას ცხოვრებაში ისე, როგორც სურდა. ამ უცნაურობამ გასცა მისი პირადული თავისუფლების შეგრძნება. თანაბრად გაუსაძლისი იყო მისთვის, ჰქონოდა უმისამართო სურვილები და ესმინა მის უკან მჯდომი ორო საკმაოდ ცუდად მოსაუბრე ვამპირისთვის, რომლებიც დაუჯერებელზე სპეკულირებდნენ, თითქოს რეალური და ხელსაყრელი ყოფილიყო.

გაქცევის აუცილებლობა გადაწყდა იმის გაცნობიერების შედეგად, რომ ეს უფრო ხელსაყრელ ღამეს იყო შესაძლებელი.

მალე გათენდებოდა. ამის შეცნობა ხელახლა სწრაფად ქმნიდა არაკეთილგანწყობას, რომელიც ზღვარს უდებდა არსებობას და „ჩეხოვში“ ყველას იმორჩილებდა ყოველდღიური ზამთრის ძილი, რომ გაქცევით და თავის არიდებით გადაერჩინათ თავი. ღამის არსებებს, რომლებიც საერთოდ ვერ გუობდნენ საძაგელ სინათლეს, ამის გაკეთება ისევ და ისევ უწევდათ. ათანასემ შეხედა კუბოს, რომელიც თავის გვამს ელოდებოდა. ის არ იყო დაღლილი, მაგრამ ვერ ისვენებდა. როგორ ძლებდა ასეთ პატარა სივრცეში? მაგრამ, ნაცვლად იმისა, მასავით წინააღმდეგობის გამწევი ვამპირები ენახა, ის ირგვლივ ხედავდა მხოლოდ დამთმობ კონფორმისტებს. დაინახა, როგორ აეხადა ყველა კუბოს სახურავი. ამ საზოგადო ქცევამ მას უჩვენა, რომ „ჩეხოვი“ საპყრობილედ ქცეულიყო, სადაც კონფორმისტობა მეფობდა. ათანასემ იგრძნო, რომ მას ზუსტად ისე სძულდა ის, როგორც ეთაგორიას სძულდა თავისი მომაკვდინებელი ფაბრიკის სამუშაო. ის ვერასდროს შეეგუებოდა ამას!

თავი 10
სისხლისა და სინათლის ღამე

ათანასე მეორედ მიუბრუნდა თავის კუბოს და თვალი გაუსწორა სიბნელეს, რომელიც ისე ჰგავდა იმ სიბნელეს, მას რომ შინაგანად დაუფლებოდა. ამ უფერული კუბოდან თავი უნდა გაეთავისუფლებინა და მსხვერპლისთვის მიეგნო. გაედევნებოდა მსხვერპლს და სრულად დატკბებოდა მისით. ის შუაკაცად იდგა თავის სურვილებსა და იმ მეთოდებს შორის, რომლებსაც ამის მისაღწევად გამოიყენებდა.

საბოლოოდ, სიბნელესა და სიჩუმეში ხანგრძლივად მყოფმა, ათანასემ შეცურა ძილში, სადაც ზმანებები იყრიან ხოლმე თავს. სიზმარში, შიმშილის განცდის დროს, სურვილი, კბილებით დასცხრომოდა ადამიანის ხორცს და მისი სისხლი გამოეწოვა,წარმოსახვის წყალობით უფრო და უფრო ინტენსიური ხდებოდა – ცოცხლად პლაზმის ამოწოვა მის არსებას იმდენად ანაყრებდა, ვერასდროს შეძლებდა ამის ენით გადმოცემას. იყო ეს სიამოვნება ტკივილის მომენტში? რა თქმა უნდა, იყო. ძლიერი იყო მისი მოთხოვნილება, ობიექტს პირით შეხებოდა. ეს მუდმივად თან სდევდა. მხოლოდ მყისიერი დაკმაყოფილება დააშოშმინებდა ამ სურვილს.

საკითხი, რამდენად ძლიერია ჩემი ალერგია სინათლის მიმართო, მოსვენებას არ აძლევდა მას. ახლა ზმანებები ამ საკითხთან დაკავშირებით დაეწყო.

ერთ-ერთ ზმანებაში უტიფარი დემონი – ასმოდეუსი, დაასკუპდა მარცხენა მხარზე.

– იცი, – ჩასჩურჩულა ასმოდეუსმა მარცხენა ყურში, – სინამდვილეში დიდად არაფერი შეცვლილა. იგივე კანი გაქვს.

შეგიძლია, საკვების მიღების პროცესში სინათლით ისევ ისარგებლო.

ათანასემ იცნო დემონი და მოაგონდა მისი საზარელი გეგმა, უტვინო ზომბად გადაექცია ის. ათანასემ ყურზე უკბინა ასმოდეუსს, სანამ მას მხარზე აჯდა, და ასმოდეუსი მიხვდა, აზრი არ ჰქონდა, მის ზმანებაში დარჩენილიყო. მაგრამ თვითონ ეს საკითხი, ათანასეს ისევ და ისევ არ ასვენებდა სიზმარში. მან თვითონ მიაღწია, თუნდაც მხოლოდ სიზმარში, თავი დაეღწია თავისი კუბოსგან.

ათანასემ ვერ გაბედა, დაეტოვებინა ოთახი შავი ტანსაცმლის გარეშე, რომ სრულიად დაცული ყოფილიყო. დანახვის შესაძლებლობა რომ ჰქონოდა, თავისი მზის სათვალეები გაიკეთა. ასმოდეუსი თამამად შემობრუნდა და გაემართა ათანასესკენ, რომ ეთქვა, ახლა სრულიად დაცული ხარ, სინათლე არ არის საშიში შენთვისო.

ათანასემ კარს იმ ტუსაღივით შეხედა, რომელიც საკნის ღიად დარჩენილ მაცდურ კარს შეჰყურებს ხოლმე. როგორ შეეძლო, გაეძლო ცდუნებისთვის? წავიდოდა და ქვემოთ, ვოდკის ხეობის ქუჩებში გაისეირნებდა. გადაწყვეტილებას ცივად და ობიექტურად მიიღებდა, ვისი სისხლი შეიძლებოდა, ყველაზე სუფთა ყოფილიყო დასანაყრებლად. ბოლოსდაბოლოს ისეირნებდა, როგორც ნორმალური ადამიანი, წააწყდებოდა თავის მსხვერპლს მშვიდ, დაუცველ ადგილას. თავის საშინელ საქმეს შეუმჩნევლად განახორციელებდა.

არა. მან უარყო ასმოდეუსის მიწვევა და დაუბრუნდა თავის კუბოს. მეორედ ზმანებისას მიყუჩდნენ მისი აზრები, ხოლო ზმანების კადრები თავისით გაქრნენ, თითქოს წარმოდგენის დამთავრებისას ფარდა ჩამოუშვესო.

– დედამიწის ცენტრი ცარიელია, – განაცხადა ასმოდეუსმა, რომელიც ჯერ კიდევ თავს აბეზრებდა ათანასეს. – იქაური ხმები სულიერ მხნეობას წაგართმევენ. მადლობელი იყავი, რომ თავისუფალი ხარ და დედამიწაზე დააბიჯებ... დღისით და ღამით. სრულიად თავისუფალი ხარ, წლის ყველაზე გაბრ-

დღვიალებულ დღესაც კი, როცა ყველაზე მეტად გჭირდება დანაყრება. ისარგებლე ამ თავისუფლებით და თავი დაანებე მსჯავრდებულივით ქცევას! არაფერი აკმაყოფილებს შეგრძნებებს ლაივში მოკვლასავით.

ასმოდეუსმა სხვა დემონიც მოიყვანა ათანასესთან სალაპარაკოდ, რომელიც მოითხოვდა, ყველაფერი სცოდნოდა, რაც კი საერთოდ იცოდნენ მომავლის შესახებ. ეს დემონი ტრაბახობდა, ხშირად ვსტუმრობო მედიუმებს, რომ მათ დახმარება გავუწიო, დავანახვო ადამიანებს მომავლის კარიბჭეო. ათანასეს რეაქცია ცნობიერ მდგომარეობაში ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით ის იქნებოდა, რომ ეს ყველაფერი ტყუილი იყო, რადგანაც ამას დემონი ლაპარაკობდა. მაგრამ მის ტვინს ეძინა და მას, ღრმა ძილის მდგომარეობაში მყოფს, შეეძლო, ეს მიეღო ყოველგვარი შეკითხვის გარეშე.

მან თვითონ წარმოიდგინა, არ დაეჯერებინა ეთაგორიასთვის, რაკი ასმოდეუსმა უთხრა, ეთაგორიას გაზვიადება უყვარსო. არა, სინათლეს მის კანზე არ ექნებოდა 2000 გრადუსიანი ჯოჯოხეთის მოქმედება. გამორიცხული იყო ალერგია ან სიდამწვრის რეაქცია დღის სინათლის მიმართ, რადგანაც ის ჯანმრთელი იყო და ჰქონდა იმუნიტეტი მის მიმართ. ასმოდეუსი ჩურჩულით ამბობდა ასეთ რაღაცებს, მაგრამ პირდაპირ პროგრამირდებოდა ათანასეს გონებაში. მას არ შეეძლო, დაეეჭვებინა, რომ ყველა ეს რჩევა მოდიოდა იმ არსებისგან, ვინც იმ გუნდის ნაწილი იყო, რომელიც უხუცესი მოშურნის, უსამართლო მამა აბრამის ბატკნის და ავი ლიდერის, ტყუილების პრინცის მიერ იმართებოდა.

მისი ფიქრები სიზმარში ეთაგორია ნებსონიას და მის ვამპირების რაზმს უტრიალებდა. ეს ბანდაც ყალბი იქნება, რომელიც უარყოფს სიყალბის ჭეშმარიტ სწავლებას. ისინი ავითარებდნენ ირაციონალურ, არაადამიანურ ზრახვებს მასში, რომელიც გამოფიტავდა მის სინდისს და ეცდებოდა, მთელი მისი მორალი მოესპო.

ერთ-ერთ დამოუკიდებელ სიზმრის ნახვის დროს მან და-

ტოვა კუბო, არ გამოიყენა არანაირი დამცავი და გარეთ გავიდა დღის სინათლეზე. სინათლე პირველად რომ მოხვდა, მას არ ჰქონდა ავადმყოფის განცდა. შემდეგ მოულოდნელად ვერ გაინძრა. სხეული თითქოს პარალიზებული ჰქონდა. თანდათან ხელები, მკლავები, ფეხები, მუცელი, სახე და თმა გაუშეშდა. „ეს იქნება ღვთის სასჯელი, თუ შენ არ მოინანიებ!“ *„ეს მისი ფიქრები იყო თუ იმისი, ვინც სინათლეს ეკუთვნოდა?“*

ეძინა. სიზმრის დარჩენილ ნაწილში მეტი კითხვება არ დასმულა ამ კურიოზის წარმოქმნაზე.

როცა თვალები გაახილა, მიხვდა, მთელი საათი გასულიყო მას შემდეგ, რაც სინათლე მიატოვა და კუბო გახსნა. იქნებ სხვებზე ადრე აეხადა სახურავი, კარისკენ გამძვრალიყო, „ჩეხოვიდან“ გახოხებულიყო და სასიკვდილო საქმე ჩაედინა. შიმშილი იმდენად ძლიერი იყო, რომ ადვილი შესაძლებელი იყო, ვინმე მოეკლა. მისი შიმშილი ჟინივით იყო; მადასთან ერთად გრძნობდა დაძაბულ, არასრულყოფილ, დაუმცხრალ, არარეალიზებულ, შეუმსუბუქებელ, თავშეკავებულ, ჩახშობილ სურვილს. მას არ შეეძლო, გაქცეოდა ამ სურვილს და ეცადა, არ მიემართა მასზე ყურადღება. ვერაფერი მოიმოქმედა, რაც მის ამ ნანატრ ქცევას მისი სისტემიდან მასზე მოქმედების გარეშე დაიმორჩილებდა მის სასიკეთოდ და მოსპობდა. ეზიზღებოდა საკუთარი თავი, მაგრამ დრო არ ჰქონდა ემოქმედა მანამ, ვიდრე ამას საჭიროება მოითხოვდა. ასე რომ, მან უბრალოდ შეწყვიტა თავშესაქცევი ფიქრები. ის ახლა ხორცზე ფიქრობდა; თუნდაც ყველაზე უდანაშაულო, მოკრძალებული, ცოცხალი არსება, რომელიც სუნთქავდა, ნამდვილი გასართობი იყო.

მან რეალურად დატოვა კუბო. ერთ წუთზე მეტი არ გაჩერებულა. წავიდა კარისკენ და შენიშნა, რომ ცა მთლიანად არა, მაგრამ ბნელი და უჩრდილო იყო. ჯერ შემოიარა ვოდკა ვილიჯის შემოგარენი. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს თვითონ მელა იყო და სახლები კიდევ – მისი საქათმეები.

წარმოიდგინა ცხოვრება მოსკოვივით ან სანტპეტერბუ-

რგივით მეგაპოლისში. დაინახა ხალხი და ის ადგილი, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, ქათმებივით თავმოყრილნი. შემოივლიდა იქაურობას, კმაყოფილი მათი მჯდომარე ცხოვრების სტილითა და მრავალფეროვან ხორცზე მუდმივი ხელმისაწვდომობით – ზოგი ახოვანი, ზოგი ლამაზი და კუნთოვანი, ზოგი დაღლილი და ბებერი, და სხვები, რომლებიც სხვადასხვა ეთნიკურ ნიშნებს შეიცავდნენ. ისინი მთელ ცხოვრებას მხოლოდ იმის მოლოდინში ატარებდნენ, რომ მისი ყოველდღიური საკვების ნაწილი ყოფილიყვნენ. როგორი უტოპიური, იდილიური, ქალაქური თუ საგარეუბნო, იქნებოდა გარემოცვა, სადაც მისი მოთხოვნები და სურვილები დაკმაყოფილდებოდა. კარგად დასახლებულ ადგილებში საკმარისი სისხლი იყო მის ზომაზე მეტად დასაკმაყოფილებლად, რამდენიმე საათიანი ნერწყვის ყლაპვისა და ყურების შემდეგ ასეთი საუცხოო დანაყრების წყალობით.

„ნეტა რა ჯიშის მელია ვარ? ქათმებს, მამლებს, კვერცხებს გადავსანსლავ თუ ყველას ერთად? ყველა მათგანს აქვს ხორცი, ძვალი და სისხლი.“

რაც უფრო მეტს ხალხს ხედავდა, უფრო ეძალებოდა ფიქრები, რა მოხდებოდა, რომ გადაესანსლა. ყოველი ახალი პიროვნების სხეული, ავხორცული კუთხით, უნიკალურ სისხლიან ფანტაზიას შეიცავდა. დაინახა ლამაზი, კეთილშობილი ქალი და ნაცვლად იმისა, რომ მისი სიმშვენიერით დამტკბარიყო, მთელი ყურადღება ქალის კისრის არტერიებზე გადაიტანა. ყურადღება იმდენად იყო ფოკუსირებული და ინტენსიური, რომ მისი თვალები ნათლად ხედავდნენ მის ხორცსა და ვენებს, რომლებიც სისხლს ტუმბავდნენ. ქალმა იფიქრა, მარტოხელაა და ბუნებრივი მორცხვობიდან გამომდინარე, თავისი გზა გააგრძელა.

– მეტისმეტად უხეშია! – თქვა მან. – თვითმკვლელობაა ამის საჯაროდ გაკეთება. მე რომ თვითმკვლელობა მდომოდა, ავდგებოდი და ქუჩაში გავიდოდი, როცა ინათებდა.

ამიტომ გააგრძელა უფრო შესაფერისი ადგილის, დროისა

და სიტუაციის ძებნა, რომ ეს ენით აუწერელი ქმედება ჩაედინა. რაც უფრო მეტ ხალხს ხედავდა, უფრო და უფრო ვერ უმკლავდებოდა სურვილს, ისინი ჭრილობასავით დაეწრიტა. წინა ცხოვრებაში, როცა ის არ იყო უცნაური, ეს შეურაცხმყოფელი იქნებოდა. მაგრამ ვინაიდან ის უცნაური იყო, ფიქრობდა თოვლზე თქრიალით გადმოსულ სისხლზე იმ შეყვარებულის მსგავსად, რომელმაც იცის განუყოფელი სიყვარულის ტკივილი. ვინაიდან ის უცნაური იყო, ამიტომ იქცა ობიექტებად ვოდკის ხეობის ხალხი. მაგრამ რაც უფრო ბინძური და არაჰიგიენური იყო სხეული, მით უფრო ნაკლებად სურდა მისი შეხება. ცუდ სუნს ის ცხოვრებაში არ აქცევდა ყურადღებას. მაგრამ ახლა მისი გამძაფრებული ყნოსვის გამო, შიმშილის შეგრძნება ჩაუცხრა. მისი ეშვები ჯერ არ ჩანდნენ.

მისი მტანჯველი სურვილები მას თან ახლდნენ. სურვილის ასრულება მისგან მოითხოვდა ნებისმიერი სიკეთის ჩაკვლას, რაც მასში იყო. დადიოდა ეკლესიასთან ვოდკის ხეობაში და ფიქრობდა, შეგიძლია აზრი შეიცვალო. მოეხვიე ღმერთს, მოეხვიე სინათლეს და დაინახავ, შენი სული თუ გადარჩებაო.

ათანასემ შეხედა ჯვარს ეკლესიაზე, მაგრამ შეეშინდა, მასში შინაგანად ჩაბუდებული უცნაურობები გარდაქმნისთვის არ იყვნენ მზად. ეს პირველი შემთხვევა იყო, მან რომ ზუსტად გაიგო, რას ნიშნავდა ღვთისმოშიშობა. მას შეეძლო, რწმენა აერჩია იქ, სადაც დაიბადა და იქვე მიიღებდა. მაგრამ უცნაურობა უფრო მეტად უცნაური ხდებოდა. მას მხოლოდ შიმშილის ძახილი ესმოდა, რომლის ხმა არ ნელდებოდა.

გაიქცა. ჯერ ნელა, მაგრამ ხმები, გამოგვკვებეო, არ ჩუმდებოდნენ. ყურები ჩამოყარა. ეს დამაუძლურებელი თამაში მის სურვილებს შორის – ეკონტროლებინა მადა და გაექრო ის, ეგონა, ფიზიკური ვარჯიშებით შემსუბუქდებოდა. კიდევ უფრო სწრაფად გაიქცა და მისი ჯერაც უკვდავი სხეული ისე სწრაფად მოძრაობდა, ვიდრე ოდესმე უმოძრავია.

უცნაური იქნებოდა, ათანასესთვის ეშველა იმას, რასაც ადრე შეუძლებლად თვლიდა. კიდევ უფრო მოშივდა, განსა-

კუთრებით როცა ტყეს მიაღწია. ვარჯიშმა ვერაფერი უშველა მისი შინაგანი სურვილის ჩაქრობას.

ტყიდან არც ისე შორს ცხოვრობდა მიხაილი, ცოლით და ორი ბავშვით. ათანასემ წრე დაარტყა მათ სახლს. მისი ახლანდელი განწყობით მიხვდა, მთელი ხეობა ადამიანური მტაცებლობის მოწმე გახდებოდა. – ეს ამაზრზენია, – თქვა მან, – მაგრამ უნდა გაკეთდეს! ის მიბობღავდა და მიხტოდა მტაცებელი მგელივით ოთხ ფეხზე და თავის თავს ეუბნებოდა, უცნაური ხარ. ესა ხარ, რაცა ხარ. შეიგნე, შეიყვარე შენი თავი შენივე უცნაურობითო.

ის უკვე დიდი ხანია, აღარ იყო თავშეკავებული ვამპირი. თავისი ბუნება მეტისმეტად საძაგლად აღიქვა. არაფერს შეეძლო მის შეგრძნებებში ჩაკეტილი სურვილების შეჩერება და უკვე გაიწრთვნა იმაში, როგორ გაემახვილებინა მათზე ყურადღება. ყველა თავისი ადამიანური თვისებისგან განთავისუფლდა და გარყვნილად და ყოველგვარი სიკეთისგან გაძარცვული გამოიყურებოდა. მისი სახე და მთელი სხეული აგრესიას გამოხატავდა. ღობეებს გადაახტა. ზებუნებრივად გრძნობდა დაგებულ ხაფანგებს და წინ მიიწევდა უდანაშაულო ფერმერის სახლისკენ.

ოჯახის მამა ბედნიერი იყო. კარგი წელი იყო და ისიც თავისი ოჯახისთვის გულუხვად ზრუნავდა. კმაყოფილი იყო ოჯახის დედა. მიხაილმა ბოლომდე განახორციელა თავისი გრძელვადიანი მიზნები, რომლებიც ამ წლისთვის დასახა, როგორიც იყო სახლისთვის ახალი სახურავის გამოცვლა და გარესახლისთვის უკეთესი მოწყობილობის შეძენა. მოსავალმა პროგნოზს გადააჭარბა. მისი უმცროსი ბიჭი, 6 წლის აპოსტოლი, კარგად სწავლობდა სკოლაში. უფროსი ბიჭი, 11 წლის ფიოფილაკტი, წარმატებული იყო. ამას წინათ გამოცდა ჩააბარა, რაც იმას მოწმობდა, რომ ნიჭიერი ბავშვი იყო და შეიძლება მიეღოთ სპეციალურ სკოლაში მეზობელ სოფელში, რომელიც მეცნიერების, მათემატიკის, კომპიუტერებისა და ტექნოლოგიურ განვითარებაზეიყო ორიენტირებული.

მიხაილი ამიტომ თავისი ორი ვაჟის სადღეგრძელოს წარმოთქვამდა - ფიოფილაკტისას იმიტომ, რომ მიიღეს თინეიჯერებისთვის განკუთვნილ ციმბირის ტექნიკური აკადემიაში, რაც პრაქტიკულად იმის გარანტია იყო, რომ წინ დიდი მომავალი ჰქონდა, ხოლო აპოსტოლისას იმიტომ, რომ თუმცა პატარა იყო, მამას უჩვენებდა როგორი გონიერი იყო თავისი ჭკვიანი უფროსი ძმის კვალდაკვალ. მშობლებისთვის ყველაზე საუკეთესო მოსავალი მათი ბიჭების პროგრესი გახლდათ. მიხაილი ასევე აღფრთოვანებული იყო თავისი მეუღლე ელიზავეტათი. მან ამდენი დრო და ენერგია ჩადო ორივე ბიჭის - ფიოფილაკტისა და აპოსტოლის აკადემიური და ინელექტუალური განვითარებისთვის. მისი მძიმე შრომა განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ფიოფილაკტთან მიმართებაში.

– ცხოვრებაში თუ პოზიტიური არ იქნები, რაღა რჩებაო? – ეს იყო ის პოზიტიურობა, რომლითაც, როგორც მიხაილს სჯეროდა, მისი ოჯახი იზრდებოდა.

ელიზავეტამ განსხვავებული სასმისი დაიმსახურა მეორე მიზეზით. ახლა შეიცვალა მისი საქმიანობა, როგორც მეორე დონის სკოლის პედაგოგისა, ისეთ საგნებში, როგორიცაა: მათემატიკა, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერება. წინა, ათწლიან პერიოდში, კონტრაქტით გათვალისწინებული ყოველწლიურად შესასრულებული სამუშაო შეიცვალა საპენსიო გარანტიის მქონე მუდმივ დასაქმებად. ამ ამბავმა მართლა ძალიან გაახარა მიხაილი, რომელსაც აბსოლუტურად სჯეროდა, რომ დღევანდელი დღე საუკეთესო იყო მისი ოჯახისთვის.

ათანასემ იგრძნო, რომ ეს ოჯახი, რომელშიც თვითონ შემოიჭრა, ბედნიერი ოჯახი იყო. როცა წრეს არტყამდა მიმდებარე ტერიტორიას, წინააღმდეგობის ფიზიკური შეგრძნება, უხილავი, მაგრამ საკმოდ ძლიერი, დაუპირისპირდა მას. მიუხედავად იმისა, რომ მთელი არსებით ეწადა ამ ოჯახის სასიცოცხლო სისხლისგან დაწრეტა, ყოველ ჯერზე, როცა შენობაში შესვლას ცდილობდა, მას უცაბედად უხილავი კედელი

აჩერებდა. ათანასეს, რომელიც უძლური იყო, ამას ჩასწვდომოდა, ეგონა, რომ უბრალოდ თავისი ადამიანობის ნარჩენები აკავებდნენ.

ელიზავეტას, მიხაილის ცოლს, სხვა გასახარი მიზეზიც ჰქონდა: მისი და – ანა მეორე შვილს ელოდა. იმ მიზნით, რომ დისთვის დასვენების საშუალება მიეცა, ანას საყვარელი დისშვილი, ორი წლის ჟანი, მათთან იყო. ათანასემ იცოდა, როცა ეს ალალმართალი ოჯახი შენიშნა, რომ მის ბასრ ეშვებს იმის უნარი ჰქონდა, დემონური ხოცვა-ჟლეტა მოეწყო. განა იმიტომ, რომ მას ასე უნდოდა! მას უხეშ დაბრკოლებას ის უქმნიდა, რომ თავისი ნადავლით უნდა დანაყრებულყო.

ჟანი ელიზავეტასა და მიხაილის სასტუმრო ოთახში ისე დაბოდიალობდა, თითქოს მისი საკუთარი სახლი ყოფილიყო. ფანჯრისკენ ისე უზრუნველი მანერით წაბაჯბაჯდა, როგორც ახალფეხადგმულებს სჩევიათ ხოლმე, თან სლავურად კი არა, პატარების უნივერსალურ ენაზე ლაპარაკობდა. ათანასეს მოეჩვენა, რომ ჟანი ხის ფიცარზე იდგა მთელი სიმძიმით, მის ქვევით კი გაშმაგებული წყლის ნიაღვარი ციცაბო კლდიდან ეშვებოდა.

ასმოდეუსი ათანასეს წინ გაჩნდა იმ იმედით, სისხლისღვრისკენ ვუბიძგებო. – არ იცი? – ორი წლის პატარისკენ მიუთითა მან ათანასეს, რომელიც შიმშილისგან მზად იყო, კლდესავით მაგარი ყინული დაეკვნიტა. – აკრძალულ ხილზე გემრიელი არაფერია. ათანასე, მიირთვი ყველაზე საუკეთესო! არც არავინ განგსჯის, არც მოკვდები. უფრო დიდხანს იცოცხლებ!

ათანაემ გულში ჩაიხედა და აღმოაჩინა, სრულ სიბნელეს დაესადგურებინა მასში. სინათლის ნაწილაკიც კი არ იყო მის არსებაში. დარწმუნდა, მზად იყო იმით დანაყრებულიყო, რაც ცხვირწინ ედო, მაგრამ ხელახლა იგრძნო, უხილავი კედელი აკავებდა და შიგნით არ უშვებდა.

– უნდა დაუძახო.... მიიქციე მათი ყურადღება! შეგიპატიჟებენ შიგნით, – ურჩია ასმოდეუსმა.

ასეც მოიქცა. დაუძახა, მიშველეთო. თითქოს რაღაცას ეძებდა, დაენახვებოდა მათ და დაერეოდა.

ასმოდეუსს გაეღიმა, როცა დაინახა, რომ ჩაიშალა ეთაგორია ნებსონიას გეგმა, ათანასესთვის აღეკვეთა, სხვა ადამიანების სისხლით დანაყრებულიყო. – მე გავაკეთე ჩემი საქმე, – ჩაილაპარაკა თავისთვის და ფარული ამპარტავნობით დატოვა სამეურნეო ტერიტორია, დარწმუნებულმა, დადგა იქაურ ბინადართა აღსასრულიო. მას ახარებდა ეს კარს მომდგარი ხოცვა-ჟლეტა. განსაზღვრა ათანასეს შიმშილი. მას არ ჰქონდა სხვა გზა და უარს არ იტყოდა დანაყრების ამ შესაძლებლობაზე.

ახლა, ოჯახმა ათანასე დიდსულოვნად რომ შეიპატიჟა თავის სახლში, არ არსებობდა არავითარი ფიზიკური ბარიერი მას და მის ნადავლს შორის. სითბო, კერძების ნაირსახეობა, ოჯახური სიხარულისა და ზეიმის ატმოსფერო – ყველა ეს ადამიანური თვისება, რაც ოდესღაც მასაც ჰქონია და განეცადა – მთლიანად მოექცა მისი ფოკუსის ერთ წერტილში, მის პირველ ადამიანურ ნადავლზე.

მიხაილი სტუმრის თხოვნაზე მეტად გაისარჯა და თავისი ცოლი, ელიზავეტა, წააქეზა, სტუმარს მომსახურებოდა და თან მოსთხოვა, სადღეგრძელოსთვის საუკეთესო ჭიქები მოეტანა. მათი ორი ზრდილობიანი ქცევის ბიჭი, აპოსტოლი და ფიოფილაკტი, მაგიდასთან იდგენენ მშვიდად და ყველაფერს თვალს ადევნებდნენ.

ჟანი, ახალფეხადგმული, უფრო გამოცოცხლდა და სიხარულისგან აჭყლოპინდა, რომ სახლში ახალი ადამიანი ესტუმრათ. მან მაგიდიდან პურის ნაჭერი აიღო. ატიტინდა. აპოსტოლი და ფიოფილაკტი, ორივენი იცინოდნენ. ზუსტად ამ მომენტში მიხაილმა სამი ჭიქა წითელი ღვინით პირამდე მოაპიპინა. ღვინის დანახვა ათანასესთვის ძნელად ასატანი გახდა. მას ალკოჰოლი არასდროს იზიდავდა, რადგან ხედავდა, ღვინო ადამიანებს საქმისგან როგორ მოაცდენდა ხოლმე. ამ სამი ჭიქის დანახვამ მასში ყურადღება მხოლოდ იმაზე გადაიტანა, როგორ გამოწ-

რუპავდა სისხლს და დანაყრდებოდა. მასობრივ ხოცვას ორი წამიღა აშორებდა. ამ წამის გაელვებამდე პატარა ჟანმა ათანასეს პურის ნაჭერი მიაწოდა.

ათანასემ მეორედ დაათვალიერა საკუთარი სხეული. ყველა წერტილი გაშავებოდა. მართალი იყო ასმოდეუსი: არ არსებობდა მისთვის აკრძალული ხილი. მას საკვებად ყველანაირი სისხლი უნდა მიეღო. მისი სული უფრო შავი იყო, ვიდრე ყველაზე ბნელი, ყველაზე საძაგელი ცოდვები ამ სამყაროში. შინაგანად მურივით გაჭვარტლული იყო. მაგრამ მოიცა, არ აჩქარდე! გულში სინათლის ციმციმი იგრძნო. ათანასემ ხელახლა დაითვალიერა ეს შინაგანი ორგანო, რომ დარწმუნებულიყო, ის მხოლოდ მისი სასურველი ჰალუცინაცია არ იყო. ნამდვილად, მასში იქ, შიგნით, სინათლე ციმციმებდა.

თავისი ცხოვრებისეული ცვლილებების შეცნობას რომ მორჩა, ბედნიერი ღიმილით თქვა: – თქვენ შესანიშნავი, საყვარელი ოჯახი ხართ. დღეს თქვენს სახლში იმიტომ მოვედი, რომ დავკარგე ჩემი გზა. მაგრამ ღმერთმა დალოცოს ბავშვი. პატარამ, რომელიც უმანკოა, გამიყო პურის ნაჭერი და მე დავინახე, რომ ჩემში, შინაგანად ჯერაც არის სინათლე. ახლა ვიცი გზა ჩემი სახლისკენ და წავალ. ათასგზის მადლობას გიხდით თქვენი თავაზიანობისთვის. არსებობს ასეთი ცნობილი ანდაზა: ვინც ერთ სიცოცხლეს მაინც გადაარჩენს, ის მთელ სამყაროს გადაარჩენსო. თქვენ ვერასდროს გაიგებთ, როგორ შეესატყვისება ეს ანდაზა თქვენს ოჯახს. ის სრულად მეტყველებს იმაზე, რაც თქვენ ამაღამ ჩემთვის გააკეთეთ!

მიხაილმა ათანასეს მზრუნველი მზერა შეავლო, როგორ შემიძლია, დაგეხმარო სახლში დაბრუნებაშიო.

– თქვენმა ოჯახმა უკვე იქ დამაბრუნა. ზოგჯერ ყოველდღიური ქმედება, რომელიც უბრალოდ ადამიანური ჩანს, დღითიდღე, ყველაზე ტრავიალური და ყველაზე მნიშვნელოვანი ქმედებაა ყველასთვის. ვგრძნობ, თქვენს ოჯახს ბევრი დალოცავს მომავალში.

ათანასე სინათლის ენაზე მეტყველებდა, რადგან დაინახა,

რომ ეს სინათლე მასთან იყო, არ გაშორებოდა მას. დარწმუნდა, ახლა სიმშვიდეს ვეღირსებიო. ათანასემ მიხაილის სახლი ისე დატოვა, რომ თავი არ ჩაიგდო ჯოჯოხეთში, რომელიც მის სინდისს ვერ შეეგუებოდა. ისე მოემატა ძალა, შეეძლო, ქარივით ექროლა, მაგრამ ნელა წავიდა. ყოველთვის, როცა გაუჩნდებოდა არაბუნებრივი სურვილი, ადამიანის სისხლი გამოეწოვა, ილოცებოდა ზუსტად ისე, როგორც თავისმა მამა ჟანმა და დედა ჰელენემ ასწავლეს ბავშვობაში. და, რამდენჯერაც თავს დაილოცავდა, იმდენჯერ ღმერთს მადლობას სწირავდა, იმაზე უფრო ღრმა გულწრფელობით, ვიდრე უძირო ოკეანის სიღრმეა. ანომალიური შიმშილი თანდათან ცხრებოდა.

მთელი გზა ის თალმუდის მთლიან ციტატაზე ფიქრობდა, საიდანაც მან მხოლოდ ერთი ნაწილი მიაწოდა მიხაილსა და მის საყვარელ ოჯახს: ის, ვინც ანადგურებს სულს, ითვლება, რომ გაანადგურა მთელი სამყარო და ვინც გადაარჩენს სიცოცხლეს, ითვლება,რომ მთელი სამყარო გადაარჩინა. იცოდა, რომ ბაბილონის თალმუდის ამ უძველესმა ტექსტმა შეაჯამა ყველაფერი, რასაც ის ახლა განიცდიდა.

„ბევრის სიცოცხლე შემეძლო გამენადგურებინა, მაგრამ ეს ჩემი სულის განადგურება იქნებოდა. არაა გასაკვირი, რომ ბნელ ძალებს ასე გაუჭირდათ ჩემი დამარცხება. მათ ჰგონიათ, რომ მთელი სამყარო დაიპყრეს და გაანადგურეს თავიანთი ხელით“, – ფიქრობდა ათანასე. „რაც არ უნდა შემემთხვას, არ დავიღუპები. საფრთხეში ვიყავი და დახმარებას ვსაჭიროებდი. ჩემს თავს მე თვითონ ვუშველე და ღმერთმა გამიწია დახმარება.“

სინათლემ, რომელიც მასში ბუდობდა და ასხივებდა, სიხარულით აავსო ათანასე და დაარწმუნა, რომ ის საძაგელი სიბნელე, რომელსაც ის შეეჯახა, არ იყო დაუმარცხებელი. ათანასე დაბრუნდა ვოდკა ვილიჯში. გზაში ნახა კაცი, რომელიც ვირით მიდიოდა და ათოვდა. მან ღრმა სიყვარული იგრძნო ამ მგზავრისადმი. ათანასეს სიტყვა არ დაუძრავს, მაგრამ ტანჯვა იგრძნო, რაზედაც პასუხი ახლა აქვე უნდა გაეცა. სახე-

დრიანი მგზავრი სხვა გზაზე გადავიდა. მას, მიმავალს, რომ უყურებდა, ათანასე დააკვირდა თავის შინაგან სამყაროს, რომ ენახა, სინათლის ციმციმი ხომ არ შეიცვალაო.

რაც მან ნახა, იმან უფრო გააძლიერა მისი სიხარული; ადრინდელ შინაგან სიბნელეს სინათლე ანათებდა და შეუძლებელი იყო, რომ ღამის ბნელ საფარველქვეშ დარჩენილიყო. ათანასე ეკლესიის ეზოში შევიდა, სიყვარულით მოეხვია ქვის ჯვარს და იგრძნო, რომ სიმშვიდე დაეუფლა. მას არ ეშინოდა დღის სინათლის ან იმის, რომ გააშეშებდა. ნელ-ნელა ნათდებოდა. დარჩენილი სასიცოცხლო ძალა განეშორა ათანასეს, როცა უფლის ხელში მიიძინა.

ერთი საათის შემდეგ მამა ევგენიმ იპოვა ათანასე, რომელიც ჯვრის პირდაპირ იწვა. როცა მასთან მივიდა, გააცნობიერა თავისი წუხილი, რომ გარდაცვლილიყო ის კაცი, რომელსაც ის ჯერ კიდევ იმ დროიდან იცნობდა, როცა ჩვილი დედამისს მკლავებში ეწვინა. მამა ევგენიმ მის ცხედართან მათეს სიტყვები წარმოთქვა: – *არავინ იცის ამ დღისა და ამ საათის შესახებ, არც სამოთხის ანგელოზებმა, არც ძემ (ღმერთმა). იცის მხოლოდ მამა ღმერთმა* (მუხლი 24, თავი 36).

ცრემლი გადმოუგორდა მამა ევგენის. მას გაახსენდა ის დღე, ათანასე რომ მონათლა, როცა ის პატარა იყო. მოაგონდა მისი მშობლების თვალები, თავიანთი ერთადერთი ვაჟისადმი სიყვარულით სავსე. მხოლოდ რამდენიმე დღის მოგვიანებით ეწვიათ თავიანთი ნაზი ჩვილის პირველი წმინდა ზიარების სიხარული. გაახსენდა ყველა მისი აღსარება და სულიერი დამოძღვრა. ამ მოგონებებთან ერთად მან გააკეთა ის, რასაც ყველა კარგი მღვდელი აკეთებს – წესი აუგო უკანასკნელად და აკურთხა.

ათანასეს შიმშილის ტერორმა, რომელიც მის სულს განადგურებას ემუქრებოდა, მარცხი განიცადა. მისი სული სიმშვიდეში განისვენებდა. მაგრამ ათანასეს გარდაცვალებამ, რომელიც მამა ევგენიმ ბუნებრივად არ ჩათვალა, მას აუწყა, რომ ვოდკის ხეობასა და ვილიჯში რაღაც ძალიან ცუდი ხდებოდა.

დეპრესიული იყო, მაგრამ მამა ევგენი არ კარგავდა დროს, ათანასესთვის შეძლებისდაგვარად კარგი დაკრძალვა მოეწყო. ამ მზადების შემდეგ, რასაც დღის დიდი მონაკვეთი დასჭირდა, მამა ევგენს, საბოლოოდ მოუსვენრად ჩაეძინა, რომელიც ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიმდინარეობდა. საწოლიდან ადგა, აძაგძაგებდა ის, რაც ესიზმრა. სიზმარში ნახა, რომ ვოდკის ხეობას ზემოდან ბინძური ბოროტება გადაფარებოდა. ბოროტება გაიზრდებოდა, თუ მისი ძალა ხალხის ნებას გატეხდა.

– ეს არის მიზეზი, – თქვა მან უშუალოდ, ქრისტეს ხატის წინ ღამის საცვლებში მდგომმა, – რატომაც მე საწოლში ჩავწექი, რომ მეტირა ჩემი და ჩემი ხალხის ცოდვების გამო. საშინელი სიზმარი ვნახე, ჩვენ თუ როგორ უნდა ავარიდოთ თავი თავაშვებულ ულმობელ ბნელ ძალებს. მოგვეც ძალა, უფალო, შენი სიყვარულის სახელით თავი დავიცვათ, მოვიგერიოთ და მოვსპოთ ბოროტება, რომელიც ცდილობს, სასიკვდილოდ ამოგვხადოს სული! მე ვილოცებ, რომ ჩემი ვილიჯი მარტო არ არის ამ ბრძოლაში.

თავი 11
ხატმწერი

ორთოდოქსული ეკლესიისთვის ხატების წერა სერგეისთვის, ბავშვობიდან, ცხოვრების წესი იყო. რუსეთის ორთოდოქსმა პატრიარქმა მას კურთხევა მისცა ამ წმინდა საქმიანობისთვის. მაგრამ ამ დღეებში სერგეი განუწყვეტლივ ტიროდა. ფსიქიკურმა განწყობამ შეაფერხა მისი ტალანტი, გაეგრძელებინა ამ პროფესიით მუშაობა.

ის დუმდა იმის შესახებ, რასაც ხედავდა თავის ოთხ კედელშუა (და ზოგჯერ მაშინაც კი, როცა გარეთ, ხალხში, იმყოფებოდა) – ეჩვენებოდა ფრთიანი დემონები, მტაცებლური ვამპირები და ტვინის მჭამელი ზომბები. თვით ბნელი ძალა ხელმძღანელობდა ნგრევასა და ძარცვას. სერგეიმ ვერ შეძლო, რაიმეში გარკვეულიყო.

საკუთარი რელიგიისადმი რწმენა, შინაგანად ან გარეგნულად, განსაზღვრავდა ყოველთვის მის ცხოვრებას. მისი ოროთახიანი სახლიდან მოჩანდა ეკლესია, რომელიც ამაყად იდგა მთაზე. ფეხით წასვლას მხოლოდ რამდენიმე წუთი სჭირდებოდა, რომ სულიერ მიმართულებას ზიარებოდა. მაგრამ იმისიც ეშინოდა, თუ საით წაიყვანდა ეს მიმართულება.

ხილვებით შეურაცხყოფილი სერგეის გონება აღელვებისგან უმართებულოდ მერყეობდა. ბიბლიის თანახმად, არ უნდა ენერვიულა. წმინდა მათეც წერდა ბედისწერის შესახებ. ამან ჩააფიქრა. *„ქრისტიანებს უბრალოდ არ სჭირდებათ ზრუნვა, როგორ იშოვონ ლუკმა-პური. ხეები, სადაც ფრინველები თავშესაფარს პოულობენ, ფოთლებით იმოსებიან, მიწა თავისით იფარება წარმტაცი ყვავილებით. ღმერთი იზრუნებს შენზე, სერგეი!“*

ღვთისმოშიში ქრისტიანი, რაც უფრო თავდაჯერებული იყო, მით უფრო მეტად ზრუნავდა საკუთარ თავზე. მას არ მიეცა ღვთაებრივი მადლი, შეეჩერებინა მისი სულის ეს სენი. ამიტომ გადაწყვიტა, თავისი გონება თავისი შინაგანი შფოთვის წინააღმდეგ გამოეყენებინა. მისი რწმენა, რომელშიც არასდროს შეჰპარვია ეჭვი, შესაბამისად მარტივი იყო. მისთვის გასაგები იყო ქრისტიანული მინიშნებები უმრავლეს ძირითად ტერმინებში. ხილვებმა ასე თუ ისე აიძულეს, მისულიყო იმ ადგილას, სადაც მისი რწმენის რეალობა და კარგსა და ბოროტს შორის ბრძოლა აშკარად არეულ-დარეული იყო. სერგეი ცდილობდა, არ ეფიქრა იმაზე,თუ რას ნიშნავდა ეს საშინელი, საძაგელი სიზმრები.

მან შეიმუშავა რაციონალური გეგმა, რომ შეენარჩუნებინა საღი გონება და ფიზიკურად დატვირთული ყოფილიყო. მაგრამ მისი სული არ განიწმინდა, გამუდმებული ლოცვებითაც კი. მისი ხილვები გრძელდებოდა და შესაბამისად იზრდებოდა ცუდი წინათგრძნობა. ,,მე მიცნობენ აქ, ამ არემარეში, ასევე – რუსეთის სხვა ადგილებში. დავკარგავ სამუშაოს .... და შეიძლება, ჩემი პატრიარქის კურთხევაც დავკარგო“.

ეს არ იყო სამართლიანი შიში. მას არ ჩაუდენია საზარელი დანაშაული, არ მიუყენებია შეურაცხყოფა ეკლესიისთვის, არ ყოფილა ერესის მიზეზი. ის არ წასულა რწმენის წინააღმდეგ ან არ ყოფილა მკრეხელი, რომ დაემსახურებინა საეკლესიო მსახურებიდან ჩამოშორება. მას ყველაზე მეტად იმის ეშინოდა, რომ მის ხელთნაწერს ეკლესიაში აღარ მიიღებდნენ. სერგეის უნდოდა, რომ მოძღვარისთვის თავისი ხილვები გაენდო, მაგრამ მაინც ეშინოდა. როცა ადამიანი აღსარებას აბარებს, აღსარება მიმართულია არა უბრალო მღვდლის, არამედ ღვთის მიმართ, რომელსაც ერთადერთს აქვს ცოდვების მიტევების ძალა. მაგრამ სერგეის ყველაზე მეტად სტანჯავდა უნდობლობა. (კლინიკური ფსიქოლოგი ამაზე დასვამდა დიაგნოზს, რომ ნეგატიური გადატანის დროს პაციენტი ხელს უწყობს მის პროგრესს. აღსარება, სულიერი საიდუმლო, თავი-

სი ბუნებით ძალიან სცილდება კლინიკას.)

სერგეის საქციელის ახსნა სხვანაირადაც შეიძლებოდა. ცხოვრების უმეტესი ნაწილი მან საბჭოთა კომუნისტურ უღელქვეშ გაატარა, სადაც ეკლესიები და ორთოდოქსული რელიგია აიკრძალა. მისი შიში ეფუძნებოდა, ადამიანის მიერ საკუთარი თავის გახსნილობის შესახებ ნეგატიურ, კონტროლირებად გამოცდილებებს. ღიაობა ნიშნავდა დასჯას, სამუშაო ადგილის დაკარგვას ან უარესს – წამებას, პატიმრობას, სიკვდილს.

სერგეის საკმარისი ფული ჰქონდა, წასულიყო იმ ადგილას, სადაც სიზმარში მიუთითებდნენ. მაგრამ ვისი ხმა ეუბნებოდა, რომ წასულიყო და რატომ უნდა დამორჩილებოდა ამ ხმას? თუმცა იგრძნო, იძულებული იყო, წასულიყო, დრო არ გაეფლანგა უქმად, დღითიდღე ცარიელ ტილოზე ყურებაში.

მას ეშინოდა, აღეწერა თავისი გიჟური ხილვები. მის სიბრმავეს მიმართულება აკლდა იმ სამყაროში, სადაც მინიშნება ასე ადვილი მისაღებია, რომ არა – ნდობის ნაკლებობა. იდეამ, თავისი მღვდლისთვის ხილვებსა და კოშმარებზე ეთქვა, სერგეის ენერგიული და ხანგრძლივი ლოცვა დააწყებინა, რომ საამისო ძალა მისცემოდა. თუმცა იჯდა მარტოდმარტო და იმაზე ფიქრობდა, ეს ხილვები თუ რას მოასწავებდა დედამიწაზე. ფიქრებში გართულს, ხელში მოქსოვილი ქუდი ეჭირა, რომელიც მისმა ახლო მეგობარმა, ჩეჩენმა ახმედ ისლამოვმა, მისცა. სერგეის მოსწონდა ახმედის ლამაზი, დეტალური დიზაინი, რომლითაც მას სურდა, ზუსტად გამოესახა თავისი გარემოს მსგავსი მიკრო სამყარო.

ახმედი, მშვიდი, უხეში სილმაზის, ჩრდილოკავკასიელი იყო, რომელიც ფიზიკურად მუშაობდა და გონებას წიგნების ინტენსიური კითხვით იმდიდრებდა. ის ლიტერატურას იმ მოქნილობით იყენებდა, როგორც სტუმრებისა და თავისთვის ბარბექიუს მოზადების დროს სჩვეოდა ხოლმე. მას ჰქონდა უნარი, სიზმრები ისე აეხსნა, რომ ნებისმიერ იუნგიანის ან ფროიდის მიმდევარ ფსიქოანალიტიკოსს შეშურდებოდა (ვაღიარებ მის

საკმაოდ მომხიბლავ და საკმაოდ დამაჯერებელ წვდომას). მაგრამ ახმედი გროზნოში იყო, სერგეი კი – სოჭში და შეუძლებელი იყო მასთან კონტაქტი კიდევ ორი თვე. ახმედი ზუსტად მაშინ არ იყო, როცა სერგეის მისი ბრწყინვალე წვდომა სჭირდებოდა. უამისოდ სერგეი თავის გულისხმას უნდა მიჰყოლოდა, იქით წასულიყო, საითაც ის წაიყვანდა.

მას გულს სტკენდა ის, რომ არ შეეძლო, თვითონ ეთქვა მღვდლისთვის თავის სიზმრებზე. მაგრამ იმასაც განმარტავდა, რომ აზრი არ ჰქონდა. ეს იყო მხოლოდ ის, რაც მისი შეუცნობელი გონებიდან მოდიოდა. პარანოია და რწმენისადმი შეტევა, რომელიც სიზმრებს თან ახლდნენ, მას ზოგჯერ ამუნჯებდნენ. მაშინაც კი, როცა გარეშე ხმები მიჩუმდებოდნენ და შინაგანი ხმებიც ნაკლებად აწუხებდნენ, მას არ ასვენებდა ბობოქარი ენერგია. ადამიანის გონება ნამდვილად არ არის საიმისოდ, საშინელი ტრავმა, ძალადობა და განადგურება განიცადოს.

მისი სიზმრები მოწმობდნენ ჯოჯოხეთისა და მისი მფლობელების მიერ ომის გაჩაღებას, რაც გამოიწვევდა ადამიანების ცხოვრების განადგურებასა და ყველაფრის გაჩანაგებას. გადარჩენილებს მონებად გაიხდიდნენ და ბოროტების სამსახურში ჩააყენებდნენ. ისინი, ვინც მონებად დარჩებოდნენ, მართლაც, მხოლოდ საკუთარი თავის მონები იქნებოდნენ. მათ არც კი ეცოდინებოდათ, რომ დამონებულები იყვნენ, რადგან არ ექნებოდათ სწორი ხედვა.

ლუციფერს გაგიჟებით ენატრებოდა საყვარლები. ისინი თვლიდნენ, რომ თუ ლუციფერის ბოროტ სურვილებს დააკმაყოფილებდნენ, მათი მოთხოვნებიც შესრულდებოდა. ლუციფერი ამაყად იჯდა თავის დემონ თანმხლებებს შორის და იცინოდა იმ, თავის მიერ ჩადენილ, საზიზღარ საქმეებზე და იმაზე, თუ როგორ ადვილად იზიდავდა ამ დამონებულ ხალხს. ის ტრაბახობდა, როგორ აიძულებდა იმ მრუშებს, როცა თვითონ მოყირჭდებოდა ისინი, შემდეგ უფრო პატარა დემონები დაეკმაყოფილებინათ.

– ისინი მართლა დაცემულები არიან და მე ვეხმარები მათ,

ჩემსავით ზედა საფეხურიდან უფრო მეტად შუაგულ სიღრმეში ჩაცვივდნენ. მე მინდა, მათ გადავდო ჩემი გარყვნილება. ისინი, ვინც თავიანთი ერთობლივი ბედით ნაკლებად ბედნიერები არიან, მე უფრო მგზნებარედ მაკმაყოფილებენ. მე მათ ვაიძულებ სისაძაგლეების გაკეთებას ჩემს გასართობად და ვუსმენ მათ აღტაცებულ რეაქციებს. მეღიმება დემონის ღიმილით და ვტკბები მათი მრუშობის ალმურით. ქალები აღიარებენ, რომ ისინი ვერც იოცნებებდნენ, თავიანთ ქმრებთან გაეკეთებინათ იგივე, რასაც ჩემთან აკეთებენ. ეს მორალური ძალდაუტანებლობა და მათს პირად განადგურებაში მონაწილეობა არის ის, რითაც მე ყველაზე მეტად ვტკბები. ისინი ამაყობენ, რომ მე კმაყოფილებას მანიჭებენ, ქმრებს უარყოფენ და ჩემს ოქროს ჩემი სიამოვნების საფასურად იღებენ. როცა მე მათგან ვიღლები, ისინი სიტყვის უთქმელად ხვდებიან.

– სიტყვის უთქმელად, – შეეპასუხა დემონი, რომელიც „ნარჩენებს“ ელოდა თავისი შიმშილის გადასაგორებლად.

– მე ყოველთვის თავაზიანი ვარ ცდუნების დროს, – ჩაფიქრდა ლუციფერი. – ამ ოქროს ყელსაბამების, ბეჭდების, სამაჯურების გამო ჩემი ბოზები ისეთ სისაძაგლეებს კადრულობენ, რომ, ალბათ, მომდევნო 24 საათის მანძილზე პირღებინებას ვერ იჩერებენ. თუკი ისინი განაწყენდებიან ჩემზე რაიმე ავადმყოფობის გადადების შემთხვევაში, დაპირისპირების სხვა რისკები იჩენს ხოლმე თავს. მიყვარს, ჩემს ირგვლივ ყოველთვის არეულობას რომ ვიწვევ. ეს ღირსების ისეთ შეგრძნებას მიჩენს, როგორიც მაქვს ხოლმე, როცა ვხედავ, პატიოსანი ადამიანი უპატიოსნოდ რომ გარდაიქმნება, დაახლოებით იმ პოლიტიკოსივით, რომელიც ცდილობს, თავი შეიკავოს ტყუილისგან.

ამ დისკუსიის შემდეგ, სიზმარი ნგრევამ მოიცვა საზიზღარი და მტანჯავი შეგრძნებით, რომ ყველანაირი იმედი გაქრა. ყველა შუქი ჩაქრა სამყაროში. ყველა წყალობა, სიკეთე და გულკეთილობა გაიფანტა და კაცობრიობა მთლიანად სიბნელემ მოიცვა.

ეს ერთადერთი რომ ყოფილიყო, რაც სერგეიმ სიზმარში ნახა, მაშინ არ ექნებოდა მოტივაცია, რომ სოჭი დაეტოვებინა და შორ მგზავრობას შესდგომოდა. მაგრამ მას ნათლად ახსოვდა, სიტყვები რომ დაინახა: ვოდკის ხეობა, კამჩატკა, ციმბირი ჩვეულებრივ (ზუსტად გაიხსენა სიზმრიდან გამოფხიზლების შემდეგ). ასევე დაეუფლა შეგრძნება, რომ ბოროტების აბსოლუტური მბრძანებლობა ვერ გაბატონდებოდა, თუკი მართალი სულები, რომლებიც ამ სიზმრის მესიჯს დაიჯერებდნენ, ვოდკის ხეობაში წავიდოდნენ და უფლის გვერდით დადგებოდნენ. შესაძლებელი იყო სამყაროს გადარჩენა დაღუპვისაგან.

ოქრო, რომელსაც ლუციფერი თავის საყვარლებს აძლევდა, მას სხვა, ჭეშმარიტი ფორმით დაუბრუნდებოდა. მაგრამ, სერგეი როგორ დაამარცხებდა ბნელ ძალებს, მას არ აუხსნეს თავის სიზმარებში. ბრმა რწმენით მას ევალებოდა ის გაეკეთებინა, რაც შეეძლო: წასულიყო ვოდკის ხეობაში, მოეხმო უფლის ძალები, ებრძოლათ იმის წინააღმდეგ, რაც საფრთხეს უქმნიდა მთელ რეგიონს, ქვეყანას და პლანეტას.

„რას ვკარგავ, თუ ამას ჩემს მოძღვარს ვეტყვი? ვეტყვი იმას, რაც გულში მომხვდა ამ სიზმრებში. ჩემი საქმიანობა ხატწერაა. მე იმისთვის გავჩნდი, რომ ვიყო ეკლესიის ხელოვანი და მხატვრობით წარმოვადგინო იესო ქრისტეს სიმართლე, მისი ღვთაებრივი დედა, ანგელოზები, წმინდანები და წმინდა ოჯახი. ეს სიზმრები წერტილს დაუსვამდნენ ჩემს საქმიანობას და ცხოვრების მისიას, მათი ჩურჩულის გაგონებითაც. ჩემი სიზმრები რომ უბრალო ყოფილიყო და ჩემთვის რომ ეთქვათ, უააზრობააო, დავიჯერებდი ამას, როცა გული სულ სხვას მეუბნება?

სერგეიმ, რომელიც არა თუ მხოლოდ ვოდკის ხეობიდან, არამედ ციმბირიდან ასე შორს ცხოვრობდა, გადაწყვიტა, წასულიყო იქ, სადაც ხილვამ მიიყვანა. „მე ღვთის შვილი ვარ. ისე უნდა გავაკეთო, რომ მან აღასრულოს თავისი მისია, რომ დაიცვას ციმბირის, რუსეთის და მთელი სამყაროს ხალხი ბნელი

ძალებისაგან. თუკი ჩემი სიზმრები სინამდვილეა, გევედრებით უფალო და სულიწმინდავ, დარჩით ჩემ გვერდით მაშინაც კი, როცა მძინავს, რომ დაცული ვიყო სიზმრებში ნებისმიერი ძალმომრეობისგან. ეს მოკვდავი უნდა იყოს ძლიერი, მაგრამ მდუმარე. თუნდაც ეს სიზმრები ნამდვილი იყოს, ხალხის ნდობა არ შეიძლება“.

სერგეი თბილად ემთხვია წმინდა მიქაელის ხატს, რადგან იცოდა, რომ წმინდა მიქაელი დაიცავდა მას ბოროტი ძალების წინააღმდეგ ბრძოლებში. უფლის მიმართ ლოცვისას ის შეახსენებდა მას თავის შინაგან ძალას. სერგეის მშვიდი ხასიათი სრულიად განსხვავდებოდა, მისი მეგობარ ანტონის ხასიათისგან.

ანტონი ცრუქაქუნა გენერალი იყო, რომელიც იმდენს ჭამდა და იმდენად ვერ იტანდა, რომ კვნესოდა, თუკი თუნდაც ყუთის აწევა მოუწევდა. ის ტრაბახობდა, რომ დიდი მებრძოლი იყო, რომელიც 1980 წელს ავღანეთის ომში მსახურობდა. მაგრამ ჭორები დადიოდა, რომ ანტონს შიშისაგან ეპარებოდა, თუ წრუწუნა მის ფეხსაცმელს წაუცაცუნებდა, და რომ, საერთოდ, სროლის ხმა შორიდანაც სასოწარკვეთილებაში აგდებდა.

ანტონს რომ მოეტყუებინა და თავისი საომარი გმირობა მოპარული მედლით ემტკიცებინა, ამას ნამდვილად ვერ შეძლებდა. ის ის ტიპი იყო, ვინც დაკრძალვაზე მიცვალებულის დანახვისას ტიროდა (კუბოში, მშვიდობიან ქალაქში, სამყაროს რომელიღაც ნაწილში, ნებისმიერი ომიდან ასე შორს).

სისხლისა და ნემსის დანახვა ანტონში მძაფრ, ცივ შეგრძნებას იწვევდა, რომელიც იწყებოდა ფეხიდან, მოედებოდა მთელ სხეულს და გონებას და ასე ეგონა, რომ ბრძოლის შუაგულში იყო ან შესაძლოა სულაც ანევრიზმა დაემართა.

სერგეიმ დილით ანტონის კარებზე დააკაკუნა და მშვიდი, იდუმალი ხმით უთხრა: – მივდივარ დროის გარკვეული პერიოდით. იქნები ჩემი კარგი მეზობელი და დაიცავ ჩემს სახლს მძარცველებისგან?

წამიც არ იყო გასული, ვიდრე ანტონმა უპასუხა, რადგან მას ჭოჭმანი არ სჩვეოდა:

– კრემლის მცველივით დავიცავ შენს სახლს. ოღონდ სამხედრო ფორმას ჩავიცვამ, რომელიც ქაბულში მეცვა, როცა მტერს მამაცად ვებრძოდი!

სერგეი მიხვდა, რამდენად სასოწარკვეთილი უნდა ყოფილიყო, ეს ანტონისთვის რომ ეკითხა, რომელიც იდიოტზე მეტი იყო. ვილიჯში, სადაც ის საკმაოდ სამარცხვინო იყო, ყველა გამუდმებით დასცინოდა მის გამოგონილ თავგადასავლებს. იმასაც ჰყვებოდნენ, მისმა მხსნელმა დედამ მათ რომ უთხრა, რომ ღმერთმა თავისი სიკეთით დაიფარა მისი შვილი ომისგან, რადგანაც ის ზედმეტად გულჩვილი იყო საიმისოდ, რომ საბჭოთა არმიაში წასულიყო. ის აქებდა საბჭოთა კავშირს, რომ მისი საყვარელი, ერთადერთი ვაჟი დაიფარა.

ანტონი, რატომღაც, აღიზიანებდა ხალხს, არა სამხედრო სამსახურიდან მისი განთავისუფლების გამო, არამედ ავღანეთში მისი დაუყოვნებლივ გამგზავრების თაობაზე გამოგონილი ამბის გამო. ამან უბიძგა ანტონს, ომზე ეცრუა, მსგავსად იმ მსუქანი ბავშვის ილუზიისა, რომელიც კოლას სვამს და შოკოლადის ფილებს ჭამს, ხარბად რომ ნთქავს ჩიპსსა და ბურგერს (ან მსგავსად იმ ღორმუცელისა, რომელიც საპირისპიროს აკეთებს უზომოდ ჭამის შემდეგ). თავდაპირველად ის გაუჩინარდა დაახლოებთ 20 დღით, როგორც ეს მოსალოდნელი იყო. შემდეგ, ჩათვალა, რომ საკმარისი დრო იყო გასული ლეგენდების შესათხზველად, ისევ გამოჩნდა, რომ ხალხისთვის თავისი გმირობის შესახებ მოეყოლა. ანტონი აღნაგობით ვერ ახდენდა შთაბეჭდილებას, მაგრამ ზღაპრებით ცდილობდა ამის კომპენსაციას.

ამ გულჩვილმა მეზობელმა სერგეის რეალური შიში აღუძრა. ეს სულელი მეზღაპრე და მოლაყბე, რომელიც საუბრისას ისეთივე სიხშირით ისროდა პროფინაციებს, როგორი სიხშირითაც ნარკომანი იშხაპუნებს ხოლმე ნარკოტიკს, ნამდვილად ყველას ეტყოდა ვილიჯში, რომ სერგეი წავიდა და კარგა ხანი არ დაბრუნდებოდა.

თავისი სიმამაცის შესახებ დაწვრილებით მოყოლა რომ არ გაეგრძელებინა, სერგეიმ ანტონს ლაპარაკი შეაწყვეტინა: „თუკი ვინმე მიკითხავს, უთხარი მათ, რომ რუსეთის სხვა ადგილები უნდა მოვიარო. ისიც უთხარი, მონასტრებში ვიქნები და იმიტომ მივდივარ, რომ ვნახო, როგორ შევძლო უკეთესი დიდებული ხატების წერა!“

„ღმერთო! ის არასწორად გაიგებს ამას და ხალხს რამე შეთხზულს ეტყვის? ნამდვილად ასე იქნება. არაა საეჭვო!“

სერგეიმ გულწრფელად ილოცა, რომ ხალხს ეჭვი არ შეჰპარვოდა, მრევლი გარკვეული პერიოდით სულ სხვა მიზეზით მიატოვაო. ვიცი, ჩვენი ბრძოლა ლუციფერთან ხანგრძლივია, მაგრამ შინაგანად ძალიან ღრმად მწამს, რომ ვოდკის ხეობის ბრძოლის ფრონტზე ჩემი დახმარება საჭიროაო, იმართლებდა თავს.

სიბნელე გამოყენებული იქნება და ხეობის ხალხის გონებას ისე დაიპყრობს, თითქოს სულიერი ეპიდემიაა. ამას მის სიზმრებში ბინძური გროტესკები ავრცელებდნენ. სერგეის უკვირდა, მათმა დასიზმრებამ მძიმედ რომ არ დააავადმყოფა. საბედნიეროდ, ბიბლიური იობივით, კანზე მუწუკები არ გასჩენია საშინელი სანახაობებისა და ხმების გამო.

არა! სერგეი გამოფხიზლდა, კანი ნორმალურ მდგომარეობაში რომ ნახა. ისევ ისეთივე ჯანსაღი და ძლიერი იყო. გაუძლებდა ქარიშხალს, რომელიც იმ ბნელ სიზმრებს ბილწი სიტყვებით თან ახლდა. მაგრამ მისი აზრით, მორალის შეცვლას იწვევდა ხალხის მითქმა-მოთქმა (მათ მხარზე შესკუპული დემონების მიერ წაქეზებული), რომ ვოდკის ხეობა ცივი ცეცხლის ალში გაეხვევაო.

მაგრამ სერგეის სჯეროდა ღვთის შორსმჭვრეტელობის. მგზავრობისას შევხვდები სინათლის ძალებს. დაცვის გარეშე არ წავალო, იმშვიდებდა თავს, როცა საუკეთესო გზას ეძებდა ციმბირში ჩასასვლელად მანამ, ვიდრე განადგურდებოდა. აპოკალიპსის საწყისი ადგილი მორალის შეცვლით გამოვლინდებაო.

რუსეთის ამ სამხრეთ ბოლოდან მას შორი გზა ჰქონდა გასავლელი, სანამ ციმბირში ჩააღწევდა. ყოველთვის, როცა ამას აცნობიერებდა, იმედოვნებდა, რომ ღმერთი დროსაც მისცემდა და დახმარებასაც გაუწევდა, გადაერჩინა ვოდკის ხეობა. ფიქრობდა თავის სახლზე აქ, კრასნაია პოლიანაში (ლამაზი სინათლის ზოლი). ის ნამდვილად იდილიური ნაწილი იყო ჩრდილო კავკასიისა, რომელიც მას, სოჭის მოქალაქეს, უნდა მიეტოვებინა. მაგრამ ეს მიტოვება ღირდა ამად, რადგან სერგეისთვის თავისი ამოცანა იყო სულიერი და უნივერსალური, არავიწრო-საკუთრივი, არაეგოისტური, საქველმოქმედო, არაავგული. ეს ნიშნავდა, დაემარცხებინა ისინი, ვისაც უაზროდ მთელი სამყაროს კაცობრიობის მოსპობა უნდოდა.

ავტობუსის მოლოდინში ის იჯდა სიჩუმეში, რაც სულ არ შეესაბამებოდა მის შინაგან ღელვას. მისჩერებოდა უდანაშაულო შესახედაობის მქონე მდინარე მზეტას, რომელიც შავ ზღვაში ჩაედინება. მას უყვარდა მდინარე, მიუხედავად იმისა, რომ მან მისი ბავშვობის მეგობრის სიცოცხლე იმსხვერპლა, როცა ორივენი ცხრა წლისანი იყვნენ. კავკასიის მთებს ისე უყურებდა, თითქოს უკანასკნელად ხედავდა და უნდოდა, მოხვეოდა თითოეულ კლდეს და თოვლიანი ნიადაგის ყოველ გოჯს. სწყინდა, როცა იმაზე ფიქრობდა, რომ ისინი, ვინც ასე იფარავდნენ და ასე ახლობელნი იყვნენ მისთვის, მსგავსად თავისი გარდაცვლილი მეგობრის აჩრდილისა, მის გვერდით არ იქნებოდნენ მისი მომავალი განსაცდელის დროს.

როგორც იქნა, ავტობუსი მოვიდა ერთი საათის დაგვიანებით. მან მძღოლს _ დანაოჭებულს, გაუპარსავ, მაღალ და ღონიერ კაცს, უთხრა, რომ სოჭში, ადლერის აეროპორტში მიდიოდა, რომელიც 80 კილომეტრზე მდებარეობდა. ტაქსის მძღოლმა აუხსნა სერგეის, საშიშიაო, რის პასუხადაც სერგეიმ, დამატებით გადაგიხდიო, უთხრა.

სერგეიმ, რომელიც ავტობუსით მგზავრობდა, იგრძნო, როგორ ჩაიძირა სიყვარულის, სამართლიანობის, ზრდილობის, მორალის, ადამიანური სიკეთისა და დიდსულოვნების გან-

ცდებში. ის იმავეს ამჩნევდა მის ირგვლივ მყოფ ჩვეულებრივ ადამიანებს, რომელთაც გააჩნდათ თუ არა რწმენა, გული კეთილი ჰქონდათ. ის იმ ხალხზე ფიქრობდა, თავის აქაურ ნაცნობებზე, რომლებიც უთენია იღვიძებდნენ და გვიან ღამე ბრუნდებოდნენ სახლში და ისეთ სამუშაოს ასრულებდნენ, რომ იცოდნენ, ეს მათი ინტელექტის, სულის და მათი სიხარულის და ბედნიერების შეგრძნების შეურაცხმყოფელი იყო. სამუშაო ციხეში ყოფნის განცდას უტოვებდა მათ და ანაზღაურებაც არასაკმარისი იყო, მაგრამ ამას მაინც აკეთებდნენ, რადგან თავიანთი ოჯახი უყვარდათ. ხშირად აღიარებდნენ, რომ შვილები საკუთარ სიცოცხლეს ერჩივნათ და ძალიან უნდოდათ, მათთვის უკეთესი ცხოვრება შეექმნათ. რა თქმა უნდა, ამ კატეგორიის ხალხზე თვით უფალი ზრუნავს, მფარველობს და იცავს მათს სიკეთეს და უდანაშაულობას.

სერგეის ეს იმიტომ მოაგონდა, გახსენებოდა თვითონ სამართლიანობას რომ უჭერდა მხარს. დასჯილი სულების უტიფარი გოდება ვერასდროს შეაჩერებდა მას, აღესრულებინა თავისი მონოდება, რომელიც, მისი რწმენით, ღვთისგან მოდიოდა. დემონების სიბნელე უვნებელი გახდებოდა და ის შეუვალი იქნებოდა მათი გახრწნილობის მიმართ.

„ღმერთის შეწევნითა და ძალით მე დავბრუნდები. ეს ბნელი ძალები, რომლებიც ცდილობენ ვოდკის ხეობის ხალხის განადგურებას, ჯოჯოხეთში ჩაბრუნდებიან, საიდანაც მოვიდნენ. თუნდაც + 2000 გრადუსი ტემპერატურა იყოს, მე სერაფიმებისა და ქერუბიმების ფრთები გამაგრილებენ და მთავარანგელოზები დამიფარავენ. ყველა ხვრელს დავგმანავ, რამაც დედამიწა ჯოჯოხეთად აქცია. შთაგონება ღვთისგან მოვა, რომ დაძლევაში დახმარება გაუწიოს მის მორჩილ მაცნეს“.

სერგეი ამ ფიქრებში რომ იყო, რაღაც ხმები მოესმა და შეეძლო, დაეფიცა, რომ ეს ხმები ჯოჯოხეთიდან მოდიოდა, რამაც ნერვები ისე აუფორიაქა, როგორც ქარიშხალი ატრიალებს ხოლმე ქვიშას. „ერთი რამ ნამდვილად უტყუარია, რომ ძილი და სიზმარი ადამიანის ყველაზე სუსტი წერტილია, როცა ჩვენ

დაუცველები ვართ და ქვეცნობიერად იმ სამყაროში ვართ, რომელსაც ჩვენ, ადამიანები, სრულად ვერ ვაკონტროლებთ“.

სერგეი სალოცავად რომ ადგა, პირველ ღამეს იმ საშინელი, არამიწიერი სიზმრების შემდეგ და უფლისადმი ლოცვა ჩაათავა, ფხიზელ მდგომარეობაშიც იგივე ხილვები ჰქონდა, რაც – ძილის მდგომარეობაში. დემონის დანახვა შიშს აღუძრავს ადამიანებს, თავიანთი სისუსტის გამო. შიში, რომელიც სერგეის დაეუფლა, იყო უკიდეგანო და მოქმედი შიში, რომელიც ტანჯავდა და აწვალებდა, ვოდკის ხეობის გამო.

სერგეი შეუდგა თავისი შიშისა და ნერვიულობის გაანალიზებას. დაფიქრდა თავის საყვარელ, სულიერ მრჩეველზე, მამა გიორგიზე, რომელმაც ხელი შეაშველა, ჩასწვდომოდა ქრისტეს ორმაგ ბუნებას – ღვთაბრივსა და ადამიანურს, რომლებიც, ორივე, ღვთიურიც იყო და ადამიანურიც. ამან გაახსენა სერგეის, თუ რა ფიზიკური ტკივილი აიტანა ქრისტემ ჯვარზე ჩვენ გამო. ეს აღემატებოდა ნებისმიერ ადამიანურ ტანჯვას. ისიც მოაგონდა, რომ ჯვარზე გაკრულმა ქრისტემ მიუტევა ცოდვა კაცობრიობას და აჩუქა მარადიული სიცოცხლე. ამის შედეგად გააცნობიერა სერგეიმ, რომ მის მომავალ ბრძოლებში ბოროტება –სისაძაგლე, გარყვნილება, გახრწნილობა – უბრალოდ სიმპტომური ფიზიკური რეაქცია იყო მისი ადამიანური მდგომარეობისთვის. ვინაიდან მან იესო მის მხსნელად იწამა და, ნათლობის თანახმად, უარყო ეშმაკი და მისი ყველა ქმედება, მისი ცხოვრება ღმერთს ეკუთვნოდა და ამიტომ ის, უსაფრთხო ხელში მყოფი, ვალდებული, ღვთის ნებას ემსახურებოდა.

ყველაფერი კარგად იქნებაო, გაიმხნევა სერგეიმ თავი, ადლერის აეროპორტში რომ მივიდა, სადაც მონიტორზე ფრენის სხვადასხვა მიმართულებები იყო ნაჩვენები.

მაგრამ მისმა პირადმა დემონმა (მარცხენა მხარზე შესკუპულმა) გააღვივა ეჭვის მარცვალი მისი სულის წიაღში. „არა, არ შემიძლია ციმბირში წასვლა. არა ვარ ანგელოზი ან ძლიერი რელიგიური ნიჭით დაჯილდოებული კაცი. მე მხოლოდ ერთი

უბრალო ადამიანი ვარ. როგორ შევძლებ ბოროტების დამარცხებას, მაშინ როცა, ჩემში არსებული ბოროტება ვერ დამიმარცხებია?"

სუნთქვა შეეკრა სერგეის, თითქოს მთელი სამყაროს ტვირთი ზურგზე აჰკიდესო. ჩემი ნავი ძალიან პატარაა, ოკეანე კი თვალუწვდენელიაო, გაიფიქრა მწარედ.

– ნუთუ ვოდკის ხეობა გარესამყაროში აღმოჩნდება იმიტომ, რომ დედამიწაზე არსებულ სამართლიან ადამიანებს არ სურთ, უპასუხონ ამ კრიზისულ გამოწვევებს?– აგულიანებდა სერგეის მისი მფარველი ანგელოზი მეორე მხრიდან.

სერგეიმ ღრმად ჩაისუნთქა, ნელ-ნელა ამოისუნთქა და ისაიას წიგნიდან ციტატა მოიყვანა საკუთარი თავისთვის: „მე, უფალი, გმართავთ და მიპყრიხართ ხელში. მე შეგქმენით თქვენ ხალხის სახელით, ხალხისვე სინათლისთვის".

შემდგომი ქმედება, რაც მან გადაწყვიტა, იყო ის, ენახა, როგორ შეიძლებოდა სოჭიდან ციმბირში წასვლა.

სად მიდიოდა სერგეი? თავის გონებაში ის ნათლად ხედავდა საკუთარ მტერსა და მიზანს.

ლუციფერმა სიბნელის წყვდიადი გადააფარა ვოდკა ვილიჯს, სადაც როგორც თვითონ ელოდა, ჯოჯოხეთი გაიხსნებოდა. ეს მისი ხანა იყო. მას ვერ წარმოედგინა უკეთესი დრო და ადგილი, საიდანაც მიპარვით დაპყრობა იყო შესაძლებელი. ის აკვირდებოდა და ყურს უგდებდა ირგვლივ ყველაფერს. ცხოვრება უფრო მეტი სისწრაფითა და ხმაურით მიქროდა. მასების რაოდენობა იზრდებოდა, მათი ცხოვრება სტრესით იყო სავსე და გაუხარლად და განუსჯელად ცხოვრობდნენ. ფესვებს ღრმად იდგამდა ლუციფერი. მისი ძალაუფლება მსოფლიოში არასდროს ყოფილა ასეთი უსაფრთხო დედამიწის არსებობის არც ერთ ხანაში ამ არსებებს შორის. მას ახარებდა, რომ ასე ბევრი ხალხი არ იყო სიტყვის მიმდევარი. ბედნიერი იყო, რომ მისი ძალები ადამიანის რასის წარმომადგენლებთან პარტნიორობდნენ ყველა დონეზე, ზემოდან ქვემოთ. ამ ყველაფერთან ერთად ის დარწმუნებული იყო, რომ შეეძლო

დედამიწა პატარა ნაწილებად დაენაწევრებინა და ეს „ცრემლების ხეობა“ ჯოჯოხეთისთვის დაემატებინა.

სერგეი ჩაჯდა თვითმფრინავში დარწმუნებული, რომ ღმერთს მაგრად ჰქონდა მისთვის ხელი ჩაკიდებული ამ მგზავრობისას, რათა დახმარება გაეწია თავისი თანამემამულისთვის. მას გაახსენდა მათეს ნათქვამი: „ვიწროა სიცოცხლის გზა და მხოლოდ რამდენიმე მათგანი თუ პოულობს მას“.

ხატმწერი ლოცულობდა, რომ სხვებიც შეერთებოდნენ მას, სამართლიანობით შეიარაღებულნი, ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში. სერგეი თავის ადგილზე რომ დაჯდა და ძილში შესცურა, მფარველმა ანგელოზმა, მის მარჯვენა მხარზე მჯომარემ, უჩურჩულა: „იარე შენი გზით!“

არსებობს თეთრი მოწამე და წითელი მოწამე. წითელი წამება გულისხმობს უდანაშაულო ქრისტიანის სისხლისღვრას, მსგავსად იმისა, ძველ რომში ლომების მიერ რომ იქნენ ისინი შეჭმული. თეთრი წამება გულისხმობს სინდისსა და გულს. სერგეიმ იცოდა, თავისი გამგზავრებით ის თავს სწირავდა. მისი ოფიციალური წამება თეოლოგი მკვლევარების სადაო საკითხი გახდებოდა.

მსხვერპლი იყო სუნთქვა ღმერთის საუფლოდან. ფიქრობდა სერგეი იმაზე, რას გაიღებდა უფლის მარადიულობისთვის? არა. სერგეის არ ჰქონდა განათლება ან ფილოსოფიური მიდრეკილება, რომ განეხილა მარადიულობა. მაგრამ რომ შეეჯახა სიბნელის მიერ კაცობრიობის დამღუპველ და გამანადგურებელ სურათებს, გადაწყვიტა რომ ეს მიუღებელი იყო და რომ მხოლოდ სულელი თუ იქნებოდა მშვიდად ასეთი შფოთისა და მუქარის პირისპირ. სერგეის არ უნდოდა ხელი აეღო კაცობრიობის დაცვაზე მხოლოდ იმ მიზეზით, რომ საკუთარ სიმშვიდე დაკარგა.

თავი 12
ტობიასი. ქოხში დაბრუნება

ტობიასი ნირწამხდარი დაბრუნდა თავის ქოხში, იმაზე მეტად ნირწამხდარი, ვიდრე სახელმწიფო დროშაა ეროვნული ტრაგედიის შემდეგ. იცოდა, ლუბას გადაწყვეტილება სწორი იყო. მისთვის ვოდკის ხეობის დატოვება ნიშნავდა, მიეგნო ახალი ცხოვრებისთვის, რომელსაც აღარასდროს დათმობდა. ტობიასს არ შეეძლო, შეეწყვიტა ფიქრი ლუბაზე, არა მხოლოდ მისი ეგზოტიკური სილამაზის გამო, არამედ ციმბირში, მისი გადასახლების პერიოდში, მასთან დამეგობრების გამო.

– მე რად ვბრუნდები? – დაუსვა შეკითხვა თავის თავს, დაცვის ქოხში მდგარმა. – ახლა სხვა დრო დადგა ვოდკის ხეობაში. თავის თავს არწმუნებდა, აქ არაფერი მესაქმებაო, ირგვლივ, ყველა კუთხეში, მხოლოდ მოწყენილობააო. – შემიძლია, მხოლოდ დიდხანს ვიკითხო. რა თავში ვიხლი ამ კითხვას, თუ მომდევნო წელსაც იმავე სამუშაოზე ვიქნები?

ტობიასი ყოყმანით წავიდა იმ ადგილისკენ, სადაც ტყე უფრო მწვანედ ხასხასებდა. „მჭირდება ასეთი სამუშაო? თუ მივატოვო და სულ სხვა რამეს მოვკიდო ხელი და ყველაფერი ვიღონო უკეთესი ცხოვრებისთვის? ლუბა სტამბულში წავიდოდა. ის ბაზარს ახსენებდა ხოლმე, რამდენადაც ის მულტილინგვისტია, სავსებით მისაღები ინგლისურითა და გერმანულით. მას შეუძლია, მიყიდოს აბრეშუმის თავსახვევები მსოფლიოს ყოველი კუთხიდან ჩამოსულ ხალხს. ციმბირში კი ისეთი შეგრძნება გაქვს, თითქოს არცა ხარ პიროვნება და თოვლის ფიფქივით უმნიშვნელო გახდი. მაგრამ ლუბამ თქვა, სტამბულში ყველაფერი სხვანაირადაა. არსად არ გჭირდება წასვლა, აქეთ მოდიანო შენთან. მთელი მსოფლიო იქ ვაჭრობს, სტუმრობს, ხალისობს,

ათვალიერებს, ერთვება კომერციაში, რომელიც როგორც ჩანს მაღალკონკურენტიანია ნებისმიერ დროს“.

ტობიასს მოაგონდა ლუბას სტამბულის ფოტოსურათი, ბოსფორის სრუტე, ლურჯი მინარეთი, აია სოფია და მარმარილოს ზღვა. „თბილი ადგილია. იქ ადამიანი კარგად იცხოვრებდა“. სტამბოლზე ფიქრი, იქ, დაცვის კაბინაში, გატარებული დღეები, შინაგანი ხეტიალის სურვილი კარნახობდა, ვერასდროს შეეგუებოდა ციმბირსა და თავის სამუშაოს. „აქ ყოფნა საშინელებაა, მაგრამ უსამსახუროდ ყოფნა კიდევ უფრო უარესია. ნეტა ამათგან რომელია ცოტათი უფრო ცუდი?“

ტობიასმა უპირატესობა სამსახურში ყოფნასა და ხეობაში დარჩენას მიანიჭა, რაც იმას ნიშნავდა, რომ იშვიათად წასულიყო სოფელში. ეს კი ნიშნავდა ველურ იზოლაციაში ყოფნას და რომ მას არასდროს ეყოლებოდა მეგობრები. სტამბოლი ფანტასტიკური იყო. მას იქ არ ჰქონდა ფესვები. ის გამდიდრების გზა იყო ვიღაცისთვის, ვისაც არ ეიმედებოდა თავისი სიბეჯითე, ახალი ხელობა ან ენის სწრაფად შესწავლა. საქმე ის იყო, რას იზამდა ის აქ, ვოდკის ხეობაში, მთელი ცხოვრების მანძილზე? „ვიცი, კითხვა გონებას ნათელს ხდის და ჰორიზონტს აფართოებს, მაგრამ წიგნები კმარა ჩემთვის? მე უნდა ვგრძნობდე, რომ რაღაცას ვქმნი აქ ცხოვრებაში და არა – ვიდგე ხესავით ამ კაბინაში და პრაქტიკულად არაფერს ვაკეთებდე მთელი დღეების მანძილზე“.

მან ეჭვქვეშ დააყენა თავისი მომავალი იმის გაცნობიერებით, რა ცოდნაც გააჩნდა. მისი ამბიცია მთელი ცხოვრების მანძილზე, მიეღო მესამე საფეხურის ცოდნა, მას არ დაუკმაყოფილებია. ლუბამ ურჩია, რომ დისტანციური განათლება კარგი ალტერნატივა იყო მუშა ხალხისთვის. ამის გახსენებამ მას იმედი მისცა, რომ ამ კლაუსტროფობიულ იზოლაციაში არ ამოხდებოდა სული. მას უსაზღვრო შესაძლებლობები ელოდა წინ. მეილით აცნობებდნენ სწავლის დროს და მასაც, ბუნებრივია, მეილით შეეძლო, გაეგზავნა თეორიულად სწორი ესეები და უნივერსიტეტის კრედიტები მიეღო. შესაძლებლობების

სფერო გახლდათ ლიტერატურა, შემდეგ – გეოგრაფია, ენები და სხვა. იმედის აბობოქრებამ გული აუძგერა; წარმოიდგინა მთელი გზა დოქტორანტურამდე. როგორც კი აკრედიტირებულ კურსებზე ჩაირიცხებოდა, ის უზომოდ ბევრი დრო, რაც მან კითხვაში გალია, მნიშვნელოვან აქტიურ ენერგიად გარდაიქმნებოდა.

ტობიასის განწყობა – დამთრგუნავი სინანული, ელვარე სიხარულმა შეცვალა. მისი იმედგაცრუება, რომ ვერ შეძლებდა ეცხოვრა ისეთ ადგილას, სადაც მის მშობლიურ ენაზე არ ლაპარაკობდნენ, გაქრა. „მარტოობა მხოლოდ მაშინაა პრობლემა, როცა შენს თავს უფლებას აძლევ, შინაგანად მარტოობაში დარჩე“. გაახსენდა კიდევაც, ციმბირის უნივერსიტეტის რომელი განყოფილებისთვის უნდა მიეწერა. გაღიმებული გაემართა თავისი მაგიდისკენ და გამოიტანა კალამი, ქაღალდი და კონვერტი. როცა წერდა თავისი განათლების დონის, მეორე ლეველის შესახებ, იგრძნო, მისთვის უმაღლესი განათლების მისაღებად გზა ნამდვილად იხსნებოდა. უხაროდა, რომ მისი გონება ძველებურად ისევ ფორმაში იყო. „უმნიშვნელო სამუშაო ადგილები აჩენენ ხოლმე ყველაზე მეტად მისწრაფებებს განათლებისადმი“. უმაღლესი განათლება მისთვის არ იქნებოდა მხოლოდ დამახსოვრებული ინფორმაციის მოგროვება ან მთელი რიგი კრიტერიუმის შესრულება, უნივერსიტეტის ფაკულტეტის მოდულებში ასახული. ეს იყო საჩუქარი, რომელიც ტობიასს კმაყოფილებას მოუტანდა.

ტობიასის სიხარული კონტრასტული გახლდათ ამ ადგილას შექმნილი ატმოსფეროსადმი, სადაც მან ამას წინათ რამდენიმე დღე დაჰყო. ეთაგორია ნებსონია ისეთი გაბრაზებული იყო, რომ კედლებს აწყდებოდა და გიჟივით ყვიროდა. მისი გეგმები აწეწა ათანასეს საქციელმა. ეს არ ნიშნავდა, რომ საერთოდ ჩაიშალა. მაგრამ გეგმა, ათანასე ყოფილიყო კარგი მოთამაშე ეთაგორიას სქემაში და დახმარებოდა ვამპირებს სამყაროს შეცვლაში, შეიცვალა.

სხვა ვამპირები იძულებულნი იყვნენ, ეთაგორია წაექციათ,

გაეკოჭათ, წაეთრიათ და ჩაეტენათ თავის კუბოში მანამ, სანამ ყურადღებას მიიქცევდა და სოფლის ხალხი წინა კარებზე მოუკაკუნებდა. ქიმიკოსმა ვამპირმა დიაზეპამი შეუშხაპუნა, ასე რომ, უნდა მოშვებულიყო და დამშვიდებულიყო. ვამპირებს ბოლოსდაბოლოს უნდოდათ, ის დემონების წინაშე დაბნეული ყოფილიყო და მითითებების უნარი არ ჰქონოდა.

როცა გონს მოეგო, ლუციფერმა ეთაგორიას წინდაუხედაობა უსაყვედურა. ათანასე გაიქცა შეშლილივით, არ დაემორჩილა ინსტრუქციას, და შეიძლებოდა, წინდაუხედავად სისხლი დაეღვარა. ეთაგორია ნებსონიამ ვერ გაითვალისწინა სისხლისღვრა, რაც ამას ნამდვილად შეიძლებოდა, მოჰყოლოდა.

ასმოდეუსი, რომელიც ნასიამოვნები იყო ეთაგორიას მარცხით, ისევ ნდობთ აღჭურვილი პირი გახდა. ლუციფერმა განაცხადა, ჩემთვის სასიამოვნოა, რომ ასმოდეუსი ეცდება, თავი გამოიჩინოს. უფრო გამოცდილი ხელი, ეთაგორიას მარცხის გათვალისწინებით, სამყაროს ყველანაირ ჯოჯოხეთს მოუტანსო.

ჯუჯა ვლადმა ვოდკის ხეობის ვამპირებს გამოუცხადა, „ჩეხოვი“ შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა დავტოვოთ, თავიდან რომ ავიცილოთ ადგილობრივების ეჭვი. ვიჩქაროთ და ხეობაში დავბრუნდეთო.

– არა, ვლად, ჩვენ არაფერი არ უნდა გავაკეთოთ, ეთაგორია ნებსონიას უშუალო განკარგულების გარეშე, – წინააღმდეგობა გაუწია ჯუჯას მეტოქემ, ვაჟა ვულგარმა, მეორე პირმა, ბრძანების უფლების მქონემ.

– უმრავლესობის კონსესუსია, რომ ჩვენ ვოდკის ხეობაში კრუხი იხვებივით ვისხდეთ? – შეეპასუხა ჯუჯა ვლადი და თვალი შეავლო ყველას, ბეიბელიდან დაწყებული, დამორჩილებული ეთაგორიას ჩათვლით.

ჯუჯა ვლადმა დაინახა, რომ სხვები ვაჟას ეთანხმებოდნენ. მას არაფრის გაკეთება არ შეეძლო იქ, მაგრამ დანარჩენ ვამპირებთან ერთად ვილიჯში იცდიდა. მას უნდოდა, გაეგო, აღძრავდა თუ არა ათანასეს გარდაცვალება რაიმე ეჭვს ადგი-

ლობრივებში. კარგი, ბოლოსდაბოლოს ვიღაცას დარაჯად დავაყენებთ, როცა დავიძინებთო, დათანხმდა ის.

– შენ იმორიგევე და ჩვენ დავიძინებთ... ან თუ თვლი, რომ ადგილობრივი ციმბირელი ელემენტი ხარ, მაშინ წადი შენს ძველ გამოქვაბულებში და მგლებთან, დათვებთან და მელიებთან ერთად დაიძინე!

– კარგი, მე ვიქნები დარაჯი, ისედაც ჩემი იდეაა, – შეუბღვირა ვლადმა.

– პარანოიდი ხომ არა ხარ; ადგილობრივები იმდენად არიან საკუთარი თავით დაკავებულნი, რომ ვერ იზრუნებენ ახალგარდაცვლილზე. ეს ლუციფერის ასაკისაა. არავინ არავისზე არ ფიქრობს, განსაკუთრებით – აქ.

– რატომ ხარ ასე დარწმუნებული?

– ასეთია სიბნელის ეპოქა. არავის აწუხებს ამ ქვეყნად მოსვლა, მათი საკუთარი სული და თვითონ ისინი კანონის ფარგლებში არიან. არავის აწუხებს თავისი ადგილი მარადიულობაში ან თავისი ეთიკა აქ, დედამიწაზე. ყველანი ფულზე არიან გადართულნი. სატანა მათ სულებს ბრინჯივით აბნევს. რა მოხდა, თუკი ერთი მეზობელი ან თუნდაც ორი გარდაიცვლება? განსაკუთრებით, თუ ისეთს არაფერს დატოვებს, რაც სარგებელს მოუტანს მათს ცხოვრებას.

– მაგრამ მათ არ გაუკვირდებათ, რომ ჩვენ ვიცით „ჩეხოვის“ მფლობელის გარდაცვალებაზე შესახებ?

– ამ ვილიჯში არავის ადარდებს ათანასე, მისი ბიზნესი, ის, რომ მოკვდა ან რა შეემთხვა. ამ ვილიჯის ხალხს ბინძური სული აქვს. აქ არ უნდა ხედავდე ახლა რომელიმე მათგანს? ათასჯერ გავიმეორებ: ხალხი აქ მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს.

ითქვა თუ არა ეს, ვამპირებმა ახადეს თავსახური სასახლეებს, ჩაძვრნენ შიგნით და მიეცნენ ღრმა, ხანგრძლივ ძილს.

სუსტმა ვამპირებმა აგრძნობინეს ასმოდეუს, რომ მის ყველა გამოწვევას მიიღებდნენ და გააკეთებდნენ ისე, როგორც მას უნდოდა. ასმოდეუსმა შეხედა „თეთრ ხელს“ და მოლაპა-

რაკე რადიოს და განაცხსადა: – დროა, ვაცნობოთ დანარჩენ დემონებს, რომ დავბრუნდი და შემოვძვერი და ვიღებ პასუხისმგებლობას. შევიკრიბოთ ბნელი ძალები, დემონები და მათი მიმდევრები, და დემონურად ერთად დავტკბეთ – გზა მივცეთ ჯოჯოხეთს დედამიწაზე.

– კი, მაგრამ შენ ასევე უნდა მოიძიო რეკრუტი ადამიანი-დამხმარეები, – ხაზი გაუსვა „თეთრი ხელმა“.

– ჩათვალე, რომ ასეა. ახლა ჩემი დროა! ჰა, ჰა, ჰა! ასე არაა? – ასმოდეუსი, მარცხის ფერფლიდან აღმდგარი, მომავალი გამარჯვების სასმისს სვამდა.

ტობიასს არ დავიწყებია ვოდკის ხეობის ახალი ბუნება. ლუბას არაფერი გაუმხელია. მან თვითონ დაასკვნა, რომ ის უცნაური ღამე რაღაც დროებით სიგიჟეს უკავშირდებოდა. დარწმუნებული იყო, რომ ყოველი გიჟური მღელვარება, რაც მან განიცადა, გაიფანტებოდა, თუ ზოგჯერ ვილიჯში წავიდოდა და მეგობრებთან ურთიერთობა ექნებოდა. ტობიასს მხოლოდ ერთი მტერი ჰყავდა, რომელსაც ის აღიარებდა: ეს იყო მოწყენილობა.

ტობიასის აზრით, მოწყენილობა ბუნებრივი გზით უნდა მოესპო, როგორც მონადირე კლავს მტაცებელ ფრინველს. „ალბათ, მე გავხდები დიდებული სწავლული - სიტყვისა და გონების კაცი,“ – ფიქრობდა ის, ციმბირის უნივერსიტეტის დეპარტამენტს რომ სწერდა წერილს, რომელიც ხალხს დისტანციურ ალტერნატიულ სწავლებას სთავაზობდა. მოლოდინის სიტკბოებამ გული აუძგერა. „ეს არ არის ოცნება. მე განსაკუთრებით გამოვირჩეოდი რაციონალურ, ლოგიკურ არგუმენტებში და მსჯელობაში. მაქვს ამბიცია, იმიტომ რომ ახალგაზრდა ვარ და ჯანსაღი ცხოვრებით მივისწრაფი უკეთესობისკენ. დიახ, მე, ტობიასს, უეჭველად მინდა ცხოვრება, რომელიც არ არის ბანალური, არ არის დარდიანი და არ არის თვალთმაქცი. შემიძლია, ბოდიში მოვუხადო ჩემს კომპანიაში მომუშავე ადამიანებს, რომლებიც ზრუნავენ იმ საკითხებზე, რაც ჩემი მოვალეობაა და რომ მე კომერციისთვის არ ვარ შექმნილი“. წინათგრძნობა ამოძრავებდა მის კალამს. „მე არა

ვარ გაჩენილი პატარა საქმეებისთვის. ადამიანმა ის უნდა აკეთოს, რისთვისაც გაჩნდა ამქვეყნად. მე ისეთი საქმეებისთვის გავჩნდი, რომელიც ადამიანისგან ინტელექტს მოითხოვს და არა მთქნარებას – მოწყენილობისგან. მე ჩემს თავს შრომისმოყვარე ადამიანებს შორის ვხედავ, რომელიც მაღალ შეფასებას იმსახურებს, რადგანაც მე თავსაყრელი დრო მაქვს, აქ ცოდნა რომ შევიძინო“.

მაგრამ შემდეგ განწყობა ეცვლებოდა. გამუდმებით ნაღველი აწვებოდა. მუდმივად ამის შეგრძნება კი დამღლელია, არაა სასიამოვნო.

ტობიასმა იცოდა სიმართლე; ის ჩამოყალიბდა მარტოსულ პიროვნებად, რომელიც არ აცეტდებოდა, არ ჰქონდა იუმორი და ხალისი ცხოვრებაში, ისეთი ყაიდის ადამიანად, რომელიც არასდროს იწვევდა საზოგადოებას თავისთან, არც შეეხმიანებოდა და არც არასდროს ჰქონდა დრო სხვისთვის. მისადმი თანამგრძნობი ადამიანები მას ყოველივე საუკეთესოს უსურვებდნენ, შემდეგ კი თავიანთი გზით მიდიოდნენ, ტოვებდნენ მას ანგარიშმიუცემლად, რადგანაც გაცილებით მეტი რამ არსებობს ცხოვრებაში, ვიდრე უბრალოდ მუქი მხარის ფოკუსირებაა. ქრონიკულად დეპრესიაში მყოფი, ყოველთვის მოწყენილი და ცხოვრების ზეწოლისგან შეწუხებული ტობიასი მიივიწყეს, ხოლო დროს, დასვენებისა და დღესასწაულებისთვის განკუთვნილს, მისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

რას წარმოადგენდა ტობიასის კარიერა: მუშაობდა უსაფრთხოების ოფიცრად უდაბნოს შუაგულში, სადაც დრო და საზოგადოება უაზრობა იყო. ცხოვრებას ჩამორჩებოდა. ამ მიზეზმა, რამაც თავი იჩინა მუშაობის პირველივე კვირას, მიიყვანა იმ დასკნამდე, რომ ასე არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ მოხდა. მას საკმაო დრო ჰქონდა საიმისოდ, გაეანალიზებინა ეს უიღბლობა და რომ ეს ასე მოხდა და რომ ის ამ მდგომარეობაში იყო. გაეცნობიერებინა ეს კურიოზი მანამ, სანამ ადამიანური თვისებები ჯერ კიდევ ჰქონდა შერჩენილი.

წერილს რომ წერდა, ეს უკვე ნიშნავდა, რომ მან წარსულს

ჩააბარა თავისი არასრულფასოვნება, ძველი ჩვევები ახალი, ინტენსიური ენერგიით ჩაანაცვლა იმის მისაღწევად, რაც ღირსეული იყო საზოგადოებისთვის.

ამ ნაბიჯს იქნებ ეშველა ტობიასისთვის. და აი, ერთ დღეს, როცა ის საკმაოდ ბევრს დაწერდა, იქნებ ეს გაუდაბნოებული (ველური) კაცი ნასწავლ კაცად ქცეულიყო. ამ ქოხში ცხოვრების დროს მას აღმოაჩნდა უნარი, გამხდარიყო სახელოვანი კაცი და ევარაუდა პედაგოგობა რუსეთის უმაღლესი განათლების სისტემაში. მისი დამოკიდებულება ვოდკის ხეობის მიმართ, იმ ადგილის მიმართ, რომელიც შეუფერებელი იყო მისთვის, ყველა უარყოფით და ემოციურ დატვირთვას დაკარგავდა და მის პარნასის მთად იქცეოდა. ეს წყნარი ქოხი იქნებოდა მისი ბიბლიოთეკა, მისი გონების განმავითარებელი მანქანა, მისი მუზა. ის იქნებოდა დამხმარე, ყოველგვარი ღელვის გარეშე მისი სწავლის მატერიალური გარანტი. ამ უნაყოფო ციმბირში ტობიასი შეძლებდა, დაერგო, გაეხარებინა და დიდებული მოსავალიც მოემკო.

შინაგანი ხმა მოუწოდებდა ტობიასს ინტელექტუალურად და პროფესიულად გაზრდილიყო. ამ მოვლენამ გააძლიერა და განამტკიცა იგი და იმედი მისცა, რომ მთელი ცხოვრება მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით არ უნდა ემუშავა. ტობიასისთვის ამჯერად არასამართლიანი სამყარო მუდმივად არასამართლიანად არ დარჩებოდა. ოდესმე, ამდენი ძალისხმევის შემდეგ, ვიღაც დააფასებდა მის შეძენილ უნარ-ჩვევებსა და ცოდნას.

მსოფლიო კორუმპირებული ძალების უარყოფითი ფიქსაციიდან ის იქამდე მივიდა, ერწმუნა თავისი უნარის და ეპოვა გზა, რაზეც მის ბედისწერას უნდა გაევლო. „იქნებ სწორედ ეს იყო მიზეზი, ბედმა რომ ლუბასთან შემახვედრა, რათა მეგრძნო, თუ რა სიამე მოაქვს კაცისთვის ცხოვრებას, როცა ის პოულობს ისეთ პარტნიორს, რომელიც ასევე კმაყოფილი პასუხობს, თუნდაც მათი სურვილები სულაც მცირე ხნით ემთხვეოდეს ერთმანეთს ....“

თავი 13
ცოდვის საფასური

– შეხედეთ ამ სულელებს! – თქვა ასმოდეუსმა ვოდკა ვილიჯის მცხოვრებლების მისამართით. – ჩვენ არა მარტო ვოდკის ხეობასა და ვილიჯს გავანადგურებთ, არამედ რუსეთსაც და მსოფლიოს დანარჩენ ნაწილსაც. როცა ხალხი ხოტბას ასხამს ხელებს, რომელსაც მთელი სამყარო უჭირავს, ვერ აცნობიერებს, რომ ისინი ჩემს ხელში არიან. როგორი ადვილია, აკონტროლო ქარიზმას და ხიბლს აყოლილი არსებები. მასებმა მართლა არ იციან, მათ რა გაიღეს: გული და სული. მათ ეიფორიას ვადაგასული დამღა აზის. ეს მანამ გაგრძელდება, სანამ ვადა ამოიწურება. მე გავანადგურებ იმ ხალხს, ვინც პატივს მცემს. გავანადგურებ მათს ზედაპირულ რუსულ რელიგიას, მათს ხელოვნურ სულიერებას. არ დავუშვებ შეცდომას.

მასები ცხვრებივით გამომყვებიან. თუკი რომელიმე ერთი ცხვარი დაიკარგება, დაიკარგოს; დანარჩენები გაუფრთხილებლად გადაეშვებიან იქ, სადაც, ჰგონიათ რომ, დაცულები არიან. ისინი დასცინებენ იმათ, ვინც მათ გააფრთხილებთ ცრუ ღმერთებისა და წინასწარმეტყველების შესახებ. მე დავასაქმებ ინფორმატორებს; არავის დააეჭვებს ჩემი ავტორიტეტი, თუკი აღმოაჩენენ ისეთ ვინმეს, ვინც მე მეწინააღმდეგება. მოწინააღმდეგეები მტრებად გამოცხადდებიან. მათ უწოდებენ ნეგატიურებს, ცინიკურებს, გაძევებულებს და დამარცხებულებს ისევე, როგორც მე -18 საუკუნეში ბედლამის მნახველებს უყურებდნენ და მათ სულიერად დაავადებულებად რაცხდნენ; ისინი განადგურდებიან. ჩვენ საფლავს გავუთხრით სამართლებრივ მისწრაფებებსა და სურვილს, უყვარდეს და აკეთოს სიკეთე. მორალი განიხილება, როგორც აბსურდული,

იდიოტური დაბრკოლება პროგრესისთვის. მორალი გახდება ყავლაგასული, საფლავებში ჩამარხული, რომელთაც მონები თავიანთი ხელებით თვითონვე გათხრიან.

ახლა შევაგროვოთ ხალხი თავიანთი სახლებიდან, პოლიციის შენობებიდან, სკოლებიდან და სხვები. მალე სატვირთო მანქანები მოვლენ ნიჩბებით. რა განძი დაიფლობა! ადამიანის სული და თავისუფლება ჩემს განკარგულებაში იქნება, რაც სრულიად საკმარისია მთელი მსოფლიოს დასაპყრობად.

ასმოდეუსს უნდოდა, გადაეჭარბებინა ტროცკისთვის, რომელმაც 1924-ში განაცხადა, რუსული სულიერება ზედაპირულია და განადგურება ადვილად შეიძლებაო. წითელ თანამებრძოლებთან ერთად მან შეურაცხყო, დაანგრია და ააფეთქა ტაძრები, სინაგოგები, მეჩეთები და ეკლესიები. მაგრამ სულიერება, დიდი, ბოროტ მგელზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა,

(ეთაგორია ნებსონიამ იცოდა ეს. ჯუჯა ვლადმა და ვაჟა ვულგარმაც იცოდნენ. მაგრამ გიორგის, ასმოდეუსის მინიონს, არ ეცოდინებოდა..... ვიდრე ძალიან დაგვიანდებოდა).

ასმოდეუსს მოაგონდა ლენინი, ტროცკი, სტალინი და მათი მიმდევრები. იდეა, რომ რელიგია და სულიერება 1920 წლის ბოლოდან 1930-იან წლებში სრულიად განადგურდა და დავიწყებას მიეცა საბჭოთა კავშირში, სიხარულს ჰგვრიდათ დემონებს. ის ამ მოგონებას ხელახლა მიუბრუნდა თინეიჯერის პათოსით, რომელიც თავის უკანასკნელ პოპ-სენსაციას აკეთებს, თითქოს ეს ყველაზე ორიგინალური რამ იყო დედამიწის არსებობის მანძილზე. ბევრმა ხალხმა გამოსცადა კომუნისტური ჰიპოთეზა. სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის ის გაცილებით მაცდური იყო, ვიდრე ლუციფერის სხვა ნებისმიერი ჩანაფიქრი.

„თეთრმა ხელმა“ სრული თავდაჯერებულობა შენიშნა ასმოდეუსის სახეზე. ის იმაზე დაფიქრდა, როგორ მანიპულირებდნენ რუსი ხალხის გონებაზე, რომ ეფექტურად შეეცვალათ მათი სულიერი და რელიგიური იდენტობა. „ასმოდეუსი

და მისი დამხმარეები რომ მოილევენ თავიანთ საქმეს, ნეტა რამდენად მაცდუნებელი იქნება რელიგიის ხიბლი?“

„თეთრმა ხელმა“ გაიხსენა, როგორ დაიწყეს წითლებმა რელიგიის დამახინჯება და მოკვდინება. დაიწყეს 1918 -ში კიევის მიტროპოლიტ ვლადიმირით. მღვდლები, მონაზვნები, ეპისკოპოსები და არქიეპისკოპოსები დახოცეს, მაგრამ სისხლის ღვრა იქ არ დამთავრებულა. მხოლოდ ერთ შემთხვევაში, 1921 წელს, კუნძულ სოლოვიკის ბანაკში, დახოცეს 95 ათასი ადამიანი. ამით აუწყეს რუს მასებს, რომ რელიგიას და სულიერებას საბჭოთა ძალაუფლება ხელმძღვანელობდა. ყველა რეგიონში მსხვერპლად ეწირებოდნენ მაღალი რანგის სასულიერო პირები: მთავარეპისკოპოსი ანდრონიკი ცოცხლად დამარხეს; თობოლოკის ეპისკოპოსი ირმოგენი ღვედით გაროზგეს და დააქუცმაცეს მბრუნავი მხოფავი ბორბლით; მიტროპოლიტი კენიამინი სიკვდილით დასაჯეს. ყველა ამ მკვლელობამ, რისთვისაც მათ სჭირდებოდათ, იმის საპირისპირო რეაქცია გამოიწვია. მასობრივმა მკვლელობებმა შექმნეს წითელი მწვალებლები. ნგრევის მიზანი დაიგეგმა მხოლოდ იმიტომ, რომ გაზრდილიყო ძალაუფლება და პოპულარობა.

როცა მოკვლით ვერაფერს გახდნენ, კომუნისტმა თანამებრძოლებმა, წამებით და შიმშილობით სცადეს, თავიანთი უფლებამოსილება დაეცვათ. არც ამან გაჭრა. მათ დაამშიეს სხეული. მეტი რა დარჩა, მაგრამ რომ გამოერეცხათ ტვინი უაზრო თაობებისთვის რევოლუციამდე? რა თქმა უნდა, ხელახალი განათლებით თუ მიაღწევდნენ იმას, რაც კვლით ვერ გააკეთეს. დაიწერა პუბლიკაციები ანტირელიგიური სლოგანებით და პროპაგანდით. კინომაც გაუწია დახმარება ანტირელიგიური მანიფესტის პროდუქციის შექმნაში. მაგრამ არაფერი ჭრიდა. რუსი და საბჭოთა ხალხების სული და რელიგიური გული ვერ მოისყიდეს ვერც მასობრივი განადგურების, ვერც სოციოლოგიური უკმარისობის და ვერც ფსიქოლოგიური დამუშავების გზით.

სჯობის, მანამდე არასდროს იყოს ნაცადი რაიმე საინტერე-

სო ტაქტიკაო, დაასკვნა „თეთრმა ხელმა“, რომელიც ცდილობდა ასმოდეუსის ნეიროქიმიური დუღილი გამოეცადა: მახსოვს უღმერთო ომის მოყვარულთა ლიგა. მე შთავაგონებდი მათ სიყალბეს, ღვთისმგმობელობას, მკრეხელურ მსახურებას. მე ვუწევდი დახმარებას, ერთად შეგვედგინა ათეისტური სახელმძღვანელოები სატირითა და ანტირელიგიური შავი იუმორით გაჯერებული. მე შთავაგონებდი ასევე მასებს, მიეღოთ ათეიზმი, აგნოსტიციზმი და ოკულიზმი. მაგრამ არც ერთმა არ გაჭრა. დავასკვენი, რომ ბოროტებისთვის შრომა არასდროს ყოფილა ასე უნაყოფო და უძლური. მაინც ვერ გაიმარჯვა ამდენი რუსი ადამიანის გონებამ. მიუხედავად იმისა, რომ მათი თავისუფლება გროტესკულად გახლეჩილი იყო, შხამიანი ლტოლვა ღვთისადმი მათს სულში ბუდობდა. ვერაფრით დააღწიეს თავი ამ საძაგელ ჭუჭყს.

* * *

ორი კაცი, ოკულტიზმით მოხიბლული, მიუახლოვდა „თეთრ ხელს“ და ასმოდეუსს, რომლებიც მათთან შეხვედრას სოფლის განაპირას ვარაუდობდნენ. – გამარჯობა, – მიესალმნენ ისინი, როცა ჩიხის კუთეში ჩაუხვიეს, სადაც როგორც გიორგიმ უთხრა, მათ მისვლას ორი დემონი ელოდებოდა.

ასმოდეუსის მსახურთან შეხვედრის წყალობით, რეკრუტებს (ახალწვეულებს) ზებუნებრივი შესაძლებლობა ელოდათ. მათ იცოდნენ, რომ ციმბირში თავიანთი ცხოვრებით ბევრს ვერაფერს მიაღწევდნენ. მაშინაც კი, თუკი სატანას ერთგულებას შეჰფიცებდნენ და მარადიულად ჯოჯოხეთში იქნებოდნენ, მათ მაინც ერჩიათ მდიდარი ცხოვრება, სადაც მათი სურვილები ბოლოსდაბოლოს დაკმაყოფილდებოდა და დაივიწყებდნენ ყოველდღიურ ტანჯვა-წვალებას. უხაროდათ, რომ ხედავდნენ დემონებს, რომლებიც უსაქმოდ დაეხეტებოდნენ შორეული ციმბირის ჩიხში. ახალწვეულები (რეკრუტები) მოხიბლულები იყვნენ, თავგზადაბნეულები კი არა, მათი კომპანიონების ურცხვი დემონური გამოჩენით.

ერთი მათგანი დაიხარა და წრიპინა ხმით თქვა: – მე ივანე მქვია.

– ცნობილია ასევე, როგორც იდიოტი ივანე, – დასძინა მისმა მეგობარმა. ივანეს, სინამდვილეში მათ შორის უფრო ჭკვიანს, უნდოდა თავისი მეგობრისთვის, პეტრესთვის, ცხვირზე წაეკრა ხელი.

უხალისოდ, ყურადღება რომ მიეპყრო, პეტრემ ამაყად განაცხადა, ჩვენ საუკეთესო მეგობრები ვართო. მან გადახედა ასმოდეუსს ისეთი მანერით, თითქოს მიანიშნებდა, ევარაუდა, რომ დემონს თავისი საძაგელი, დემონური ურთიერთობა ჰქონოდა მასთან. გრძნობდა, მისი ცხოვრება დღემდე სრულიად საზიზღარი იყო. თუკი ეტყოდნენ, უკან გაბრუნდიო, დარწმუნებული იყო, უარს იტყოდა, თავაზიანი მადლობის გადახდის გარეშეც.

– ხო, – თქვა ასმოდეუსმა, – რა თქმა უნდა, საუკეთესო მეგობრები ხართ.

ორ დემონს ეცინებოდა ამ კაცებზე, რომლებიც მულტფილმის პერსონაჟებს ჰგავდნენ, მაგრამ საკმაოდ პროფესიონალები ამას არ იმჩნევდნენ. პეტრემ ასმოდეუსს მოაგონა, რომ დენის მენასე გამოიყურებოდა ისე, თითქოს მისი გრიმასი იყო გამოსახული სქესობრივი სიმწიფის შემდგომ ფაზაში. პეტრეს ჰქონდა ლიბიდური გამომეტყველება, რომელსაც სწყუროდა დაკმაყოფილება, რაც შეუძლებელია, შესაფერისი ყოფილიყო სასურველი ობიექტისთვის, თუკი ეს ობიექტი მის მიერ არ იყო მანიპულირებული, გამოეყენებინა კეთილგანწყობის სისტემა, მას ასე უტყუარად რომ მიაჩნდა. მას არ რცხვენოდა, რომ ასეთი ქმედება მის იმიჯს ვნებდა. ამან მას გარყვნილი ადამიანის ტიტული მოუტანა. არაჯანსაღი მიდრეკილებით დამტკბარს (დამონებულს), უადვილდებოდა სხვისი აზრების გათელვა და საკუთარი შეცდომების იგნორირება.

ვოდკა ვილიჯის მაცდუნებელმა მითქმა-მოთქმამ მიწისქვეშ „საოცარი რაღაცების“ არსებობის შესახებ მის ყურამდე მიაღწია. გიორგი შეპირდა, შენ მათი მითითებების შესრულე-

ბა გევალებაო. პეტრე ოცნებობდა ავადმყოფურ ოცნებებს, თუ რა სახის ჯილდო შეიძლებოდა ყოფილიყო.

– ასმოდეუსს, ჩვენ მზადა ვართ გავაკეთოთ, რასაც იტყვით. მოხარულები ვართ, დახმარება გავუწიოთ თქვენისთანა ღირსეულს, – თქვა ივანემ თავისი ჩახრინწული ხმით.

ასმოდეუსი ხედავდა კაცს, რომელსაც ულვაშები წელამდე ეფინებოდა. თავი პატარა ჰქონდა, მაგრამ ამის საკომპენსაციოდ ცდილობდა, დიდი ქუდი მოერგო. ივანეს სიდაბლე კონტრასტში იყო მისი ულვაშების სიგრძესთან. ეს აიძულებდა ასმოდეუსს, წინ გადახრილიყო, მისთვის რომ ნათლად მოესმინა, რაც არასასიამოვნი იყო დემონისთვის.

როცა ივანემ დაამატა, პეტრეს ძველი მეგობარი ვარო, ასმოდეუსი მიხვდა, რომ ივანემ მას Yosemite Sam-ი გაახსენა. დაინახა, როგორ აატრიალა პეტრემ თვალები და მთელ ტანზე ხურვება დაეწყო.

– დაიწყებს ახლა თავისი სულელური ამბების მოყოლას, – თქვა პეტრემ. ივანე, მართლაც, ასე მოიქცა. საზიზღარი, თავგამოდებული, ადვილად შეურაცხმყოფელი ხასიათი ჰქონდა თითოეულ მთხრობელს. ასმოდეუსი ხედავდა, როგორ ჭარხალივით გაწითლდა პეტრე, როცა ივანე აღწერდა, დაახლოებით 15 წლის ასაკში თავიანთ საქმიანობას, ტუალეტის ქაღალდის მიმწოდებლის ბიჭების რანგში (ხელის ბიჭების რანგში).

ივანე ყვებოდა იმ მუდმივ ძალადობაზე, რომელსაც აწყდებოდა ყოველდღიურად. – როგორც მუშაკს, მინდა განთავისუფლება ჩემი დაჩაგრული ცხოვრებისგან. გიორგისგან გავიგე, თქვენ გჯერათ, რომ სიტყვა job არის jast over broke-ის აბრევიატურა. თქვენ თქვენს მუშაკებს გაცილებით კარგად უხდით ხელფასს. რასაც ჩვენ თქვენთვის გავაკეთებთ, გაცილებით მეტია, ვიდრე job (სამუშაო), მაგრამ ამ მომსახურების მიღმა, პოეტური ინტელექტუალური აღწერილობით როგორც იტყვიან.....

– მე ასევე მინდა თავისუფლება. ეს, ამ პათეტიკურ ცხოვრებაში ჩემი ყოველდღიური სამკვდრო – სასიცოცხლო ბრძო-

ლით გამოვცადე თმის ღერიდან ფეხის ფრჩხილამდე.

პეტრე დაძაბული უყურებდა ივანეს, თითქოს მის აზრებს კითხულობდა. მას დიდი იმედი ჰქონდა, რომ ივანე შეეშვებოდა თავის ჩვეულ ვულგარულ, ანტისოციალურ აღწერილობებსა და მეტაფორებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ეშინოდა.

ასმოდეუსი, მათი ყბედობით აშკარად დაღლილი, გიორგის მიუბრუნდა და უთხრა: –ყოჩაღ, გიორგი, კარგი ქენი, რომ ეს ხალხი აიყვანე! შენ ჩვენი გუნდის ნამდვილად შესაფერისი წევრი ხარ. რაც შეეხება ამ ორ ახალ წევრს, შეწყვიტეთ უკან ყურება. რაც გიორგისგან შეიტყვეთ, ყველაფერი სინამდვილეს შეეფერება. ამ პროცესის ბოლოს თქვენ მიიღებთ ოქროს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თქვენ როცა ჩვენთან, „თეთრ ხელთან“ და ჩემთან, მოდიოდით, მაინცდამაინც არ ბრწყინავდით. ნამდვილად ჩანს თქვენი ხასიათის დიდი სიმტკიცე. ზედმეტი ლაილაის გარეშე, აყვანილები ხართ სამუშაოდ.

– ჩვენ არასდროს არ განვიკითხავთ სხვებს, რადგან ვიცით, რომ ეს საკუთარი თავის განკითხვაა.

– ჩვენი ორგანიზაცია ამაყობს, რომ ჩვენი მაცნეები ასე ყველგან აწვდენენ სიტყვას.

– რა თქმა უნდა. გაგვიხარდა, თქვენმა მაცნეებმა რომ გვითხრეს, აქ, არყის ხეობაში, განსაკუთრებული რაღაცები უნდა მოხდესო.

ასმოდეუსი, ნასიამოვნები, რომ გიორგი ორი კაცით დაკომპლექტდა, მოშორდა მათ და „თეთრ ხელთან“ ერთად გზას ქვემოთ დაუყვა ფეხით, რომ თავისი აზრები მისთვის გაეზიარებინა.

– ლუციფერი დაგვეხმარება ჩვენი მისიის შესრულებაში, სულიერად გავანადგუროთ ვოდკის ხეობა. მერე უნდა ნახო, რა მოხდება, როცა მე ვამპირების კარებთან მივალ მათთვის მხარდასაჭერად. იქნება ერთსულოვნება. მათ უკვე იგრძნეს დაუჯერებელი ბნელი ძალა, რომელსაც მე ვფლობ, დავუმორჩილო ყველა სულიერი არსება ჩემს ნებას.

– რა თქმა უნდა, – უპასუხა „თეთრმა ხელმა“, დარწმუნებულმა, რომ გარდაუვალი იყო მათი ვოდკის ხეობის დაღუპვა.

ასმოდეუსს უყვარდა ყოველი წამი და სიყვარულით სავსე უყურებდა გიორგი, ივანე და პეტრე უფრო და უფრო როგორ ემორჩილებოდნენ მის ნებას და აფართოებდნენ იმ ხვრელს, მას ასე ძალიან რომ სჭირდებოდა. ისინი იმ ენთუზიაზმით თხრიდნენ, როგორი ენთუზიაზმიც ჰქონდათ ჩრდილოეთ კორეის ჯარისკაცებს ფხენიანში მარშის მსვლელობისას, როცა შოუ მოუწყვეს თავიანთ საყვარელი ლიდერს. თხრიდნენ ისეთი მონდომებით, თითქოს სტალინური სახელმწიფო ძალაუფლებაში დაბრუნდა და მათგან აუცილებელ სამხედრო სამსახურს ითხოვენო. მიწას ისე თხრიდნენ, თითქოს დედამიწის გულის გულში უნდა ჩააღწიონო.

– გზაშია უკეთესი გამთხრელი ტექნიკა და უფრო მეტი ადამიანები ჩვენს დასახმარებლად. გასაკვირია, ამდენ ხალხს რომ ვუყურებ ჩემი ბრძანების შესასრულებლად. ეს ძალას გვმატებს, ასე რომ გვჭირდება გამბედაობისთვის. სიბნელის მომხრეებმა უნდა შეიტყონ, რომ ჩვენი სამუშაო კეთდება და კარგადაც კეთდება.

– არ დაგიკარგავს შენი კონტაქტები, – უთხრა „თეთრმა ხელმა“ იმ იმედით, ასმოდეუსის ფარულ ღვარძლიანობას მლიქვნელობის შესახებ მალე ბოლო მოეღებაო. ორივენი განაგრძობდნენ ყურებას, როგორ თხრიდნენ კაცები მიწას.

– მალე ნახავ, ლუციფერი რომ შემოგვიერთდება. ზუსტად იცის, როგორი დიადია ჩემი სამუშაო და აღფრთოვანდება, შემატოს დამატებითი ძალები ჩემს ქმედებას.

თავი 14
ჯასნა და მისი საყვარლები

სავა თავისი საქმიანი მოგზაურობიდან იმ იმედით დაბრუნდა, ოჯახურ ფრონტზე არანაირი ცვლილება არ არისო. ფიქრობდა, ლუბა შინ იქნებაო. ჩაუვლიდა გვერდით, დალევდა ყავას და მიირთმევდა ლუბას მომზადებულ სადილს. დაყოფდა დღის დარჩენილ მონაკვეთს იქ, მას ყურადღებას არ მიაქცევდა. ხოლო ჯასნა ჩვეულებრივ სახლს დაალაგებდა და ისე მოიქცეოდა, თითქოს არანორმალური არაფერი იყო მათს ურთიერთობაში. ამ ტიპის ქორწინება სავას სრულად აკმაყოფილებდა. ვერ იტანდა ცოლს. რაც მას ევალებოდა იყო ის, რომ სახლისთვის მიეხედა და სექსუალური მოთხოვნილება ვინმე სხვათან დაეკმაყოფილებინა. მასთან არაფერი ესაქმებოდა. მათი ურთიერთობა დიდი ხანია შემოიფარგლებოდა ორი სიტყვით: გამარჯობა და ნახვამდის.

წინა კარით შევიდა. სახლი გაცილებით სევდიანი ჩანდა, ვიდრე ოდესმე, მთელი მათი ქორწინების მანძილზე. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მისი რეალური ცხოვრება ზედ კარებთან შეჩერდა, რომელმაც დიდ სარკესთან მიიყვანა და შეეძლო, მასში მთელი თავისი ცხოვრება სრულად დაენახა – პრობლემებისა და დისფუნქციის მიზეზებითურთ.

სავამ იატაკს დახედა და დაინახა საფოსტო წერილები, ძირითადად გადასახადის ბილები (რომლებმაც გადასახადებთან ერთად ასეთი შრომისმოყვარე გახადა, მაშინაც კი, როცა გამდიდრდა). ყველა კონვერტი ყავისფერი იყო, გარდა ერთი თეთრი კონვერტისა. „სავას საყურადღებოდ“, – ეწერა კონვერტზე ლურჯი მელნით რამდენიმე სიტყვა. სავა დაიხარა და აიღო კონვერტი.

გარეთ, სავას წინა კართან, მაღალმა, თხელმა, ჯოკერის სახიანმა, სმოკინგიანმა უცხო კაცმა დიდი სიგარის მოწევა დაიწყო. როცა დააფერფლა, უკვე 10 იდენტური გამოსახულების კაცი იდგა მის გვერდით, რომლებიც ასევე სიგარებს ეწეოდნენ, ჩაისუნთქავდნენ, ამოისუნთქავდნენ და ფერფლს სინქრონულად მიწაზე აფერფლებდნენ. ხმას არ იღებდნენ. ჩქამი არ ისმოდა, ფერფლის ოდნავი ფაჩუნიც კი.

სავამ, წაიკითხა თუ არა წერილი, მყისიერად დეპრესიაში ჩავარდა. მთელი ნერვული სისტემა აეშალა. იგივე მოუსვენარი გრძნობები დაეუფლა, როგორიც ლუბას აწვალებდა 10 წლის მანძილზე, ზაფხულის იმ დღის შემდეგ, როცა ის ტყეში მომხდარი მოვლენის მოწმე გახდა. სავა საბოლოოდ მიატოვეს, მაგრამ ვერ გაერკვია, ასე რატომ ნერვიულობდა. „ნუთუ ნამდვილად ლუბაზე ვდარდობ?“

ნუთუ წერილმა გახადა ასეთი უხამსი? მთელი სხეული და გონება წაებილწა, თითქოს მის შიგნით ჩაგუბებული, ნარჩენებით სავსე ოკეანე ამოხეთქვას ლამობდა. სახლის კედლები ტალღებივით ატორტმანდნენ. საკუთარი თავის მიმართ ძლიერ სიძულვილს განიცდიდა; ყველაფერი – აგონია, უარყოფა და წარუმატებლობა მის ცხოვრებაში, ერთმანეთს შეერწყა თითქოს. კედლები აიხორკლნენ და კანზე გამონაყარს დაემგვანნენ. საკუთარ კანზე ქავილი დაეწყო. ნუგეში არსაიდან იყო.

კიბეები აირბინა და თავისი ტანსაცმელი გადმოყარა. შემდეგ, ტკივილებით აღრიალებული, ისევ დაეშვა კიბეებზე. გარეთ რომ გაიხედა, ყველგან ჯოკერის „კლონები“ შენიშნა, რომლებიც იდეალურად შეწყობილად ეწეოდნენ თავიანთ სიგარებს. სავა ისეთმა გრძნობამ შეიპყრო, რომლის მსგავსი არასოდეს განეცადა. თმებზე თითქოს ცეცხლი წაეკიდა. ვერაფრით შეძლო, ტკივილები დაეცხრო. ხელები, მკლავები და მაჯებიც აეწვა.

მერედა მისი ფიქრები? სად გამქრალიყვნენ?

სავას საკუთარი თავისთვის რომ შეეხედა, შიშისგან თავზარი დაეცემოდა. ფანჯარა გააღო და გარეთ მყოფ უცნაურ

ბრბოს შეჰყვირა: – რა გინდათ ?

პასუხად ხმამაღალი სიცილი გაისმა, რამაც მხოლოდ ერთ წუთს გასტანა. გადაწყვიტა, ხელახლა ჩაეცვა და რაიმე მოემოქმედებინა. უკანვე აირბინა კიბეები, ამოიცვა შავი ჯინსები, გადაიცვა პერანგი და თბილი პულოვერი. კისრისტეხით გაიქცა სახლის უკანა კარებიდან.

მაგრამ დემონები უცდიდნენ მას. მათ გასასვლელი მოუწყვეს, რომელიც მხოლოდ ერთი მიმართულებით – უკანა ფარდულისკენ მიდიდოდა. აქ კიდევ არაფერი უჭირდა, თუნდაც ნახევარი ჯოჯოხეთი ან მთელი დასახლება სწვეოდა. როცა სავა ფარდულში შევიდა, დემონ-კლონებმა ერთდროულად გაიღიმეს. სავამ აიღო თავისი სანადირო თოფი, ლულა პირში ჩაიდო და თავის ქალა აიხადა. დემონები ხედავდნენ, როგორ დაეცა და როგორ ფართხალებდა ის. სავას აღსასრული მოასწავებდა არყის ხეობის განადგურების დასაბამს.

ჯასნა, სავას საყვარელი, ადვილად ხელმისაწვდომი იყო. ის პარალელურად დიმიტრის ჰყვარობდა, რომელსაც ახალგაზრდა, სამშვილიანი ოჯახი ჰქონდა. ჯასნა ცხოვრების გზაჯვარედინზე იყო. მარტივი იყო დიმიტრის დამოკიდებულება სექსუალურ ორგულობაზე (ღალატის მიმართ). იმით, რაც მისმა ცოლმა არ იცოდა, დიმიტრი არ ზარალდებოდა. ჯასნა შეუცვლელი იყო მისთვის, რადგან მისი ცოლისგან განსხვავებით, მას უბადლო ფანტაზიის უნარი ჰქონდა. იმას, რასაც დიმიტრი მასთან აკეთებდა, ვერასდროს იოცნებებდა, ცოლთან გაეკეთებინა.

ჯასნა მისი ტკბილი საიდუმლო იყო, უტოპიური ეროტიკის სიმბოლო, რომელმაც ზედმიწევნით იცოდა, როგორ ფუნქციონირებდა დიმიტრის ეროგენული ზონები. ვიდრე ჯასნა შეეხებოდა, დიმიტრიმ არც კი იცოდა, როგორი მგრძნობიარე იყო ეს ზონები. ჯასნამ, კვალიფიციური ოსტატივით, სირცხვილის სრული უქონლობით, იცოდა, როგორ გაეძლიერებინა სექსულაური კმაყოფილება. ის ამაყობდა თავისი პროფესიული ეროტიკული მომსახურებით. თუმცა, ბოლო დროს ჯასნა

გრძნობდა, რომ მას მისი სერვისისთვის არაადეკვატურად უხდიდნენ მისი საყვარლები. ის უპირატესობას სავას ანიჭებდა ვოდკა ვილიჯში დაბრუნების შემდეგ. დიმიტრი, მეორე მხრივ, ერთ ადგილზე ცხოვრობდა. რატომ დალოდებოდა, რატომ შეეკავებინა თავი, როცა შეეძლო, მასთან სიყვარულით დამტკბარიყო?

დიმიტრი სადილად რომ დაპატიჟა, დილემის წინაშე დადგა ჯასნა. ყოველთვის ასეთი დამთმობი, ახლა თავს ვერ ერეოდა. „ვინ უნდა მასწავლოს მე, გავურიგდე ამ კაცებს, რომელთა მოთხოვნებს მე ყოველგვარი შეკითხვის გარეშე ზედმიწევნით ვასრულებ?“

ჯასნას უფრო მეტი უნდოდა, ვიდრე ვოდკა ვილიჯი იყო, უფრო მეტი, ვიდრე მისი მდგომარეობა გახლდათ ცხოვრებაში, ამ შორეულ ციმბირზე უფრო მეტი; ის სრულყოფილებისკენ ისწრაფვოდა. „რა საუცხოო იქნებოდა, სიმდიდრე მომეხვეჭა და ბოლოსდაბოლოს მიმეტოვებინა ეს დაწყევლილი ადგილი, რომ წამეშალა ჩემი წარსული და ხელახლა შემექმნა ჩემი მომავალი.“

როგორც მოსალოდნელი იყო, დიმიტრი ჯასნას სახლთან მაშინ მივიდა, როცა ვოდკა ვილიჯში შებინდდა. ზუსტად სამჯერ დარეკა. ჯასნა ცნობდა მის ზარის ხმას. იცოდა, რამდენი წამის შემდეგ დარეკავდა ხელმეორედ და რაც მთავარია, ცნობდა მის ჩახველებას. ჯასნამ, წითელ კაბაში მაცდურად ჩაცმულმა, საიდანაც მისი გრძელი ფეხები იკვეთებოდა, კარი გააღო. დიმიტრისთვის ყოველთვის ერთნაირად მიმზიდველმა, მან მიიწვია დიმიტრი, დამჯდარიყო კომფორტულ სკამზე. ეს მისი ეროტიკული აქტის ჩვეულებრივი პრელუდია გახლდათ.

ჯასნამ მოიკითხა დიმიტრი და თვალებში ისე შეაფრინდა, თითქოს მხოლოდ მის კეთილდღეობაზე ზრუნავდა. სინამდვილეში მისი ფიქრები შორს იყო დიმიტრისგან. ის თავის დილემას უტრიალებდა და თან ბრაზი ერეოდა.

– დალევ ყავას?– ჰკითხა მან.

– ხო, – დათანხმდა დიმიტრი ღიმილით.

ჯასნა სამზარეულოში შევიდა, მარჯვენა ხელით ჩაიდანი აიღო და წყლის ბაკანთან მივიდა. – რა ვუყო ამ აბეზარ ადამიანს? – იკითხა მან. ამ შეკითხვის დასმისას მან დაინახა, როგორ მიაჩერდა ორი თვალი.

ეს ორი თვალი გახლდათ ინდიფერენტული, ულმობელი და უფერული. რამდენიმე წამის შემდეგ ამ არსებამ, სხეულისთვის მახასიათებელი ნაწილებით (ფეხებით, მუცლით, ყურებით, რქებითა და კუდით) დიდი ნაბიჯებით გაიარა მის ოთახში. ჯასნამ იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო ასეთ დროს. არანაირი ქმედება მისი მხრიდან საჭირო არ იყო, უბრალოდ მშვიდად უნდა ყოფილიყო.

ორივე, დემონი და ჯასნა, გაჩერდა. ჯასნა ქანდაკებასავით იდგა, ერთობ მომხიბლავი. ჯასნა დემონისგან ელოდა, რაიმე გაეკეთებინა ან ეთქვა და პირდაპირ თვალებში უყურებდა. ის ისე უღიმოდა ამ ქმნილებას, თითქოს გახურებული ულაყი ყოფილიყო. მზად იყო, დანებებოდა, თუკი მოისურვებდა. ჯასნამ იცოდა, რა იყო სურვილი და გრძნობა. მან მისგან შექმნა თავისი ცხოვრება. შეეძლო ასევე, ეგრძნო შური და გასჩენოდა მოთხოვნილება, რაღაც არასწორად გაკეთებული სწორად გადაეწყვიტა. მთელი მისი არსება სურვილების ელექტრონულ მილსადენს ჰგავდა. ჯასნა, სრულიად მორჩილი, მას თვალებში შეჰყურებდა და ხედავდა ათას სამეფო დაპირებას და მისი ყველაზე უხამსი სურვილების ანარეკლს. იცოდა, ვერ შეადარებდა სავას და დიმიტრის ეროტიკულ ტექნიკას, მაგრამ მასაც თავისი ღირსებები გააჩნდა.

მიუხედავად იმისა, რას მოითხოვ ჩემგან, მე ყველაფერს დაურცხვენლად და უწყინარად გავაკეთებო, ამბობდნენ მისი თვალები, როცა გასუსული იდგა. დემონმა ფხვნილი მიაწოდა და მიუთითა ყავისკენ, რომელიც ჯასნამ მოადუღა.

ჯასნა ყოველთვის ეუბნებოდა თავის საყვარლებს, რომ მის ნიმფომანიას ღრმა ფესვები ჰქონდა. მის უნარს, კაცებისთვის სიამოვნება მიენიჭებინა, უთვალავი ცხოვრებისეული მომე-

ნტი განაპირობებდა, ვიდრე ციმბირამდე მოაღწევდა. ის ციმბირისგან სრულიად განსხვავებულ, თბილ კუნძულზე ცხოვრობდა. ჯასნამ იცოდა, რომ ეს მშვენიერი, ხელგაშლილი დემონი შეაფასებდა მის რეალურ ისტორიას და შეეძლო, აღედგინა მისი ძველი დიდება (მსგავსად ბერძნული ღვთაების, ჯადოქრობისა და ნიმფების უმცროსი, პატარა ქალღმერთისა, როგორც ოდისევსმა აღწერა „უკვდავთა შორის ყველაზე წარმტაცისა“). მას ენატრებოდა თავისი ვილა ეიეის კუნძულზე.

ყოველდღე უსვამდა თავის თავს შეკითხვას, ღვთაებრივი ცხოვრებიდან ამ მონობამდე როგორ მივედიო.

მე თვითონ ავყროლდი, მაგრამ არაფერი რჩება უცვლელიო, თვითონვე პასუხობდა ხოლმე საკუთარ თავს.

– მიდი მასთან, – გასცა ბრძანება დემონმა.

ჯასნა მივიდა დიმიტრისთან თავისი ორი ფინჯანი ყავით. დიდხანს ელოდებოდა ჯასნა დახმარების გაწევას, დაბრუნებოდა თავის საცხოვრებელ ადგილს. მხოლოდ დემონი ფლობდა იმ ფარულ საიდუმლოებებს, რანაირად იყო ეს შესაძლებელი. ის ფიქრობდა თავის ისტორიაზე, წარსულზე, სიურეალობაზე, ხშირ ლოდინზე. იშვიათად აღწევდა იმას, რასაც ცხოვრებისგან მოითხოვდა, მაგრამ მუდმივად იცდიდა და სურდა, მიეღო, რაც უნდოდა.

– ეს ყველაზე საუცხოო ყავაა, რაც კი ოდესმე გამისინჯავს, – განაცხადა დიმიტრიმ.

– ეს განსაკუთრებული ყავა ყველაზე განსაკუთრებული შემთხვევისთვის შემოვინახე, – თქვა ჯასნამ.

– და ეს სპეციალური შემთხვევაა? – დასვა შეკითხვა დიმიტრიმ.

– ერთობ სპეციალური შემთხვევაა. შენ საკმაოდ დიდხანს გქონდა სტრესით სავსე ცხოვრება და ამავე დროს მე მეთამაშებოდი.

დიმიტრის არაფერი უთქვამს; ჯასნას აზრით, მას არაფერი ჰქონდა სათქმელი ამ თემაზე. ამჯერად მთელი მისი ყურადღება მიმართული იყო, თუ როგორი საუცხოო ყავა გასინჯა.

– მე ვხდი შენს ცხოვრებას მუდმივად საინტერესოს, გიჟმაჟს, სასიამოვნოს, ვიდრე შენმა ცოლმა ეს ოდესმე შეძლო. რისი გაღება შეუძლია მას და მის მოდგმას შენთვის?

დიმიტრის უნდოდა, შეკამათებოდა. მისი ერთი „მე“ ვერ დაეთანხმებოდა ჯასნას და წინააღმდეგი იყო, მიეტოვებინა თავისი ცოლ-შვილი, მაგრამ მეორე „მე“, რომელსაც მისი საყვარლის სიახლოვე სწყუროდა, ეუბნებოდა პირველ „მეს“, რომელსაც ოჯახი უყვარდა, ენაზე კბილი დაეჭირა. მის ინტერესებში არ შედიოდა, მოეკლო ჯასნას სერვისი.

– საუცხოო, საუცხოო ყავაა! რა ჩაამატე, ასეთი გემრიელი რომ ყოფილიყო, ჭკვიანო გოგო? მეუბნები ხოლმე, რომ მჭირდება უფრო მეტის მიღება ჩემი სექსუალობის გამოსაცდელად, ასე რომ, მეორე ფინჯანსაც დავლევ.

– და რა არის ჯადოქრული სიტყვა?

– გთხოვ.

–კარგი ბიჭი, – შეაგება ჯასნამ.

ლუციფერმა გამოიხედა სამზარეულოდან და ანიშნა ჯასნას, დიმიტრისთვის მეორე ფინჯანი მიეცა. თავის სამზარეულოში რომ შევიდა ჯასნა, მან მეტი ფხვნილი მიაწოდა ყავაში ჩასაყრელად.

დიმიტრი ზედმეტად აღფრთოვანებული იყო. იგივე შეგრძნება ჰქონდა, როგორიც შეიძლება ჰქონდეს მამაკაცობადაკარგულ ხანდაზმულ კაცს, რომელსაც სპონტანურად დაუბრუნდა უნარი (მედიკამენტური ჩარევის გარეშე).

– ამაღამ ყველაფერი დიდებულდ იქნება, – გამოსძახა მან მეორე ოთახიდან.

დიმიტრისთან როცა დაბრუნდა, ჯასნამ ნახა, რომ მას ფეხსაცმლები და წინდები გაეხადა.

– მოვრჩები მეორე ფინჯანი ყავის დავლევას, სანამ ჩვენს საქმეზე გადავალთ.

დიმიტრის ფეხებთან გულგრილად მდგომმა ჯასნამ ლუციფერს შეხედა, რომელიც ჯასნას უღიმოდა იმის ნიშნად, ყველაფერი ბრწყინვალედ არისო.

– მალე მიიღებ ჯასნა ჩემგან იმას, რაც შენ ყოველთვის გსურდა,– ჰპირდებოდა დიმიტრი.

– ვიცი, – ეთანხმებოდა ჯასნა და დაჰყურებდა მის ოთხჩლიქა ფეხებს.

– ეს გადარეული ყავაა! – შემდეგ რომ ლაპარაკობდა, ხელების მოშველიება დაიწყო. ძალიან შეეცვალა გამომეტყველება. ჯასნამ კარგად შეათვალიერა მისი ხელები, რომლებიც ორი, დამატებითი ოთხჩლიქა ფეხით შეიცვალა.

– ვგრძნობ, სხეული თითქოს იცვლება, – თქვა დიმიტრიმ სიცილით; შემდეგ სიცილიც შეეცვალა. თავისი სიცილის ხმაზე უარესი სიცილი აუტყდა. დიმიტრის ყნოსვის შეგრძნება გაუმძაფრდა. ეს უჩვეულო იყო მისთვის, რადგან სუნის შეგრძნება სუსტი ჰქონდა.

დიმიტრი მოულოდნელად შიშმა შეიპყრო. – რა მიქენი? – ჰკითხა მან ჯასნას.

მალე ლაპარაკის უნარიც დაკარგა. ჭუჭყიანის შეგრძნება ჰქონდა. ცხვირი თანდათან დაუგრძელდა. ფეხზე დგომა არ შეეძლო და შფოთავდა, ამ მდგომარეობაში რომ იყო თავისი საყვარლის წინაშე. იძულებული იყო, ოთხ ფეხზე გაევლო. „არასდროს რომ არ უთქვამს ჯასნას, ეს სექსუალური ფანტაზიაა, როცა კაცები ქალებს სექსისთვის ამცირებენო?“

როცა დიმიტრიმ თავისი თავი სარკეში დაინახა, ეცადა ჯასნასთვის ეთქვა, მისთვის პირვანდელი სახე დაებრუნებინა. მაგრამ ჯასნას მხოლოდ ღრუტუნი ესმოდა. გონებაში სიტყვები გამქრალიყვნენ. ფეხებს შორის განავალი გამოიყო.

– რა უნდა ვუქნა ამას? – ჰკითხა ჯასნამ ლუციფერს.

დიმიტრი მართლა შეურაცხყოფილი იყო. მას ეს არ დაუმსახურებია. შეეზიზღა, ყოფილიყო ეს ბინძური არსება. დაფიქრდა, რა ეწერა ბიბლიასა და (თავი 7: ფრაზები 7-8) და რჯულში ღორების შესახებ. „ვინაიდან ღორებს ჩლიქები დაყოფილი აქვთ, არ იცოხნებიან, სუფთა არაა თქვენთვის: არ შეჭამოთ მისი ხორცი, არ შეეხოთ მის მკვდარ ლეშს!“

დიმიტრიმ, რომელმაც ეს ესაა გამოსცადა ღორად ყოფნა,

უკვე იცოდა, რა იყო ბინძური ღორი, საზიზღარი ადამიანი, რომელიც ბაძავდა ღორის ქცევას. სამწუხაროდ, დიმიტრი იყო ნამდვილი ღორი და არა –ადამიანის მიერ ღორის იმიტაცია. ამგვარად, ის იყო უწმინდურთა შორის უწმინდური.

– გაუშვი, წავიდეს ღორი! – განაცხადა ლუციფერმა. – ის უხელმძღვანელებს იმ ადამიანებს, რომლებიც ჩემს ხვრელებს თხრიან.

ყოველგვარი შეკითხვების გარეშე ჯასნამ დიმიტრი გარეთ გაუშვა. ყველა მრუში ადამიანი მაინც ღორია, განმარტა ჯასნამ, ლუციფერისკენ შემობრუნდა და დასძინა, კარგი ნამუშევარიაო.

– მე ყოველთვის კარგად ვმუშაობ, – უპასუხა მან.

– მეტს ვერ დაგეთანხმები, – უთხრა ჯასნამ.

– გიხარია, ჯასნა? – ჰკითხა ლუციფერმა.

– ჩემი ძველი ჯადოქრული ფხვნილი დამიბრუნდა. რა თქმა უნდა, მიხარია.

იმავდროულად, გიორგი, ივანე, და პეტრე განაგრძნობდნენ თხრას, ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ დიმიტრის მეტამორფოზა მათ ზეიმს მოუწყობდა. დიმიტრი რომ მივიდა, პეტრემ პირველმა დაინახა ღორი. ის ასევე პირველი იყო, რომელმაც აღიარა, ასმოდეუსისთვის ხვრელების გათხრამ როგორი მადა გაუხსნა მას.

– ბატონებო, – გამოაცხადა პეტრემ. – ჩვენი სადილი მოვიდა.

– მე შეშას მოვიტან ცეცხლისთვის, – წამოაყენა წინადადება ივანემ.

– მე ტაფას მოვიტან, – თქვა პეტრემ.

გიორგი უსიტყვოდ წავიდა ღორისკენ, სწრაფად წაავლო ხელი თავში და თავისი შვეიცარული სამხედრო დანით ყელი გამოსჭრა.

– ჩინებულია! – დაიწრუწუნა ივანემ.

– ძალიან კარგი, მაგრამ სად არის ჩვენი თეფშები და დანა-ჩანგალი? – იკითხა პეტრემ.

– წამოვიღე. გეგონათ ექსპედიციაზე მოუმზადებელი წამოვიდოდი?– გაიკრიჭა ივანე.

თავი 15

დემონები, მთხრელები და ვამპირები

ასმოდეუსი მართლაც ყველაფერს კარგად აგვარებდა. ბნელი ძალები სწორედ ამ მიზეზით შეიკრიბნენ. ასმოდეუსი „ჩეხოვში“ იმ დროს შევიდა, როცა ვამპირები ღამისთვის ემზადებოდნენ. თავიანთი ზებუნებრივი შეგრძნებიდან გამომდინარე, იცოდნენ, თუ რა სიბნელე მოუტანა მან ვოდკის ხეობას. თითოეულმა ვამპირმა, განსაკუთრებით – ეთაგორია ნებსონიამ, მადლიერებით ქედი მოიდრიკა თავისი ბნელი მბრძანებლის წინაშე. ეთაგორიამ, რომელმაც არ იცოდა, თავი ემართლებინა თუ გაჩუმებულიყო, გადაწყვიტა, ჩუმად ყოფილიყო.

– შეძლებისდაგვარად ბევრ ხალხს ვაგროვებ ყველგან. გთხოვთ, ვამპირებმა თქვენი ავტორიტეტი გაზარდოთ!

– რა თქმა უნდა, უფროსო, როგორც იტყვი, – უპასუხა ეთაგორია ნებსონიამ, თუმცა, კაცმა რომ თქვას, მთელი ვამპირად ყოფნის მანძილზე, ის არასდროს ყოფილა ასეთი მორჩილი და სწყუროდა, მიეღო ბრძანება ბნელი ხროვის სხვა წევრისგან. ეთაგორიას პასუხი მუსიკასავით მისწვდა ასმოდეუსის ყურს.

– საუცხოოა, რადგან ლუციფერიც შემოუერთდა ჩემს სამუშაოს.

– ასე რომ, თქვენ ყველა ბნელი ძალა გააერთიანეთ, რომ გაანადგუროთ სინათლე?

– მათ შორის ყველა ვამპირი, შენი ჩათვლით, ყველა ფორმის დაჯგუფება, მაქცია, ზომბი, მონსტრი და სხვები, თავაზიანი საზოგადოებიდან განდევნილები.

– ასმოდეუსს, აშკარაა, ვინ მოეხდინა შთაბეჭდილება ბოროტ მეფეზე. ყველაზე მეტად თქვენ მოეწონეთ. მოდი, ჩვენ

თქვენს სულზე მოვახდენთ შთაბეჭდილებას, რომ ჩვენი ნებით გემსახუროთ! – თქვა ეთგორიამ.

ვამპირები წამოდგნენ და მოემზადნენ, გაეკეთებინათ ის, რასაც სთხოვდნენ.

– ეს ღამე ჩემია. მე ვარ ღამის მეფე, – გამოაცხადა ასმოდეუსმა. – მე ვაჭარბებ ძალაუფლებას და სიხარბეს. იფიქრეთ, აბა, რამდენი შეიძლება იყოს ასეთი მთელ მსოფლიოში! რაც უფრო წარმატებულია ადამიანი, მით უფრო მეტად უნდა იყოს ღირსეული. მე სიხარბის მეფე ვარ იმიტომ, რომ მინდა ხელში ჩავიგდო ყველაფერი ამ სამყაროში, როგორც უკანასკნელმა, იძულებით ცდუნებულმა მომხვეჭელმა. შევიკრიბოთ და შევაგროვოთ ასეთი სულები.

– იყავი დემონი! – უთხრა ივანემ, როცა მორჩა ღორის ხორცის გასკდომამდე ჭამას. –ძალიან გემრიელი ღორი იყო!

პეტრემ თავი დაუქნია ივანეს და უთხრა, გეთანხმები, ასეთი ხორცი არასდროს მიჭამიაო.

– რა კარგია, რომ შევძელი მისი ღორად გადაქცევა, – დასძინა გიორგიმ.

–ეს შესანიშნავი ღორი იყო, რომელიც დავკალით და მივირთვით, მაგრამ გაითვალისწინეთ, როცა რამეს ითხოვთ, – თქვა პეტრემ. – შეიძლება, მიიღოთ, შეიძლება, ღრუტუნი დაიწყოთ და სუნი აგივიდეთ და დემონმა თქვენ თვითონ გარდაგქმნათ.

– მართალი ხარ, გავჩუმდები და არაფერს ვიტყვი ღორზე, – თქვა გიორგიმ. ალბათ, სირცხვილით მოვკვდები, ბინძურ ღორად რომ მაქციონ. მაგრამ ერთსაც გეტყვით, მღვიმეს სამყაროს ცენტრამდე გავთხრიდი, თუკი მაჭმევენ ასეთ ღორის ხორცს მანამ, სანამ გათხრას მოვრჩებოდე.

– მართლა საუცხოო იყო, – დასთანხმდა ივანე.

– მჯერა, ასეთები უამრავი იქნება, თუკი ჩვენ იმას გავაკეთებთ, რასაც ასმოდეუსი გვეტყვის. ის ბნელი ძალების მბრძანებელია. ეგაა ძალაუფლება, – თქვა გიორგიმ მოწიწებით.

ჯოჯოხეთის ცეცხლი სჭირდებოდათ სულებს გასათბო-

ბად. ისინი, მსგავსად სამი მთხრელისა, რომლებიც ყველაზე ნაკლებად ერკვეოდნენ თავიანთ არსში, უკეთესად იწვოდნენ და მოგაგონებდათ ანტონ ჩეხოვის გამონათქვამს თავისი მოთხრობიდან „ვნების კვირა“: „ისინი დაიწყებენ თავის მართლებას, მაგრამ დემონი ხელს ჩაავლებს მათ და მარადიულ ცეცხლში ჩაყრის“.

უპირატესობას განსაკუთრებით იმ ცოდვილებს ანიჭებდნენ, რომლებიც თავიანთ ცოდვას მხოლოდ მაშინ აღიარებდნენ, როცა მეტისმეტად დაგვიანებული იყო მათი გადარჩენა. ადგილობრივი ცოდვილი სულის შეფს ციმბირელ ერლიკს უყვარდა ცოდვილთა სულების პატივით მიღება. ლუციფერის სამუშაო ყოველთვის ამ სახის გახლდათ.

ასმოდეუსს სულები თავისი ღრმულის ამოსავსებად სჭირდებოდა. მოთხოვნა მხოლოდ ერთადერთი გახლდათ: ოღონდაც ადამიანი ყოფილიყო, არ ჰქონდა მნიშვნელობა, ხეობიდან, სოფლიდან, ციმბირიდან, რუსეთიდან თუ სამყაროს ნებისმიერი ადგილიდან იქნებოდა. ადამიანები შეესაბამებოდნენ ღრმულში ცალმხრივ შესვლას, თუმცა მას სულაც არ ანაღვლებდა შედარებით ნაკლებად ცოდვილი სულები, რომლებიც განსაკუთრებით შეეფერებოდნენ ჩეხოვის კომენტარს იმავე ამბიდან: „მაგრამ როცა ისინი ყურად იღებენ მამისა და დედის ნათქვამს, გაიღებენ გროშებს და პურს მათხოვრებისთვის, უფალი შეინდობს და სამოთხეში განაწესებს მათ“.

ასმოდეუსი და ბნელი ძალები თავს ბედნიერად გრძნობდნენ. მათი ბედი არ ჰგავდა შემთხვევითი ბანქოს მოთამაშეების ბედს, რომლებმაც მთელი თავიანთი ხელფასები ფსონზე წააგეს და ვეღარასდროს ითამაშებდნენ აზარტულ თამაშს. ასმოდეუსი ყოვლისშემძლედ გრძნობდა თავს. მისი თქმით, მის ამ ასაკში ვითარდებოდა სიბნელე; ის ნახავდა სამყაროს აღსასრულს, სულების თანმიმდევრობით განადგურებით. რაც უფრო მეტ სულს გაანადგურებდა, უფრო მეტად შეეძლო, წარმოესახა განადგურებული სამყაროს სახე. მას უნდა ერწმუნა, რომ ის აჭარბებდა სინათლის ძალებს. რეზულტა-

ტად იგულისხმებოდა აპოკალიფსი.

გიორგი, ივანე და პეტრე აგრძელებდნენ ღრმულის თხრას. ისინი ღრმად თხრიდნენ, თან –განიერს. მაგრამ არ იცოდნენ, რატომ თხრიდნენ.

– ჩვენ უფრო მეტი ხალხი გვჭირდება, რომ დაგვეხმარონ. მით უმეტეს, თუკი ჩვენ რაღაც მნიშვნელოვან ხვრელს ვთხრით, – დაიწუწუნა პეტრემ.

ისინი ვერ ბედავდნენ, ეკითხათ ხვრელის დანიშნულების შესახებ. მთხრელებს არ ეხებოდათ დანაშაული და უდანაშაულობა. ისინი ბრძანებებს ემორჩილებოდნენ და თხრიდენენ იმდენს, რამდენსაც ადამიანის ძალა ამის საშუალებას იძლეოდა. დანარჩენს იმ ძალებმა მიხედონ, ვისაც ვემორჩილებითო, მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება გიორგიმ, ივანემ და პეტრემ.

ასმოდეუსმა, სიხარულით აღსავსემ, განჭვრიტა ვოდკა ვილიჯისა და ვოდკის ხეობის წაშლა რუკიდან, ხალხისგან დაცლა, მისი განადგურება და გაუკაცრიელება. დააკმაყოფილებდა ეს მის მოთხოვნებს და მიანიჭებდა მას ჯოჯოხეთის მბრძანებლის ტიტულს? ექნებოდა იმის შეგრძნება, რომ მოირგო როლი და მთლიანად შეცვალა უფალი? თანამედროვე საზოგადოება, სადაც მასმედია ურცხვად აღიარებს სრულიად გაყალბებული კულტურის კერპებს, რათა დაეპატრონონ იმ ადგილს, სადაც ღმერთი უნდა იყოს, შეეწეოდა მას ტრიუმფში. ასმოდეუსის გამარჯვება ნათელს გახდიდა, რომ ღმერთი არ იყო მნიშვნელოვანი და რომ, სინათლის ძალები ენერგეტიკულ კრიზისს განიცდიდნენ, რაც წერტილს დაუსვამდა მათ ხელმძღვანელობას და შეცვლიდა მას თავისი დემონებითა და მოხალისე მიმდევრებით. ეს იყო ბედის შემობრუნების პერიოდი, ძალების მოსაკრებად რომ სიგიჟე განგეცადა და განსხვავებული (მარგინალი) ყოფილიყავი. როგორი განცდა იქნებოდა, როცა ხელთ გიპყრია მთელი სამყარო? ის თავისუფალი იქნებოდა, რომ ყველაფერი გაენადგურებინა! ასმოდეუსი თავის სურვილებს სისხლსა და მსხვერპლზე შურისძიებით დაიკმაყოფილებდა.

– ვამპირებს თავი მოსწონთ თავიანთი არსით და არსებობით. – ამაზე მეტი მარგინალიზმი არ არსებობს ჩვენთვის. ვოდკა ვილიჯი და მთელი სამყაროა დასტურია იმისა, რაც ჩვენ სინამდვილეში გავაკეთეთ! – განაცხადა ეთაგორია ნებსონიამ.

ტერორი ბუდობდა სიჩუმეში. სიჩუმეში, რომელიც იტანდა დიმიტრის ძვლებს, ადამიანის ღორად გარდაქმნას და მის საკვებად გაგზავნას იმ კაცებისთვის, რომლებიც თხრიდნენ ხვრელს მომავლის მოსასპობად. ტერორი სახლობდა ფარდულში სავას უთავო სხეულის დუმილში, რომელიც კლონირებულმა დემონებმა ჩუმად მოიშორეს. შემდეგ ტრასაზე გაიტანეს, მანქანას დაელოდნენ და გვამი საბარგულში ჩატენეს. სავა იქნებოდა იმ პირველ გვამებს შორის, რომლებიც ხვრელში ჩაყარეს. ტერორი ბუდობდა ასევე ჯასნას დუმილში, რომელიც ღამღამობით ლუციფერს ემსახურებოდა. მრუშების დაკმაყოფილება, ერთადერთი გზა იყო კარიერის გასაკეთებლად, მაგრამ კარიერა საკმაოდ წარმატებული გახლდათ ბოროტ მეფემდე მისაღწევად.

იმით ნასიამოვნებმა, რომ ჯასნამ კარი არ მიუხურა დემონურ ვერაგობას, ლუციფერმა იცოდა, რომ ჯასნას არსება, დიდი ხნით ადრე იყო გამოყენებული მანამ, ვიდრე მასთან მივიდოდა. რამდენიმე დღის განმავლობაში, მასთან რომ შედიოდა, ეგონა, სისხლის გაყინულ ტბაში შედიოდა; ჯასნა იყო დიდებული, ურცხვი დამნაშავე. ლუციფერს შინ ყოფნის შეგრძნება ექნებოდა, გეჰენიით გარშემორტყმული რომ ყოფილიყო. იმან, რაც ჯასნამ ჩაიდინა, მას უკან დასახევ გზას უჭრიდა. ის უწყინარად და შეუბრალებლად მოქმედებდა, ზუსტად ისე, როგორც ლუციფერს მოსწონდა – ადგილი არ ჰქონდა არანაირ დემონურ ჩივილს.

პეტრე ხვრელის ნახაზს უკირკიტებდა – ასმოდეუსის ჩანაფიქრს. აიღო საზომი ლენტა, რომ შეემოწმებინა, იყო თუ არა ხვრელი ადეკვატურად გათხრილი.

– არ საჭიროებს მეტის ამოთხრას. ზუსტია, – დაასკვნა გიორგიმ.

არ იცოდნენ, მერე რა უნდა გაეკეთებინათ. შემდეგ ესმოდათ, როგორ ამოუყვა დიდი სატვირთო მანქანა ტრასას. მანქანა ხვრელს მიადგა და გაჩერდა. ეთაგორია ნებსონია მართავდა მანქანას, გასისხლიანებული ჰქონდა პირი და თეთრი პერანგი.

ვამპირების უფროსმა მანქანა რაც შეიძლებოდა ახლოს, ზედ ხვრელთან მიაყენა, გადმოვიდა და მათ უთხრა: – სამუშაო მანქანის საბარგულზე გელოდებათ. გადმოიღეთ და ჩაყარეთ ხვრელში! აკეთეთ ჩუმად, პირს ნუ დააღებთ!

მამაკაცებმა იცოდნენ, რომ მათი სამუშაო კონფინდეციალური იყო; ფიცი დადეს, შეენახათ საიდუმლოება. მიათრევდნენ გვამებს ფეხებით და მკლავებით. ზოგი მათგანი შედარებით დიდი იყო, მაგრამ ყველანი გარდაცვლილები იყვნენ.

– ცუდად არიან დაკბენილები, ვიღაცები ძალიან მოშიებულნი იყვნენ, – აღნიშნა ივანემ.

ეთაგორია თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა მათი უუნარობით ჩუმად ემუშავათ, ვიდრე ეტყოდნენ, მეტი პროფესიონალობა გმართებთო. რაკი გაცილებით მაღალი იყო ივანეზე, თავი მისკენ დახარა და შეხედა: – ვიღაც იტყოდა მწყურიაო, არა?

– ხო, – დაიწრიპინა ივანემ.

– შენი აზრით, ეს ადამიანები სხვა არსებების წყურვილის გამო იქცნენ გვამებად?

– ხო-ოოო, – ენა დაება ივანეს. მას ბავშვობიდან ჰქონდა მეტყველების დაბრკოლება და სიტყვებს წარმოთქმისას ყლაპავდა.

– ზოგი ამას შიმშილს ეძახის, მომაკვდინებელ შიმშილს.

– მე ყოველთვის ვჭამ ხოლმე, როცა მომაკვდინებლად მშია. ასე რომ, ნაკლებად მშივდება, – გიორგიმ ისე შეხედა ივანეს, თითქოს ტვინი პირიდან გადმოუდინდა და თავმა ისევ უკანვე შეისრუტაო.

– მეც და ვისაც ვიცნობ ყველა ასე აკეთებს. ჭამა ძალიან ბუნებრივია, – თქვა ეთაგორიამ.

– დიდებულია. მე შემეძლო მაგარი სადილი გამეკეთებინა თქვენთვის. პეტრეს მოსწონს ჩემი მომზადებული საჭმლები. საქმე ისაა, რომ გამიხარდება, სადილად თუ მეწვევით, როცა ჩვენი სამუშაო დამთავრდება. მე ყოველთვის ახალი მეგობრების ძიებაში ვარ. მეშინია, მარტო არ დავრჩე.

– ცოტა ილაპარაკე! – დაიღრიალა ეთაგორიამ. ლაპარაკით ნუ სცდები მუშაობას! რა თქმა უნდა, შეუძლებელია, ორი საქმის ერთად კეთება.

ივანე მიხვდა _ არ უნდა ეყბედა ამდენი ისევე, როგორც სხვა სამყაროში. იცოდა, ეს არ იყო მისთვის განკუთვნილი ადგილი, მისი დრო. ყველაფერი, რაც მას უნდა გაეკეთებინა, ეგ იყო: ემოქმედა ზედმიწევნით მორჩილად.

ტრიოს თავდაპირველმა არაკეთილგანწყობამ, ეს სამუშაო რომ შეესრულებინათ, გამოიწვია მსუბუქი ზიზღი, თითქოს იძულებულნი იყვნენ, ეჭამათ არასასიამოვნო საჭმელი. როცა მოვიდოდა დრო, ხვრელისთვის ტალახი ჩაემატებინათ, ისე მოქმედებდნენ, თითქოს ეს მხოლოდ სხვა სამუშაო იყო, მეტი არაფერი.

– ანუ, ახლა რას ვაკეთებთ? – იკითხა გიორგიმ.

– შეიძლება სახლში წავიდეთ? – დასვა შეკითხვა ივანემაც, – დასვენება გვჭირდება. ჩვენ დიდი ხანია, ვმუშაობთ.

– დაისვენეთ! – თქვა ეთაგორიამ, თითქოს ეს ყველაზე გიჟური რამ იყო, რაც კი ოდესმე მოესმინა. – დაისვენეთ, მაგრამ საჭმელად „ჩეხოვში“ გეპატიჟებით!

– ოჰო! – გაისმა ივანეს აკანკალებული ხმა.

– კარგი, რაკი გვეპატიჟებით საჭმელად, აუცილებლად უნდა მივიღოთ ეს მიწვევა, – უთხრა გიორგიმ ეთაგორიას.

– ძნელი იქნებოდა უარის თქმა! – დასთანხმა პეტრე.

– მართლაც, – თქვა ივანემ.

– მე იმ აზრისა ვარ, მძიმე მუშაობის შემდეგ ყოველთვის აუცილებელია კარგი კვება შიმშილის მოსაკლავად.

– მაგრამ მე არ მინახავს, „ჩეხოვი“ სავაჭროდ გაეღოთ, – უთხრა გიორგიმ.

– „ჩეხოვი“ მხოლოდ განსაზღვრულ საათებში გაიღება. მენეჯმენტის რესტრუქტურიზაცია მიმდინარეობს. მაგრამ ჩვენ იქ პირადული ფართი გვაქვს.

როცა ისინი უკანა გზაზე, სოფლისა და „ჩეხოვისკენ“, ლაპარაკ-ლაპარაკით მიდიოდნენ, ეთაგორია ხმას არ იღებდა.

– იმედია, გვექნება ქათმის სუპი და შამფურზე შემწვარი ქათამი. თეთრი ხორცი საუკეთესოა პროტეინისთვის, ასე მსმენია ყოველთვის, – თქვა ივანემ და მოჰყვა ოცნებას, თუ რას შეჭამდა, როგორ იქნებოდა საჭმელი თეფშზე დაწყობილი და თითოეული ლუკმით როგორ დატკბებოდა. – საჭმელი ისეთივე კარგი იქნება „ჩეხოვში“, როგორც უწინ? ახლა ხომ ახალი მენეჯმენტია?

–თითებს ჩაიკვნეტთ. „ჩეხოვის“ ახალ მენეჯმენტს მართლაც აქვს რამდენიმე დიდებული და გაუმჯობესებული კერძი თავის მენიუში.

– მაინც რა? – იკითხა ივანემ.

– ოოო, – თქვა ეთაგორიამ და სწრაფად მოუხვია გზის კუთხეში. ძველი „ჩეხოვი“ წყნარად იდგა, თითქოს დრო შეჩერდაო. თითქოს ხალხი იჯდა და იხსენებდა წარსულს, რომელიც ჯერჯერობით ცოცხლობდა. – ჩვენ ვზეიმობთ!

– რას ვზეიმობთ? – იკითხა ივანემ ისევ.

– თქვენ კარგი ხალხი ხართ, რომლებიც ასეთ კარგ სამუშაოს ასრულებთ. ჩვენ გეტყვით იმას, რისი ცოდნაც თქვენთვის აუცილებელია ამ კონკრეტულ მომენტში. ხოლო დროთა განმავლობაში, რაც ცნობილი გახდება, უკვე აღარ იქნება საიდუმლო.

– ყველამ ვიცით, რომ ასმოდეუსი ბრწყინვალე ოსტატია, – თქვა გიორგიმ.

– ყოველთვის ასეთი იყო! – დაეთანხმდა ეთაგორია ნებსონია. – აბა, ხალხნო, დროა, შეხვიდეთ ახალ, გაუმჯობესებულ „ჩეხოვის რესტორანში!“

როცა სამი მამაკაცი რესტორანში შევიდა, პირველი ცვლილება, რაც თვალში მოხვდათ, ეს იყო ინტერიერი. ირგვლივ

მძიმე მწუხარება სუფევდა. ამის ახსნა შეუძლებელი იყო. თითქოს სტუმრები ჰიპნოზური ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ. საითაც არ უნდა გაგეხედა, ყველგან ბნელოდა. რესტორანს მთელი თავისი შარმი დაჰკარგვოდა; თითქოს განედევნათ ამ ადგილის სული და მხოლოდ ჩონჩხი დარჩენილიყო. სამივენი, დაჰიპნოზებულები, შემცბარნი და გაშეშებულნი არა სილამაზით, არამედ – სიბნელით, ჩამოსხდნენ დივანზე, როგორც უთხრეს და დაელოდნენ დროის გასვლას. გაყინულები, დამბლადაცემულებივით ისხდნენ, მეტყველების უნარდაკარგულები. ეთაგორიაც, რომელიც მათ უკან იდგა, ხმას არ იღებდა, ელოდა, როდის გაივლიდა მათი არასერიოზული შიში.

გიორგი ფიქრობდა, გვამოწმებენ, რამდენად ვენდობით ასმოდეუსსო. მალე ასმოდეუსი მოვა გამაგრილებელი სასმელებით და მშვიდი ღამე გვექნებაო. ივანე ფიქრობდა, ალბათ, საჭმელი მზადდებაო. პეტრე ფიქრობდა, უფრო მეტი ხალხი მოვა, მათაც მოუტანენ საჭმლებს და ყველანი ერთად შეჭამდნენ, როგორც ერთი დიდი გუნდის წევრები.

ეთაგორიამ შიმშილი იგრძნო. იცოდა, ცუდი მანერა იყო სხვა დანარჩენი სტუმრების მოსვლამდე ჭამის დაწყება, მაგრამ თავაზიანობა გაქრა. პეტრემ შეხედა ეთაგორიას. ხელები გაუოფლიანდა. გიორგი და ივანე დივანს მოეჭიდნენ. ეთაგორია ნებსონიამ თავისი გრძელი მკლავები მოხვია მათ თავზე. – სადილი მზადაა. თქვენა ხართ ჩემი სადილი.

სისხლმა დაიწყო დივანის, იატაკისა და კედლების შეღებვა. ეს სამი ცოცხალი ადამიანის სისხლი იყო, რომლებმაც თავიანთი ვარგისიანობის ვადა ამოწურეს. უჩვეულო იყო წლების შემდეგ, ეთაგორიას ეიფორია, რომელიც თავს არიდებდა ლაივში მკვლელობას, „რამდენი დამიკარგავს!“ ის ახლა იმის გაკეთებას შეუდგა, მიუბრუნდა, რასაც ადრე აკეთებდა.

– ჯობია, იცოდეთ, რომ რაზეც გეტყვიან, გააკეთეთო, სახლში არასდროს გააკეთოთ! – თქვა მან გიორგის გულის უკანასკნელი ფეთქვისა და ბოლო ამოსუნთქვის დროს. შემდეგ ივა-

ნეს თავი თავისივე წვერებით აუწია და უთხრა: – ივან, მეტი შეკითხვა არა გაქვს? რას იტყვი შენს მეგობარ პეტრეზე? რატომ მიყურებთ ასე, თქვენ ხომ თითქმის მკვდრები ხართ? დაიმახსოვრეთ დღევანდელი გაკვეთილი! ჯობია ტექსტიდან იცნობდეთ დემონს, ვიდრე იცნობდეთ ნამდვილ დემონს, რომელსაც, გგონიათ, რომ, იცნობთ!

თქვენ კი, საცოდავო სულელებო, გეგონათ, იცნობდით დემონს!

თავი 16
ბურღვა

მუშების ჯგუფი ვოდკა ვილიჯის გარეთ, მიწის იმ ნაკვეთზე მოვიდნენ, რომელსაც ტობიასი რუსული კომპანიისთვის იცავდა. ისინი მოვიდნენ სატვირთო მანქანებით თავიანთი თავის უზრუნველსაყოფი მოწყობილებებით, თანამედროვე, კომფორტული საცხოვრებელი სადგომებით. იყვნენ თავიანთთვის წყნარად და არც ბრძანებებს აძლევდნენ და არც რაიმეს ავალებდნენ ტობიასს. თითქოს გრძნობდნენ და მის სურვილს ითვალისწინებდნენ, ასე მოქცეულიყვნენ. მათს სატვირთო მანქანებზე დამაგრებული იყო სპეციალური საბურღი მოწყობილებები.

ახალჩამოსულ მუშებთაგან ერთი-ერთთან ცოტაოდენი გასაუბრების შემდეგ ტობიასმა შეიტყო, კომპანია თვლიდა, რომ იქ, ღრმად მიწისქვეშ, გაზისა და ნავთობის საბადოები იყო. საბოლოოდ გაიცა ოფიციალური, ლეგალური ნებართვა, დაწყებულიყო ბურღვა. ციმბირის ველურ სიცივეში შავი ოქროს ძიების გამო მამაკაცებმა უარი თქვეს ოჯახურ ცხოვრებაზე.

მიუხედავად მანქანების, მუშებისა და გათხრების სიახლოვისა, ტობიასი ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ მისი კაბინის მიმდებარე ტერიტორიაზე საკმაო სიწყნარე სუფევდა. მუშაობის შორეული ხმები არ იყო შემაშფოთებელი. იქნებ ეს ყველაფერი უკეთესიც ყოფილიყო ტობიასისთვის, მოკვდავისთვის, რომლის მოვალეობაა, იმუშაოს, რომ თავი გაიტანოს? ტობიასი ასე არ ფიქრობდა. ის მიჩვეული იყო ასეთ ცხოვრებას. მის რწმენას, რომ მისი ცხოვრება გაუმჯობესდებოდა, ისიც დაემატა, რომ მიიღეს მისი განცხადება დინსტანციური სწავლების თაობაზე. გააგზავნა საჭირო საფასური და ჩარი-

ცხულ იქნა ლიბერალური ხელოვნების ბაკალავრიატის კურსებზე. გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სასწავლო მასალის მიღების შემდეგ მან სწავლა ოფიციალურად დაიწყო.

ტობიასისთვის ვოდკის ხეობა პირად უტოპიას წარმოადგენდა. მან აქ შინაგანი სიმშვიდე მოიპოვა და უკეთ ჩასწვდა გარესამყაროს მიმართ თავისი დამოკიდებულების არსს. კმაყოფილებამ აღავსო. იცოდა, მთელი დღის მანძილზე 20 კაცი მუშაობდა ღრმა ხვრელის გასაბურღად. ამავე დროს შეუყვარდა მეცნიერული საქმიანობა. ამ რეალობამ სრულად შთანთქა, ასე რომ, ვერავითარი მუშები და ბურღვა მას ვერ აბნევდა. ტობიასი სწავლის სამყაროში ჩაეფლო. იმდენად გულმოდგინე იყო, გრძელბეწვიანი მამონტი რომ დასცემოდა ზურგზე, იმასაც ვერ შენიშნავდა.

გარდა იმისა, რომ კაცები თხრიდნენ და ეძებდნენ გაზს და გარდა იმ ცვლილებისა, რაც მათს ფიზიკურ მუშაობას მოჰყვა, ვოდკის ხეობა ისეთივე მეჩხერ მოსახლეობიან ადგილად დარჩა. ტობიასს ეგონა, 100 მეტრი სიღმის სიბნელიდან ამოვედი და სინათლით ავივსეო. ბედნიერებისგან ბრწყინავდა. ჩუმად უხაროდა, მაგრამ არ ამჟღავნებდა ამას, რომ შური არ გამოეწვია. უფრო ჩაუღრმავდა საკუთარ თავს, იმ რწმენით აღვსილი, წინ მივიწევო. რაც უფრო მეტს სწავლობდა, მით უფრო დიდსულოვანი ხდებოდა. მისი სული ჰაერში დაფრინავდა.

რატომ განიცადა ცვლილება ამ ყველაზე მეტად არახელსაყრელ ადგილას? ეს მარტივი ასახსნელია. დილის ფიზიკური ვარჯიშის შემდეგ ტობიასი ნათლად აანალიზებდა თავისი მდგომარეობის სირთულეს. სწორედ ეს არის მშვიდობის დამსახურება. ის ამგვარად უწევს დახმარებას ადამიანს, გახდეს უფრო გონიერი, მისწვდეს ლოგიკის უმცირეს ხვეულებს, რომელიც სწავლის სარქველებს აღებს. „აქ ჩამოვედი ნეგატიურ, განადგურებულ მდგომარეობაში, უკიდურესად აღშფოთებული ცხოვრებაზე, რომელიც საკუთარმა პირადმა მარცხმა განაპირობა, თითქოს სხვას ამ სამყაროში მარცხი არ განეცა-

დოს. განა ვინმეს, ამ მდგომარეობაში მყოფს, შეუძლია აღიქვას სამყაროს სილამაზე და ადამიანები ირგვლივ?“

მაგრამ მიწის ამ მონაკვეთზე ყველა ვერ იყო მშვიდად, ვერც მადლიერებით სავსე, ვერც მშვიდობისმოყვარე და არც სწავლისკენ მიილტვოდა.

ალექსი იგნატიევი, გეოლოგი და გეოფიზიკოსი, ხეობაში ჩამოვიდა აღმოჩენის მისიით. დამთავრდა მის მიერ გარემოს შესწავლა და ელოდებოდა, დაპირებული ანგარიში ჩაებარებინა რუსული კომპანიისთვის. გაჩნდა ახალი ტექნოლოგიები. ისინი დარწმუნებულები იყვნენ, საიმედო იყო ახალი, ინოვაციური, აღმოჩენის გენიალური მეთოდები და სჯეროდათ, რომ ეს 10 ჰექტარი მიწის ფართობი ბუნებრივი გაზისა და ნავთობის დიდ რაოდენობას ფლობდა. მათ კიდევ რამდენიმე ფუტი უნდა გაეთხარათ ღრმად, რაც დიდ ხარჯებს იწვევდა. მისი თეორია გამორიცხა კომპანიის ზოგიერთმა ძველმა წევრმა, რომლებიც თვლიდნენ, რომ გაზის და ნავთობის მოპოვება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუკი მიწის ზედაპირზე ნალექი აღმოჩნდებაო. მაგრამ მან, თავისი გამოცდილებით თავდაჯერებულმა, გაფანტა მათი ეჭვები.

ალექსის საკუთარი ეჭვები არ ასვენებდა. შინაგანი ხმა ამუხრუჭებდა და უშლიდა ამ პროექტის განხორციელებას. ეს იყო ყველაზე დიდი რისკი, რაც კი ცხოვრებაში გაერისკა. თუკი გაამართლებდა, მისი სახელი ლეგენდარული გახდებოდა. ალექსი თავის მეგობრებზე უფრო მეტს მუშაობდა არა სამუშაოს კონკურენტული ეთიკის გამო, არამედ იმიტომ, რომ მის გუნდს გათხრები უსასრულოდ ეწარმოებინა, სანამ ქანცი გამოელეოდა და მუშაობას შეწყვეტდა. ამ ღმერთისგან დაწყევლილ ადგილზე, გათხრებისგან ღონეგამოცლილები, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ალექსი შეშლილი, ხოლო მისი პროგნოზები ცრუ იყო. ფიქრი, იმაზე მეტად არ შერცხვენილიყო, ვიდრე კომპანიას ოდესმე დამართნოდა, ალექსის ძილს უკარგავდა, თუმცა შეგნებულად სჯეროდა, რომ ეს არ მოხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ღრმა ქვეცნობიერი შედეგი იყო

მარცხის, უარყოფისა და სასაცილოდ აგდების ერთმანეთის საწინააღმდეგო ფანტაზიისა, ის ამ შიშს არ ნებდებოდა ან არ ეთანხმებოდა.

ნაცვლად ამისა, ალექსი ფიქრობდა, ძალიან მალე იქნება პრეზენტაცია, სადაც, სხდომათა დარბაზში, ამ ტერიტორიიდან მოპოვებული ბუნებრივი გაზის ბაზარზე გასვლას სამართლებრივად რომ დავადასტურებო. ზეიმიც იქნება, პრემიაც იქნება და რუსული კომპანიის რეპუტაცია და მოგება გაიზრდება კიდევაცო!

ეს ფიქრები მისი მანტრა გახდა. იგი დარწმუნებული იყო ამაში და სჯეროდა იმ ახალი გზების სისწორე, რომლებიც გამოიყენება გაზის მოსაპოვებლად. რა თქმა უნდა, მან იცოდა, რუსულმა კომპანიამ მას რომ დაუჭირა მხარი და არა – ტომასის ფარულ ეჭვს, რომელიც ყოველთვის მზად იყო კრიტიკისთვის, ვიდრე დანაპირებს დაინახავდა და დაიჯერებდა. ღრმა ხვრელს, რომელსაც ბურღავდნენ, უნდა შეეღწია კლდეში, სადაც წიაღისეული საწვავი ზეწოლის შედეგად გამოიყოფოდა. აღმოჩენილი იქნებოდა ნავთობი და გაზი, რომლებიც ენერგიამოშიებულ სამყაროს მიეწოდებოდა. მას ყოველთვის უნდოდა, თავი მოეწონებინა და ეთქვა, ნავთობს სიცოცხლისთვის ვყიდიო. ორი წლის წინ ის უნივერსიტეტიდან გადავიდა რუსულ კომპანიაში იმისათვის, რომ ამის თქმა შესძლებოდა. ახლა შანსი ჰქონდა (სასურველია, ოფიციალურად გამოიყურებოდეს, სიგარით ხელში, კარგად შეკერილ პიჯაკში და გალაქულ ფეხსაცმლებში), ეს გაეკეთებინა და განეცხადებინა: „ვიკვლევ, ვპოულობ და ვყიდი ნავთობს!“

კაცები დაბნელებამდე მუშაობდნენ. როცა გაჩერდებოდნენ, ალექსი იჟინებდა, გაეგრძელებინათ მუშაობა, რადგანაც გრძნობდა, წარმატება მხოლოდ რამდენიმე მეტრის სიღრმეში იყო. ტობიასი შეჰყურებდა კაცებს, რომლებიც ღამითაც კარგად მუშაობდნენ და მადლიერი იყო, რომ შეეძლო, უგრძნობლად დაეძინა მაშინ, როცა ისინი დაუღალავად მუშაობდნენ და ალექსის ბრძანებებს და მის ამბიციურ შეპირებებს ასრუ-

ლებდნენ. ალექსი ამბობდა, წიაღისეული საწვავი დამალობანას გვეთამაშებაო.

ზუსტად ერთი საათის შემდეგ, ტობიასმა რომ თვალები დახუჭა და ტკბილად ჩაეძინა, კაცებს ძალა გამოელიათ, ჯოჯოხეთურად გაჭირვეულდნენ და გაბრაზდნენ. ალექსიმ მკაცრად აუკრძალა მათ დაძინება. თითქოს ის უკვე მათი კოლეგა კი არა, ბოროტი დემონი ყოფილიყო, უხორცო და უსისხლო. რაც უფრო იღლებოდნენ, ალექსი მით უფრო მოუწოდებდა მათ, გაებურღათ ხვრელი.

შემდეგ ჯგუფს ქვემოდან საშინელი ყვირილი მოესმა. შემობრუნდნენ ალექსისკენ.

– ნუ გეშინიათ ამ ხმების! ეს წიაღისეული საწვავის ხმაა, როდესაც მას ხვრეტენ.

კაცებმა გადაწყვიტეს, ისე ემოქმედათ, თითქოს სჯეროდათ მისი და იქ არავითარი დემონური ხმები არ იყო. მიუხედავად მათი სულიერი დაღლილობისა, ერთმანეთის წინაშე აღიარებდნენ, რომ ეს ხმები საკუთრივ მათი სულის ყველაზე ღრმა ხვეულის გამოძახილი იყო. ფსიქიატრიული საავადმყოფოები არ იყო სასაიმოვნო, არავის უნდოდა გიჟის სახელი შერქმეოდა.

მაგრამ ერთმა მათგანმა, ყველაზე ძლიერმა კაცმა, მიიღო გადაწყვეტილება. მას ნაკლებად ანაღვლებდა, გიჟს დაუძახებდნენ თუ – უფრო უარესს, მანიაკს, როცა ასეთი ჯოჯოხეთური ხმები ესმოდა. ამ ზანტმა კაცმა, ასევე მეტად რაციონალურმა, მაგრად მომუშავემ, რომელსაც წუწუნი არ სჩვეოდა, ყველაზე გაბედულმა და ლოგიკურმა, თქვა ასეთი რამ: – კარგად იცით, რომ ეს ადამიანების დაკარგული და დაწყევლილი სულების გოდებაა. ვიცი, ფიქრობთ, გააგრძელოთ ბურღვა. მაგრამ მე არ მჯერა, რომ ეს უსაფრთხოა. ასე რომ, დოქტორო ალექსი, განაგრძობთ ბურღვას ნავთობის საძებნელად? თუ ბურღავთ, რომ დედამიწის გულში ჯოჯოხეთთან ომი წამოიწყოთ?

– რას სულელობ? ჯოჯოხეთს რა უნდა დედამიწაზე?

– ჯოჯოხეთი სწორედ რომ ციმბირშია, სავარაუდოდ. ციმ-

ბირია ჩვენი პლანეტის ურჩხული. სხვაგან აბა სად შეიძლება იყოს ჯოჯოხეთი? მე მივდივარ. მიყვარდა ეს პროექტი, მაგრამ სხვა რამეს მოვიძიებ. ყოველთვის ვპოულობ რაიმეს!

„დიდი კაცი“, მისთვის შესაფერისი მეტსახელით, პირველი იყო, რომელმაც გამოიჩინა ინიციატივა და მიატოვა სამუშაო. ამან გააბრაზა ალექსი. რა მოხდა, ხვრელს თუ გაბურღავდა და გაათავისუფლებდა ამ მძვინვარე ხმაურისა და ხმებისაგან? ადამიანმა შიში უნდა გადალახოს, რომ თავი გაიტანოს ამ მძიმე დროს და თავისი სამუშაო სწორად და სრულად შეასრულოს. უნდოდა, ეს ეთქვა თავისი ხალხისთვის, მტკიცედ დაერწმუნებინა, რომ მათ თავიანთი შეხედულებები უნდა ჰქონოდათ ამაზე და არ უნდა მორეოდათ საზარმაცე და ზებუნებრივი ბოროტი ძალების დრომოჭმული შიშები და გაეგრძელებინათ ეს სპეციალური ექსპედიცია ეკონომიკის განვითარების ხელშესაწყობად.

მაგრამ ალექსის ყელში გაეყინა თავისი გაბედული სიტყვები. ვერ უარყოფდა, რაც მართლა მოხდა. ირგვლივ მიმოიხედა და მიხვდა, რომ ის ერთადერთი არ იყო, ვინც აკანკალდა. გაიგონა ათასხმიანი გუნდური ყვირილი მიწისქვეშეთიდან, თითქოს გაუსაძლისი ტკივილისგან ეწამებიანო.

ყველამ დაყარა იარაღი ალექსის ჩათვლით. კაცებმა დაუყოვნებლივ, ყოველგვარი დებატებისა და ყოყმანის გარეშე, მიიღეს გადაწყვეტილება, გაქცეულიყვნენ, თუკი შესძლებდნენ და უკან აღარასდროს დაბრუნებულიყვნენ. ხვრელს უბრალოდ ამომშრალი ჭა ერქმეოდა და ამით დამთავრდებოდა ეს ისტორია. არავის არც ერთი წამით არ უფიქრია, ჩაძინებული მცველისთვის, ტობიასისთვის, რაიმე ეთქვა.

თავი 17
ჯოჯოხეთის საფასური

ამიერიდან არავის სჭირდებოდა, ორმო მეტისმეტად ღრმად გაეთხარა. ჯოჯოხეთის ადმინისტრატორი გახარებული იყო, რომ ეს წესი შეიცვალა. ჯოჯოხეთის ზეიმი ღრმად გაბურღულ ხვრელთან ერთად დაიწყო, ლავასავით გადმოვიდა და დაფარა ხეობა და შემდეგ – ვილიჯი. ჯოჯოხეთური ნიშნები იყო ყველგან, დაბობღავდნენ მღრღნელებივით ერთად თავმოყრილნი. დემონები პროვოცირებდნენ, ქმნიდნენ დაბრკოლებებს და ცეცხლოვანი წყევლის ამოქმედებას წინასწარმეტყველებდნენ.

ერთი დემონი მთელი დღის მანძილზე ჯოჯოხეთის ზედა შრეზე დაეხეტებოდა. მიაგნო გასასვლელს ჭაბურღილის ხვრელიდან დაქანცული ტობიასის გონებამდე. ბოროტი სიბინძურე მწვანე ნისლივით გადაეკრა მის სულს. ტობიასს სამი საათის მანძილზე მშვიდობიანი ძილით ეძინა. დემონმა განიზრახა, დაერღვია მისი მშვიდობიანი მდგომარეობა, რომ მენავთობეებს ბნელი გადასახადით დამუქრებოდა დედამიწაზე ჯოჯოხეთის უხამსობის გაღვივებისთვის.

ადამიანური სიხარბე მთელ ჯოჯოხეთს უხდიდა საფასურს. ჩვეულებრივ, ბრალი ადამიანს ედებოდა – ადამიანს, დაბრკოლების შემქმნელს და დილეტანტს, თავისი შორს წასული ზნე-ჩვეულებით.

სერგეი, ხატმწერი, ვოდკა ვილიჯის მატარებლით დაქანცული მოემგზავრებოდა რუსეთის შორი მანძილიდან, რომ დანიშნულების ადგილამდე ჩაეღწია. ტობიასივით მასაც ღრმა ძილმა დარია ხელი.

ძილი იდეალური იყო ჯოჯოხეთიდან გზავნილის მისაღე-

ბად. ცხადი იყო, ჭაბურღილმა ჯოჯოხეთს თავაზიანად გაუხსნა გზა ტრანსპორტისა და ტრანსმისიისთვის (გზავნილებისთვის). შეტყობინებები, როგორიცაა: არაკეთილმოსურნე, მაკონტროლებელი, მასიური ჰიპნოზი, იგზავნებოდა მსგავსი ტრანსი-ქვეყნების მეშვეობით. გამგზავნები, თავიანთი მისიით აღფრთოვანებულები, მხიარულად ტრიალებდნენ ქაოსში, დარწმუნებულები, გზავნილი იმდენად ძლიერი იყო, რომ შეეძლო, დაებინდა გონება, დაემახინჯებინა სული, აელაგმა სულიერება და ადამიანები ჯოჯოხეთში ჩაეგდო. მესიჯი, თითქოს ზედმეტი დოზის ამპიტამინით გამძვინარებული, გადალახავდა გონების ბარიერს გასამმაგებული სისწრაფით. მწარე ქარი ისე უბერავდა მესიჯს, რომ ის გონების ბარიერს არატრადიციული გზებით კვეთდა.

პიროვნების ნორმალური ავტონომიის ძლიერი ეგოს გასატეხად, გამგზავნები გავლენას ადხენდნენ და არწმუნებდნენ ადამიანებს სრულიად ალოგიკურ, აბსურდულ კავშირებში. მესენჯერებმა, რომლებსაც არ ადარდებდათ თანხმობა, იცოდნენ, თუ რა მაცდური იყო მთვლემარე ტვინი. მესიჯები აყალბებდნენ რეალობას და ამცნობდნენ: „თქვენ უნდა გადაუხადოთ ჯოჯოხეთს საფასური!“ მაგრამ ცნობა არაპირდაპირი იყო და გამოიყენებოდა გონებრივი და სულიერი მანიპულაციისთვის. ამჯერად სულიერი ავტონომია და პიროვნება გარე ზეგავლენებით ფორმირდებოდა ადრესატის თანხმობის გარეშე. ბოროტი არსებების ინტერესში შედიოდა, სიმართლე თითოეულისთვის დაეფარათ და თავისუფალი აზრები მიემართათ მათ წინააღმდეგ, ვინც იგუმანებდა გარეშე, საეჭვო, ბოროტ, ვირუსულ ძალებს.

ბოროტმა ძალამ იცოდა, როგორ მოეშხამა ალოგიკურად ხალხის გონება საკუთარი აზრის თავზე მოხვევით, არაკეთილგონიერებით, ალოგიკური, დაუმსახურებელი, ძლიერი ტყუილებით, რომლებიც შეაფერხებდა დანაშაულს.

ხეობასა და ვილიჯში სისხლის ღვრა გაცილებით ბუნებრივი და ჩვეულებრივი გახდა, ვიდრე სუნთქვაა. დაკარგული,

განკითხული (მისჯილი) სულები და უტიფარი არსებები, რომლებიც ქარაგმებით ლაპარაკობდნენ, პირდაპირ ხვრელიდან ამოდიოდნენ, ზოგი – ხილულად, ზოგიც – უხილავად. ყველანი უხილავი ხდებოდნენ, სოფლებისა და ხეობის მოსახლეობის გულგრილობისა და გულმავიწყობის წყალობით; თითქოს ბუნებრივი იყო მათი ყოფა და შეუძლებელი იყო წინააღმდეგობის გაწევა. ეს კი ჯოჯოხეთს აძლევდა შანსს, დედამიწა თავისუფლად გაენადგურებინა.

ტობიასმა და სერგეიმ პირადი თანხმობის გარეშე მიიღეს შეტყობინებები ჯოჯოხეთიდან. ყველანაირი საგანი, რომელიც უაზრო იყო, მათ გონებაში გადაიქცეოდა ველურ სიზმრად. გზავნილების ეს ჯოჯოხეთური მიმართულება გადაეცემოდა ხალხს, რომ გამოფხიზლებულო, დაწყნარებულიყო, ან სრულად აღექვა. ეს მესიჯები ხალხს ეგზავნებოდა მთელ ვილიჯსა და ხეობაში.

ქმრები აუხირდნენ ცოლებს და დაიწყეს თავიანთი შვილების შეშინება. ერთმა ყველაზე მშვიდმა კაცმა სოფელში, რომელსაც ერთხელ ჰკითხეს, აღიარა, წელიწადში ათი ცუდი დღეა, და, რა თქმა უნდა, ეს დღე ერთი მათგანიაო. ხალხმა გვერდი აუარა, როცა მის თვალებში შიში დაინახა. არანაირი ნარკოტიკი, რომლისაც ხალხს წარმოუდგენლად ეშინია, არ გამოუგონიათ სიველურის განსაკურნად. როცა ის მათ ჩაუვლიდა, შვებას გრძნობდნენ, თუკი ის მშვიდად იყო.

17 წლის მგრძნობიარე ბიჭმა, რომელიც ჩააფიქრა იმან, რაც ნახა, ხმამაღლა, რამდენადაც მის რბილ ხმას ეს შეეძლო, გულწრფელად განაცხადა: – ზეცა დაკბილულ კლდესავით მოინევს ქვემოთ. ამსხვრევს ჩვენს თავის ქალებს. ჩვენ სასიკვდილოდ სისხლისაგან ვიცლებით. მიწა განწირულია. კიდევ რამდენი დრო გვაქვს? ოდესღაც იმდენად ბევრი დრო გვქონდა, არ მივაქციეთ ყურადღება .... არც საკუთარ თავს .... არც ჩვენს საზოგადოებას. არ მიგვაჩნდა საყურადღებოდ ის, რაც აქ ნამდვილად ხდებოდა. უნდა დავტოვოთ ეს ადგილი!

მან ჩამოჰკრა ზარს, რომელიც ბებიამისის სხვენზე ყავისფერ ტყავის ჩანთაში დამალული, იპოვა.

– დამიგდეთ ყური! ეს გაფრთხილებაა ჩვენი უსაფრთხოებისთვის! არა მარტო ცა ჩამოგვემხობა თავზე, არამედ ჩვენი სულებიც ისევე დანაწევრდება, როგორც ხორცი სასაკლაოზე. ჩვენ ვერ გამოვაფხიზლეთ საკუთარი თავი.

ჩვენი გულგრილობა ხელს გვიწყობს, გავანადგუროთ ერთმანეთი. ჩვენ ვზრუნავდით მხოლოდ საკუთარ თავზე და ჩვენს ადგილზე სამყაროში. სხვას არაფერს ჰქონდა მნიშვნელობა. არ გვქონდა არანაირი პრინციპები და ვერ ვხვდებოდით, რა ხდებოდა ჩვენს საზოგადოებაში. რა მივიღეთ ამის სანაცვლოდ ახლა? რამდენად ღირებულია თქვენთვის თქვენი გულგრილობა, სიკვდილთან და ამ რეგიონის, მხოლოდ ამ კუთხის განადგურებასთან ერთად?

ვერ ხვდებით, აქ რა ხდება? ასე იმიტომ დადიხართ, რომ მე თითქოს უხილავი და შეშლილი ვარ? ეს თქვენა ხართ ავად და ის საზოგადოებაც, რომელსაც თქვენ გაუწიეთ დახმარება ასეთად ჩამოყალიბებაში. იქ, სადაც ხალხს არ ჰყოფნის სიმამაცე და ყველაზე გაბედული კაციც კი გულგრილია, საზოგადოება განწირულია.

არ მითხრათ, რომ არ იცით, არასწორად თუ იქცეოდით? სად იყო ჩვენი ბრძოლა? ვინ უწევდა წინააღმდეგობას იმ უცნაურობებს, რაც ჩვენს შემოგარენში ხდებოდა? შეტრიალდით ჩემგან თქვენი პირადი საფრთხისკენ! მე არა ვარ საბრალო. მე არა ვარ ის, ვინც თვალს ხუჭავს. თვალები ფართედ მაქვს გახელილი. კარგად ვხედავ, რაც ხდება ჩვენ გარშემო.

ბიჭმა ზედმიწევნით დაინახა, რაც ხდებოდა მის გარშემო. მან კარგად შეიცნო, რა მოხდა იმ სამყაროში, რომელშიც ცხოვრობდა. იმ სამყაროსაც ხედავდა, რომელიც, რამდენადაც მან იცოდა, სპობდა ადამიანებს. უნდოდა, ხალხი როგორმე გასცლოდა აქაურობას ან რაღაც მოემოქმედებინა მანამ, ვიდრე მოისპობოდნენ. არ უნდოდა, დაენახა, როგორ უაზროდ ეწირებოდა მსხვერპლად ბნელ ძალებს ხალხი, ვისთანაც გაიზარდა.

მაგრამ ხალხი მაინც გვერდს უქცევდა მას. მისი უხილავობა იყო მათი გულგრილობისა და უვიცობის შედეგი. ზოგიერთი, შეიძლება ზურგსუკან დასცინოდა კიდეც. მისთვის სულ ერთი იყო.

იქნებ ერთ ადამიანს მაინც დაეგდო მისთვის ყური!

საშა ერქვა ბიჭს, რომელიც ვოდკის ხეობის შვილი იყო, რუსეთის ფედერაციაში, ციმბირის მიწისა და რეგიონის მოქალაქე. საშას უნდოდა გაეხსენებინა ვინმე აქ დაბადებული და გაზრდილი – ჭკვიანი, გონიერი, საღად მოაზროვნე პიროვნება, რომელიც იტყოდა სიმართლეს. ასეთები თუ მოუსმენდნენ მას და ყურად იღებდნენ მის გაფრთხილებას და არა – კუდიანები ან სულელები, ან ამდაგვარი სინამდვილის მიმართ გულმავიწყები.

მშვიდმა, ნორმალური გარეგნობის კაცმა, რომელმაც ამ ახალგაზრდას ჩაუარა, უცებ იგრძნო, რომ ბიჭის მოკვლა მოუნდა. უნდოდა, ამოეღო თავისი შვეიცარული არმიის დანა, ჩაერტყა ბიჭისთვის მუცელში და სისხლით შეეღება თავისი ხელები, რომ იმ ღვარძლისგან განთავისუფლებულიყო, რომელიც მასში იყო. როცა ამ კაცმა ხელი წაავლო თავის დანას, ისევ იგრძნო, თუ ასევე წაუჭერდა ხელს საშას ყელში, ბიჭს სიცოცხლეს გამოასალმებდა. ეს კაცი ანონიმურად მოქმედებდა.

საშა კაცს სახეში შესცქეროდა და ისე ელაპარაკებოდა, თითქოს მისი მეზობელი ყოფილიყო. ხალხი, რომელიც საშას უყურებდა და თვალთმაქცობდა, ვითომ თვალყურს არ ადევნებდა (მაგრამ, სავარაუდოდ, შემდეგ უნდა ეცინათ ამაზე), ერთბაშად გაქვავდა. მათ ამოიკითხეს სიძულვილი ჩვეულებრივი მშვიდი კაცის სახეზე და ელოდებოდნენ, რომ კაცი ბიჭს მოკლავდა. ბრბოს არანაირი ფსიქიკური განცდა არ ჰქონდა. მათ გაიგეს, რას ჩურჩულებდა კაცი, თავისი პოზიციის შესახებ ბიჭის გაფრთხილების თაობაზე და თვითონ რის ჩადენას აპირებდა:

– მაგისთანა ადამიანებს ჰგონიათ, რომ ყველაფერი იციან.

ფიქრობენ, შეუძლიათ, ილაპარაკონ. მაგრამ მე გიჩვენებ, რომ შენ აქ ღიად ვერასდროს ილაპარაკებ! გიჩვენებ, როგორ აკეთებს ყასაბი თავის საქმეს! ვერავინ იტყვის ცუდს ამ რეგიონზე, სადაც მე მთელი ცხოვრება ვმუშაობდი. ამოგაცლი გულს და გადაგიხსნი ვენებს!

ხალხის ერთმა ჯგუფმა იცოდა, რომ ეს ბიჭი საშა იყო. ის ნამდვილად არ გასცემდა თავს, თორემ უთუოდ დაინახავდა სიგიჟეს კაცის თვალებში. კაცი ნორმალური არ ჩანდა. მაგრამ ისე ელაპარაკებოდა, თითქოს ახლობელი იყო საშასი, თითქოს კარგი კაცი იყო, რომელსაც კირილე ერქვა.

– კირილ? – უთხრა მან, – ვიცნობ შენს ოჯახს. ჩემი ბებია იყო თქვენი ნათესავი. ერთი სისხლი გვაქვს. შენ მშვიდად, წყნარად მოლაპარაკე ხარ, ყველაზე კარგი კაცი, ვინც ოდესმე ჰყოლია ამ ხეობას ან ვილიჯს. ნამდვილად დამიდგები გვერდით და ეტყვი ამ ხალხს, რაც აქ ხდება.

კირილეს არაფერი უთქვამს, როცა საშამ მას მეგობარი უწოდა. მიხვდა საშა, რომ კირილე უცნაურად იქცეოდა, ისევე, როგორც თითქმის ყველა. მაგრამ იცოდა, უნდა ეცადა, ის ჩაწვდომოდა ამას.

– უთხარი ამათ, რომ არ ვამბობ სისულელეს! უთხარი ამათ, რომ ეს ადგილი ისევე გავარვარდება, როგორც ვულკანები ვარვარდებიან მიწის გულში და ვერაფერი გადარჩება, ვინაიდან მთელი ჯოჯოხეთი გახსნილია აქ! ჯოჯოხეთი სრულ საფასურს უცდის. ნამდვილად არავის სჭირდება ამის განცდა!

კირილე უფრო ახლოს მივიდა და საშას ეგონა, მეგობრობის ხელი და ნათესაობისა და სიყვარულის მკლავები მელოდებაო. დიახ, მან მკლავი გაშალა, რომ მომეხვიოსო....

სერგეის, ხატმწერს, მატარებლით ხეობისკენ მომავალს, ეზმანა, რომ მას ბოროტი, მომაკვდინებელი ზრახვა ჰქონდა 17 წლის ანგელოზივით ბიჭის მიმართ. აბსურდი იყო, სერგეის ნდომოდა ამ ბიჭის პატარა ნაჭრებად დანაწევრება, მისი სისხლით გაძღომა. მაგრამ ეს იმდენად რეალური იყო, მას ბიჭის სუნთქვაც კი ესმოდა თითქოს.

– შეჩერდი! – იყვირა მან. – ვინა ხარ? შენ ხომ მკვლელი არა ხარ? შენ კარგი ადამიანი ხარ. შენ მშვიდობისმოყვარე ხარ. ეგ არ უნდა გაუკეთო სხვა ადამიანებს. შენ უმწიკვლო სული გაქვს!

როცა სერგეი ამ სიტყვებს ამბობდა, რაღაც უცნაური შეგრძნება ჰქონდა. ისევ ეძინა, მაგრამ თითქოს ვიღაც უსმენდა.

ეს ვიღაც იყო ის ჩვეულებრივი წყნარი კაცი, ვინც ცრემლს ღვრიდა და დარცხვენილმა დააგდო დანა, რომელიც ხელში ეჭირა. მონანიე კაცი თითქოს ერთ დიდ ბრბოდ გადაიქცა. მხრებიდან ათასი დემონი თითქოს ერთბაშად ჩამოსცვივდა და სახიდან სატანური ფურთხი ჩამოერეცხა.

– ბიჭი მართალს ამბობს. გრცხვენოდეს, რომ არ მოუსმინე მას! მე წავედი რაღაც ძალიან ცუდის გასაკეთებლად. იცი შენ ეს, რაც იყო. ბრბოსავით შენც არაფერი გააკეთე, მე რომ შეგეჩერებინე, თითქოს გონება და სხეული გაგეყინა. შენც ჩემსავით გძლია ბოროტებამ. მინდოდა, თავი მომეკლა. ახლა კი გავანადგურე ჩემი ძირი და ყველაფერი. მე ანონიმი ვიყავი და არ მახსოვს, თუ ვინ ვიყავი.

შემდეგ ხმა მომესმა, ეს ხმა არ იყო ჩემი შინაგანი ხმა. არც საშასი იყო. ეს სხვა ვიღაცის ხმა იყო და მისი ინიციატორი მალე დაიპყრობს ჩვენს ქვეყანას. ამ ხმამ ამიყოლია და მითხრა, რომ ვიყავი: კირილე. ჩემთვის რომ არ ეთქვათ, ვინ და რა ვიყავი, მაშინ სხვა, უცხო ადამიანი გავხდებოდი და მაიძულებდნენ, თვითმკვლელი ვყოფილიყავი. ეკლესიაში უნდა შევგროვდეთო, ჩვენ რწმენის ხალხი ვართ, უნდა გავვერთიანდეთ, რადგან ჩვენი გაერთიანება ცუდ მდგომარეობაშიაო. ირგვლივ მიმოიხედეთ და უარყავით, რომ ეს ტყუილია, თუ გაბედავთო.

შეიძლება ეს სიტყვები არ იყოს ის, რაც გამოაფხიზლებს ვოდკის ხეობის ხალხს, მაგრამ მას გავლენა აქვს მათზე. სანამ კირილე ლაპარაკობდა, ისინი წყნარად იყვნენ. ახლა ერთმანეთში ინფორმაციებს ცვლიდნენ.

თავი 18
სიზმრიდან გამოფხიზლებულნი

სერგეიმ თვალი რომ გაახილა, ისეთმა შეგრძნებამ მოიცვა, თითქოს რაღაც ენით აუწერელი საშინელება ჩაიდინა. უნდოდა მომკვდარიყო. გრძნობდა, ისეთი რაღაც გააკეთა, რომ უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა: არანაირი ლმობიერება, არანაირი დრო არ მიუტევებდა. უყურებდა თავის ხელებს. სისხლი არ ეცხო, მაგრამ სუნთქვა აუჩქარდა და პირი უდაბნოსავით გაუშრა. მოაგონდა სახელები – კირილი, საშა და მათი სახეები. შემდეგ დანარჩენი ზმანება გაახსენდა და ისეთი შვებით ამოისუნთქა, როგორც – მოსემ, ალბათ, წითელი ზღვის გადაკვეთის შემდეგ.

ტობიასმაც თვალები გაახილა. მისი სიზმარიც იმავე კონტექსტში იყო, როგორიც სერგეისი. სერგეივით რეალურად იგრძნო, რომ სხვა ადამიანის რეალობაში შეიჭრა, არა თავისი ნებით, მაგრამ ის თითქოს რაღაცამ შეცვალა.

ტობიასმა, გაბრაზებულმა, ვიღაც ბიჭი ისე უსინდისოდ მოკლა, თითქოს ეს ბუნებრივად მოხდა. ის ვითომ კირილი იყო, შეცვლილი ვერსიით. ამ ვერსიით, ის გარეგნულად იყო კირილი, თორემ შინაგანად ბრაზისგან დუღდა. ეს კირილი არ იყო წინააღმდეგი, ხალხი დაეშინებინა. არ იყო წინააღმდეგი, ვოდკა ვილიჯელებისთვის ეთქვა, ამ ახალგაზრდა დამნაშავეს ისეთ რაღაცას დავმართებ, ჭკუა ისწავლოსო. ხალხის ემოციური გულგრილობა მან კოლექტიურ თანხმობად ჩათვალა. დარწმუნებული იყო, მათ საშას მოკვლა უნდოდათ. მას არაფერი ჰქონდა ბიჭის საწინააღმდეგო, თვალი რომ გაუსწორა და სასიკვდილოდ დაჭრა. ვერ გრძნობდა, ეს კარგი იყო თუ ცუდი, უბრალოდ ამას საჭიროება მოითხოვდა.

როცა ტობიასმა გაიღვიძა, მთელი ლოგინი სველი იყო ოფლისგან. „ღმერთო ჩემო!“– იყვირა მან აშკარად დაუჯერებლად. ცდილობდა თავის თავში გარკვევას, ვინმე ხომ არ მოვკალიო.

ნამდვილად, ვერ იტყოდა, ვინმეს მოუსწრაფა თუ არა სიცოცხლე, მაგრამ ეჭვი ღრღნიდა, რომ, სავარაუდოდ, ასე მოიქცა. ვერ გაიხსენა, ვინ სძულდა ასე ძალიან, რომ შეეძლო მოეკლა, დაიწყო მხოლოდ სასონარკვეთილი ვარაუდი, რათა სრულ სიმართლეს ჩასწვდომოდა.

მთელი მისი არსება მოიცვა ამ ვარაუდმა. შეჰყურებდა სასწავლო წიგნებს, ასე რომ უყვარდა. ამათ მოუპოვეს სიმშვიდე და უშველეს, გაეძლო ხანგრძლივი მარტოობისთვის. მაგრამ მისი მდგომარეობა შეიცვალა: მათ მეტად არ შეეძლოთ, მისთვის სიმშვიდე მოეტანათ, რადგანაც მის სისტემაში იყო რაღაც უცხო, რომელიც ეუბნებოდა, რომ მოძრავ ქვიშაზე იდგა და არა მყარ მიწაზე. მისი წიგნები დროის აუჩქარებელ დინებას გულისხმობდნენ მომავლისკენ მიმავალ გზაზე. ახლა დრო თითქოს სასწორად იქცა და ყველაფერი დადებითი გაქრა მისი მომავალი ცხოვრებიდან. მის ცალ მხარზე შემომჯდარი დემონი ეუბნებოდა, შენთვის ცეცხლი გუზგუზებსო. ყველა თავისი კარგი საქმე გვერდზე უნდა გადაედო. თუკი მისი სიზმარი სინამდვილე იყო, მაშინ არ ჰქონდა უფლება, ეცოცხლა. ლოცულობდა, რომ სიზმარი რეალობა არ ყოფილიყო, რადგან მწუხარებისგან გული ეწურებოდა, ცოდვით დამძიმებული.

ტობიასი, რომელმაც ასე ცხადად დაინახა ბიჭი სიზმარში, ღრიალებდა მწუხარების ღრმა ტალღებში, რომლებიც აბურთავებდნენ მას. „ღმერთო, ღმერთო, ეს რა ჩავიდინე?“ ჩაივლო თმებში ხელი, თითქოს უნდა დაიგლიჯოსო. „რა უნდა გავაკეთო, რომ გამოვისყიდო ეს შემზარავი სიბოროტე? ვერაფერი გამოასწორებს უდანაშაულო სიცოცხლის წართმევას.“

იტანჯებოდა, არარეალური რომ იქცა რეალურად. ის, რაც წარმოუდგენელი იყო, იქცა სინამდვილედ. ხედავდა თავისი ხელით მოკლული ბიჭის სხეულს, ქუჩაში დაწვენილს. ისეთი

შეგრძნება ჰქონდა, თითქოს უდანაშაულოს სისხლი დაღვარა. არ არსებობდა სამყაროში ამაზე მეტი სიგიჟე ან ბოროტება.

„მკვლელი ვარ.“ ეს სიტყვები რომ თქვა, გული ისე ძალიან ჩაწყდა, გეგონებოდა, საკუთარი სიკვდილი შეიცნო. მან გააცნობიერა, თუ ვინ იყო ის და ისიც, თუ რა იცოდა მან საკუთარი თავის შესახებ. ხელის ფრჩხილებით სახე ჩამოიხოკა, დავარდა მიწაზე და ჭერს გულგრილად ახედა. დაფიქრდა იმაზე, თუ სად ელოდა მარადისობა იმისთვის, რაც მან ჩაიდინა.

ტობიასს მოაგონდა ფილოსოფოსის ნათქვამი, როცა თეოლოგიას (ღვთისმეტყველებას) ასწავლიდა (ის მხოლოდ 16 წლის იყო მაშინ), რომ ადამიანს არა აქვს ინტელექტუალური უნარი, ფანტაზია ან აზროვნება, მარადისობის კონცეფციას ებრძოლოსო. მარადისობა უდანაშაულობასთან ერთად ბუმბულივითაა, რომელიც ნებისმიერ მანძილზე გადაადგილდებაო. მარადიულობა უდანაშაულობის გარეშე საკუთარ ზურგზე სამუდამოდ მოკიდებული სპილოსავითაა, რადგან სინდისი არასდროს წამით არ მოასვენებსო.

ტობიასს პაწაწინა იმედი ჰქონდა, რომ ის უდანაშაულო იყო. არ იცოდა რანაირად და რატომ იყო დამნაშავე. მარტო ის იცოდა, რომ მისმა გონებამ ძილში რბოლა რეალურად აღიქვა. „ვის უნდა მოვეტყუებინე? მე მჯერა საკუთარი თავის და იმის, თუ როგორც არიან საგნები წარმოდგენილი“.

ტობიასს სჯეროდა, მისი სიცოცხლე ისე დამთავრდებოდა, როგორც დაიწყო და როგორი ცხოვრებითაც ცხოვრობდა – ასე თუ ისე კარგად. ფიქრები უკან, მის ახალგაზრდობას გადასწვდა. იდენტური კრიზისის იმ მომენტში ის შეაშფოთა იმან, რომ მისი პიროვნული ღირსების შეგრძნება სიცრუე იყო და უბრალოდ თავს იტყუებდა, თუ რას წარმოადგენდა მთელი მისი ცხოვრება. წარმოუდგა თავისი თავი ბავშვობაში საძინებელ ოთახში. ათი მცნება რომ წაიკითხა და საკუთარ თავს რომ სთხოვა, საუკეთესოდ დაეცვა ისინი. შემდეგ, 14 წლის ასაკში, საჯარო პარკში ხელახლა გააანალიზა იგივე ათი მცნება. მათი ფრთხილი ანალიზის შემდეგ დაასკვნა, რომ ბრძენი ადამია-

ნი დაცულია თავისი სიბრძნის წყალობით, თუკი არ არის ფეთქებადი. ასე რომ, შეჰფიცა საკუთარ თავს, როგორიც ვარ, ისეთივე მშვიდი პიროვნება დავრჩებიო. ეს დასკვნა იმიტომ გააკეთა, რომ ვინც სწრაფად ღიზიანდებოდა, მათ თავიანთი იმპულსური ხასიათის გამო სამაგიერო მიეზღოთ საიქიოში – ყველანი ჯოჯოხეთში იყვნენ. ტობიასს უნდოდა, რაღაც სხვა გაეკეთებინა თავის ცხოვრებაში, დამორჩილებოდა ღმერთს. სხვა რამეს მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა.

„აბსურდია. არ მაგონდება, რომ რეალური იყოს, მაგრამ რომელიღაც ბოროტი ძალა მაფიქრებინებს, დავიჯერო ის, რასაც არასდროს დავიჯერებდი ჩემ შესახებ. ეს ბოროტება ჩემს გამოსაცდელად მომივლინეს და ჩემშია. იესო ქრისტეს სახელით მივმართავ მას, განმერიდოს და აღარასოდეს დაბრუნდეს უკან! მივმართავ, რომ, როგორც გადაწყვიტა ჩემი გამოყენება, ისევე ახლავე განმერიდოს! მივმართავ ჩემი მხსნელის, იესოს სახელით. მომშორდი!“

კიდევ რაც შეეძლო დაემატებინა ტობიასს, ეს იყო მათეს სიტყვები: განვედ ჩემგან, სატანავ, იმიტომ რომ მეწინააღმდეგები! ამ სიტყვებს გულში რომ ამბობდა, თავი თითქოს უდუღდა. მაგრამ მას არ უნდოდა დიდხანს აეტანა ეს მდგომარეობა. მთავარი იყო, როგორმე გაეძლო. სატანისთვის რომ გეთხოვა გამეცალეო, იმას ნიშნავდა, ბოროტების მთა დაგეძრა მის სულში. ვინაიდან ტობიასი მხოლოდ ერთს აღიარებდა, რომელსაც ქრიასტიანობა კაცობრიობის მხსნელად მიიჩნევდა, იცოდა, რომ მარტო ნამდვილად არ იყო, ამიტომ უნდა ებრძოლა და გაიმარჯვებდა.

მსგავსად იმისა, რომ ნებისმიერი მოწინააღმდეგე მიზანდასახულად თავის გზით მიდის, ყოველთვის არის ძალა ერთობაში. ბოროტი ძალა მაშინ გეუფლება, როდესაც დაუცველი, უდანაშაულო ადამიანი შენს თვალწინ შეპყრობილი და განადგურებული იქნა.

ტობიასმა იცოდა, რომ უდანაშაულობის ერთი ტიპი არსებობდა, რომელსაც უნდა განშორებოდა: ეს იყო ბავშვო-

ბის უდანაშაულობა. მაგრამ მეორე ტიპის უდანაშაულობა, რომელსაც ვერ განშორდებოდა, ეს არის ის უდანაშაულობა, სხვას ზიანი რომ არ მიაყენოს ადამიანმა, თავიდან აიცილოს მკვლელობა, თავიდან აიცილოს გამცემობა, არ იქურდოს, არ იმრუშოს, თუკი დაქორწინებულია. ეს იყო უდანაშაულობა, რაც მას ყოველთვის ღრმად სწამდა – დაეცვა წმინდა აღთქმა. ის არასდროს დაარღვევდა სხვა ადამიანის სიცოცხლის უფლებას. არასდროს შებღალავდა ქორწინებისა და ცხოვრების სიწმინდეს. არასდროს დაარღვევდა საკუთარი ცხოვრების სიწმინდეს თვითდაზიანებით ან თვითგანადგურებით. ყოველთვის აღიარებდა, რომ შეიძლება: სიძულვილი, გესლი, გულისწყრომა მასში ბუდობდეს, მაგრამ მისი მოვალეობა იყო სამზეოზე გამოეტანა ის სიკეთე, რომელიც ნებისმიერ ადამიანში სახლობდა.

„ესე იგი რაღაც შეიცვალა? ვინ მომახვია ეს აზრები, რომ სხვა ადამიანი მომეკლა? ვინ შეძლო რაიმე ძალის მართვა ჩემი გრძნობების გარეშე, რომ მე ეს ჩამედინა?“

შეისვენა და თქვა: – არასდროს არავინ მომიკლავს. ეს გზავნილი გადმომეცა დემონისგან. იმისგან, ვისაც ამის გაკეთება შეუძლია და ეს არ აწუხებს, მსგავსად მათი მამებისა და დედებისა. მაგრამ ეს არ არის ჩემი საქმე.

ტობიასმა შვება იგრძნო. პირჯვარი გადაიწერა და უფალს მადლობა შესწირა. მისი შელახული ადამიანობა ხელახლა აღსდგა მადლისა და რწმენის, ღვთისადმი თავისი სიყვარულის წყალობით. ქოხი, უდაბნოში ოაზისის მსგავსად, იყო თავშესაფარი სიგიჟისგან, რომელიც დიდი ჯოჯოხეთის შიდა ბირთვიდან გადმოიღვარა.

ვინ იცის ჭეშმარიტი გზა ამ სიტუაციაში, როცა ჯოჯოხეთი კარზე გიკაკუნებს? სატანა აცხადებს, თქვენი ბოროტი ქმედება უდიდესია, უნდა დაისაჯოსო. და ის თქვენს სულს მთლიანად რომ შთანთქავს, მოიპოვებს თქვენს მარადიულ ხსნას და ფერფლად აქცევს. არ იქნება არც პასუხი, მიტევება, შენდობა ან განაჩენიო.

მაგრამ ნუ გაიხსენებთ ბოროტ ქმედებას! სული, რომელიც სინათლისკენ ისწრაფვის, ნიშანია იმისა, რომ სურვილი აქვს, მოინანიოს. მხოლოდ უნდა მოვისმინოთ, რომ ბრალდება ყალბია და წყალი დამშვიდდებაო. დამნაშავე, რომელიც გამართლებულია, უკვე დამნაშავედ არ ითვლება. დემონი განდევნის, აღშფოთებული. ეშმაკობას ამ შემთხვევაში ადგილი არა აქვს. სატანას არაფერი ესაქმება და თავის დემონებს უფრო მეტად აშმაგებს, ვიდრე – მომნანიებლის სინანული, მსაგავსად ტობიასის შემთხვევისა. დამშვიდდა და გაუნათდა გონება, ასე რომ სწყუროდა. ცხადი იყო, ტანჯვისთვის უნდა გაეძლო და მთელი მისი შიში ნულს გაუტოლდებოდა. ტობიასს არ ჰქონდა დანაშაულის მიზეზი.

„ეს ქოხი უდაბნოსავითაა ჩვენთვის, – გაიფიქრა უხილავმა ასმოდეუსმა, – ყოველთვის გაგვიცუდდა იმედი, ტობიასი თავისი ადამიანობიდან გამოგვეყვანა და გაგვეგიჟებინა“.

„ნუ ფხუკიანობ! – უთხრა ასევე უხილავმა ლუციფერმა, – ხომ ვაკეთებთ დიდ საქმეს ერთგან?“

„რა თქმა უნდა“.

ბნელმა ძალებმა მშვიდობიან კონფორმისტზე მოფიქრალი კაცი ვერ შეაფასეს. მათ დაავიწყდათ ის ადამიანები, რომლებიც ღმერთს შველას შესტიროდნენ. ტობიასი ლოცულობდა დილის ლოცვებს და შესთხოვდა წმინდა მიქაელს, ეშუამდგომლა მისთვის, გადაერჩინა მისი სული. ის მივიდა თავის ზურგჩანთასთან და ამოიღო წმინდა მიქაელის ხატი, რომელიც მოსკოვიდან ჩამოიტანა, მღვდლისგან იქ ნაკურთხი. ეს იყო პატარა ხატი, რომელიც განიზრახა, ეტარებინა და ახლა აშკარად დარწმუნდა, რომ ატარებდა. ჩამოიკიდა ხატი, დაჯერებულმა, რომ ის გაათავისუფლებდა ყველა ბოროტი სულისაგან. ისევე, როგორც წმინდა მიქაელმა დაამარცხა ლუციფერი ზეცაში, ეს პრინციპული მეომარი ანგელოზი იხსნიდა მას განსაცდელის დროს, რადგან ტობიასი გრძნობდა, ბნელი ძალები როგორ ზეწოლას ახდენდნენ მასზე.

„ჩვენ მარტო არა ვართ“. ტობიასს არ შეძლო ქოხში დარჩე-

ნა და მხოლოდ საკუთარი თავისთვის ლოცვა. წმინდა მიქაელს გამოეცხადა „დიდი თავადი, რომელიც დგას თავისი ხალხის ბავშვების გამო“ (დანიელის წიგნიდან). ამ მკურნალი ანგელოზის ძალა რომ მოაგონდა, ტობიასმა გადაწყვიტა, წასულიყო დედაეკლესიაში. ეს ბუნებრივიც იყო. თუ ფიქრობ, რომ წმინდა მიქაელია ის, ვინც შენ გვერდით დადგება აღსასრულის ჟამს, დიდი გაჭირვების დროს.

ლუციფერი აზრზე არ იყო, რატომ არ შეეძლოთ მათ, ტობიასისთვის ჩაეგონებინათ, თვითონ ჩაედინა სისაძაგლე. იცოდა რა მისი სულის უბრალოება და მისი მგრძნობიარე სინდისის ქეჯნა, დემონს გარანტირებული ჰქონდა სრული კონტროლი მასზე. არც ერთ სინათლის არსებას არ შეეძლო ეშველა ტობიასისთვის. ბნელი ძალები სრულიად დარწმუნებულნი იყვნენ, ღმერთმა ეს ქვეყანა მიატოვაო. ტერიტორია ღვთისგან დავიწყებულად ითვლებოდა და ვარაუდობდნენ, ჩვენი სამფლობელო იქნებაო.

მაგრამ ქოხმა სირთულე შეუქმნა მათ. ვერცერთმა ვერ შეძლო ქოხში შესვლა, როცა ტობიასი ღმერთს შველას ევედრებოდა. ვერც თავიანთი აზრები გადასცეს მას, რომ გაენადგურებინათ ან მისი ნება გაეტეხათ. მათ წაერთვათ ძალა, მისთვის რამე დაეშავებინათ. ტობიასი დაცული იყო.

ლუციფერი არ აღიარებდა მარცხს. „მე დავბრუნდები ამ ქოხში და საბოლოოდ მივიღებ იმას, რაც მინდა, გავანადგურებ ტობიასს“.

მას არ უნდოდა ყოყმანი იმაზე, თუ რა ეწერა გამოცხადების წიგნში ზეცაში ომის შესახებ. მიქაელი და მისი ანგელოზები კვლავ ებრძოდნენ დრაკონს და მის ანგელოზებს. მაგრამ დრაკონი არ იყო საკმაოდ ძლიერი და მათ დაკარგეს თავიანთი ადგილი ზეცაში.

ტობიასს, ღმერთის სიტყვაში დარწმუნებულს, სწამდა, რომ ლუციფერი ისევ დამარცხდებოდა, რაც არ უნდა ძლიერად ემუშავა კაცობრიობის განადგურებაზე; მიუხედავად იმისა, როგორი ძლიერიც არ უნდა ყოფილიყო, მაინც არაფერი გამოუვიდოდა.

თავი 19
თავშესაფარი და ძალა

ხატმწერი სერგეი ვოდკის ხეობაში მხოლოდ თავისი რწმენით შეიარაღებული ჩამოვიდა. სული ელაპარაკებოდა მას. მიუხედავად იმისა, რომ გარდაცვლილის გიდობა რისკთან იყო დაკავშირებული, რა უნდა ექნა სერგეის? იყო ეს ცოდვიანი დანებება ნეკრომანტობისადმი (შავი ჯადოქრობისადმი)? არა, მას ნებაყოფლობით არ უშუამდგომლია მისი სულის გიდობა და არც კი იცოდა, ეს ცუდი იყო თუ კარგი. ცდილობდა, ამისთვის ყურადღება არ მიექცია, მაგრამ გადაწყვიტა მიემართა წინასწარმეტყველისთვის.

სერგეი მუხლებზე დაეცა და ხმამაღლა უბრძანა საზიზღარ სულს, მოეშორებინა ის ძვლები, რომლებიც მან ესროლა თავისი ზრახვის შესასრულებლად: „თქვენ არაშესაფერის პიროვნებას მიადექით ამ ტიპის იდიოტობისთვის!“

აბეზარმა სულმა აიღო ძვლები არა იმიტომ, რომ სერგეიმ უბრძანა, არამედ იმიტომ, რომ სერგეის თვალებში ცხვრის უცოდველობა დაინახა. ამან მას გაახსენა, მართლაც, როგორი ბინძური იყო თვითონ და სერგეი კი – როგორი სუფთა და ამიტომ მისი ოკულისტური თამაშები უშედეგო იქნებოდა. სერგეიმ უფრო მეტი სიმსუბუქე იგრძნო, როცა შეიცნო ბოროტი სულის დამარცხება. ეს მაშინ მოხდა, როცა ხატმწერი ვოდკა ვილიჯს მიუახლოვდა.

ვოდკა ვილიჯი სულიერი ბრძოლის უხილავი ქაოსისა და არეულობის ზონა იყო. სულიერ ბრძოლებს ძალიან დიდი მიზიდულობა აქვს და დიდი რაოდენობით სისხლი იღვრებაო, ფიქრობდა სერგეი. ის შეევედრა უფალს, ენება, სინათლის ძალას არ მიეტოვებინა. „ჩემი სული არაა მეამბოხე. მეეჭვე-

ბა, ოდესმე არ ყოფილიყო, თქვენ რომ არ მყავდეთ გვერდით. მაგრამ გთხოვ, ღმერთო, დამიფარე, როცა სული დაამძიმებს ჩემს სხეულს! ჩემი სული და გული შენს ახლოს უნდა იყოს, უფალო, დიდხანს და გამოგყვება იმ გზაზე, საითაც მიდიხარ."

მამა ევგენი შეშფოთებული ელოდა, რომ გარეშეები მოვიდოდნენ სოფელში. მას გაცნობიერებული ჰქონდა ის სულიერი ომი, რასაც ამჟამად ხალხი და ტერიტორია უძლებდა. ეს ბრძოლა ხილული იქნებოდა თუ უხილავი ადამიანის თვალისთვის, ევგენი და მრევლის სხვა ორი მღვდელი სრულად ფლობდნენ ინფორმაციას ამისა და იმ საფრთხის შესახებ, რომელიც მათ სამშობლოს უნდა გადაეტანა.

როგორც მართლმადიდებელი მღვდელი და მორწმუნე, მღვდელი მზად იყო, რაღაც ეღონა ამ რეგიონის სულიერი სიჯანსაღის დასაცავად, ხალხის სიბნელიდან ნათელში გასაყვანად. მას ხშირად მოჰყავდა ციტატა ალეუტის კუნძულების და ჩრდილოეთ ამერიკის ეპისკოპოსის, წმინდა ტიხონის, ქადაგებიდან – „ორთოდოქსის კვირა", რომელიც 1903 წელს სან ფრანცისკოში საკათედრო ტაძარში გამოიცა. ამ წმინდანის სიტყვები დღესაც ისევე ათრთოლებდა (აკანკალებდა) მღვდლების გულს, როგორც მიწისძვრა არყევს დედამიწას!

ის ფიქრობდა წმინდა ტიხონის სიტყვებზე: „ორთოდოქსული (მართლმადიდებლური) რწმენა ძვირფასია ჩვენთვის... ასე მოგვიწოდებდნენ ჩვენი წინაპრები ... ჩვენთვის ... ის ჩვენს თვალის ჩინზე უფრო ძვირფასი უნდა იყოს".

მამა ევგენის ეს არაერთხელ მოგონებია და გამოუყენებია სხვადასხვა ადგილები ამ ქადაგებიდან თავის მსახურებაში. მას აფიქრებდა ის, თუ სად აღიზარდა და ვის ემსახურებოდა. „ამ ეროვნების ხალხი ისევ იმ სიბნელეშია. ეს საშიში სიბნელე და გახრწნილება, რომელსაც ციმბირის, რუსეთის და სამყაროს ჩაძირვა უნდა, ვერ გაგრძელდება, ვერასოდეს გაიმარჯვებს. მისი მუქარა ისევე ცვალებადია, როგორიც ნიკიტა ხრუშოვის მუქარა იყო 1960 წელს, რომ გაანადგურებდა რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას. ნაცვლად ამისა, თვითონვე განადგურდა

ათწლეულის მანძილზე. დიდი დრო არ გასულა, რაც ჩემი ხალხი სულიერად კომუნიზმის შხამით არაა მოწამლული. ყოველდღე ახალი ეკლესია ჩნდება ამ ქვეყანაში, მართლმადიდებლური ეკლესიის წითელი წამებულების ფესვებიდან, რომლებიც კომუნისტების ხელით დაიხოცნენ. ეს არის ყველაზე ღირსეული ხარკი იმ წამებულთა პატივსაცემად თავიანთი რწმენისა და რელიგიური მრწამსისათვის. ეს არის ასევე ანდერძი რუსი ხალხის ძლიერი რწმენისთვის. ეკლესიის ვალდებულება რწმენისთვის, ჩვენი უფლის ნათლის მიღება სიბნელის დასამარცხებლად ჩვენთან ყოველთვის იდგა წინა პლანზე ყველაზე მძიმე და რთულ პერიოდში. დღესაც იგივე ხდება. სატანის ბნელ არმიას არ ძალუძს, შემოვიდეს ჩემს მრევლში და ხელი ააღებინოს უფლისადმი იმ სიკეთესა და სიყვარულზე, რომელიც მისადმი აქვს ხალხს. ბოროტება დამარცხდება!

ისევე, როგორც უფლის მოწინააღმდეგეები კრებენ სიბნელის არმიებს თავიანთი ეგოისტური მცდელობისთვის – დაამახინჯონ სამყარო, რამდენადაც მე ეს ვიცი, ასევე სინათლის არმიები, რომლის შემადგენლობაში ის ადამიანები არიან, ვისაც უყვარს უფალი, ჩვენი ღმერთი, შეიკრიბნენ ამ მტრის გასანადგურებლად. უფალი გვიწინამძღვრებს ჩვენ! ის, ვინც ჩვენს შეცოდებებს მოგვიტევებს და ასევე გვიხსნის ყოველი ბოროტისაგან! ჩვენ გადავრჩებით მისი წყალობით და სინათლით ამ დესტრუქციული, ბოროტი სისასტიკისგან, რომელსაც საზღვრები არა აქვს და უმოწყალოდ მოქმედებს, ტყვეობაში მოაქციოს ყველა სულიერი“.

მამა ევგენიმ შენიშნა, რაც მოხდა „ჩეხოვში“ და იგრძნო, უძლური იყო, რამე ეღონა ამ სიკვდილიანობის წინააღმდეგ ან როგორ შეძლებდა, როცა უსასრულოდ ჭარბმა არმიამ დაიწყო შეჭრა სამშობლოს მიწაზე, ზღვასა და ჰაერში! ეს ჰგავდა სამყაროს რისხვას, რომელიც ყველაფერში და ყოველი მხრიდან მძვინვარებდა. მაგრამ უძლურების შეგრძნება გაქრა, როცა მან ეს სიტყვები წარმოთქვა.

მამა ევგენიმ გაიგო და დაინახა, მამა დიმიტრი და მამა ილია

რომ შევიდნენ ეკლესიაში, რათა დახმარებოდნენ მას ლოცვებსა და მსახურებაში, რომელიც რამდენიმე საათი მაინც გასტანდა. მას სჯეროდა იმ ძალის, რომელიც ხეობას დახმარებას გაუწევდა, დაუპირისპირდებოდა იმ სულიერ ომს, რომელიც ახლა თავისი საყვარელ რეგიონში მძვინვარებდა.

მამა ევგენიმ დაინახა, რომ ანისიმიც მოვიდა, რომელიც დადარდიანებული ჩანდა იმით, რაც ქალაქს თავს დატყდომოდა და რაც სვავივით, ხეზე ამძვრალი, ელოდა, როდის შეექცეოდა ადგილობრივი მოსახლეობის ლეშს.

„ნუ ღელავ!“ – ეუბნებოდნენ მამა ევგენის თვალები ანისიმს. „ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას და ბევრი ხალხი შემოგვიერთდება“. ეს უსიტყვოდ აგრძნობინა მან ანისიმს.

უფრო და უფრო მოდიოდნენ სინათლის სხივები, რათა დაედასტურებინათ მამა ევგენისთვის, რომ ის მართალი იყო. ხალხმა, რომელიც ეკლესიას ხშირად არ სტუმრობდა, დაიწყო ეკლესიაში შემოსვლა და თავისით ლოცვა. ანისიმი, იმას მიჩვეული, რომ ამ ეკლესიაში მხოლოდ რამდენიმე პირი დადიოდა, ახლა თავს ძალიან მხნედ გრძნობდა. სულიწმინდა უნათებდა და მოუძღოდა აქაურ ხალხს ამ წმინდა ადგილისკენ.

მოდიოდა ის ხალხი, რომლებიც იყვნენ მონათლულები და ღრმად მორწმუნენი, მაგრამ რეგულარულად არ ესწრებოდნენ ლოცვებს წმინდა მიქაელის სახელობის ეკლესიაში, არა თუ – სხვა მართლამადიდებლურ ეკლესიაში. შემოვიდნენ ელიზავეტა, მიხაილი და მათი ვაჟები – აპოსტოლი და ფიოფილაკტი. როცა ოჯახი ჩუმად ლოცულობდა, ბიჭები თავიანთ მშობლებს ჰბაძავდნენ. მათ მოჰყვა ელიზავეტას და, ფეხმძიმე ანა, ახალი სიცოცხლის მოლოდინში მყოფი, თავის პატარა, უცოდველ ორი წლის ბიჭუნა ჯანთან ერთად. მაგრამ ეს არ იყო ყველა! მოვიდნენ ადგილობრივი ყასაბი და მცხობელი თავიანთი დიდი ოჯახებით, შესაბამისად 6 და 8 შვილის თანხლებით. შემდეგ კი – დურგლები, მშენებლები და ხელოსნები, რომლებიც მთელ ციმბირში მოგზაურობდნენ სამუშაოსა და რიგიანი სარჩოს საშოვნელად.

მათ შეუერთდა ადგილობრივი პოლიციელი, რომელსაც არ ძალუძდა, აეხსნა ვინმესთვის (ვოდკის ხეობაში ან მის გარეთ), რასაც ის გრძნობდა ქვეითად მოძრაობისას, რომ არ დაეკარგა თავისი სამუშაო, რაზედაც ასე იყო დამოკიდებული. კანონმდებელი აქამდე არაეფექტური გახლდათ, უუნარო მდგომარეობაში. არ იყო დარწმუნებული, რომ მას საპასუხისმგებლო სამსახური ჰქონდა – ადამიანი ზომბი ბევრად ადრე შემოიჭრა, ვიდრე – ზომბები. ეს უნდა შეცვლილიყო.

ეკლესიაში იმყოფებოდა მამა ევგენის სეხნია _ ფსიქოანალიტიკოსი, დოქტორი ევგენი, ოდესღაც ემპირიკოსი და ცივი მეთვალყურე. მას ახლა გზა აერია აქ, სადაც თავს ასე უსაფრთხოდ გრძნობდა ხილულის, პირადულის, ღრმად სუბიექტურისა და ხშირად შეუსაბამოს ინტერპრეტაციითა და ურთიერთგაგებით. ის, ყოველთვის ასეთი მტკიცე, თავშეკავებული, დახელოვნებული, სკეპტიკური, მთელი ცხოვრების მანძილზე გონივრულობისა და ლოგიკურობის (როგორ, რა გზით, რა მიზეზით, რა მიზნით, რა გამოსავლის პოვნით) სამყაროში მყოფი, დარწმუნებული იყო, რომ სამედიცინო მეცნიერების ცივი მსჯელობა და ანალიზები ამჯერად უსარგებლო გახლდათ. უბრალოდ რომ ვთქვათ, განსაზღვრული სიტყვა და მეცნიერების სამყარო ვერ შეძლებდა საზოგადოების გადარჩენას. საჭირო იყო მეცნიერებაზე ბევრად უფრო ავტორიტეტული ძალა ამის გადასალახად.

ლუბას ძვირფასი მეგობარი ალიონაც მოვიდა, რომელიც რესტორნებსა და სოციალურ ღონისძიებებს უფრო სისტემატურად სწყალობდა, ვიდრე – ეკლესიას. შესაძლოა მან ბევრად მეტი იცოდა თავისი მონატრებული, წასული მეგობრის შესახებ, ვიდრე – ვოდკის ხეობაში სამარხების არსებობისა და სულიერი კრიზისის შესახებ.

მამა ევგენი თვლიდა, რომ დროის სიმცირის გამო, გამორიცხული იყო, ყველა დამსწრისთვის ეკითხა, ნათლობის – რწმენაში შესვლის – შემდეგ აქ იშვიათად რატომ მოდიოდნენ. მით უმეტეს, რომ არ აპირებდა, გაენდო მათთვის წმინდა ზიარე-

ბის საიდუმლო, აღსარების – ეკლესიაში ჩვეულებრივი წესის – გარეშე. ის ზემოდან დაჰყურებდა ამ ზღვა ხალხის სახეებს, ამ უთავბოლო მხარჯველებს, რომლებიც ახლა ფარულად შემოსულიყვნენ ეკლესიის კარებში და ღმერთს მკლავებგაწვდილნი შველას ევედრებოდნენ. დამსწრეთა უმრავლესობას ჩვეულებრივ არ ახსოვდა მათი მოსიყვარულე ზეციური მამა თავისი უმეცრების, ამპარტავნობის და ცდომილებაში ჩავარდნის გამო. იქნებ ამით აიხსნებოდა, რატომაც გაიზარდა და წამოიწია ასე ძალიან სიბნელემ და გარყვნილებამ წინა პლანზე ამ საზოგადოებაში. ის, ვინც ნამდვილ რწმენას მოითხოვდა, შეეძლო სხვანაირად განესაჯა? ღვთის სიყვარულს წყალობად რატომ ვიღებთო, ფიქრობდა მღვდელი.

საყვარელი ადამიანი საპასუხოდაც სიყვარულს იმსახურებსო, ფიქრობდა სერგეი, მდუმარე მეგზურის უკან მომავალი, რომელსაც სახედარი მიჰყავდა წმინდა მიქაელის ეკლესიაში. ეკლესია მშვიდობის კუნძულს ჰგავდა, წმინდა თავშესაფარს, ძლიერ ციხე-სიმაგრეს, გრიგალისგან თავდასაცავ ადგილს. სერგეიმ ათასობით კოლომეტრი გამოიარა მიწაზე, ჰაერში, წყალზე, ხანაც გათოშილმა და ხანაც გაუთოშავმა, მშფოთვარემ და მშვიდმა. თუმცა ახლა ფიქრობდა, ნაკლებად სარწმუნოა, რომ მას რაღაც დიდი გმირობა ჩაედინა და მის ჩამოსვლას მეტად ფანტასტიკური შედეგი მოჰყოლოდა. სერგეი, რომელიც უზრუნველყოფდა თავის არსებობას, იყო პირველი ჩამოსული, ვინც სიმბოლურად გამოხატავდა დახმარების იმედს, რომ შესაძლოა, სხვებიც ჩამოსულიყვნენ შორიდან ვოდკის ხეობისა და ვილიჯის გადასარჩენად.

სერგეი ეკლესიაში რომ შევიდა, შვება იგრძნო, თავი რომ გაართვა ამ სიშორეს. მამა დიმიტრი მსუქანი აღნაგობის, 64 წლის, სიმშვიდის განსახიერება იყო. ის ისმენდა აღსარებას, მაშინ როცა სხვა მღვდლები წინააღმდეგობას უწევდნენ მლოცველებს. სერგეი მამა დიმიტრისთან მივიდა დიდი ხნის ნალოდინარი აღსარებისთვის. მამა დიმიტრი მომხიბლავი, თბილი, კეთილი და ჭკვიანი ჩანდა. სერგეი მიეახლა მღვდელს, რომ აეხსნა მისთვის, რა ამძიმებდა მის სულს.

სამმა მღვდელმა წირვა შეძლებისდაგვარდ კარგად ჩაატარა. მათ არ ძალუძდათ შეეჩერებინათ ბოროტება ამ ხეობაში. ისინი ყველა ღონეს მიმართავდნენ, რეგიონში უფლისა და მისი სიტყვის სწავლების ინსპირაციისთვის. მამა ევგენი სრულყოფილი იყო თავისი მართლმადიდებლობით, ისევე – როგორც მამა ილია, რომელიც მხოლოდ 37 წლის იყო და გამუდმებით სწავლობდა, რათა დახელოვნებულიყო ბრძოლის პრაქტიკაში. თავისმა თავმდაბლობამ და გონიერებამ უბიძგა მას, ეს აღექვა თავის სამსახურად მთელი ცხოვრების მანძილზე. მღვდლები მიხვდნენ, ქაოსს ხელი დაერია რეგიონისთვის. ისინი სულიერად გამოფხიზლებულნი და შეიარაღებულნი იყვნენ.

დღეს სიწმინდეს დაესადგურებინა. თითქოს უფალს თავისი გუნდი მოეხმო ეკლესიაში უსაფრთხოებისა და დაცვისთვის. ისევე, როგორც ყრმა მოსე დაიფარა დედამისმა იოჩევედმა, რომელმაც ის დაუმალა ფარაონ რამზეს სწორედ იმ დროს, როცა მან ბრძანება გასცა, მოეკლათ ყველა ახალშობილი ებრაელი ჩვილი ბიჭუნა და ისევე, როგორც ჩვილი იესო დაიფარეს მოკვლისგან (იუდეის მეფე ჰეროდეს მიერ გაცემული ბრძანებით უნდა დაეხოცათ ბეთლემში დაბადებული ყველა ჩვილი ბიჭუნა), რომელიც დედამისმა მარიამმა და მამამისმა იოსებმა ეგვიპტეში გააქციეს, წმინდა მიქაელის ეკლესიის ეს სამი მღვდელი ხალხის მფარველები იყვნენ, რომ დაეცვათ ისინი სატანისა და მისი მსახურების ბოროტებისგან.

მამა ევგენიმ იგრძნო, რომ სწორედ ახლა იყო ეკლესია სამაშველო ხომალდი, მსგავსად ნოეს კიდობნისა. ეკლესიისკენ მიმავალი გზა ჰგავდა ბეთლემიდან ეგვიპტისკენ მიმავალ სამხრეთულ მგზავრობას, რამაც ყრმა იესო იხსნა მოკვლისგან. აქ შეკრებილთა რწმენა ჰგავდა ხის კალათას, ლერწმებითა და ლელქაშებით დაფარულს და ჩაშვებულს მდინარე ნილოსში, შემდეგ ნაპოვნს ფარაონის ქალიშვილის მიერ, რომელმაც იხსნა წინასწარმეტყველ მოსეს სიცოცხლე. სამივე მღვდელმა იცოდა, რომ ღმერთი, რომელსაც თავისი შვილები უყვარს, მათ დაიფარავს.

– ის, რაც მე უნდა გამეკეთებინა, იყო ჩამოვსულიყავი აქ და დავხმარებოდი მათ საჭიროების დროს, – თქვა გაბრაზებულმა სერგეიმ, რომელმაც იცოდა, რომ ამ ხალხის ბრძოლაში მონაწილეობით ის იმას აკეთებდა, რისი გაკეთებაც სიზმარში უთხრეს. სერგეი მოთმინებით იცდიდა, აყალიბებდა, რასაც ეტყოდა მღვდელს. ის არ დართავდა მას ბევრი ლაპარაკის უფლებას, მით უმეტეს, თუ იმას გავიხსენებთ, რომ ჩვენ მღვდელს კი არა, არამედ ქრისტეს ვაბარებთ აღსარებას, რომელიც ცოდვებს შეგვინდობს.

ხალხი თვითონ გრძნობდა, რომ რაღაც საშინელება მოხდა. უცნაური რაღაც-რაღაცები ხდებოდა ვილიჯსა და ხეობაში. სიყვარული გამქრალიყო. ხალხი დუღდა მღელვარებისგან. ისიც გააანალიზა ხალხმა, რომ რაღაც უბედურება დაატყდა თავს და თვითონ არაფერი იღონა. ასე რომ, უნდა გადაეწყვიტათ, რანაირად ეშველათ თავისთვის.

შეგროვილი ხალხი მშვიდად უგდებდა ყურს ლოცვებს. ტობიასი უფლის სადიდებელი ლოცვის დროს მივიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხალხს ღმერთი გასაჭირის ჟამს აგონდება. მან პირჯვარი გადაიწერა და მიხვდა, რომ ეს ხალხი დაამარცხებდა იმ ბოროტებას, რომელიც მათს სიცოცხლეს ძლიერ საფრთხეს უქმნიდა. ირგვლივ მიმოიხედა და დარწმუნდა, რომ ხალხმა იცოდა, მხოლოდ ლოცვის ძალა გადაარჩენდა მათ სულს. იესო ქრისტეს სახელით, მღვდლები ითხოვდნენ, წარსული, ამჟამინდელი და მომავალი ცოდვები, ბოროტება და უსამართლობა განდევნილიყო კაცობრიობიდან. ყველას შეახსენეს, რომ მხოლოდ უფალს ძალუძდა, განეკურნა, აღედგინა, გადაერჩინა და გაეთავისუფლებინა ისინი ყოველი ბოროტისაგან.

სხვა დამსწრეების მსგავსად, ხატმწერმა სერგეიმაც მამა დიმიტრის ჩააბარა აღსარება და მიიღო კურთხევა მღვდლისგან. ის, რაც მას ამძიმებდა, ახლა შეუმსუბუქდა. სერგეი ლოცულობდა, ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ გასუფთავდა, განიწმინდა და განიკურნა, ღვთის ძე იესოს წყალობით.

თავი 20
ბოროტი თვალი (ვასკანია)

მაგრამ როგორ მოაღწია აქ სიბნელემ?

ხეობის ხალხი ხანგრძლივად იტანჯებოდა, ზოგი გარდაიცვალა, ზოგი მოკვდა ღვთისგან განდგომისა და სატანასთან კავშირით გამო. ხასიათის სამაგალითო ცვლილება დღემდე წარმოუდგენელია საბინასი, გამხდარი გაუთხოვარი ქალისა, რომელიც წინათ ცნობილი იყო თავისი ღვთისმოშიშობითა და დიდსულოვნებით.

მას ყოველთვის თავდაუზოგავ პიროვნებად იცნობდნენ, ვისზეც საზოგადოებას დაყრდნობა შეეძლო. პატარებს მუდამ შოკოლადსა და საჩუქრებს სთავაზობდა, წმინდა ნიკოლოზის მსგავსად, თითქოს მისი მდედრობითი სქესის ვერსია გახლდათ. ის იყო ძალიან მორწმუნე რუსი მართლმადიდებელი, რომელიც ყოველთვის ზუსტად ინახავდა ძირითად მარხვებს. რეგულარულად აბარებდა აღსარებას და ღებულობდა ზიარებას, რაც მარხვის პერიოდში, შუაღამიდან შუადღემდე, ზიარების მსახურების დროს იმართებოდა ხოლმე.

რა შეემთხვა ამ კეთილ საბინას, ამ რელიგიურ, სულიერებით სავსე პიროვნებას? მას ვასკანიამ, ანუ ბოროტმა თვალმა, დარია ხელი. ვასკანიამ საბინა ისე დააავადა, რომ დაიწყო სხვების გაბრაზება თვალის მხოლოდ ერთი შევლებით. ლუციფერს ამის უნარი არ უნდა გადაეცა თავისი საყვარლისთვის, ჟასნასთვის, რომელიც უკვე გარყვნილი იყო, მაგრამ მან რატომღაც ასწავლა ჟასნას, თუ როგორ გაევრცელებინა ვაკსანია ისეთ ადამიანებზე, რომლებიც იყვნენ რელიგიურები, კეთილშობილები, გულუხვები და ღვთისადმი სიყვარულით სავსენი. როცა ჯასნამ ვაკსანიით იმოქმედა საბინაზე, მსხვერ-

პლს არ შეეძლო, წინააღმდეგობა გაეწია ამ უცხო ძალისთვის.

ის თავისთავად ადვილად ცხარდებოდა და ბრაზობდა. დაიწყო ხალხის ათვალისწუნება სრულიად უბრალო მიზეზის გამო. ვასკანიამ მთლიანად შეცვალა საბინა. ამ უბედურებამდე ის წმინდა იყო. ჯანსაღი შეხედულება ჰქონდა სამყაროზე და ხალხზე, როგორც ჭეშმარიტ ქრისტიანებზე. მხოლოდ კარგ მხარეებს ხედავდა ადამიანებში, ცუდი მხარე უბრალოდ უხილავი იყო მისთვის, რადგან ასე უფრო ადვილი იყო მისთვის, უბრალო ადამიანები თავიანთი უბრალო ცხოვრების წესით აღექვა. სხვანაირად ვერც წარმოედგინა. მაგრამ ვასკანიის ინფექციამ მას სულ სხვა თვალით დაანახვა სამყარო: გონება არაჯანსაღი, მუდმივი შურით დაუბინდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი რაციონალური გონება ყველა ღონეს ხმარობდა, შური ჩაეკლა, ვერაფერს გახდა. ფაქტობრივად, რაც უფრო მეტი შეგნებული ძალისხმევა მიმართა ბოროტი თვალის მიმართ, მით უფრო ცუდი შედეგი მიიღო, დარწმუნდა, რომ ვერასდროს შეძლებდა, მოეშორებინა ეს სულიერი სიბინძურე.

ახალგაზრდა დედა, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინათ შეეძინა ტყუპი, მისი უკონტროლო შურის მიზანი გახდა. რამდენჯერაც ამ ახალგაზრდა ქალს დაინახავდა, მისადმი ბრაზით ივსებოდა საბინა. „სად არიან ჩემი საკუთარი ლამაზი შვილები? რატომ არავინა მყავს ისეთი, ვისაც ასე ვეყვარები, როგორც ეს უბრალო გოგონა უყვართ?“ მხოლოდ ეს იყო ის, რაც მისი გულის წყრომას იწვევდა ამ საწყალი ახალგაზრდა გოგონას მიმართ. რა თქმა უნდა, მან ეს ბედის გაცრუებად მიიღო და არა ვასკანიის წყევლად. იმდენად ცვალებადია ეს მდგომარეობა, რომ დაზარალებული ვერც კი ხვდება, რამდენად დესტრუქციულია ეს.

სანამ ბოროტი თვალი დარევდა ხელს, საბინა ქალწულობას ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე დიდ საჩუქრად თვლიდა. თითქოს მსხვერპლად სწირავდა დედობას უმაღლეს სულიერ მიზნებს. მისი რწმენის გამო განიზრახა, ორთოდოქსი მონაზონი გამხდარიყო და ლოცულობდა ამის თაობაზე.

ბოროტი თვალის გავლენით საბინამ შეწყვიტა ლოცვა; დიდხანს გრძელდებოდა შინაგანი ბრძოლები. მან თავი დაანება იმაზე ფიქრს, თუ როგორ წარიმართებოდა მისი ცხოვრება. ვასკანიის მიზეზით შეწყვიტა მან სასულიერო პირებთან (ღვთიური) კავშირი და, რა თქმა უნდა, დაკარგა შეგრძნება წინასწარ განჭვრეტისა. ის ჩამოშორდა თავის სულს. მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, შეეცნო, რა არაადეკვატური იყო თავისი ცხოვრება სხვების წარმატებებთან შედარებით. გაუჩნდა შეგრძნება, თითქოს ბედნიერება მას ნამდვილად მოპარეს და ვერ ახერხებდა მის დაბრუნებას. დარჩა მხოლოდ მტკივნეული შეგრძნებები და მისმა გონივრულმა ნაწილმა დაკარგა ბრძოლის სურვილი.

საბინას თითქოს დაავიწყდა, რაც კი რამ თეოლოგიური და სულიერი წაეკითხა, ჯვრის ძალის დახმარების გარეშე რომ დაიკარგებოდა. ვერასდროს დაძლევდა თავისი პირადი ტანჯვის განცდებს. ვასკანიამ ის ზარმაცი და სულიერად აპათიური გახადა და დაუკარგა ინტერესი ღვთის მიმართ. სურვილი, ღვთისთვის მიემართა, გაუქრა და ჩაეკარგა სულიერი ტანჯვის ოკეანეში. არანაირი კვალი, არანაირი მოგონება არ დარჩა იმისგან, რომ მას ასეთი დიდი სიყვარული ჰქონდა ღვთის მიმართ.

ტყუპის დედაც მოექცა ვასკანიის ძალის ქვეშ. როცა მან ორი ბიჭუნა გააჩინა, ისინი გახდნენ უმთავრესნი მის ცხოვრებაში, რადგანაც მათ მისი გული უნაზესი სიყვარულით აავსეს. დაბრმავებული იყო მათი მიამიტობით. მაგრამ თანდათან დაკარგა ეს განცდა, სიყვარული და მღელვარება. ჯასნას წყალობით, ეს მოსიყვარულე დედა ვასკანიის სისასტიკით მოიშხამა.

მაგრამ დემონი, რომელმაც ორივე ქალს სიყვარული სხვა რაღაც-რაღაცების გამო წაართვა, უფლის ძალას დანებდა. დღეს ახალგაზრდა დედა ეკლესიაში იყო, ისევე როგორც საბინა. ამ ორმა ქალმა არ იცოდა, რომ ისინი ვასკანიის ზემოქმედების ქვეშ იყვნენ. მათ მხოლოდ ის იცოდნენ, რომ სიბნელის სამოსელი შემოეხვიათ და მათი იდენტობა შეცვალეს.

მათ იცოდნენ, რომ ღმერთს უნდა შეევედრებოდნენ, აღედგინა მათი გრძნობები და გონების ნორმალური სიმშვიდე.

ლუციფერს არ გააცოფებდა აბობოქრებული ბრაზი და ყველას ჯოჯოხეთში არ უკრავდა თავს სიამოვნებით? არ უკიდებდა ცეცხლს თავისი ბოროტი თვალების მზერით მლოცველ ცოდვილებს, რომელთა დაცემა, მას უნდოდა? არა ეს არ იყო ის, რისთვისაც ის და მისი მსახურები წარმართავდნენ თავიანთ საქმიანობას. ის არ წავიდოდა დათმობაზე მხოლოდ იმიტომ, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ერთი ნაწილი ღმერთს მიუბრუნდა. სატანა აღასრულებდა თავის მოვალეობას, ექცია ხეობა ჯოჯოხეთად დედამიწაზე, რადგანაც მან ამ საქმის შესახებ იქიდან მოყოლებული იცოდა, როცა თავისი აჯანყება წამოიწყო. ის იყო ჯოჯოხეთური, ცინიკური, ღამეზე უშავესი, განაჩენგამოტანილი, თაღლითური და ეშმაკური (ტყუილებით სავსე), თითქოს ელიტური პროპაგანდისტი პალოს შიგ გულში ურტყამდა კაცობრიობას. დემონისა და მისი მეგობრებისთვის ის ისეთივე უწმინდური იყო, როგორც არასდროს. მანიპულირება და მორჩილი დაპყრობა მხოლოდ ჯოჯოხეთს ძალუძდა. დარწმუნებული იყო, რომ თავზე ორი რქითა და უკან კუდით ის ყოველგვარ სიბინძურეს გაუმკლავდებოდა. თავისი შესაძლებლობებით აღფრთოვანებულს, განზრახული ჰქონდა ჯვრის მხვერპლად შეწირვა.

სატანა იმ ნარკომანს ჰგავდა, რომელსაც არასასურველი თავის შეკავებისა და ტანჯვის ატანის უუნარობის გამო წამსვე უნდოდა კმაყოფილების მიღება. დიდი (მასობრივი) განადგურება მძვინვარებდა ამ რეგიონში და ხსნა არსაიდან ჩანდა. აქედან დაიძრა და დედამიწის ყველა წერტილს მოედო ბოროტების მოვარდნილი ტალღა, რომელიც ანადგურებდა უდანაშაულობას. ის იმ ხალხს დასცინოდა, ვინც მარადიულ ბედნიერებას ელტვოდა. სატანა ენერგიულად ესწრაფოდა, მოწმე გამხდარიყო ათასწლეულის მიჯნაზე ტრილიონობით სულების გარდაცვალებისა, რომელთაც ჯოჯოხეთის ხახა შთანქავდა. შემდეგ მათ ჯოჯოხეთს მიჰყიდდა, რომელიც მის სერვისს ყოველთვის ღიმილით არ ღებულობდა, მაგრამ ლან-

ძღვა-გინებას არ აკლებდა, თუ მისი მომხმარებლები სერვისს სრულად, ყველა დონეზე, არ მიიღებდნენ, განსაკუთრებით ჰინომის ხეობა, სადაც მათი სულების წყეული ბუნება ნათლად გამოიხატებოდა სამარადისოდ.

– ჩემი აზრით, ჩვენ თვითონ, საკუთარი ხელებით, უნდა ვიბრძოლოთ, – შეაწყვეტინა ეთაგორია ნებსონიამ ლუციფერს ოცნება იმ იმედით, რომ ის არ იყო გულწრფელი, თავისი ბოლოდროინდელი შეცდომები განეხილა.

– ხო, ნაწილობრივ,– უთხრა ასმოდეუსმა ყბედობით.

– ხო, მცირეოდენი დაკვირვებითა და მეხსიერებით, – დასძინა ლუციფერმა მშრალად. – 20-იან წლებში მე ამ მიწაზე მდინარის ნაპირას ვცეკვავდი. შემდეგ ეს მიწა ჩემი სტიქია გახდა. ისევ ჩემი სახლი გახდება. მე ვნახავ იმ უდანაშაულო დამნაშავეებს. უკვე ვხედავ რამდენიმეს, მაგრამ უფრო მეტი მინდა მე. არც ერთი სულდგმული არ გააკეთებს კომენტარს, ძალიან ცოტას შეაწუხებს სინდისი, ილაპარაკოს და აღიაროს, რომ ეს ოდესმე მომხდარა. მხოლოდ ერთი ადამიანი სჭირდება ამას. როცა უმრავლესობა შეგინებულია, არავინ აღმოჩნდება ისეთი, ვისაც ლაპარაკის სურვილი ექნება.

ეშმაკმა იცოდა, რასაც ამბობდა. ის არ იყო სულელი და ლაპარაკი არ ეშლებოდა, რადგან თვითონ იყო ბოროტი სიტყვა, სიძულვილის მთესველი, ბილწი (საზიზღარი) ნეკრომანტი, რომელიც შთააგონებდა ყოველგვარი სისაძაგლის თქმას და სძულდა წვრილმანები. მან ისიც იცოდა, რომ კაცისმკვლელები იყენებდნენ იარაღს ჯოჯოხეთის უღრმესი წიაღიდან. კაცისმკვლელების საუკეთესო იდეა გახლდათ არაორიგინალური, წინასწარშექმნილი, ეშმაკისეული აზრების ჰარმონია და შესაბამისად – საბოლოო განადგურება.

– ყველამ, ვისაც გინდათ, ილოცეთ! ჩემს ქვევით მოექცევით და თქვენც დადნებით მალე! – მოისმა თავდაჯერებული ყვირილი ჯოჯოხეთისკენ ჩამავალი ღია ჭაბურღილიდან. სატანამ იგრძნო, რომ ამჯერად განსაკუთრებით კარგი ნამუშევარი გამოუვიდა.

დამღუპველობის სამი დემონური, არალოიალური (უკ-მაყოფილო) შვილი – ქონიანი ვირთხა, მსუნაგი ვირთხა და მკბენარი გველი – ელოდნენ სატანის/ ლუციფერის/დემონის სიტყვას, თუ რა უნდა მომხდარიყო ქვევით. დემონმა თავისი სრულიად ახალი მსოფლიო წესრიგი შექმნა. მას მხოლოდ ნება უნდა დაერთო და მიმართულება უნდა მიეცა მათთვის!

თუმცა, შესაძლებელია, ის დასვენებული და კონტროლს დაქვემდებარებული ჩანდა (როცა ნაფაზს არტყამდა, თავის შეკერილ კოსტუმში იქ იდგა და თავის კრემით გაკრიალებუ-ლი ფეხსაცმლით აკაკუნებდა), მასში შიგნიდან ვულკანმა ამო-ხეთქა. სად იყო ლუციფერის სიმყუდროვე? ასმოდეუსი ცოტა უხერხულად გრძნობდა თავს, მის ნაბიჯს რომ უყურებდა, თითქოს მის შარვლის ბოლოებს ჭიანჭველები უფუთფუთებ-დნენ. ეს უბრალოდ არასდროს მოხდებოდა.

– ჯოჯოხეთის გულისთვის, თავი შეიკავე! – უთხრა ასმო-დეუსმა და ლუციფერს საყელოში ჩაავლო ხელი. ეთაგორია ნებსონია არასდროს ყოფილა ასმოდეუსის ასეთი საქციელის მოწმე. ის ის პიროვნება იყო, რომელიც ეშმაკს ელაპარაკებო-და და შეკვეთებს აძლევდა.

– დარწმუნებული ხარ, ნამდვილად ამ სამზე გაცილებით მეტი გყავს, რომ ბოროტების ინფექციის გავრცელებას დახ-მარება გაუწიო? – ჰკითხა ასმოდეუსმა.

– შენ რა, ხუმრობ? როცა მე სენს გადავდებ ხოლმე ადამი-ანებს, მათ ყველანაირ სინათლეს ვაცლი. ისინი ავტომატებს ემგვანებიან. მისმენენ ყველაფერს, რასაც ვამბობ, არა აქვს მნიშვნელობა, არის თუ არა დამაჯერებელი და შემდეგ მომ-ყვებიან. იმდენად დამყოლნი გახდნენ, რომ წამაქეზეს, ჩემი ნე-ბის შესაბამისად ვიმოქმედო და ისინი, ავტომატურად-შთაგო-ნებულნი, ვერაფერს ამჩნევენ, გარდა იმ ხვრელისა, რომელიც მათთვის გავთხარე. მათ, ზიზღით აღვსილთ და აღშფოთებუ-ლთ, უნდათ ჯავრი იყარონ ცხოვრებაზე, საზოგადოებაზე, ხე-ლისუფლებაზე, სამყაროზე და ისე მოქმედებენ, თითქოს მათ ხელშია პასუხი სამყაროს პრობლემების ყველა კითხვაზე. პი-

რობას დებენ და ოცნებობენ მხოლოდ ამ სამყაროს განადგურებაზე. დარწმუნებულნი არიან, რომ მხოლოდ მათ ძალუძთ აქ მისი გადარჩენა.

– და ეს როგორ? – უნდოდა სცოდნოდა ეთაგორიას.

– როგორო, მეკითხები? – პასუხი შენ ირგვლივაა.

– როგორ ჟღერს პასუხი? – იკითხა ეთაგორიამ ხელახლა.

– პასუხი არის ის, რომ დიდი რაოდენობით ხალხი დადის ეკლესიაში. მაგრამ ეს იმიტომ, რომ მათ გაიგონეს ჩემი მიკაკუნება თავიანთ კარებზე. სხვა ვინ გაიყვანდა მათ თავიანთი სახლებიდან? მათ შეხედე, ვინც გასუსულია, ვინც თავს არიდებს ეკლესიის კარებს და ცდილობს, საკუთარ თავში ჩაიკეტოს!

– მერე ....

– ეგენი ჩვენთან არიან, წამოგვეწივნენ, სადაც ჩვენ ვართ და შეხედე, რანაირები არიან! მათ მოსწონთ ძალაუფლება, კონტროლი, რამაც მათი მეზობლის გაჭირვება გამოიწვია და ფიქრობენ, რომ გაჭირვება მათი სახლის კარებს ვეღარასდროს გადააბიჯებს. ისინი დასცინიან სხვის უიღბლობას. ეს შველის მათ, ბედნიერი შეხედულება ჰქონდეთ საკუთარ თავზე მაშინ, როცა იციან, რომ სხვები იტანჯებიან. ამათ რომ უყურებ, ისინი მე გაცილებით ადრე მომწონდნენ, ვიდრე გამიცნობდნენ. მეთანხმები?

– რატომაც არა! – დაეთანხმა ეთაგორია ნებსონია.

– იცი, კიდევ რა? რომ შემხვდნენ, უფრო მეტად მოვეწონე მათ. გამწარებული ხალხი ყველაზე საუკეთესოა. მათ არასდროს ავიწყდებათ ოდნავი უხეშობაც კი. შარმი ცოტა აქვთ, მე მათი მიმზიდველობა უფრო მიტაცებს, დაუძლეველი და მუდმივი ბორკილები მთელი მათი ბუნებრივი და არაბუნებრივი ცხოვრების მანძილზე. არა, იცი? მე მეგობრები ყოველთვის ზედა ეშელონებიდან მყავდა? სოციალური ცოცვა ფანტასტიური ღირსებაა ჩემი სამუშაოსთვის. ნუ გეშინია! დილეტანტობა საჩემო საქმე არაა. წლების მანძილზე სრულვქმენი მე ეს უნარი. მე ვავრცელებ ნეგატიურობის სასიკვდილო ვირუსს, აი იმდაგვარად, აივით ინფიცირებული სისხლიანი შპრიცი

რომ ავრცელებს შიდსს. და ეს ჩემი პატარა ნათელი ხიბლია!

დემონი, რომელიც განწირული იყო სამართლიანობის თანაარსებობისთვის, შურით შეჰყურებდა ხეებს, მიწას, ბალახს, მთებს და უნდოდა ყველაფერი დაეტაცა. ის შეჰყურებდა თავისი არმიის ხერხემალს და დარწმუნებული იყო, მას გაჰყოლოდა. ისინი, ამპარტავანნი, დასცინოდნენ უდანაშაულო ადამიანების გარდაუვალი ტანჯვის „აუცილებლობას“, გულგრილნი იყვნენ სხვისი საჭიროების მიმართ და ყოველთვის ამართლებდნენ ზარალს, გადაკიდებას, ძალადობას და მასიურ მკვლელობას. და, მართლაც, მან აირჩია სწორი გზა, გაეცურა უცნობი ჯოჯოხეთის კარიბჭისკენ ყველაზე შესაფერის მომენტში, რომელიც ოდესმე გამოუყენებიათ ზღვის გადასაკვეთად, მუხანათურად.

– დღეს ჩვენ ფართოდ გავაღებთ ჯოჯოხეთის გუმაძღარ ხახას, რომ დრაკონებმა სრულად გადასანსლონ ცოცხალი სულები, – გააკეთა კომენტარი პირველმა, სამი უკმაყოფილო ჯოჯოხეთის ნაპერწკალთაგან.

– შემიძლია, ყველა ჩემი ნაბიჯი გავიმეორო, – თქვა მეორემ.

– მე ყველა ჩემი ზღვარი ვიცი. ვისწავლე, რა უნდა ვთქვა, თუკი ვინმეს დააეჭვებს ჩვენი მოქმედების ვარგისიანობა, – უთხრა მესამემ, ცნობილმა თავისი დემონური შესატყვისობით.

დემონი თავის ვაჟებს ყოველთვის უკეთ ექცეოდა, რადგან იცნობდა ნაბიჭვრებს, რომლებიც თვითონ მოავლინა სამყაროში და უმუშევართა სახეობას, უსიყვარულო, აპათიურ სულებს, რომლებიც მათ გაწვრთნიდნენ თავიანთი ფსიქოპატიური კულტის წევრებად. მიუხედავად იმისა, რომ მისი მესამე ვაჟი ისე იქცეოდა, თითქოს ლუციფერს საუკეთესოდ იცნობდა, ლუციფერი ყოველ ღონეს ხმარობდა, მას სტუმრად სწვეოდა. ისინი მასთან ერთად გაივლიდნენ ყველა გზას ჯოჯოხეთისკენ, ბედნიერნი თავიანთი ერთობით და შეგრძნებით, რომ კაცობრიობისთვის სასარგებლო საქმეს აკეთებდნენ. ლოგიკა გვერდზე დარჩებოდა და ხსნაზე, რითაც ის თავის მიმდევრებს

არწმუნებდა, უარი ეთქმეოდათ ..... ასევე სხვებსაც, ყველა დაცემულს! ის არ აპირებდა თავისი სამი ვაჟის უარყოფას.

ღვთისმსახურება რომ დამთავრდა და ლოცვები შეწყდა, ხალხი დამშვიდდა. არავის უნდოდა წასვლა. თითქოს ყველა ერთად დადამბლავდა. ხმას არავინ იღებდა. არც ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ და არც საკუთარ თავს. სიტყვებით არ აიწერებოდა ის ცოცხალი ჯოჯოხეთი, მათ რომ გაიარეს.

ისინი მადლიერნი იყვნენ ღვთის მიმართ, ასევე – მღვდლების მიმართ, თავიანთი მსახურებისთვის, მაგრამ ეშინოდათ, რადგან არ იცოდნენ, რა საფრთხის წინაშე იდგნენ. გაბედავდნენ ისინი ღმერთზე განაწყენებას, დახმარების აშკარა საჭიროების გამო? დამბლა ფსიქოლოგიური იყო და არა სომატური – ეკლესიის გარემოცვის უსაფრთხოების შეცნობით შინაგანად გაყინულებს, არ შეეძლოთ განძრევა. მღვდლები ფიქრობდნენ, ხალხის დასამშვიდებლად საკმაოდ ვილაპარაკეთო. მაგრამ ეკლესიის გარეთ ჩასაფრებული იყო საშიში მტერი.

მორწმუნეებს გაცნობიერებული ჰქონდათ, ღამე თუ როგორ აქეზებდა დემონებსა და სხვა ეშმაკეულ ძალებს, რომლებიც დღის განმავლობაში მიწისქვეშ აფარებდნენ თავს. მათ აინტერესებდათ გაეგოთ, რამდენი ხანი იყო დარჩენილი, ვიდრე ეს ძალები შესძლებდნენ მთელი დღის მანძილზე გარეთ ყოფნას, რომ ქვეყანა ჯოჯოხეთის ნაწილად ექციათ. ისინი ვარაუდობდნენ, რომ დემონებს გაუჩინარება შეეძლოთ მიწაში, გზების ქვეშ და იქ იქნებოდნენ, რამდენი ხანიც მოესურვებოდათ. სერგეისა და ტობიასს ესმოდათ, დაცემული სულები როგორ აფრთხილებდნენ ხალხს: – გაბრუნდით უკან! თავს უშველეთ! (თითქოს ასე ადვილი იყო, დაგეთმო შენი ქვეყანა, შენი სახლი და უსახლკარო გამხდარიყავი ახალ რუსეთში).

საბინა ბოლო იყო, ვინც მღვდელს აღსარება ჩააბარა. მან ასახა ის სიბნელე, რომელმაც ის მოიცვა: – როცა ამ შხამმა ჩემში შემოაღწია, თუმცა არ მომიწვევია, მაგრამ აშკარად იგრძნობოდა, რომ თითქოს არაფერი მსგავსი არ განმეცადა

აქამდე. არ დამავიწყდება, როგორ გამიშრა პირი, როცა ჩემი აზრები აღშფოთებისგან და სიძულვილისგან ბორგავდნენ. თითქოს ვერანაირი წყლის ოდენობა ვერ მომიკლავდა წყურვილს. დავკარგე ყველანაირი ინტერესი ღვთისადმი. მთლიანად შემეცვალა ხასიათი. ახლა მითხარით, როგორ გავუწიო წინააღმდეგობა იმ სიგიჟეს, რომელიც ჩვენს წინაა, ეკლესიის გარეთ? ეს შეშლილი ბოროტები მსხვერპლად გაიხდიან ჩემნაირ უდანაშაულო ადამიანებს და ისე სრულად შეგვცლიან მთლიანად, რომ სატანის სულიერი მონები გავხდებით?

– ხალხმა მთელი გულით და გონებით იწამა ღმერთი! – უთხრა მღვდელმა. – მათი სული და სულიერება ადრინდელზე უფრო ძლიერია, ვიდრე ადრე იყო. შენიც, რა თქმა უნდა! ღმერთმა გაკურთხოს!

ხალხს დამბლა შეუსუსტდა, რადგან ხედავდა, რომ დღევანდელი ღვთისმსახურება დამთავრდა. ილოცებოდნენ, ერთმანეთს ლოცავდნენ და ნელ-ნელა დაიწყეს გასვლა ეკლესიიდან. მამა ევგენი დარჩა ეკლესიაში. მას სიჩუმე სჭირდებოდა, რომ წმინდა მიქაელის სული მთლიანად შეეწოვა.

ცოტა ხნის შემდეგ მღვდელმა ღვთისმშობლის ხატის წინ ილოცა. – გვიშველე! –ევედრებოდა ის და ისე იდგა, თითქოს ეს-ესაა შემოვიდა და ვერასოდეს გაბედავს ეკლესიიდან გასვლასო. თითქოს ახლა ეკლესიიდან წასვლა საკუთარი ხალხის მიტოვებას ნიშნავდა. მამა ევგენის ძალიან ეშინოდა იმის, რაც კარს გარეთ ხდებოდა. ბოლოსდაბოლოს ის ადამიანი იყო!

ხალხი თავიანთ სახლებსა და ფერმებში დაბრუნდა. მღვდელმა მათ უთხრა, წყნარად და მშვიდად ყოფილიყვნენ. ასე რომ, გემრიელი საჭმლები მოამზადეს და მეგობრებიც მოიწვიეს. იგონებდნენ თავიანთ ცხოვრებას ვილიჯში – სასაცილო და ნაღვლიან ამბებს. ამან შეახსენა მათ, თუ რამდენი ხანი დაჰყვეს თავიანთი ცხოვრების მანძილზე ერთმანეთის გარეშე და შეიქმნეს, თვითნებურად, გაუცხოების ჯოჯოხეთი. სვამდნენ ერთმანეთის ჯანმრთელობის, მეგობრობის, ახლადშეძენილი

ძმური სიყვარულის სადღეგრძელოებს ისეთი სულისკვეთებით, რომ ეშმაკი კუდი მოძვრა და რქები მოეხერხა.

ბავშვები ერთმანეთთან უფრო ბუნებრივად თამაშობდნენ, ვიდრე აქამდე. გულში შეპარული შიში დათრგუნეს და თავი იხსნეს, რომ თავისუფლები ყოფილიყვნენ და თავიანთი ნამდვილი სახე ეჩვენებინათ. მოზრდილებმა, რომლებიც განერვიულებულები იყვნენ, ეკლესიიდან წამოსვლის შემდეგ, შიში იქვე, ზურგსუკან, დატოვეს და შეუდგნენ თავიანთი ძირითადი ადამიანური ბუნების მოწესრიგებას. სიბრმავე, რაც მათ ერთმანეთის შურისკენ უბიძგებდა, მოიცილეს. უკვე ხედავდნენ და აღიარებდნენ თავიანთი ახლობლების ადამიანურობას. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის სტატუსს, პროფესიას, შესაძლებლობასა და ტანსაცმლის არჩევანს უწინდებურად ზოგიერთისთვის კვლავ ჰქონდა მნიშვნელობა, ზოგიერთებისთვის ასე მნიშვნელოვანი აღარ იყო. არსებობდა უფრო დიდი საწუხარი. მთელმა ვილიჯმა იცოდა, რომ ოჯახებმა დაკარგეს თავიანთი საყვარელი წევრები. ხეობასა და ვილიჯში იგრძნობოდა, რომ მწუხარების სიბნელე თავს ჩამოქცეოდათ, მაგრამ ლოცვები, რომელთაც აქ მაცხოვრებლები აღავლენდნენ, აძლიერებდა მათ.

თავი 21
დიმიტრის ოჯახი

ვოდკის ხეობის მწუხარება არ იყო ყურადღების მიღმა დარჩენილი, როგორც ეს დიმიტრის ოჯახს წარმოედგინა. ყოველდღე, მას შემდეგ, რაც მამა გაუჩინარდა, დიმიტრის შვილები კითხულობდნენ: – სად არის მამა? რომ არ დაბრუნდეს?

ანი, მათი დედა, ეუბნებოდა, წავიდა, მაგრამ დაბრუნდებაო. ანა დარწმუნებული იყო, რომ, უდაოდ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის, მხნედ ყოფილიყო, რომ პატარებს მისი ტკივილი, მწუხარება და ღრმა შეშფოთება არ ეგრძნოთ.

დიმიტრის ყოველთვის სჯეროდა, რომ მის ცოლს არასდროს უეჭვიანია მისი დამოკიდებულება ჯასნასთან. მაგრამ ანიმ ზედმიწევნით ყველაფერი იცოდა ჯასნას შესახებ და მასთან სახლში წავიდა, რომ ენახა. იქნებ სცოდნოდა, სად იყო დიმიტრი. როცა ანა ჯასნას კარებში გამოჩნდა, დიმიტრის საყვარელმა ის თბილად შეიპატიჟა.

– ვერ დავრჩები. ბავშვები სახლში არიან და უნდა ვაჭამო. დიმიტრი სახლში არ ყოფილა, – თქვა ანიმ.

ჯასნამ მწუხარება და შიში დაინახა ანის თვალებში და ყალბად შეშფოთდა, რომ გარკვეულწილად ჰუმანური გამოჩენილიყო.

– მიკვირს, სად შეიძლება იყოს. მას სჩვეოდა, არ ეთქვა ჩემთვის, რას აკეთებდა.

– ყველა წყვილს თავისი საიდუმლო გააჩნია, – უპასუხა ჯასნამ, დარწმუნებულმა, რომ დიმიტრის ცოლს მისი შეხედულება საერთოდ არ აინტერესებდა. მას მხოლოდ იმის გაგება უნდოდა, სად იყო მისი ქმარი.

ანი აბუჩად იგდებდა ჯასნას? ბრაზობდა მასზე? ალბათ

ეგოისტური იყო, რომ დაგესვა ასეთი კითხვები, დიმიტრის ცოლი მარტოოდენ შვილებზე იყო ორიენტირებული. ეკონომიკური თვალსაზრისით, მას ყოველთვის უჭირდა, მარტოს აღეზარდა შვილები. არასდროს უფიქრია განქორწინებაზე. ანის შვილები დარდობდნენ მამაზე, რადგან დიმიტრი თავდადებული მამა იყო. ის იყო პასუხისმგებელი სამივეზე: ორ ბიჭსა და გოგონაზე.

ყველაზე უფროსმა, გოგონამ, ეტყობა კარგად იცოდა მამის გარემოცვა. გონიერი, რვა წლის ნიკიტა დარდობდა მამაზე და უფრო და უფრო ცოტას ჭამდა საჭმელს. ანი ევედრებოდა მას, უყვიროდა, მოითხოვდა და ემუქრებოდა: – უნდა ჭამო, რომ ჯანმრთელი და ძლიერი იყო. ნუ იბზუებ ცხვირს საშენო საჭმელზე. ამის უფლება არა გაქვს!

არ ჭრიდა არც შეურაცხყოფა, არც სიყვარული, მიუხედავად იმისა, როგორ უნდოდა ანის, თავის ყველაზე უფროს და ერთადერთ ქალიშვილს ეჭამა და ჯანმრთელი ყოფილიყო.

– როგორ ფიქრობ, რანაირად იქნები ჯანმრთელი და როგორ გაიზრდები ნორმალურ, განწონასწორებულ ადამიანად, თუ ახლა ასეთი დაუდევარი იქნები?

– სად არის მამა? – შეეპასუხებოდა ნიკიტა.

– გითხარი: წავიდა და თავის დროზე დაბრუნდება.

– მამა არასდროს წასულა, ჩვენთვის, ბავშვებისთვის, რომ არ ეთქვა, სად აპირებდა წასვლას.

სულ სხვა იყო, ლევისთვის, რომელიც ხუთი წლის იყო და სამი წლის ფიოდორისთვის უბრალოდ გეთქვა, რომ მამა წავიდა. სრულიად სხვა იყო იგივე ამბავი ნიკიტასთვის გეთქვა.

ბოლოს ანის უმტყუნა ნერვებმა. – კარგი, შვილო, – იყვირა მან, – შენ ყოველთვის ზედმეტად ინტუიციური ხარ. მამა აღარასდროს გეტყვის, სად წავიდა.

– სად არის? – იკითხა ნიკიტამ ისევ.

– დაიკარგა. პოლიციას ვუთხარი. ხალხს შევეკითხე ვილიჯსა და ხეობაში. არავინ არაფერი იცის. რასაც პასუხად ვღებულობ, ეგაა დუმილი.

– რატომ არ მითხარი?

– იმიტომ, რომ ეს ისაა, რასაც კარგი მშობლები აკეთებენ თავიანთი შვილების დასაცავად. შენ ამას ერთ მშვენიერ დღეს გაიგებ, როცა მშობელი გახდები. მე ვერ ავიტან, შენ თუ ახლა რამეს არ შეჭამ. ვერ ავიტან შენს ასეთ საქციელს.

– დედა, ჭამა არ შემიძლია.

– ჭამა არ შეგიძლია? გაიგე კვების მნიშვნელობა, პატარა ქალბატონო! ჭამა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რამეა ცხოვრებაში, განსაკუთრებით – ბავშვებისთვის, როგორიც შენა ხარ.

– მაგრამ მე ვღელავ მამაზე.

– და შენ ფიქრობ, მამას გაუხარდება ნახოს, შენ რომ უარს ამბობ ძნელად მოპოვებულ საჭმელზე? შენ გგონია, მამაშენს და მე გვესიამოვნება, გიყუროთ შენ გაძვალტყავებულს, სიკვდილის პირამდე მისულს?

– მაგრამ თუ მამა არ დაბრუნდება? – იკითხა ისევ ნიკიტამ.

– ასე ნუ ამბობ! მამა დაბრუნდება. სიტყვა არ დაგცდეს ამაზე ლოვასთან და ფიოდორთან! ჯობია, ერთმა თქვას უარი ჭამაზე, ვიდრე ყველა ერთად ჩონჩხად იქცეს და დაიღუპოს. ნიკიტა მშვიდად დასთანხმდა, თუმცა გული უსკდებოდა.

როცა კარი დაკეტა ანისთან საუბრის შემდეგ, ჯასნას სახეზე ღიმილი გადაეფინა. ლუციფერი შიშველი და ჯასნასთვის მზადმყოფი, თვალს ადევნებდა, მისი გახარებული ხასა რომ შევიდა მასთან. – ალბათ, ბედნიერი ხარ, მენავთობეებმა ჩვენთვის რომ გაბურღეს ხვრელი, რომელიც ჯოჯოხეთამდე აღწევს.

– შენ თუ ამით ბედნიერი ხარ, მაშინ მეც ბედნიერი ვარ, – განაცხადა ჯასნამ. – მე სტუმარი მყავდა.

– სტუმარი? – იკითხა დემონმა.

– ჰო, დიმიტრის მეუღლე მოვიდა.

– მართლა? – თქვა დემონმა.

– დიმიტრის სანახავად მოვიდა.

– მერე რა უთხარი?

– რომ არსად მინახავს.

– სამწუხაროა. – თქვა დემონმა. – ის და მისი შვილები გაცილებით უკეთ იგრძნობდნენ თავს, რომ იცოდნენ, ღორი როგორი დიდებული კერძი გახდა ივანეს, პეტრესა და გიორგისთვის.

– მართლაც, – უთხრა ჯასნამ.

– არ ინერვიულო! – დასძინა დემონმა, თითქოს მისი დამშვიდება უნდოდა. – მალე ჩვენ შესაძლებლობა გვექნება გამოვააშკარაოთ ის საქმე, რასაც აქ ვაკეთებთ.

– რა კარგ ისტორიებს დავწერთ ჩვენ აქ, ვოდკის ხეობაში.

– რა თქმა უნდა, – დაეთანხმა დემონი და გააცნო თავისი საოცნებო უფრო მეტი განადგურების გამომწვევი სქემები.

ჯასნა იჯდა და დემონის დისტოპიურ ოცნებებს ისე უყურებდა, თითქოს ისინი სრულიად უტოპიური გახლდათ.

თავი 22
ახალბედა ქალაქში

ტობიასი გავიდა ეკლესიიდან და თან მოაგონდა, სულ პირველად, წმინდა მიქაელის ეკლესიაში რომ მივიდა, ვილიჯსა და ეკლესიაში მას არავინ დალაპარაკებია. გამონაკლისი ანისიმი იყო, რომელმაც აგრძნობინა, რომ სასიამოვნო იყო მისი ჩამოსვლა რეგიონის ამ ვილიჯში, რომლის განცალკევებითაც ისინი ამაყობდნენ.

სერგეი რომ დაინახა, ტობიასი მიხვდა, ის იქაური არ იყო. მას ძალიან უადვილდებოდა ადგილობრივებისა და გარეშეების ერთმანეთისგან გარჩევა. გარეშეები მშვიდად გამოიყურებოდნენ, ნაკლებად აწუხებდათ თავიანთი ადამიანური საზრუნავი. ბედნიერება მათთვის არ იყო მხოლოდ ნიღაბი, მათ მიერ მორგებული, არამედ ისინი თავს მოვალედ გრძნობდნენ, გამოეხატათ თავიანთ მეზობლებთან, რომ არ ეშინოდათ. ტობიასმა არ იცოდა, როგორ აეხსნა, რამ განუვითარა ასე ინსტინქტი. ის მიხვდა, რომ ადამიანს ვოდკის ხეობაში მოქმედების საშუალება ან ჰქონდა, ან არ ჰქონდა. მათ რომ არ ჰქონოდათ მოქმედების საშუალება, აქედან წავიდოდნენ.

სერგეიზე დაკვირვებამ ტობიასს ისიც მოაგონა, თუ რას გრძნობდა, როცა აქ პირველად მოვიდა. ის მიხვდა, რომ ეს ხალხი დახელოვნებული იყო იმაში, რომ ახალჩამოსულს თავი სასურველ სტუმრად ეგრძნო, მაგრამ ამავე დროს პროფესიონალი იყო, სტუმარს მუდმივად უცხოდ ეგრძნო თავი. თუნდაც მთელი ათეული წელი დაგეყო აქ, მათს თვალში მაინც უცხო იყავი. მას კარგად ესმოდა სერგეისი, რადგან ახალჩამოსული საკმაოდ აცდენილი იყო იმ ბილიკებს, რომლის გარეშეც ადამიანი გზას ვერ გაიკვლევდა. მან იცოდა, რა შეგრძნება იყო,

ასეთ ადგილას წასვლა მარტო, როცა არავის შეუძლია დაგანახოს ან გითხრას, სად რა ხდება. სერგეი დაბნეული იყო და არც არავინ მეგზურობდა მას. ტობიასივით ისიც საკუთარი ინსტინქტის იმედად უნდა ყოფილიყო.

სიტყვა „უსაფრთხოება“ გაცილებით მეტს ნიშნავდა, ვიდრე ეს აქ ესმოდათ. არაფერი ისე არაა, როგორც გგონია. დაუშვებდა ტობიასი, სერგეის იგივე გულგრილობა ეგრძნო, რაც ტობიასმა გამოცადა და რაც მან გადაიტანა? ტობიასი გრძნობდა, ეს კაცი აქ იმიტომ იყო ჩამოსული, ხალხს სულიერი კრიზისის დროს დახმარებოდა. თუნდაც უფლის ნებით ყოფილიყო ჩამოსული, ნათლად ჩანდა, რომ უცნობი არაკომფორტულად გრძნობდა თავს, მის მიმართ გულგრილი დამოკიდებულების გამო. ნამდვილად ამან დააბნია და მზად იყო ხელი აეღო ამ ხალხზე, რომლებიც ხელს კრავდნენ იმ დახმარებას, რასაც სერგეი მათ სთავაზობდა.

ტობიასი ხეობაში ნაწილობრივ მისი სამუშაოს გამო დარჩა, მაგრამ უფრო მეტად იმ ბოროტებასთან საბრძოლველად, რომელიც ამ მიწაზე სუფევდა. თუკი ის ჩათვლიდა, რომ შეურაცხყოფილი იყო აქ, უცნობისადმი გულგრილობის გამო და ამ მიწას სერგეისთან ერთად გაეცლებოდა, ღმერთიც ასე მოექცეოდა მას, რადგანაც ის სჯიდა ადამიანებს, რომლებიც არ ითვალისწინებდნენ მის დახმარებას. ღმერთის სურვილი _ დაეხმაროს ხალხს, იმით იზომებოდა, როგორ ეპყრობოდნენ ისინი სტუმრებს. ან, მისი დახმარების სურვილი, იმით ფასდებოდა, თუ რა რეაქცია ექნებოდათ აქ გამოგზავნილ უცნობებს იმ გულგრილობაზე, მათ მიმართ რომ იჩენენო, ფიქრობდა ტობიასი.

მიუხედავად იმისა, რომ ტობიასი გრძნობდა, სერგეი დასახმარებლად იყო აქ, არ იყო დარწმუნებული, ზუსტად რა სახით შეძლებდა ის ამის გაკეთებას, ასე საეჭვოდ სასოწარკვეთილი. ტობიასი ეკლესიის გარეთ იდგა ანისიმთან ერთად, ერთადერთ ადამიანთან ამ ხეობაში, რომელიც, რამდენადაც მან იცოდა, ღელავდა. იქნებოდა ანისიმი ისევ ისეთივე, როგო-

რსაც ტობიასი პირველად შეხვდა? თუ ზრდილობიანი იქნებოდა, თავს დაუკრავდა და თავის გზით წავიდოდა? ამას მალე შეიტყობდა. ანისიმი, როცა ტობიასმა პირველად ნახა წმინდა მიქაელის ეკლესიაში, სავარაუდოდ, იტანჯებოდა. მას, შეიძლება (ტობიასის თეორემის თანახმად), შიში გაზრდოდა პინოქიოს ცხვირივით, ოღონდ არა იმავე მიზეზით. ანისიმს შეიძლება ეშინოდა, ცხვირი დაგრძელებოდა, არა სიცრუის თქმის (როგორც პინოქიოს შემთხვევაში), არამედ სხვის საქმეში მეტისმეტი ცნობისმოყვარეობის გამო. ეს შეიძლებოდა აეხსნა ტობიასის მიმართ ანისიმის გულგრილობით.

სატანის სამი ვაჟი იცდიდა. მათ არ იცოდნენ როგორ ჩარეულიყვნენ, რადგან ვერაფრის გაკეთებას ვერ ბედავდნენ ეკლესიის ტერიტორიაზე. წმინდა მიქაელის ეკლესია დიდებით იყო მოსილი და დაცული თავისი ანგელოზების მიერ. ასეთ წმინდა, სულიერ, ღვთისგან დალოცვილ ადგილებში, რომელიც უფალმა თავისა და მთელი დედამიწის მორწმუნეების სახლად დააწესა, დაცემულები უძლურნი იყვნენ.

მაგრამ იქნებ დაცემულთა საქმე მათ სასარგებლოდ მოგვარებულიყო! ისინი სიხარულით აღსავსენი იცდიდნენ.

– გარანტიას გაძლევთ, ეს მიწა აოხრდება, – თქვა პირველმა (ქონიანმა ვირთხამ).

–კი, – დაეთანხმა ყველაზე უსაქმური სატანის ვაჟთაგან (მსუნაგი ვირთხა). – ჩაკეტე ამათი აზრები, როგორც ეს შენს თვალებს სჩვევიათ. ტობიასი და სერგეი უცხოებივით იმოქმედებენ. ხელი ააღებინე მათ ჩარევაზე!

– ხო, – უთხრა მესამემ (მკბენარმა გველმა), – და შედეგი იქნება სრული გულგრილობა. მათ უნდა შეწყვიტონ ხეობის ხალხზე ზრუნვა და უკან გაბრუნდნენ იქ, საიდანაც მოვიდნენ. გული ქვად უნდა ექცეთ და იმდენად შეიძულონ ეს მიწა, რომ მისი სახელის გაგონებაზე ღვარძლით უარყონ ის.

– ქონიანი ვირთხა სიურეალურმა, ამაღელვებელმა სურვილმა შეიპყრო. ეს იყო ახლახან მოწოლილი ჟინი, მეძავ ჟასნასთან დაწოლილიყო, რაც, მისი აზრით, ხელმისაწვდო-

მი იყო. მთავარი მიზანი იყო, ოჯახებს თავიანთი საყვარელი ადამიანები მონატრებოდათ, სიკვდილის შიში ჰქონოდათ და მათთვის გაეღვივებინათ ყალბი იმედი, რომ დაკარგულები შესაძლოა, ცოცხლები ყოფილიყვნენ. მაგრამ იყო სურვილიც, სერგეი განერვიულებული ენახათ, რადგან მას არსად შეეძლო დარჩენა.

სატანის ვაჟს უნდოდა, სერგეის ყურადღება არ მიექცია ღვთისა და მისი ანგელოზებისგან მომდინარე მოწოდებისთვის, ხეობიდან წასულიყო და ხელი აეღო დახმარებოდა აქაურ ხალხს. ის შთააგონებდა სერგეის, უგულებელეყო თავისი ვალდებულება იმ მიზეზით, რომ მის მიმართ მათმა ერთობლივმა გულგრილობამ სული გაუყინა და გული გაუტეხა, ზუსტად ისე, როგორც მან ეს ძველ აღთქმაში წაიკითხა ისრაელის შესახებ წინასწარმეტყველების მიერ ნათქვამი.

სერგეი, თავმდაბალი და უბრალო ადამიანი, ადამიანობის განსახიერება იყო. მას იტაცებდა წმინდა ოჯახის დახატვა, რადგან გრძნობდა, ასე ახლოს იდგა ღმერთთან. ახლო ურთიერთობა ჰქონდა. ხილვები, რომლებიც მას ჰქონდა, დაკავშირებული იყო ვოდკის ხეობასთან და მას იქ წასვლას მოუწოდებდნენ, თან აფრთხილებდნენ, ჯოჯოხეთური იქნებოდა ეს, თუმცა ღვთის წყალობით, გადარჩებოდა, თუკი კეთილი ადამიანები მის მხარეს იქნებოდნენ. მაგრამ ის არ იყო არ მომზადებული იმისთვის, რომ მას გვერდით არავინ დაუდგებოდა, ბინას არ შესთავზებდა და ზურგს უჩვენებდა ამ ხეობაში.

სერგეის, ჩრდილო კავკასიელ, საშუალო წონის ყოფილ ჩემპიონს კრივში, კარგად ესმოდა თავისი შესაძლებლობები კრივსა და სულიერებაში. და თუკი დადგებოდა დრო, დაეტოვებინა ახალგაზრდული ჩემპიონატის რინგი, შეეძლო ეთქვა საკუთარი თავისთვის, რომ ის ვოდკის ხეობაში წავიდოდა და ადრინდელივით გაიმართლებდა თავს, რომ მისი სული და სულიერება მხოლოდ ღმერთს ეკუთვნოდა. მერე რა, რომ ეს მისი გადასაწყვეტი არ იყო? გთხოვ, გაჩუმდი, ვინც შინაგანად მიჩიჩინებ აქედან წასვლასო, ლოცულობდა ის, ვიდრე გადა-

წყვეტდა, რომ გარდაუვალი იყო ხეობიდან წასვლა.

სამივე დემონი აღფრთოვანდა, სერგეის იმედგაცრუების სიგნალები რომ მოისმინეს. მუსიკასავით ჩაესმათ ის, რომ შეიძლებოდა, მას ყურად არ ეღო ღვთის მოწოდება და ხეობიდან წასულიყო.

ქონიანი ვირთხა ცდილობდა, სერგეიმდე მიეღწია, რომ ფეხზე ეკბინა და მისი სისტემა ძლიერ მომწამვლელი სიძულვილით აევსო ვოდკის ხეობის მთელი მოსახლეობის მიმართ. მან გაბედა და შეძლებისდაგვარად ახლოს მივიდა ეკლესიის ეზოს ზედ საზღვართან. მაგრამ მიაღწია თუ არა საზღვრამდე, ერთბაშად გაიყინა, რასაც იმაზე ნაკლები დრო დასჭირდა, ვიდრე ჯალათს მსჯავრდებულის თავის მოსაკვეთად სჭირდება. დემონმა ვერ შეძლო მილიმეტრითაც კი წინ წაწევა და დაბრუნდა თავის ძმებთან.

მსუნაგი ვირთხა, რომელმაც ის ის იყო ბუზი გადაყლაპა, მიუბრუნდა მკბენარ გველს: – არანაირი საფუძველი არ არსებობს, შენმა მცდელობამ გაგვახაროს ამ შემთხვევაში. ეს ადამიანები, მათი ხასიათი, მათი მოვალეობის გრძნობა და მათი შინაგანი რწმენა სწრაფად იცვლებიან ტესტირების დროს, უდაბნოს ქვიშის მსგავსად, ქვიშიანი ქარბუქის დროს. დამშვიდდი და ნახე, აბა რისი გაკეთება შეიძლება სწორედ ახლა. ამ ადგილზე არც ერთ მათგანს ნამდვილი მორალი არ გააჩნია.

ქონიან ვირთხას აკანკალებდა ნდომა იმისა, როდის ნახავდა იმ წამის დადგომას, მას რომ უყვარდა. ერთადერთი, რაც მას გაეგებოდა, ეს იყო: „უფრო მეტი!“ და „არასაკმარისი!“ მან დაინახა, ანისიმი რომ გამოვიდა ეკლესიიდან და სახლისკენ წავიდა. ისიც ნახა, როგორ დაღალა ტობიასი ცხოვრებამ და მუშაობამ ამ დაწყევლილ ადგილზე. წარმოიდგინა, რომ ორივენი, სერგეი და ტობიასი, მატარებლის ბილეთებს ყიდულობდნენ ხეობიდან გასამგზავრებლად.

– გილოცავ კარგ ნამუშევარს! – ვიზუალურად დაინახა ქონიანმა ვირთხამ, ლუციფერი რომ ეტყოდა მას ან შეიძლება ასმოდეუსს ეთქვა, რადგან ორივესგან ესიამოვნებოდა. იქნებ

მშრალი იუმორითაც დაემატებინა, სად გაქრნენ გმირებიო და ამ დროს მათი სიცილი ჯოჯოხეთით დაფარულ მთელ დედამიწას მოედებოდა.

შეიძლება, ეთაგორია ნებსონიას ეთქვა: – შემიძლია, მივყვე მათ, რომ დავრწმუნდე, გული ხომ არ ეთანაღრებათ შუა გზაში, სახლისკენ მიმავალთ!

იქნებოდა სატანა თანახმა? თუ, რაკი იცის, რა შეუძლია, მოიტანოს გულგრილობამ და აპათიამ, გაეშვა ისინი, როგორც სჩვეოდა?

სამივე დემონმა ჩამოწერა ხეობის მთელი მოსახლეობა. ეგონათ, სერგეის აზრები ამართლებდა მათ. ხალხი ისე იქცევა, თითქოს ჩემი ცნობა არ უნდათ, არა მაქვს საფუძველი დავიჯერო, რომ აქ სასურველი სტუმარი ვიყოო, ფიქრობდა სერგეი. ესმოდა მეგობრები და მეზობლები, როგორ იწვევდნენ ერთმანეთს თავიანთ სახლებში და მას არავინ ეკითხებოდა, ვინ იყო და აქ რა ესაქმებოდა. მიხვდა, რომ არსად არ ჰქონდა წასასვლელი. განზრახვა, აქაურობა დაეტოვებინა, უფრო განმტკიცდა მის გულში. სამივე დემონი ძალიან გაახარა, როცა მან საკუთარ თავს უთხრა, აქ შეცდომით მოვედი, ვერაფერს გავაკეთებ ამ ხეობის გადასარჩენად და არც უნდა გემეკეთებინაო.

სერგეის აზრები ნაწილობრივ სწორი იყო. მას დასასვენებელი ადგილი სჭირდებოდა– რაიმე სახის თავშესაფარი. ვოდკის ხეობის მოსახლეობა უკიდურესი გულგრილობის გამო აშკარად აპათიური და ეგოისტური იყო სერგეისნაირი ადამიანების მიმართ. სწორედ ამ ქმედებამ უბიძგათ ბოროტებს, შენიღბულად დაპატრონებოდნენ მათ სულებს. ხალხი მათი სულების რეანიმაციის მხოლოდ საწყისი წერტილში იყო იმ წლების შემდეგ, რაც ერთმანეთის მიმართ აპათიით, თავმომწონეობითა და ეგოიზმით განვლო.

მაგრამ რეანიმაციას ძალუძს, მხოლოდ კლდის კიდიდან მოგაბრუნოს. ეკლესიასა და ხეობაში მყოფი ხალხი წლობით, და არა დღეობით, მისჩერებოდა თავისი პირადი სულიერი კლდის ჩამოშლას. ზოგი, როგორებიც იყვნენ ჯასნა, გიორგი, ივანე და

პეტრე, ჩაიძირა და დაანგრია თავისი სული და სულიერება. სხვები, საბინასნაირები, დაინფიცირდნენ სულიერი შხამით, თვითონვე გადაამუშავეს, გასუფთავდნენ, დეზინფიცირდნენ, განიწმინდნენ და განიკურნენ. ეს ნათლად ადასტურებდა, რომ ხეობა სულიერი საფრთხის ქვეშ იყო.

როგორც სერგეიმ თქვა, ხალხი რომ სტუმართმოყვარე და კეთილი გამხდარიყო, რომ ხალხი, ყველა, ღრმად განკურნებულიყო, ადვილად განწმენდილიყო, შინაგანადაც და გარეგანადანაც, შესაძლებელი იყო მხოლოდ ეკლესიაში, რამდენიმე საათიანი ლოცვით.

* * *

ტობიასისთვის არ იყო უცხო ის, რაც სერგეის აშფოთებდა. რომ მას სჭირდებოდა მხოლოდ ერთი კაცი, რომელიც მასთან მივიდოდა და გაეცნობოდა, როგორც ადამიანი. ტობიასს მოაგონდა თავისი პირადი განცდა, როდესაც ანისიმი და ლუბა გაესაუბრნენ მას. ამიტომაც მან კარგად იცოდა, რომ ერთი კეთილი გაღიმება და მისალმება უბრალოდ დიდხანს დაამახსოვრდებოდა სერგეის.

სერგეი აქ იმისთვის ჩამოვიდა, რომ დაემთავრებინა წმინდა გიორგისა და წმინდა მიქაელის ხატების კვეთა ხეზე. ამისთვის მას ბევრი დრო არ სჭირდებოდა, მხოლოდ რამდენიმე საათი. მას უნდოდა, ეთხოვა მღვდლებისთვის, ხატები ეკურთხათ და შემდეგ თვითონ წინ წაემძღვარებინა და ქუჩებში ევლო. ლუციფერს გაახსენდებოდა, თეთრ რაშზე ამხედრებულმა წმინდა გიორგიმ როგორ მოკლა რუხი დრაკონი. ისიც გაახსენდებოდა, რომ იქ იყვნენ და მუდამ იქნებოდნენ, მამაცი ჯარისკაცები, სინათლით შემოსილნი, ის რომ დაემარცხებინათ. ეს შეახსენებდა მის ახლომხედველ მიმდევრებს, თუ რამდენად ნაადრევი იყო მათი დასკვნა, რომ ისინი უძლეველნი და შეუცვლელნი იყვნენ. უფალს თოთხმეტი წმინდა დამხმარე ჰყავს და ისინი არ განუდგებოდნენ ადამიანებს საჭიროების დროს.

სწორედ მაშინ, როცა სერგეი თავისთვის ფიქრობდა, რომ ეყიდა ბილეთი და აქაურობა ყოველგვარი სინანულის გარეშე

დაეტოვებინა, მას ტობიასი უყურებდა. ანისიმი ტობიასს მიუ-ახლოვდა.

– გამარჯობა! – მიესალმა ტობიასი სერგეის და მარჯვენა ხელი გაუწოდა.

– გაგიმარჯოს! – უთხრა შვებამოგვრილმა სერგეიმ და ტობიასს ხელი თბილად ჩამოართვა.

მეგობრობის ამ უბრალო ჟესტმა ქონიანი და მსუნაგი ვირთხები და მკბენარი გველი უიმედოდ დაამარცხა.

ანისიმი მიესალმა ტობიასს და უთხრა, როგორ ესიამოვნა მასთან ხელახლა შეხვედრა წმინდა მიქაელის ეკლესიაში. ერთმანეთის წარდგენის შემდეგ ამ სამი ადამიანისთვის ნათელი გახდა, რომ მათ გაცილებით მეტი აკავშირებდათ ერთმანეთთან, ვიდრე წარმოედგინათ. ანისიმმა იგრძნო, რომ დევნილივით, სერგეი დაბნეული იყო ამ ტერიტორიაზე და საჭიროებდა მისალმებას.

– მე ხელოვანი ვარ! – უთრა სერგეიმ ანისიმს.

– ვის უნდა მიყიდო შენი ნახატები?

– ეკლესიას! – უპასუხა მან

– როდის ჩამოხვედი? – ჰკითხა ტობიასმა.

– მხოლოდ დღეს. ხილვა მქონდა, რამაც უბიძგა ჩემს სულს წამოსვლა... თითქოს რაღაც მღელვარებაა აქ და არავინ იცის, თუ რა ხდება. ჩემი აზრით, აქ დარჩენა ძალიან რთულია.

– ნამდვილად ასეა! – მგზნებარედ უთხრა ტობიასმა, რამაც დაადასტურა მისი მდგომარეობა.

– როგორ შევძლებ, ვიყო აქ, ასეთ უცნაურ ადგილას? თითქოს შეშლილია ყველაფერი.

– თანახმა ხარ, აჩუქო ეს ხატები ჩვენს ეკლესიას? რას იტყვი? აჩუქებ? – ჰკითხა ანისიმმა.

– რა თქმა უნდა, ვაჩუქებ. ამიტომ გამოვიარე ამოდენა გზა!

– კარგი. მაშინ შეგიძლია, ჩემთან დარჩე, ჩემს სახლში, ყოველგვარი გადასახადის გარეშე. გამოგიყოფ ოთახს, გაჭმევ და მოგხედავ შეძლებისგადვარად.

– ეს სასიამოვნოა ჩემთვის, ანისიმ!

– კარგი. რამე შევჭამოთ. მაგრამ სადმე სხვაგან. „ჩეხოვი“ დაიხურა.

– დაიხურა? რეკონსტრუქციას უკეთებენ? – იკითხა ტობიასმა.

– არა. გაგვიხარდებოდა ჩვენ, მღვდლებს და მე, რეკონსტრუქციას რომ უკეთებდნენ „ჩეხოვს“. სხვას არც გამოუხატავს, რომ აინტერესებს.

– რაშია საქმე?

– ათანასე ისეთ ვითარებაში გარდაიცვალა, პათოლოგის გამოკვლევაა საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებულს ვერაფერს მიაკვლიეს, მღვდლებს და მე გვჯერა, მისი სიკვდილი არ იყო ბუნებრივი. არა, ეს არ იყო ბუნებრივი. ეს სინამდვილეა, შემიძლია, დავიფიცო!

– დაიფიცებ?

– ხო, დავიფიცებ!

– შენ ამბობ, რომ პათოლოგი შეცდა?

– მე ვამბობ, რომ ჩვენ ვშიშობთ. ჩვენ არ ვიცით, როგორ გავრცელდა ბოროტება. რატომ არავინ გვეხმარება? რატომ არა არის პროტესტი? ადამიანები იკარგებიან და ამ დროს ხალხი რაღაც ზებუნებრივ გარეშე მიზეზზე ლაპარაკობს, რამაც მათი საყვარელი ადამიანები მოსპო. მაგრამ ყველაფერი დაცულია მედიაში, თითქოს ეს რეგიონი დასახლებულია გიჟებით, მთვარეულებით, რომლებიც შეპყრობილნი არიან გიჟური, აბსურდული იდეებით. ხომ არ შეიძლება, აქ ყველა გიჟი იყოს? შეიძლება?

– ათანასემ მე საჭმელი მომიმზადა! – გაიხსენა ტობიასმა.

– ის უმზადებდა ყველას, ვინც წლობით სახლს გარეთ სადილობდა. ახლა მხოლოდ ჩვენ, მე და მღვდლებმა, რომლებმაც აუგეს წესი, გავასვენეთ ობოლი ბავშვივით ეკლესიიდან და ავწიეთ ჭიქა მისი სახელის მოსაგონრად. ყველას არ დაგვივიწყნია ძველი პრაქტიკა გარდაცვლილის ხსოვნის პატივსაცემად.

– რა კარგია, როცა მესმის, რომ ყველა არ აიგნორებს საპატიო

ტრადიციებს მსოფლიო კულტურის გავრცელების მიზეზით.

– რა თქმა უნდა, არა! ზოგი ჩვენგანი იცავს ჩვენს კულტურასა და ტრადიციას ამ შეშლილ სამყაროში. ათანასეს სიკვდილმა ძალიან შემაწუხა მე. ერთია, რომ ტრადიცია უნდა დავიცვათ, მაგრამ სულ სხვაა, რომ რაღაც საშინელება ხდება, რამაც შეიძლება, საერთოდ ყველა გაგვანადგუროს.

– ხალხი ძალიან აფორიაქებულია! – დაამატა ტობიასმა, – და საერთოდ აქ ყველაფერი უცნაური გახდა.

– კიდევ უფრო უცნაური გახდება მანამ, ვიდრე ნორმალური მდგომარეობა აღსდგება! – უპასუხა ანისიმმა. – ჩვენ, ალბათ განსაწმენდელ კათარზისს გავდივართ. ეს გამოცდასავითაა. არ ვიცი! მაგრამ ერთი რამ ვიცი, მჯერა, უნდა გავიმარჯვოთ. ამ ყველაფრისგან გამოვალთ უფრო ძლიერები, უფრო უკეთესები და ძლევამოსილები.

დასვამდნენ ორივენი, ტობიასი და სერგეი, შეკითხვას, ხეობამ რომ ვერ გაიმარჯვოსო? არა, ადამიანის გონებას უკეთესის განჭვრეტა უნდა, არ უნდა მიაშტერდეს უფსკრულს!

ტობიასი და სერგეი წავიდნენ ანისიმის მშვენიერ სახლში, სადაც მასპინძელმა მოამზადა ბარბექიუ, შემწვარი კარტოფილი და სალათი. ხუთი ჭიქა რომ შესვეს ერთად, ბოლოს სერგეიმ მოიბოდიშა, ასე ხატებზე ვერ ვიმუშავებო. დარჩენილი სამუშაო ცოტა იყო, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი, რელიგიური წმინდანების გამომეტყველების გამოსახატად. ტობიასი დარჩა ანისიმთან სალაპარაკოდ, მხოლოდ იმის გამოსამჟღავნებლად, რომ მათ ბევრი საერთო ჰქონდათ.

ცხრას რომ თხუთმეტი დააკლდა, სერგეი კვლავ გამოჩნდა დასრულებული ხატებით.

– კარგი გაკეთებულია! – თქვა ნამუშევრით დიდად კმაყოფილმა ანისიმმა. – უნდა მივცეთ მღვდლებს, რომ აკურთხონ.

– როდის შეგვიძლია წასვლა? – იკითხა სერგეიმ.

– არაფერი დაშავდება, თუ ახლავე წავალთ! – თქვა ტობიასმა.

– დაშავდება! მღვდლებიც ადამიანები არიან და დასვენება სჭირდებათ! სჯობს, დილამდე დავიცადოთ, – უთხრა ანისიმმა.

თავი 23
ნიკიტას განსაცდელი

ნიკიტამ ბოლომდე დაამთავრა საჭმელი, დედა რომ გაეხარებინა და შეეძლო, სამზარეულოს მაგიდას მოშორებოდა, წასულიყო და ჩვეულებრივ თავის ფიქრებს მისცემოდა. მან ძილი ნებისა უსურვა ანის და დასაძინებლად გაემართა საკუთარი ოთახისკენ. ნიკიტამ კარგად იცოდა დედამისის რეჟიმი. ადვილად გამოსაცნობი იყო, ისევე, როგორც მისი ნაბიჯები ხმა, როცა ნიკიტას ოთახისკენ მოდიოდა. ათის თხუთმეტ წუთზე ანი შევიდა მასთან. დაინახა, ნიკიტას ეძინა, მივიდა მის საწოლთან და შუბლზე აკოცა. შემდეგ ღმერთს შეევედრა, თავისი ქმარი ეპოვა და შვილები დაეფარა.

– ძილი ნებისა, ჩემო შვილო! ძალიან მიყვარხარ! – დაიჩურჩულა მან და საკუთარი საწოლისკენ წავიდა, სადაც თავისი ორი ბიჭუნა ელოდა, რომელთაც ეშინოდათ თავიანთ საწოლში დაძინების. ბუნებრივია, დედამ მათ ნება დართო, მასთან ყოფილიყვნენ.

როცა ანი ოთახიდან გავიდა, ნიკიტამ ხელახლა ჩაიცვა და დადგა ფანჯარასთან, რომ დალოდებოდა მამის დაბრუნებას. შუა ქუჩაში 40 წლამდე ასაკის, მარტოხელა კაცის ფიგურა მიაბიჯებდა და სიგარეტს ეწეოდა. საძინებლის ფანჯარასთან მეოცნებე ნიკიტა უცნობის დანახვამ ისე შეაკრთო, თითქოს ზურგზე ყინულიანი წყალი გადაავლესო.

კაცი შეჩერდა და პირდაპირ ნიკიტას მიაჩერდა. მისი არაადამიანური გამომეტყველება რაღაც იდუმალს ჰგავდა, ცოცხალ და მკვდარ ადამიანებს შორის არსებულს. შავი ფერი დაჰკრავდა სახის უმეტეს ნაწილს, შავი შალის პალტოს, შავი შარვლის და შავი შარფის ფონზე. უძრავად იდგა იქ. ფანჯარა-

სთან მდგარი ნიკიტა, თავისი გრძელი თეთრი კაბით, სწორი მუქი ფერის თმებით, ქათქათა თეთრი კანითა და ლურჯი თვალებით, უბიწო მსხვერპლის განსახირება იყო.

ნიკიტას უნდოდა, ფანჯარას მოშორებოდა, მაგრამ არ შეეძლო. სხეული ვერ დაძრა სკამიდან, რომელზედაც იჯდა. უნდოდა, ხმამაღლა ეტირა... სუნთქვა შეეკრა და პირი მოემუწა. სიტყვა ვერ დაძრა _ ან რა უნდა ეყვირა? „ნეტავ რატომ დგას კაცი აქ?“

კაცი იდგა იქ, თითქოს წებოთია დაკრულიო, სახლს გარეთ, ზუსტად შუა გზაზე, გზის განაპირას. სახე შავი ფერის ჰქონდა, სამგლოვიარო ვუალივით, ქვრივები რომ ატარებენ ხოლმე. კაცი სიმაღლით ნიკიტას ნაცნობებს საკმაოდ აჭარბებდა. ნიკიტას უნდოდა, მამამისისთვის მოეხმო. მხოლოდ დაეძახნა, მამა, მამაო! როგორ უნდოდა, დიმიტრის მისი ძახილი გაეგო, ოთახში შემოერბინა და გასაჭირისგან ეხსნა. მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. არავინ იცოდა, სად იყო დიმიტრი. დედას არ შეეძლო, გაეგო, რომ მის გოგონას განა არ უნდოდა ეჭამა საჭმელი, მაგრამ უნდოდა, წინა ფანჯარასთან დალოდებოდა მამას, რომ მისი დაბრუნება არ გამოჰპარვოდა.

– მოდი ჩემთან! – თქვა კაცმა. მან ეს ოთხჯერ გაიმეორა. ნიკიტამ იცოდა, სიტყვები ფანჯარაში ვერ ატანდა, მაგრამ ტუჩების მოძრაობით ადვილად ამოიცნო. ეს წაიკითხა მან ამ უცნაური, მოხრილი კაცის ტუჩებზე და მიხვდა, რომ კაცმა უთხრა, მასთან მისულიყო. ნიკიტა ჭკვიანი ბავშვი იყო და იცოდა, ბავშვები უცნობებს არ უნდა დალაპარაკებოდნენ ან არ უნდა გაეკეთებინათ ის, რასაც უცნობი მათ ეტყოდა. რომ არც ერთი ბავშვისთვის არ იყო ნებადართული, გაჰყოლოდა სადმე ასეთ ადამიანს.

ნიკიტას მოაგონდა ეს და მდუმარედ გასცა პასუხი კაცს: – არა, არ მოხდება, რომ გამოგყვე!

– მაგრამ მე ვიცი, სად არის მამაშენი, – შეეპასუხა ის.

– თავიდან მითხარი, კარგად ვერ ვხედავ შენს ტუჩებს, – წაილუღლუღა ნიკიტამ პასუხად.

– მე ვიცი, სად არის შენი მამა!

– არა, შენ არ იცი, სადა არის ის _ არავინ არ იცის ეს, შენი ჩათვლით.

უცნობმა კაცმა ვითომ წასვლას დააპირა, მაგრამ გარკვევით დაილაპარაკა: რატომ ხარ ასე დარწმუნებული, რომ მე თითქოს არ ვიცი, სად არის მამაშენი? ნიკიტა, დიმიტრის მხოლოდ შენი ნახვა უნდა, ის წავა აქედან, თუკი ვინმე შეიტყობს, თუ სად არის ის.

– არავის არ შემიძლია ვუთხრა? – მღელვარებისგან გაშრა ნიკიტა. ის დაფიქრდა დროის იმ მონაკვეთზე – განვლილ საათებზე, რომლებიც დღეებად იქცნენ და რომლებიც შეიძლებოდა მარადისობად ქცეულიყვნენ, მაშინ, როცა მას ასე უნდოდა ენახა მამამისის დაბრუნება. მაგრამ დაბრუნდებოდა მამა ოდესმე და შეიტყობდა ნიკიტა იმ ამბავს, რისი გაგება მას, ასე წასონარკვეთილს, უნდოდა? „არა, უნდა წავყვე ამ კაცს! უნდა წავყვე და ვიპოვო მამაჩემი! მეტი აღარაფერი დამრჩენია!“

გადაყვეტილება, რომელიც მან მიიღო, როგორც ჩანდა, სრულიად არასწორი, მაგრამ – მართალი იყო. მას არ უნდოდა, მამა წასულიყო. ის ვერ იცოცხლებდა, თუ არ ეცოდინებოდა, სად წავიდა მამა. ლოდინი მეტისმეტად ძნელი ასატანი იყო მისთვის. რაც უფრო დიდხანს იდგა ფანჯარასთან, უფრო მეტად ხედავდა, რომ ეს უცნობი კაცი წასვლას არ აპირებდა. იდგა იქ და არ ინძრეოდა! ნიკიტას უნდოდა, ანისთვის რამე ეთქვა, რომ დედამისს უსაფრთხოდ ეგრძნო თავი, მაგრამ ძალიან უნდოდა, მამა ისევ ენახა.

ნიკიტა წამოდგა სკამიდან. შევიდა დედის ოთახში და ნახა, რომ დედას ღრმად ეძინა, ორივე ბიჭუნაზე მკლავებმოხვეულს. „ეს როგორ ჩავიდინო? არასდროს გამიბედავს გარეთ გასვლა ღამით“. უკანვე გაიქცა ფანჯრისკენ, რომ დარწმუნებულიყო, იყო თუ არა კაცი იქ და როცა ნახა, გულმა ბაგაბუგი დაუწყო. კაცი ზედ საძინებლის ფანჯარასთან იდგა, გარეთა მხარეს, ბავშვის გამხდარი სხეულის ზემოთ აღმართული. ნიკიტამ შეხედა კაცს, შეეცადა უკუეგდო გაღიზიანება, რასაც

გრძნობდა. როგორ შეიძლებოდა ამ კაცის ნდობა?

– მოდი გოგონი, წაგიყვანო მამაშენთან!

ნიკიტამ თავი დაუქნია, რასაც სიჩუმე მოჰყვა და უცნობმაც თითქოს შვება იგრძნო. ნიკიტამ ისევ შეხედა მაგრად ჩაძინებულ დედას და ატირდა, რადგანაც არ იყო დარწმუნებული, ოდესმე კიდევ თუ ნახავდა მას. ლოვასა და ფიოდორს რომ შეხედა, დედასთან ნაზად ჩახუტებულებს, ნიკიტას გული მოეწურა. ასე როგორ უნდა გაერისკა და წასულიყო სახლიდან უცნობთან ერთად?

გულგრილობამ მოიცვა მთელი არსებით, უცნობი კაცის აურის ექომ. ნიკიტა მიხვდა ამას, მაგრამ მაინც წავიდა წინა კარისკენ. ვინ უშველიდა? შეხედა თავის მარჯვენა ხელს, აკანკალებულს. კანკალი მხოლოდ მაშინ შეუჩერდა, როცა კარის გასაღები აიღო. ყინულმა დაუარა მთელ სხეულში. გასაღები კარს მოარგო... შიშისგან ჭერს ახედა, ეს ალბათ ყველაზე ცუდი იყო, რაც კი ოდესმე ჩაედინა. ამას შეიძლებოდა დაენგრია მთელი მისი ცხოვრება. მაგრამ გასაღები მაინც გადაატრიალა საკეტში!

კაცი ზედ კართან იდგა, გარეთ. ფეხი რომ გადმოდგა, ნიკიტამ იფიქრა, სახლში შემოდისო. მაგრამ არ შემოსულა, გარეთ დარჩა, შემდეგ შებრუნდა და წასვლა დააპირა. უკანვე, შუა გზაზე გაბრუნდა.

ნიკიტას სჯეროდა, იქნებ, ამდენი ხნის ოცნებები ამიხდაო. იქნებ საბოლოოდ ის მიეღო, რაც ამ საქმიდან უნდოდა. ‚მამას გოგო' ისევ თავის საყვარელ მამიკოსთან ერთად იქნებოდა და მისი არასწორი გადაწყვეტილება კეთილად დამთავრდებოდა.

– სად მივდივართ? – ჰკითხა მან, მაგრამ უცნობმა კაცმა პასუხი არ გასცა.

– ეკლესიაში მივდივართ?

კაცი იმ მიმართულებით მიდიოდა, მაგრამ შემდეგ ნიკიტამ დაინახა მიტოვებული შენობა, სადაც კაცს მისი შეყვანა უნდოდა.

– მამა აქაა? – იკითხა ნიკიტამ.

კაცმა არც ამჯერად გასცა პასუხი. ახლა კი ეჭვი შეეპარა ნიკიტას, რომ დიმიტრი ასეთ უცნაურ ადგილას ყოფილიყო, სადაც მისი მშობლები ადრე არასდროს იყვნენ ნამყოფნი.

კაცმა კარი რომ გააღო, ნიკიტა ეცადა, არ შეჰყოლოდა. ვერსად ვერ ხედავდა მამას ოთახში მყოფ იდუმალ ფიგურებს შორის. დაინახა დიდი მაგიდა და არაადამიანური არსებები, რომლებიც მას არ უყურებდნენ, მაგრამ ისე იყურებოდნენ თითქოს ნიკიტა ბავშვი კი არა, ხორცის ნაჭერი ყოფილიყო.

ნიკიტას ისე შეწუხდა, რომ ხმამაღლა ატირდა. გული თითქოს გაუსკდა და შიგნით სადღაც ღრმად, ჩაეღვარა. იცოდა, დედის მითითებას უმუხთლა და ახლა სამაგიეროს იმკიდა. ზორბა კაცმა მას ყელში წაავლო ხელი და მაგიდისკენ წაათრია. თითქოს საყვარელი ადამიანის გაუჩინარება საკმარისი არ იყო ამ ოჯახისთვის, რომ ნიკიტას ტრაგედია არ შემატებოდა. ბოროტებას დასასრული არა აქვს!

თავი 24
მღვდელი და მისი მოქიშპე

მამა ევგენიმ მთელი დღე ლოცვაში გაატარა ეკლესიაში. მას მეტი არაფრის სურვილი არ ჰქონდა. ევედრებოდა ღმერთს, რომ უფრო ნათლად ეხელმძღვანელა მისთვის და მიუხედავად იმისა, რომ მისმა სულმა სიმშვიდე მოიპოვა, მაინც შიშობდა, ვაითუ არასაკმარისად ვილოცეო. როცა ეკლესიის წინა კარი ჩაკეტა და წმინდა მიქაელის ეკლესიიდან გავიდა, თავი დამნაშავედ იგრძნო, რომ უფრო დიდხანს არ ილოცა. უნდოდა, სცოდნოდა, იყო თუ არა მისი ლოცვა ღრმა და წრფელი, რომ ღმერთს ყურადღება მიექცია მისთვის და საზოგადოებისთვის, რომლის მიმართ მამა ევგენი სერიოზულ პასუხისმგებლობას გრძნობდა.

– ნიკიტაა იქ, დიმიტრის პატარა გოგონა! რატომ უნდა წასულიყო „ჩეხოვში“? ის ხომ დაკეტიალია! – ჩაილაპარაკა მან თავისთვის.

მან ხელი მოკიდა დიდ ჯვრიან ჯაჭვს, რომელიც გულზე ეკიდა და ჯვარი ხელებში მოიქცია. უყურებდა, ნიკიტა რომ მარტო შევიდა „ჩეხოვში“; იცოდა, მას იქ არაფერი ესაქმებოდა. მამა ევგენი თავის მანქანისკენ გაემართა, გახსნა საბარგული, ამოიღო ბენზინიანი ბოთლი და გასწია „ჩეხოვისკენ“. მამა ევგენი ძლიერი კაცი იყო და არასდროს შინებია ფიზიკური დაპირისპირების. მიადგა წინა კარს და დააკაკუნა.

შიგნით ყველას დამცინავად გაეცინა, ეს-ესაა მთავარი გმირი გამოჩნდაო, გაიფიქრეს მათ.

– უფალია ჩემი მწყემსი. მე არაფერი შემიძლია!

მათ მაშინვე სათანადოდ ვერ შეაფასეს მღვდლის ძალა, რომელიც ხმამაღლა მოუწოდებდა ღმერთს. ყველა ვამპირი, ვინც

ეს გაიგო, წამიერად გაიყინა. მღვდელს ხელში მაღლა ეჭირა ჯვარი, რომ მათ კარგად დაენახათ და დაბრმავებულიყვნენ.

ნიკიტა გათავისუფლდა უცნაური, მაღალი კაცის ხელისაგან. განუსაზღვრელი იყო სიტყვა და ძალა ყოვლადშემძლე ჯვრისა. ვამპირების ყბები, ზვიგენის ყბებივით ფართედ დაღებულები, რომ ორივენი - გოგონა და მღვდელი შთაენთქათ, ყინულივით გაშეშდნენ, როგორც კი მათ შეეხნენ. თავდაჯერებული მამა ევგენი ისე დადიოდა ამ წყეულებს შორის, თითქოს რიცხობრივად აჭარბებდა მათ.

– ის მიშვებს მე მწვანე საძოვარზე დასაწოლად,! ის მატარებს მე წყლის მშვიდი დინების გვერდით, ის ახალისებს ჩემს სულს!!!

რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა მღვდელი, მით უფრო იკუნტებოდნენ და სლუკუნებდნენ სიბნელის არსებები.

– ის მიმიძღვის მე სწორ გზებზე თავისი სახელით! მიუხედავად იმისა, რომ მე ყველაზე ბნელ ხეობაში დავდივარ, არ მეშინია ბოროტების, იმიტომ რომ ჩემთან ხარ! შენი კვერთხი და შენი დასი მიფარავს მე!“

ერთმა ვამპირმა აიღო საცემელა, რომ მღვდლისთვის ჩაერტყა. მამა ევგენიმ დაინახა მისი ჩრდილი და დარტყმა მარჯვენა მკლავით თავს ზემოთ შეაჩერა. შემდეგ, როცა შეტევა თავსზემოთ მოიგერია, ვამპირი ფეხქვეშ გაიგდო, სახეზე დაადო ვერცხლის ჯვარი, რომელიც უსულოს ცეცხლივით უწვავდა სახეს და ლოცვა განაგრძო.

– სუფრას მიმზადებ ჩემი მტრების თანდასწრებით. მაცხე ზეთი თავზე... აივსო ჩემი ფიალა! შენი სიკეთე და წყალობა ნამდვილად თან გამყვება მთელი ცხოვრების მანძილზე და მე მინდა, უფლის სახლში დავრჩე სამუდამოდ!

მამა ევგენიმ შემოიარა მთელი „ჩეხოვი“ და ნაცვლად ნაკურთხი წყლისა, ყველგან ბენზინი მოასხურა. როცა მორჩა, აიყვანა ნიკიტა ხელში და უსაყვედურა, ასე გვიან გარეთ როგორ რჩებიო. გაიყვანა კარებში, დასვა ქვევით, ანთებული ასანთის ღერი ესროლა დასხმულ ბენზინს, ნიკიტა ისევ ხელში აიტაცა

და გაიქცა. რამდენიმე მეზობელი წყლიანი ვედროთი გამოიქცა.

– თქვენ თუ გაბედავთ და ცეცხლს ჩააქრობთ, ვერასდროს ვერ შეხვალთ არათუ ჩემს, არამედ ამ ქვეყნის ვერცერთ ეკლესიაში!

ერთმა მეზობელმა წინააღმდეგობა რომ გაუწია მას, მღვდელი განრისხდა: – დადე ვედრო! მე ჩვრებისგან კი არა ვარ შეკერილი. ვიცი, როგორც უნდა ვიბრძოლო. მე ბრძოლებში აღვიზარდე. ან შეეშვი და აცალე დაწვა „ჩეხოვს“ ან მე ვიზრუნებ, რომ დაიწვას!

– როდიდან არის ასე აუცილებელი „ჩეხოვის“ დაწვა? – იკითხა კაცმა.

– თვალები და ტვინი რომ გქონდეს, გეცოდინებოდა, როგორი საჭიროა „ჩეხოვის“ დაწვა. ჩემი სულიერი შვილის, ათანასეს, გარდაცვალების შემდეგ, მის დაწესებულებაში სატანები ფუთფუთებენ. მაგრამ მე მგონია, შენ ეს იცი და ცდილობ, სიმართლე დაფარო!

– დავფარო?

– ხო, არ მეგონა, რომ შენ ბოროტებას აიგნორებდი... მიუხედავად იმისა, რომ აქამდე ჩვენთან ერთად მტრის წინააღმდეგ არ იბრძოდი. დაღვარე ეს წყალი, თორემ უბედურება დატრიალდება!

კაცმა ვედროდან წყალი მიწაზე დააქცია და იქაურობას გაეცალა.

– ხედავ, ჩვილო ჩემო? როგორც ხედავ, მარტო დემონები და ვამპრები კი არ არიან აქ, რომელთაც თვალი უნდა ადევნო _ ზოგი ადამიანი, ვისთან ერთადაც ჩვენ ვცხოვრობთ, თავისი იგნორირებით, ბოროტების გვერდით დგას.

ნიკიტას უნდოდა მადლობა გადაეხადა მისთვის და ეთქვა, მეგონა, მამა იქ იყო და უცნობ კაცს ამიტომ გავყევიო, მაგრამ ძალიან აღელვებული იყო განცდილისგან. ნაცვლად ამისა, აქ უფრო უარესიც ხომ არ ხდებაო, ჰკითხა.

– დიდი სურვილი მაქვს, გითხრა არა-მეთქი, მაგრამ შემი-

ძლია მხოლოდ დაგეთანხმო, რომ ხდება. მუდამ დედის გვერდით იყავი! რასაც დედა გეტყვის, ის გააკეთე და არასდროს მარტო არსად წახვიდე, მის გარეშე. მე და სხვები, ყოველთვის იქ კი არ ვიქნებით, რომ გიშველოთ. გარეთ ყოფნა საშიშია და ჩვენ მხოლოდ დაცვა შეგვიძლია უდანაშულო ადამიანის. მაგრამ თვითონაც უნდა დაიცვას ადამიანმა თავისი თავი, გაიგე? – დაამატა მან მტკიცე, ნაწყენი ხმით.

– დიახ, მამაო, გავიგე.

– კარგი. სახლში წაგიყვან. თუ ანის არ ეღვიძება ახლა, უკეთესი იქნება მისთვის, რომ ავად არ გახადოს ნერვიულობამ, რაც კიდევ უფრო ცუდად იმოქმედებს მასზე, თუ გავითვალიწინებთ იმას, რაც უკვე განიცადა.

– მამაო, მათ მითხრეს, რომ იცოდნენ, თუ სად იყო მამაჩემი.

– მივხვდი, რომ ამას გეტყოდნენ. ისინი მხოლოდ სატანას ემსახურებიან, სხვას არაფერს. ყველაფერს აკეთებენ ხალხის მოსატყუებლად, განსაკუთრებით შთამბეჭდავად მოქმედებენ ახალგაზრდებზე. არცერთმა ბოროტმა ძალამ არ გაცდუნოს ან გადაგაცდუნოს იმ გზიდან, შენ რომ სწორი გგონია. მხოლოდ იმის მითითება შეასრულე, ვისაც, მხოლოდ გარკვეული მიზეზით შენთვის მისი მოცემის უფლება აქვს,.

– მე ცხოვრებაში, აქამდე, არასდროს შემშინებია, რადგან ყოველთვის ჩემს ინსტიქტს ვენდობი.

– მნიშვნელოვანია ინსტიქტს რომ ენდო, მაგრამ უფრო ღვთის უნდა გწამდეს. ის ყოველთვის გიშველის, განსაკუთრებით მაშინ, შენ რომ ეს შეუძლებელი გგონია, როგორც ამ შემთხვევაში მოხდა. შენი სიტყვა და ზრახვა არ დაიკარგება. მიენდე მას! მან გამოუშვა პატარა ბავშვი, ცხვარი, მგლების გარემოცვაში. შენ შენი ღმერთის უნდა გწამდეს!

ნიკიტა ერქვა მამა ევგენის გოგონას, რომელიც მეუღლესთან ერთად წაართვა ხანძარმა. ანის პატარა გოგონა რომ დაეცვა, ადვილი იყო იმ კაცისთვის, რომელმაც ყველაფერი დაკარგა, გარდა საკუთარი თავისა. მას შემდეგ თავისი ცხოვრება ღმერთს მიუძღვნა და ერთგულად ემსახურებოდა მას.

მამაოს გამოცდილი ჰქონდა, ისეთი ადამიანების დაკარგვა, რომელნიც უაღრესად უყვარდა. თავისი ერთადერთი სიყვარულის, ელენეს, დაღუპვის შემდგ, მას ცოლი არ შეურთავს.

როგორ უნდოდა ნიკიტასთან ერთად სახლისკენ მიმავალ მამა ევგენის, გვერდით ჰყოლოდა თავისი გოგონა, რომ მასზე ისევე ეზრუნა, როგორც მაშინ, როცა ის პატარა იყო. ის ამ ფიქრებში ისე ჩაიძირა, მეტი არაფერი უთქვამს ნიკიტასთვის.

* * *

ანი, პირიქით, ყველაფერს განიცდიდა, რაც ბავშვთან იყო დაკავშირებული. მას ტანჯავდა განცდა, კიდევ ერთი საყვარელი ადამიანის დაკარგვისა და ის, რომ არ იცოდა, ოდესმე თუ დაბრუნდებოდნენ ისინი. ეს მას ისევე წვავდა, როგორც ჯოჯოხეთის ცეცხლი – დაკარგულ სულს. ის უძრავად იჯდა სიბნელეში, გვერდით მოესვა ორი მასზე მინდობილი ბავშვი, რომლებიც დედის მიბაძვით გულსაკლავად იგივეს აკეთებდნენ.

– ნიკიტა! სად წახვედი? სად წახვედი? – მოთქვამდა ანი დაეჭვებული.

უნდოდა დაეხოკა კანი, მუშტები ერტყა კედლისთვის, ღერა-ღერა დაეგლიჯა თმები. კარზე ზარის ხმა რომ გაიგო, ანი კარისკენ გაიქცა. კარებთან ნიკიტა იდგა, მღვდელთან ერთად. მამა ევგენიმ იცოდა, ანის, ასე წონასწორობადაკარგულს, ადვილი შესაძლებელი იყო, გაელახა ნიკიტა იმისთვის, რაც ჩაიდინა.

– არ მცემო დედა! ჭკუა ვისწავლე!

– არ გცემო! კინაღამ დაგკარგე.... ჩემი ერთადერთი გოგონა. იცი შენ, ეს რა გრძნობაა დედისთვის? სად იყავი? სად წახვედი ასე გვიან ღამე, ისე რომ არც მითხარი?

– მღვდელმა გადამარჩინა. უკვე საშიში არაფერია!

– მართალია, რასაც ბავშვი ამბობს! ის უვნებელია და ღმერთს მადლობა უნდა შევწიროთ, რომ ის კარგადაა. მაგრამ ჩვენც

ფხიზლად უნდა ვიყოთ და ახლოს ვიდგეთ ერთამანეთის გვერდით, განსაკუთრებით – ასეთ საშიშ დროს.

ანი ხელზე ემთხვია მამა ევგენის და სთხოვა, ნუ დგახართ გარეთ, შემობრძანდით და დარჩით ჩვენთან ცოტა ხანი; აქაურობა დაცარიელდა, რაც დიმიტრი წავიდაო.

– კარგი, კარგი, ცოტა ხნით შემოვალ. მანამ, სანამ ბავშვები შეწუხდებიან!

– ბავშვებო, ხომ არ შეწუხდებით, მამა ვგენი რომ შემოვიდეს ჩვენთან სალაპარაკოდ? – ჰკითხა ანიმ თავის ბავშვებს, რომლებმაც ისე შეხედეს დედას, რომ ეტყობოდათ, აშკარად უყვარდათ მამა ევგენი და პატივს სცემდნენ მას. არაო, თავი დაუქნიეს დედას და მღვდელს გაუღიმეს.

მამა ევგენი შემოვიდა და დაჯდა სტუმრისთვის განკუთვნილ სკამზე, რომელიც შედარებით კომფორტული იყო მთელს სახლში.

– რა ხდება ამ საშინელ ვილიჯსა და ხეობაში? – ჰკითხა ანიმ მას.

მღვდელმა არაფერი უპასუხა. გაჩუმდა და გაახსენდა დამფრთხალი დემონური არსებები „ჩეხოვში“, რომლებიც ამობუგა და ფერფლად აქცია და როგორ ადვილად შეძლებდნენ ისინი, თავიანთი ძალებით გაენადგურებინათ სულიერების ნაკლებად მქონე ადამიანები. ნიკიტამ შეაწყვეტინა მას ფიქრები.

– დედა, შენს გარეშე არასდროს გავალ სახლიდან. გპირდები... აღარასდოს განმეორდება მთელი სიცოცხლის მანძილზე ის, რაც ამაღამ ჩავიდინე! აღარასდროს გატკენ გულს!

– კარგი გოგონა გყავს. დაუჯერე!

– მპირდები ნიკი, რომ ცხოვრებაში არ იქნები გაუგონარი და არ გააკეთებ იმის საპირისპიროს, რაც მე გასწავლე შენს ხანმოკლე ცხოვრებაში იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იყო დაცული?

– კი, დედა გპირდები! – დაისლუკუნა ნიკიტამ.

– კარგი... კარგი, ნიკიტა. – ანი ბავშვს მოეხვია და ორივეს ცრემლები წასკდა.

* * *

– რა საწყენია, რომ ყველა კარგი ვამპირი დაიწვა! – უთხრა „თეთრმა ხელმა“ ასმოდეუსს, როცა ლუდის ბოთლი გახსნეს, ჯოჯოხეთის სარდაფიდან ამოტანილი. – თავიანთ ლიდერებთან ერთად რომ დაიფერფლნენ! – გაატკაცუნა ხელის ორი თითი მომხდარზე ხაზის გასასმელად. – რა სამარცხვინოა! სატირალი! – დასძინა მან. – ცუდადაა საქმეები! საკმაოდ ბევრს ცუდ ფაქტს გადავაწყდი ამ ბოლო დროს ... მთელი წელი გამახელებს!

– არ მესმის შენი წუხილის მიზეზი, ეთაგორია ნებსონიასა და მისი კომპანიის გამო, რომელსაც თავისი თავი და თავისი გუნდი უნდოდა, ყველა მათი ფანტასტიკური სამეცნიერო იდეებისა და მისი სისულეების გამოხატვით, განათლებულ უკვდავ წინამძღვრებად წარმოეჩინა.

– მაგრამ ასმოდეუსს, ეთაგორია ხომ შენს მხარეს იყო!

– ეს უთავბოლო პრეტენზიები! ნუ მაცოფებ! ძველი გზები და როლები არ იყო საკმარისად კარგი. მას უნდოდა, ქალაქელივით ყოფილიყო, ზედმეტად თავდაჯერებული და თავისი იდენტურობით კულტივირებული.

– მე მეგონა, შენ მოგწონდა მისი იმიჯი.

– შენ გეგონა, მე მომწონდა ნებსონია და მისი მეგობრები? მე? მე მომწონდა? მე ვაყოვნებდი იმ იმედით, საკმარისად მომერჯულებინა, რომ ლუციფერზე, ამ კუთხით, მოეხდინა შთაბეჭდილება. არ გგონია, რომ ჩვენ უკეთ გავაკეთებთ ახლა ყველაფერს მის გარეშე, როცა ის ფერფლად იქცა?

– მე ვთვლიდი, რომ ჩვენ გავძლიერდებოდით, რაც უფრო მეტი მიმდევარი გვეყოლებოდა!

– შენ უფრო მეტი წრთვნა გჭირდება, რომ გაიგო, რას წარმოადგენს ბიძია ასმოდეუსი, ბატონო „თეთრო ხელო“! მე მიყვარს ბოროტი საქმეები... ბატონ ნებსონიას თავისი დაკრუნჩხული მანერებით ერთი რამ აწუხებდა: – ნება დამრთეთ, გავყინო სისხლი და გადავაქციო ჩემი ვამპირები ცივილურ ფსევდო-ადამიანურ არსებებად, რომლებიც არ ინადირებენ!

მაგრამ ეთაგორიამ ისინი იმპოტენტებად აქცია და გაანადგურა ყველა ჩემი ზომბი და კანიბალი. შენ მიცნობ მე. ერთი ჩვეულებრივი ბიჭი ვარ. მე მიყვარს ადამიანების შეგროვება და მათი ჩაძირვა ან მათი ორგანოებით თამაში. ეთაგორია ნებსონიას გუნდის სხვა ნებისმიერი წევრები მხოლოდ დეგენერტები იყვნენ, რომელთაც ეგონათ, რომ თვითონ სჯობდნენ თავიანთ ვეტერან დემონს, რომელიც იმ დროიდან იყო იქ, როცა ძველი ნიკი გააძევეს სამოთხიდან. მღვდელმა გაგვიწია დახარება ისე, რომ არც კი იცის ამის შესახებ. ახლა ყველაფერი ისე იქნება, როგორც უნდა ყოფილიყო: სატანა თავისი გენერლებით, ჩემნაირებით, იქნება ხეობის ხალხის წინააღმდეგ. ჩვენ მზადა ვართ, გავხდეთ ყოვლისშემძლე ჯალათები. მე მიყვარს უმი ხორცი. ასე რომ „თეთრო ხელო“, ალესე შენი დანა!

– რისი გაკეთება გინდა? გინდა ყველა დახოცო აქ? – ჰკითხა „თეთრმა ხელმა“.

– დემონი ამას არასდროს ჩამადენინებს! მაგრამ შემიძლია, ვცადო. ხომ კარგი აზრია?

– რა გინდა ამით დაამტკიცო?

– რომ ჩვენ ვართ პასუხისმგებლები და არა – ღმერთი. ჩვენ ვაგებთ პასუხს ამ ხეობის გამო და ადამიანებს უფრო უნდა ეშინოდეთ ჩვენი და ჩვენი ძალაუფლების. ისინი უნდა დაგვემორჩილონ და არასდროს ხელი არ უნდა შეუშალონ დემონის საქმიანობას ან განადგურებას. მხოლოდ ისინი იქნებიან ძლიერები, ვინც დემონს მიჰყვებიან. ეს უნდა ისწავლონ მათ.

– დემონი რას გააკეთებს მათთვის?

– რას გააკეთებს ლუციფერი მათთვის? პირველი, ის თავისუფლად იქნება ამ ადგილას, და ვერაფერი შეაჩერებს მას. მღვდელიც კი, თავისი ლოცვის წიგნებით. გველი მკაცრია და მკაცრნი არიან მისი მიმდევრებიც. არ შეგეშალოს! უნდა გამოვიყვანოთ ხალხი თავიანთი სახლებიდან და ვასწავლოთ, როგორ ხდება დამონება და როგორ უნდა აქციონ მონებად ერთმანეთი, ასე რომ, ჩვენ არ მოგვიხდება ამ ქვეყნის ოკუპაცია. დემონის ნიშანი იმოქმედებს აქ. ჩვენ კი უნდა ვმართოთ

ყველა შეშლილი, რომლებიც ზარალს გვაყენებენ.

ასმოდეუსმა შეხედა წმინდა მიქაელის ეკლესიას. მას ბრაზი ახრჩობდა. როგორ შეეძლო ასეთ პატარა შენობას, ასე შეეშალა ხელი მათი წარმატებებისთვის. ერთადერთმა ამ ადგილმა შეაჩერა მათი ქურდობა და მტაცებლობა.

მამა ევგენი ვერ დარჩა ანისთან და მის ოჯახთან. საუბრისას მან ისე არაკომფორტულად იგრძნო თავი, როგორც არასდროს. თითქოს ღალატობდა წმინდა მიქაელს, იქ რომ არ ლოცულობდა.

– ბოლოსდაბოლოს ერთი ნაჭერი ახალი პური მაინც მოგვეძევება თქვენთვის, – უთხრა ანიმ და მასაც არ შეეძლო ხელი ეკრა მისთვის. აზრი არ ჰქონდა უარი ეთქვა სხეულის საზრდოზე.

– წავიღებ პურს ანი. ბავშვები დაიქანცნენ. მათ თვალებში ვხედავ დაღლილობას. გამიხვიე პური ტილოში და გზაში შევჭამ, ეკლესიისკენ მიმავალი. ამ საშინელ დროს ჩემი სამუშაო ძალიან პრიორიტეტული გახდა. არ არის სხვა გზა!

თავი 25
ბრძოლა ძალაუფლებისთვის

– რა თქვი? – ჰკითხა დამჯდარმა ლუციფერმა ასმოდეუსს, რომელსაც კუდი უტოკავდა მღელვარებისგან. ჯასნასთან გატარებულმა საათებმა ის დააბნია. ჯასნას სიამოვნების მინიჭების უნარ-ჩვევების დიდი არჩევანი ჰქონდა, რომელთაც სხვადასხვა საბჭოთა დაწესებულებებში დაეუფლა და არ უფრთხოდა მათ გამოყენებას. – შენ ამბობ, ეს საცოდავები, წყვეტენ, რომ ჩემზე უკეთესს იმსახურებენ? მე ვუჩვენებ მაგათ, თუ ნამდვილად ვის უპყრია ხელში მთელი სამყარო!

– ჯოჯოხეთი მზადაა, თუ რამე, – უთხრა ასმოდეუსმა რბილად. – თუმცა როგორც ჩანს ბევრი დრო იკარგება უქმად.

– ხალხის აზრით, მე ნაკლებად ეფექტური ვარ, თუ ჰგონია, რომ არაფერს გავაკეთებ!

„მაგრამ ხომ ეგაა, რაც ბოლო ათი წლის მანძილზე გააკეთე?“ – ფიქრობდა ასმოდეუსი თავისთვის, რომ დემონს არ გაეგო.

გარდაცვლილ ეთგორია ნებსონიას მსგავსად, მის მეტოქეს, ასმოდეუსს დიდი ხანია უნდოდა, ხელში ჩაეგდო დემონის ძალაუფლება. ლუციფერი დიდხანს იყო მეფედ! ჯოჯოხეთში უნდა ჩაგეგდო და შამფურზე წამოგეცვა – ეს იყო ის, რასაც დემონების მეფე, ორმაგად, იმსახურებდა. ეს კი იმას ნიშნავდა, ასმოდეუსისი აზრით, რომ ის დამაჯერებლად კარგად ვერ მუშაობდა. ასმოდეუსს გააჩნდა თავისი მოსაზრებები, რომელთაც ის არასდროს ამჟღავნებდა, რომ ლუციფერი არ მიმხვდარიყო, რადგან ეშმაკზე კარგად ვინ იცოდა, როგორი დამათრობელი და ავის მომასწავლებელი იყო ძალაუფლების წყურვილი? მან არაერთხელ აღიარა, რომ მისი დუღილი იმის

ნახევარზე მომწამვლელი არ იყო, რაც ძალაუფლებისთვის ბრძოლაა, არც ისე რთულია, წყნარი ექსტრემალური დამანგრეველი სამოქალაქო ომის წამოწყებაა (მანამ, სანამ ძალებს შორის დავა მთელი გარემოს არ გაანადგურებს). ომის მაგიამ და სილამაზემ ცხადყო, რომ იქ, სადაც დაავადებული და გადაგვარებული საზოგადოებაა, ეშმაკს დიდი გარჯა არ სჭირდება ბოროტების დასათესად.

ლუციფერი, რომელიც გრძნობდა აზრთა სხვადასხვაობას, მოითხოვდა, თავისი დემონური ხროვები თავს დასხმოდა ხეობას. ის მოუწოდებდა მათ:

– დემონებო, რომლებიც მიწისქვეშ დაძვრებით! გამოიწვიეთ მიწისძვრა და სასიკვდილო გამყინვარება! დაე, ციმბირელებმა გამოსცადონ სიცივე, რომლის მსგავსი ჯერ არ ყოფილა!

კანიბალო დემონებო, რომლების დიდი ხანია შიმშილობთ, გამოდით!

გამოდით ახლა, დაღუპვის ძეებო, თქვენი არმიებით ჯოჯოხეთის სიღრმიდან, სადაც ეკლესიის მიერ თქვენი დამცირების შემდეგ დაბრუნდით. დამცირება არ არსებობს დამპყრობელთათვის, ჩვენ მივაღწევთ წარმატებებს! ამოდით ჭაბურღილებიდან, რომლებიც თქვენთვის გათხარეს უვიცმა მენავთობეებმა, როგორც ნამდვილი არხი ჯოჯოხეთსა და დედამიწას შორის.

გადაწვით დაცვის ქოხი ხვრელის მახლობლად და მოედეთ ამ მიწას, რომ არავის შეეპაროს ეჭვი ან არ შეგვარქვან ფანტზიორები! უჩვენეთ მათ, რომ მეტად ვეღარ უარგვყოფენ! ისინი უნდა დაგვემორჩილონ! მათ ქედი უნდა მოიხარონ თავიანთი ბოროტი მეფის წინაშე და შეეშვან უტიფრობას!

ნუ მიუტევებთ მათ, ვინც თავისი პატივმოყვარეობის გამო გაგვიწია წინაღმდეგობა _ დათხარეთ თვალები და გადმოაყრევინეთ ნაწლავები. ამოაგლიჯეთ ენა ისე, რომ შემდგომ ცხოვრებაშიც ვერ ამოთქვან სიტყვა!

მოდით დემონებო, ყველანი _ ვუჩვენოთ მათ, როგორ გაი-

მარჯვებს ბოროტება და როგორ განადგურდება ყველაფერი კარგი. როცა დავიპყრობთ ამ ტერიტორიას, მთელი რუსეთი დაეცემა და ჩვენ ხელახლა გავაკეთებთ ყველაფერს ისე, როგორც უნდა იყოს. მოდით და იმოქმედეთ დემონებო! ხელები, რომელთაც ეკლესიები უპყრიათ ხელში, უნდა დააქუცმაცოთ ნაწილ-ნაწილ. თვალები, რომლებიც რწმენას არიან მიპყობილნი, მხოლოდ სიბნელეს უნდა ხედავდნენ. გული, რომელსაც სიყვარული სწყურია, სიძულვილს მიიღებს. ბაგეები, რომლებიც ლოცულობენ, დადუმდებიან და არავის იტყვის ამ სისულელეს ხელმეორედ. რადგანაც მე ვუხელმძღვანელებ სახელმწიფოს და ვასწავლი სამყაროს, როგორ უნდა მართვა. ვინც გაბედავს და ხელახლა განმიდგება, დაინახავს, სად წაიყვანს თავისი გამბედაობა.

მოდით ახლა, დემონებო, ააჯანყეთ ხალხი, აამხედრეთ ერთმანეთის წინააღმდეგ, ნურავის ექნება მშვიდი თავშესაფარი, მხოლოდ შიშში ამყოფეთ ისინი! განარისხეთ ხალხი, განსკუთრებით ისინი, ვინც თვისი შეუწყნარებლობის საბაბად ღმერთს იყენებს. ბრაზით აავსეთ მათი გული და ასწავლეთ, როგორ უჩვენოს თავის თანამემამულეს, რომ არ შეიწყალებს.

გამოდით, დემონებო, ახლა, რადგან მალე ჩვენ ვუხელმძღვანელებთ აქ ყველაფერს! აქ, ამ უდაბნოში, დაიწყება ჩვენი მუშაობა! ამ ადგილს სძინავს! დადგა დრო, გამოვაფხიზლოთ ველური სისასტიკითა და სიგიჟით. უჩვენეთ ხალხს, როგორია ჩემი ტირანია სინამდვილეში, სადაც ვერავინ გაბედავს ხმის ამოღებას და ვერ იოცნებებს თავისუფლებაზე! უჩვენეთ, რაც სჭირდებათ სინამდვილეში დღესდღეობით ამ პერიოდში, რათა ჩემებურად ვუხელმძღვანელო!

გამოდით დემონებო! ეს მიწა ჩემს ნიშანს ელოდება _ განწმენდილები და წმინდანები მოისპობიან!.. დროს ნუ დაკარგავთ! დავიძრათ, რომ ეს მიწა ჯოჯოხეთის ახალი დონე გახდეს?

მამა ევგენი დაბრუნდა წმინდა მიქაელის ეკლესიაში, რომ უფრო მომზადებულიყო, არა მხოლოდ როგორც მლოცველი. „ყველაფერი ამაღამ დაიწყება, მიუხედავად იმისა, ჩვენ მზად

ვართ თუ არა საამისოდ. ისინი არიან დამწყებნი და ისინი გადავლენ შეტევაზე. მე ამას ვგრძნობ!“ უცებ მან იგრძნო, თუ როგორ მოსწვდა ჯოჯოხეთის მხურვალე ალი (დაცემული სულებით გაჟღენთილი), რომელიც მოედინებოდა, დიდდებოდა და მოთქრიალებდა მიტოვებული ჭაბურღილიდან. მამა ევგენი გაიქცა ეკლესიისკენ. „რა თქმა უნდა, მე არა ვარ ერთადერთი, ვინც გაიგო ჯოჯოხეთის ეს ღმუილი!“

მაგრამ ეტყობა, მართლა ერთადერთი იყო. ხეობაში მცხოვრებთ მკვდრებივით ეძინათ თავიანთ სახლებში.

ხეობაში, ტობიასის ქოხის ირგვლივ, ზეცა მფრინავი დემონებით გაივსო. მიწა ტორტმანებდა მათთან ერთად. ეს ადასტურებდა იმ ბნელ მოვლენებს, რომელთაც ლუბა შეესწრო ათი წლით ადრე და რამაც მისი დეპრესია გამოიწვია. ამ ადგილს, რომელსაც მან თავისი ქორწინება დაუკავშირა, სულიერად ღრმა ძილით ეძინა და სულს ღაფავდა, ნაცვლად იმისა, რომ რეალურად ეზრუნა, რათა აეცილებინა მოსალოდნელი ბედისწერა. ასე რომ, ის რისკზე წავიდა და თავისი ხედვა სხვებს არ გაუზიარა.

როცა მამა ევგენიმ მიაღწია ეკლესიის წინა კარებს, შვებით ამოისუნთქა; მამა დიმიტრის და მამა ილიას ეღვიძათ და ფხიზლობდნენ. სერგეი, რომელსაც არ ძალუძდა გათენებამდე ლოდინი, იქ იყო თავისი ხატებით, ორმა მღვდელმა რომ უკვე აკურთხა. სერგეი თავისი ახალშეძენილი ძმების, ტობიასის და ანისიმის გვერდით იდგა.

– კაცებო, თქვენ იცით, ჩვენ ახლა რაც უნდა გავაკეთოთ, – თქვა მამა ევგენიმ მას შემდეგ, რაც ხატები აკურთხა და წმინდა წყალი მიაშხეფა.

ტობიასმა და ანისიმმა მკლავებში ჩაიკრეს წმინდა მიქაელის და წმინდა გიორგის ხატები, მამა დიმიტრიმ, მამა ილიამ და მამა ევგენიმ დიდი ხის ჯვარი აღმართეს თავს ზემოთ.

– ვიაროთ და ვილოცოთ უფლის სიტყვებით ჩვენს გულში და სულში! ჩვენ ვერაფერი გამოგვიწვევს; ვერანაირი ბოროტება ვერ დაგვამარცხებს. ვივლით სანამ არ ვიპოვით ხვრელს,

საიდანაც ჯოჯოხეთი იფრქვევა.

– მე ვიცი, სადაც არის, – თქვა ტობიასმა. – კომპანია თხრიდა ახლოს, სადაც მე ვმუშაობ. ამ დილით, რომ გავიღვიძე, მთელი მათი ეკიპაჟი წასული დამხვდა. რაღაც ბოროტის არსებობა შევიგრძენი, რის მსგავსიც არასდროს გამომიცდია. ამან მაიძულა დღეს მიმეტოვებინა იქაურობა და ეკლესიაში მოვსულიყავი. სხვა შემთხვევაში იქ დავრჩებოდი, ყველაფერი ნორმალურად რომ ყოფილიყო.

– გვიჩვენე გზა! – უთხრა მამა ილიამ.

– ხო, გაგვიძეხი წინ! – თქვა მამა დიმიტრიმ.

მათ ხანგრძლივად ილოცეს. არც ერთ მათგანს არ ეშინოდა. რომც ეგრძნოთ შიში, მზად იყვნენ გადაელახათ. რაც უფრო დიდხანს მიდიოდნენ ქალაქში მამები, მით უფრო ბევრი ხალხი უერთდებოდა მათ. ყველამ ზუსტად იცოდა, რის წინააღმდეგ ილაშქრებდა.

დედებიც შემოუერთდნენ თავიანთ, თბილ საბნებში გახვეულ ჩვილ ბავშვებთან ერთად. ვინც ნორმალური იყო და სურვილი ჰქონდა, ვილიჯი გადარჩენილი ენახა, არავინ არ დარჩენილა შინ. როცა მამა ევგენი ანის სახლთან მივიდა, ანი მაშინვე მიხვდა, რაც მოხდა და თუ რატომ გააფრთხილა ის მამა ევგენიმ, ფხიზლად იყავიო.

– მოდი, ნიკიტა! მოცდის დრო არ არის. მომეხმარე, შენს ძმებს მივხედო!

– დედა, მეშინია! შენ არ შეგიძლია გაიგო, რა ბოროტებას გადავეყარე მე ამაღამ!

– მე შენი დედა ვარ. შენზე მეტი ვიცი, ვიდრე შენ გგონია. თუ გინდა უფრო მეტი ბოროტება ნახო აქ, დარჩი სახლში! სხვა შემთხვევაში, შემოგვიერთდი მე და შენს ძმებს და გავყვეთ მღვდლებს!

დემონები აღფრთოვანებულები იყვნენ. ჯოჯოხეთმა ყბა დააღო; დრაკონი დემონი ჯოჯოხეთის ხვრელთან ელოდა სულების დიდებულ კერძს! ვინ უშველიდა მათ?

განაჩენი გამოტანილი იყო თუ – არა, არავის შეეძლო შეე-

ჩერებინა მთავარი დრაკონი, ლუციფერი. სატანამ დააანონსა ნაადრევი გამარჯვება კურიოზული მანერით, დარწმუნებულმა, რომ მას ჰქონდა სრული მბრძანებლობა დედამიწაზე და კაცობრიობის ბედზე.

დრაკონ დემონს არაფერი სჯეროდა, გარდა სატანის სიტყვებისა. მისი სოციალური კავშირები, ასმოდეუსის გამოკლებით, ძალიან შეზღუდული იყო. ასმოდეუსი დიდი ხანია განუდგა ვიწროდ მოაზროვნე დრაკონ დემონს. ვერ დააჯერეს ის, რომ მოეშორებინა თავისი ყბები იმ სულისგან, რომელიც შთანთქა. ასმოდეუსს სურდა, რომ თავისი ჭკვიანური გეგმა-მოეხდინა სატანის ძალაუფლების უზურპაცია, გაეზიარებინა დრაკონი დემონისთვის, და ბოლოსდაბოლოს, მას აუხდა სურვილი.

– რასაც შენ ამბობ, არ შეესაბამება ჩემს უფროსს, – უპასუხა დრაკონმა დემონმა, რომელსაც სული შეუწუხა იმ იდეამ, რომ ვიღაც ცდილობდა ლუციფერისთვის ეშმაკობაში ეჯობნა. თავისი შეზღუდული ინტელექტის გამო მან ვერაფერი გაიგო და მთელი ძალ-ღონით ეძებდა შესაფერის სიტყვებს პროტესტის ნიშნად. ასმოდეუსმა თავი გააქნია იმედგაცრუებულმა.

– ჩემი ყბები მუდმივად ღიაა სულებისთვის, თუკი თავს მომაბეზრებ შენი სისულელეებით, შენც სულ ნაწილ-ნაწილ დაგღეჭავ. შენ არ იქნები პირველი დემონი, რომელიც პიკანტურს გახდის ჩემს დიეტას. რა გაქვს განზრახული, რას უზამ სატანას, მე რომ ამას ვეტყვი.

– შენ არაფერს ეტყვი სატანას!

– რატომ არა?

– სიტყვას არ ეტყვი სატანას ან კიდევ ვინმე სხვას ჩემს გეგმებზე. მე მარტო ის კი არ ვიცი, რაც შენ ჩაიდინე, რისთვისაც დაისაჯე და გახდი ჯოჯოხეთის მუდმივი ყბა? მე ვიცი სხვა რამეებიც, რაც გააკეთე და რაც სატანამ არ იცის. ლუციფერმა არ უნდა იცოდეს ჩემი გეგმები მისი ტახტიდან ჩამოგდების შესახებ. მას იმის ცოდნა უფრო სჭირდება, რაც შენ გააკეთე ათასწლეულების წინ. ასე არაა?

– მას ნამდვილად არ სჭირდება ამის ცოდნა ბატონო ასმოდეუს!

დრაკონ დემონს შიოდა. მაგრამ მის მადას ცოტა შესვენება მოუხდებოდა დაცემული სულების თავისი ბოლო დიეტის შემდეგ, რომელიც დახლოებით 5 წლის ასაკიდან არ უვარგოდა (იმ დროიდან, რაც ცხოვრებამ და მშობლებმა, რომლებიც ცუდად ეპყრობოდნენ, აბუჩად იგდებდნენ და ასწავლიდნენ არასწორ ქცევას, იძულებული გახადეს ჯოჯოხეთურად ეაზროვნა). ის მომჭირნეობით შეექცეოდა დაცემულ სულებს, რადგან მათ მწარე გემო დაჰკრავდათ. მას ისინი უნდა გადაესანსლა, ასე რომ ისინი შემდეგ თავსდებოდნენ, სხვა, გაცილებით ადვილად მოსანელებელი ფორმით, მუდმივად მოგრუხუნე კუჭსა და ჯოჯოხეთის უღრმეს შიგნეულში.

მაგრამ ახლა ხვრელს უახლოვდებოდნენ კარგი სულები, რომლებიც ჯოჯოხეთისთვის არ იყვნენ გათვლილნი. მრავალფეროვნება კვებაზე უკეთ მოქმედებსო, უთხრა მან ლუციფერს.

– უეჭველად! დარწმუნდი, ყბები ფართედ თუ გაქვს დაღებული, რომ მუცელი კარგი, ჯანსაღი სულებით ამოგივსო! – უპასუხა სატანამ.

– ნერწყვს ვყლაპავ მაგაზე ფიქრში მას შემდეგ, რაც ყური მოვკარი, რომ ისინი შესაძლებელი იყო, ჩემკენ წამოსულიყვნენ. იქ დავდგები, ხვრელთან! დაველოდები, რომ მივესალმო მათ ორმოში.

* * *

იყო ეს სამყაროს დასასრულის დასაწყისი? ხვრელმა დემონებს ისევე გაუთავისუფლა გზა, როგორც მდინარე წყალს აძლევს სავალს. ხეობის ხალხი, ძლეულნი და დაპყრობილნი, შეიძლებოდა სატანის ბრძანებას დამორჩილებოდა.

მოხუცმა გრიგოლმა იცნო თავისი მეზობლები, რომლებიც სასიკვდილო პროცესიას მიუყვებოდნენ. ხედავდა და ესმოდა, ხალხი ქუჩებში ლოცულობდა, მაგრამ ჩათვალა, რომ მისთვის ეს ყველაფერი დაგვიანებული იყო. ის დიდი ხნის წინ განუდგა

ღმერთს. მან ეს ადრე, ციმბირამდე, ნახა - უვიცი მუშების მიერ გახსნილი ხვრელი, საიდანაც დემონები ამოდიოდნენ. ერთადერთი, რამაც ისინი შეაჩერა, იყო ისევ ეშმაკი, რომელიც მათ წინ აღუდგა, თავი გაბრაზებით გააქნია და უთხრა: - დარჩით შინ! თქვენი დრო არ დამდგარა!

ჩათვალეს რა, ციმბირი მეტისმეტად ცივიაო, დემონებმა გადაწყვიტეს დაბრუნებულიყვნენ უკან, ჯოჯოხეთის თბილ ცეცხლთან, როგორც უბრძანეს.

გრიგოლი უყურებდა, ხალხი მისდევდა კაცს, რომელსაც ჯვარი ეჭირა ხელში. „რატომ მიდიხართ საკუთარი საფლავისკენ?“ მან თავი მწუხარედ გააქნია. „იარეთ წინ, თავები გასწიეთ, სულელებო, ასე ხომ სატანის ხროვა წაგაცლით მათ!“

გრიგოლს სჯეროდა, კაცობრიობამ დიდი ხანია თავისი ვადა ამოწურაო. ერათდერთი, რასაც ის აკეთებდა, ეს იყო, რომ დრო გაჰყავდა აკოპალიფსის მოლოდინში. იჯდა თავისი ბაღის ვერანდაზე, დარწმუნებული, რომ კაცობრიობის ბედნიერების აღსასრული დადგაო. ის, რაც ჩვენთვის ღირებულია – იმედებისა და ოცნებების სანთლები, დიდი ხანია, ჩაქრაო. ამას ხანგრძლივი გაჭირვება მოჰყვებოდა. ბნელი გადაძალავდა ნათელს და ჯოჯოხეთის ცეცხლოვანი წარღვნის შემდეგ ახალი ცხოვრება დაიწყებოდა. ადამიანები დაწყევლიდნენ თავიანთ სიძუნწესა და მათ მიერ ბუნების საგანძურის ბოროტად გამოყენებას. დემონები უფრო მეტად მოწამლავდნენ დედამიწას, გამოუსადეგარს გახდიდნენ ადამიანებისთვის საცხოვრებლად. ისინი გამოიკვებებოდნენ ცოცხალი არსებებით მანამ, სანამ სატანა მათ შეაჩერებდა, რათა ზოგი მათგანი დაემონებინა. ყველაფერი ისე იქნებოდა, თითქოს ღმერთი არასოდეს არსებულიყო, რადგანაც მისი ძალა დედამიწაზე არ იარსებებდა და კაცობრიობას მიატოვებდა.

გრიგოლი შევიდა თავის სახლში, მივიდა კომპიუტერთან და ჩართვას დაელოდა. როცა კომპიუტერი გაიხსნა, ჩართო ოპენჰაიმერის, აი-ბომბის მამის, კლიპი, რომელსაც ყოველ კვირა უყურებდა. მოისმინა მისი სიტყვები, კაცობრიობის რა-

სის დაღუპვის შესახებ. გრიგოლმა იცოდა, რომ ოპენჰაიმერის სიტყვები კაცობრიობის არსებობასთან დაკავშირებით გამართლდებოდა. შეწყვიტა მოსმენა, როცა ის ამბობდა: - ჩვენ ვიცით, რომ სამყარო ასეთი არ იქნება!

ზოგმა გაიცინა, ზოგი ატირდა, უმრავლესობა ჩუმად იყო. გამახსენდა ფრაზა ბჰაგავად-გიტას ჰინდური მწერლობიდან. ვიშნუ ცდილობს დაარწმუნოს პრინცი იმაში, რომ მან უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა. მასზე შთაბეჭდილების მოსახდენად იღებს მრავალმკლავიანი არსების ფორმას და ეუბნება: – ახლა მე მკვდარი ვარ, სამყაროს მომსპობი! ვგულისხმობ, რომ ყველა ამდაგვარად ფიქრობს ან სხვაგვარად!

ამ მომხიბლავი ხმის გაგონება გრიგოლისთვის იმდენად ბევრს ნიშნავდა, რომ მუდმივ რეჟიმში უსმენდა.

ძალმომრეობა ყველგან გავრცელდება. არ იქნება მოსვენება ახლა, როცა ჯოჯოხეთმა დაიდო ბინა დედამიწაზე. იქნება სამოქალაქო ომებისა და არეულობის წლები. ერთი ქვეყნიდან გავრცელდება ეს ვირუსი – უკმაყოფილებით დაავადება, და მოედება სხვა მასპინძელ ქვეყნებს. ხალხს დაავიწყდება, რომ ადამიანები და ყველანი ერთმანეთის მეზობლები არიან. იმდენად მოერევათ სიძულვილი, რომ არაფრად ჩათვლიან, იცხოვრონ ძმათამკვლელ კონფლიქტურ სამყაროში. და ეს ყველაფერი აქედან, მიტოვებული, ცივი, ღვთისგან დაწყევლილი ვოდკის ხეობიდან დაიწყება. ეშმაკი ასწავლის კაცობრიობას გაერთიანდნენ უდიდესი მიზნისთვის, რომელიც გამოიწვევს სიკვდილიანობას, წყევლა-კრულვასა და ნგრევას მთელ სამყაროში. ისინი გამოიყენებენ აქ მოპოვებულ შხამს და ლუციფერი იმბრძანებლებს დედამიწაზე.

გრიგოლი იყო ბედიწერის წინასწარმეტყველი და არავის უნდოდა მისი მოსმენა. მეტისმეტად ნეგატიური იყო და მიაჩნდა, რომ კაცობრიობის დაღუპვის მიზეზი, აღსასრულის მოლოდინი იყო. მაგრამ თვლიდა, რომ რეალურები უნდა ყოფილიყვნენ და ღრმად გაეანალიზებინათ.

დემონები დაჰქროდნენ ზევით ღამისეულ ზეცასა და ქვე-

ვით, ვოდკის ხეობის მიწაზე. ლუციფერის ზოგი მიმდევარი, რომლებმაც უღალატეს საკუთარ ადამიანობას ეშმაკის გვერდზე დგომით და ერთმანეთს ექიშპებოდნენ მისი გული მოეგოთ, მათთან ერთად იყო.

ერთი მოხუცი ქალბატონისთვის უცნაურობები ძნელად ასატანი შეიქნა. მას ვოდკის ხეობა სულ სხვანაირი ახსოვდა. ხალხი სამსახურებში დადიოდა, გამოსასვლელ დღეებში ხვდებოდნენ ერთმანეთს და ხალისობდნენ. ახლანდელი მდგომარეობა სრული შოკი იყო მისთვის და გული ვერ უძლებდა. ტკივილისგან გათანგული მიწაზე დაეცა. – ვერ ვეგუები, ასეთი ტერორი რომ ისადგურებს ჩვენს კუთხეში! – ეჩურჩულებოდა ის თავის 45 წლის ქალიშვილს, – მე არა მაქვს ძალა საბრძოლველად! დამტოვე აქ! შენ გააგრძელე სიარული სხვებთან ერთად და იბრძოლე უკეთესი მომავლისთვის .... თუ ეს საერთოდ შესაძლებელია!

შვილს არ უნდოდა დედის დატოვება, მაგრამ გააცნობიერა სიმართლე. დედას პრაქტიკულად დიდი ხნის სოცოცხლე არ ჰქონდა დარჩენილი. სჯობდა, ვოდკის ხეობის სულიერი კეთილდღეობისთვის ებრძოლა, ვიდრე გზაზე მომაკვდავი დედის გვერდით დარჩენილიყო. ბევრად სასურველი იყო, შეერთებოდა ვოდკის ხეობის ხალხს, რომელიც სამართლიანობისათვის საბრძოლველად მიემართებოდა.

დემონები გარს შემოერტყნენ ხალხს, რომლებიც თავიანთ მღვდლებს მისდევდნენ და შეიარაღებულნი იყვნენ მხოლოდ იმ ხატებით, რითაც მღვდლები ლოცავდნენ მათ, მთელი თავიანთი ცხოვრების განმავლობაში. ეს დემონები ჩიტებს ჰგავდნენ ალფრედ ჰიჩკოკის ნოველიდან – „ჩიტები“, რომელთაც თავდასხმისა და კბენის სურვილი ჰკლავდათ.

– შეხედეთ, ადამიანის მძორი! – იყვირეს მათ და მოხუცი ქალის ირგვლივ შეგროვდნენ სვავებივით. ქალს იმის ძალაც არ ჰქონდა, ხელში სჭეროდა თავისი ჯვარი და წინ აეფარებინა. მოისროლა ჯვარი და დემონები დააცხრნენ. იცოდნენ, რომ მათი მოქმედების დრო დადგა და ქალი, ქათმის ძვალივით,

შუაზე გაგლიჯეს. ისინი, ვისაც უფრო ცოტა შეხვდა, წუწუნებდნენ, რომ ქალი ღონემიხდილი იყო. მათ კი ისე შიოდათ, რომ შეეძლოთ მთლიანად აეთვისებინათ.

– ნუ ბრაზობ! ახლა ის ჭამე, რაცა გაქვს! – დატუქსა ერთმა დემონმა. – თავსაყრელი იქნება იქ, საიდანაც ეს მოვიდა!

– წინ იარეთ, უშიშრად! – თქვა მამა ილიამ, რომელსაც ახსოვდა ბოლო მსხვერპლი, – ჩვენ უნდა ვუჩვენოთ ღმერთს ჩვენი ერთგულება, რომ არასდროს მიგვატოვოს!

მიტოვება ისაა, რაც ღმერთმა უკვე ჩაიდინაო, ფიქრობდა გრიგოლი. როცა დემონები მის სახლში გამოჩნდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ამაზრზენი იყო, მას არ გაჰკვირვებია. ფაქტობრივად, მან გაამზადა ის, რაც, მისი აზრით, მოასწავებდა სამყაროს აღსასრულს. დემონებმა, მის სახლში რომ დადიოდნენ, ნახეს დაპროექტებული ფილმები, იმ საშინელებების ამსახველი, რომლებიც კაცობრიობას ბოლო ასი წლის მანძილზე დაატყდა თავს.

დემონებმა სამზარეულოში ნახეს ფილმი „მანჰეტენის პროექტი“ ლოს ალამოსში, რომელშიც წინასწარ თანმიმდევრულად აჩვენებდნენ, ორი იაპონური ქალაქის ატომური დაბომბვის კადრებს. მაგრამ მათთვის არაფერი იყო იქ საინტერესო. როცა დიდი სახლის დარბაზში დადიოდნენ, ნახეს ფილმები, მეორე მსოფლიო ომის საკონცენტრაციო ბანაკის მსხვერპლების შესახებ.

– ჩვენმა ბოროტმა მეფემ, მართლაც, დატოვა თავისი ნიშანი დედამიწაზე, – ანიშნა კუზიანმა დემონმა მუნჯ ჯუჯა დემონს, რომელმაც თანხმობის ნიშნად დაუქნია თავი.

ნაცვლად იმისა, თავიანთი მსხვერპლისთვის მიეხედათ, გააგრძელეს ფილმის ყურება. ფილმში ნაჩვენები იყო აფეთქებები და მასობრივი მკვლელობები გლობალურად ყველა დიდ ქალაქში (ევროპის, ცენტრალური აზიის, ახლო აღმოსავლეთის, სამხრეთ და ცენტრალური ამერიკის, აფრიკის). მოკლულთა ან შიმშილით გარდაცვლილთა გვამები იმარხებოდა რიყის ქვების ქვეშ ან თხრილებში.

– სად იყო მათი მფარველი ღმერთი? – იკითხა ერთმა სულმა, რომელიც რვაასზე მეტი წლის წინ დამარხეს ჯოჯოხეთის ცენტრში და არასდროს უფიქრია, ოდესმე კიდევ თუ იხილავდა დედამიწას.

– ღვთის სახელის გამო ებრძვიან ისინი ერთმანეთს, – უთხრა დაცემულ სულთაგან ყველაზე მეტად ინფორმირებულმა, რომელიც მხოლოდ ორასი წლის წინ იყო დაწყევლილი.

– რას გულისხმობ?

– ისინი ხოცავდნენ და წამლავდნენ ერთმანეთს სხვადასხვა მეთოდებით და ახდენდნენ ღვთის ინტერპრეტაციას.

– როგორ სატანურად ჟღერს! – თქვა დემონმა.

– ნამდვილად იამაყებდა მოხუცი ნიკი, რომ ამდენმა ხალხმა ჩაიდინა მკვლელობა, გაუპატიურება, ქურდობა, თავის წაჭრა, დასახიჩრება და მოწამვლა ღვთის სახელით.

– ხო, – უთხრა დემონმა, – რადგანაც ეს ამარცხებს ღვთისადმი რწმენის მიზანს და მთლიანად კარგავს აზრს.

– ჯენტლმენებო! – განაცხადა გრიგოლმა, რომელიც თავისი ოთახიდან გამოვიდა (მარჯვენა ხელში არყის სირჩითა და მარცხენაში არყის ბოთლით, თან დიდრონ კუბურ სიგარას ექაჩებოდა) სწორედ იმ დროს, როცა ფილმში დაიწყო ადოლფ ჰიტლერის მიმართვა. – მე თქვენ გელოდით და უნდა ვთქვა, რომ თქვენი მოსვლა ბევრად აღემატება რეალობას! თქვენ რომ გიყურებთ და ადოლფ ჰიტლერის სიტყვას ვისმენ, ვაღიარებ, რომ ის გაცილებით ბოროტია თავისი მასშტაბებით. თქვენ ნამდვილად უნდა იზრუნოთ თქვენს იმიჯზე!

რა თქმა უნდა, გრიგოლი ხუმრობდა, რადგანაც დემონები თმებში სწვდნენ მას და იატაკზე დაანარცხეს. ჯუჯა დემონი დაიხარა და გრიგოლის სახეს დააცხრა, თითქოს გურმანული კერძი ყოფილიყო. ზღვარი არ ჰქონდა მათ კანიბალიზმს. რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა ჰიტლერი, მით უფრო მუყაითად ანაწევრებდნენ ისინი გრიგოლს. მის დანაწევრებულ ნაწილებს ეკრანს ესროდნენ, თითქოს პოპკორნის სროლა მელოდრამის ნაწილი იყო. როცა მორჩნენ თავიანთ საქმიანობას, წამოდ-

გნენ, მწკრივში დაეწყვნენ და მისალმებით პატივი მიაგეს ფიურერის სიძულვილით სავსე სიტყვის ძალას. დემონებისთვის არ არსებობს ენის ბარიერი; გაბრაზებული სიტყვები დედამიწაზე არსებულ ენებს ამეტებს და სიბნელესთან ერთიანდება.

გრიგოლის მორჩილება ესიამოვნათ დემონებს, მაგრამ შემდეგ სხვა არგუმენტმა იჩინა თავი: – მოდი დავწვათ ეს სახლი! ასევე გადავწვათ ხეობის ყველა სახლი!

– მაგრამ ამ მკვდარ კაცს ბევრი სასიამოვნო ფილმი აქვს. სირცხვილია, ამ ყველაფრის განადგურება! შეგვიძლია უბრალოდ ვისხდეთ აქ და ვუყუროთ ამ საოცარ ფილმებს, რომლებიც მას აქვს კარადებში. იმდენად კარგი საყურებელია, თვალს ვერ ვწყვეტ.

– რა ჯანდაბა გჭირს? დაგავიწყდა, ჩვენ რომ თავისუფლები ვართ და შეგვიძლია აქ, ამ ადგილას, წინ და უკან ვიაროთ? რა ყველაფერი გაინტერესებს და გაგიჟებს? ჩვენ იქ ვიყავით ქვევით, დედამიწის ზურგზე ყველაზე წყეულ ადგილას, სადაც მიცვალებულები ხვდებიან ხოლმე და ახლა შენ გინდა დრო ფლანგო კედელზე ხმოვანი ფილმების ყურებაში. ეს ის თავისუფლებაა, რომელსაც შენ ამდენი ხანი ელოდი?

– მორჩი ჭკუის სწავლებას! როგორც კი ისინი თავისუფლები ხდებიან, უბრუნდებიან თავიანთ პირვანდელ პრიმიტიულ ყოფას იმიტომ, რომ არ იციან, რისი მოტანა შეუძლია მათთვის თავისუფლებას. ეს ის არის, რაც შენ გინდოდა? ეს ის ვერსიაა, რასაც სატანა გვეუბნებოდა, გვერწმუნა იმის შესახებ, რომ ჩვენ ყველანი დემონები ვიყავით?

– არა, რა თქმა უნდა! – უპასუხა ჯუჯა დემონმა.

– კარგი, შეეშვი ამ სისულელის ყურებას. ძალიან ადვილად შეიძლება ამან განდეგილად გაქციოს. ჯობია, შემოიარო აქაურობა და ნახო, რისი გამოყენება შეიძლება! დაგავიწყდა, რომ ეს არის ახლა ჩვენი სამოთხე?

– მაგრამ მას კარგი ლუდი აქვს აქ. სატანასაც კი მოეწონებოდა! შეგვიძლია რამდენიმე ყლუპი მოვსვათ?

– არა. დემონმა გამაფრთხილა, შენზე და სასმელზე. აიღებ

ერთ ცალს და დაივიწყე, რა არის შენი სამსახური! თუკი გაბედავ და დალევ ჩვენი მორიგეობის დროს, მას ეს ეცოდინება. მე მას არ ვუმალავ არანაირ საიდუმლოებას!

– რა პრობლემა გაუხდა დალევა? მე მგონი, ეს მისი მოგონილია. ყველაფერი ფორმალურად აეწყო ჯოჯოხეთში. ვერასდროს გააკეთებ იმას, რაც შენ გინდა! ყველაფერი წესების მიხედვით უნდა იყოს!

– მაგრამ სხვანაირად როგორ გავანადგურებთ სამყაროს! როცა ჩვენ საქმეს, ყველანი ერთად, ერთნაირად ვაკეთებთ, მაშინ ვართ ძლიერები! თუკი რომელიმე დემონი, იწყებს ფიქრს და აკეთებს იმას, რაც მას უნდა, მაშინ ჩვენ უძლურნი ვხდებით, იმიტომ რომ ჩვენი წესები და კანონები ირღვევა. ამან შეაჩერა წარსულში ჩვენი მომგებიანი ბრძოლები. მაგრამ ახლა ვერ შეგვაჩერებს! ყველანი ერთიანები და ძლიერები ვართ! მომისმენია ოდნავ განსხვავებული აზრი ჩვენ შორის და დარწმუნებული ვარ, რომ ყველა განადგურდება ამ სამყაროში და მხოლოდ ისინი გადარჩებიან, ვისაც დემონი გადაწყვეტს და იძულებული გახდებიან, მის პირობებს დათანხმდნენ. დემონისთვის სინამდვილეში პრივილეგირებულია მხოლოდ გამოწრთობილი და განკითხული სულები, რომლებიც იწვოდნენ და ყვიროდნენ ჯოჯოხეთში. ყველა დანარჩენი მხოლოდ მონაა და ეს არასოდეს დაივიწყო!

– ოხ, წაუკიდე ახლა ამას და აქციე ჯოჯოხეთად!

ჯუჯა დემონს უნდოდა დაელია არაყი და აღიზიანებდა ეს იძულებითი ფხიზლობა. ამან მართლა შეარყია საფუძველი, რაც მისი აზრით საუკეთესო გზა იყო, რომ დემონს რქები მოედრიკა.

რომ მოშორდა აბრიალებულ სახლს იმ კაცისას, რომელიც ის-ის იყო გაანადგურეს და მოსპეს, ნაწილ-ნაწილ დააქუცმაცეს, არც ძვალი დატოვეს და არც რბილი (რადგანაც ისინი ძვალსაც და შიგთავსსაც ერთნაირად იყენებდნენ), ჯუჯა დემონმა ირწმუნა, რომ ხეობა ერთიანად განწირული, ხოლო ჯოჯოხეთის გამარჯვება გარდაუვალი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ მღვდლებს უამრავი ხალხი მიჰყვებოდა, მათ დემონები აჭარბებდნენ რიცხობრივად. საითაც არ უნდა წასულიყვნენ, ყველგან დემონებს აწყდებოდნენ.

წმინდა ხატები, რომლებიც მათ მოჰქონდათ, ფარივით იყო და აფრთხობდა დემონებს. მაგრამ ეს იყო ნამდვილი დემონების ოკეანე. ხალხმა ზეცას რომ ახედა, დაინახა დემონები, რომლებიც მოფრინავდნენ, ბობოქრობდნენ და წვავდნენ ყველაფერს.

როგორ უნდოდათ ტობიასს და სერგეის, არასოდეს მოსულიყვნენ აქ. ბრაზობდნენ, რომ აქამდე არ გაეცალნენ ამ საშინელებას. ანისიმი დამბლადაცემულივით იყო. იგრძნო, რომ არც თვითონ და არც არავის შეეძლო შეეჩერებინა ეს ჯოჯოხეთი. მისთვის წარმოუდგენელი იყო ამის გაგება. რწმენა შეერყა, მსგავსად ტობიასისა და სერგეისა, რომლებიც მტკნივნეულად განიცდიდნენ იმას, რაც მათ თვალწინ ხდებოდა. მილიონი სიტყვითაც ვერ გადმოსცემდნენ ისინი ამ საშინელებას. იგრძნეს, თითქოს მუხლები მოტეხილივით მოეცელათ და სხეულში არაქათი გამოელიათ, რის შემდეგაც ისინი, ალბათ მფრინავი და მცოცავი დემონების ლუკმა გახდებოდნენ.

როგორ უნდოდა ტობიასს, ღმერთთან მისი სიახლოვე, ნებისმიერ ხილულ და უხილავზე უფრო მეტად ახლო გამხდარიყო. როგორ უნდოდა, ავსებულიყო სულიწმინდის მადლით – სიყვარული თავისი კეთილდღეობის ელემენტებით რომ მიედინება მის ძარღვებში, თითოეულ სულიერთან ღვთის სიხარული რომ მიაქვს მთელი არსებით – რომ ყველა ცოდვა, რაც მას ჩაუდენია, მიტევებოდა. მაგრამ ცოდვები მის გარშემო დაფუთფუთებდნენ და სიცოცხლეს უმწარებდნენ. უნდოდა ებრძოლა, რომ მათგან თავი გაეთავისუფლებინა. ეშინოდა, ძალზე მიახლოებული იყო და ჯოჯოხეთის ცეცხლში არ ჩაძირულიყო და რომ, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა რამ შეეძლო ამის საწინაღმდეგოდ ემოქმედა. გული გაუჩერდა და იგრძნო სიკვდილის მოახლოება. მთელ სხეულში ძალა ისე გამოეცალა, რომ ნებისმიერ წამს შესაძლებელი იყო დანებებოდა გახრწნი-

ლებას, რომელიც მის ირგვლივ დაძვრებოდა და დასრიალებდა. დაფიქრდა ამაზე და ინანა, შეწუხდა და შერცხვა, რომ ეჭვი შეეპარა ღვთის რწმენაში, რომელიც მას ასე იფარავდა.

იგივე სჭირდა ანისიმს ... და ხატმწერსაც. ეს სამი კაცი ისე გულსაკლავად ატირდა, თითქოს მამა დაეკარგათ, მაგრამ უარესის ეშინოდათ, გრძნობდნენ, რომ ღმერთი დაკარგეს.

მამა ევგენიმ შენიშნა სასოწარკვეთა ხალხში და მათ მიმართა: – თუკი თქვენ ახლა სასოწარკვეთას მიეცემით და ჯვარს მტკიცედ არ დაიჭერთ ხელში, ჩვენ მოვისპობით. დიდია უფალი! ის სიყვარულია და წყალობა! უფალი ბრძენია, ვუყვარვართ ჩვენ და გვიხსნის ყველაზე დიდი გასაჭირის დროს!

ჩვენ, ორთოდოქსი ქრისტიანები, უარვყოფთ სატანას და მის ბოროტ საქმეებს. ჩვენ გვწამს ღმერთი, ყოვლადძლიერი მამა, დედამიწისა და ცის შემქმნელი. ჩვენი რწმენის წყალობით ჩვენ მოგვეტევება ცოდვები და გადავრჩებით!

ხალხმა როცა რამდენჯერმე დაილოცა თავი და ტობიასთან, ანისიმისა და სერგეისთან ერთად აღიარა ღმერთი, ცოდვების გამო მათმა წუხილმა და ღვთისადმი მათმა ნდობამ, რაც ყველა ქრისტიანს მოეთხოვება, სასწაული მოახდინა.

– უფალი დიდია, შვილებო! – განაცხადა მამა ევგენიმ. ის გვინანავებს ჩვენი გაჭირვების დროს ისევე, როგორც ჩვენი მშობლები გვინანავებდნენ ჩვილებს. რაც შეეხება ღმერთს, მისთვის ჩვენ, გაჩენის დროიდან ასაკი არ გვემატება, რადგან ჩვენ ყველანი მისი ბატკნები ვართ. ჩვენ დაცულები ვართ მის ხელში. მთელი ჩვენი სამყარო მხოლოდ მის ხელშია.

მღვდლის სიტყვები ისევე მართალი იყო, როგორც მოლოდინი მართალი სიტყვისა. ცაზე დაიქუხა და გაილევა. – ამ ხეს შეაფარეთ თავი! – გააფრთხილა მღვდელმა თავისი ხალხი. – ჩვენი დრო დადგა. ამას მძლავრი ნათება მოჰყვება!

წვიმამ დასცხო. დემონები სცვიოდნენ ზემოდან, მსგავსად ელვისებური ომის ბომბებისა. ისინი ერთიმეორის მიყოლებით ენარცხებოდნენ მიწას.

– ხეებს მოეხვიეთ! – გააფრთხილა მღვდელმა ხალხი. – და

ერთმანეთს მოეჭიდეთ, ამაზეა დამოკიდებული თქვენი სიცოცხლე!

დემონები ციდან კლდის ნამსხვრევებივით აცვივდებოდნენ ქვევით მყოფ დემონებს, რომლებიც დაძვრებოდნენ, დადიოდნენ ან დარბოდნენ დედამიწაზე. დემონები ბუზებივით ცვიოდნენ. ისინიც კი, რომლებმაც თავის არიდება შეძლეს ზეციდან ჩამოცვენილებისგან მოწამლულებივით დალასლასებდნენ. დემონი და ასმოდეუსი იმედგაცრუებულები ჩანდნენ. სინამდვილეში, ერთადერთი, რაც მათ შეეძლოთ ეღონათ, ის იყო, რომ ეღიარებინათ დამარცხება და დაბრუნებულიყვნენ უსაფრთხო ხვრელში, რომელიც მათ, დარჩენილ დემონებს, უკანვე ჯოჯოხეთის შუაგულში, უკრავდა თავს. მშიშარა დრაკონი დემონი ყველაზე წინ გარბოდა.

ჯასნამ თავის ანარეკლს შეხედა სარკეში. ეშმაკის თვალებში ირეკლებოდა იგივე გულგატეხილობა, რომელსაც ის თავის თანამემამულე ადამიანებში ხედავდა ხოლმე. ასმოდეუსსაც, ლუციფერის უკანა პლანზე სარკეში, იგივე გამომეტყველება ჰქონდა, რაც იმას მოწმობდა, რომ ახლა აზრი არ ჰქონდა ბრძოლას ლუციფერის წინააღმდეგ, რადგან ყველაფერი დაიკარგა, რასაც ის აფასებდა.

მას შემდეგ, რაც ყველა დემონი ზეციურმა ძალებმა მოიგერიეს, დემონები უკანვე ხვრელში ჩაცვივდნენ და მისი გავლით მოხვდნენ ჯოჯოხეთში. ხვრელი ისე ამოივსო, რომ ვერც ერთი ჯოჯოხეთელი ვერ შეძლებდა მის ხელახლა გავლას.

როგორც ის ოქროები, ლუციფერმა რომ თავის ხასებს მისცა და ნეხვად იქცა, ასევე მოუვიდა მის შეპირებებს ჯასნასთან. არანაირი მომავალი არ ჰქონდა მას. მხოლოდ სულელს შეეძლო ეფიქრა სხვანაირად. გამჭოლ მზერას რომ მოკვლა შეძლებოდა, მაშინ ეშმაკი მკვდარი იქნებოდა! მაგრამ როგორ მოკლავდი მას? ყველა წრფელ ადამიანს უნდოდა ამის ცოდნა, არათუ ჯასნასავით არამართალს. მის გულმოდგინე მრუშობას კაპიკი არ მოუტანია მისთვის!

– ჯასნა, შენ ხომ იცი, ჩემთვის ხასაზე მეტი იყავი! – უთხრა

ეშმაკმა. – ახლა, როცა იქ ვბრუნდები, სადაც ჩემი ადგილია, გთხოვ, გამიგო, რომ თანაგრძნობა არ არის ჩემი ძლიერი მხარე.

– რა უნდა ვქნა? სად არის გამარჯვება, რომელსაც მპირდებოდი? – უსაყვედურა ჯასნამ.

ეს იმას ჰგავდა, რომ გეკითხა პათოლოგი მოთამაშისთვის, რომელიც მთელ თავის ხელფასს და დამატებით ბონუსს გპირდებოდა და ნაცვლად ამისა კაზინოს წყალობით ტორტმანით დაბრუნდა სახლში, დაახლოებით თავისი ქონების ნახევარი იპოთეკურ კრედიტში ჩადო და მთელი წელიწადი უნდა ეხადა ვალი.

– არ ინერვიულო! ჩვენ ისევ შევხვდებით ერთმანეთს! – თქვა მან კბილების კრეჭით. (აღელვებული შევიდა ბარში, ეჭვი რომ გაეფანტა და ეცადა, ეს მისთვის აეხსნა).

– შენ კარგი მეძავი იყავი! – უთხრა დემონმა, რამაც ჯასნა ბრაზისგან გაახელა. – წლების მანძილზე ასე კარგად არავინ მომმსახურებია! არაფერი იკარგება! ნურავის ალაპარაკებ სხვაგვარად! ეს ორფეხა მიამიტები, შეხედე, ხეს რომ ეხვევიან, მაშინ როცა დემონები ციდან ვარდებიან და პირდაპირ ორმოში იყრებიან, თითქოს ცუნამი იყოს, ცვალებადებია. მათ დღეს სწამთ ღმერთი და ღმერთიც დღეს შველის მათ. მაგრამ მოითმინე და დაინახავ, რა სწრაფად დაივიწყებენ! არ მიენდობიან უფალს და ისიც განუდგება მათ! ეს უეჭველად მოხდება! მე რომ ვყოფილიყავი მის ადგილას, ამათ წლების წინ განვუდგებოდი, მაგრამ ღვთის ფსიქოლოგიის მე არაფერი გამეგება. და როცა ღმერთი მათ სრულად განუდგება, ჩვენ დავბრუნდებით და დავიბრუნებთ ძალაუფლებას.....

– მანამ კი იარე შენი გრძელი ფეხებით და კარტზე იმკითხავე. შენი პროფესიის ადამიანები ამბობენ, ამაში კარგი ფულიაო. უამრავი ადამიანია ჯოჯოხეთურ დეპრესიაში. სწორედ აქ ჩვენ გავამხნევებთ მათ. უთხარი მათ სისულელეები, რომ წინ წარმატებული პერიოდი ელოდებათ და კიდევ სხვა ტყუილები. თუ გინდა კიდევ დაამატე რამე ნეგატიური, ახლობლის ავად-

მყოფობასთან დაკავშირებით, ან რომ, ვიღაცას, მათ შესახებ ცუდი აზრები აქვს ან ვიღაცა მოკვდება, ან თუ არადამაჯერებელი იქნები, არ მოგერიდოს და დამიძახე! იმდენ ცუდ რამეებს გიჩურჩულებ, მათთვის სათქმელად, რომ შენი ბიზნესი აყვავდება.

– ხო, – დასთანხმდა ჯასნა ამჯერად დამშვიდებული, იმ ნარკომანივით, რომელმაც ესესაა თავს უშველაო.

ამბობენ, ბოლო სიტყვა ეშმაკს ეკუთვნისო. ჯასნას სინამდვილეში ეს მართალი იყო. მეძავი ახლა ფრიად კმაყოფილი გახლდათ, რადგან შეეძლო, თავის სასიცოცხლო პროფესიას დაბრუნებოდა.

ხალხს, რომელიც მღვდლებს მიჰყვებოდა, ვერ დაეჯერებინა, რაც ხდებოდა. ამდაგვარი რაღაც თითქოს წაეკითხათ ახალ აღთქმაში. დემონებმა, რომლებიც ბუზებივით ჩამოცვივდნენ, პირამიდის ფორმა მიიღეს. თითქოს ყველა ერთმანეთს წებოთი დაეკრო. სხეულებს მთელი ძალა გამოეცალათ და ხვრელში უკანვე იქნენ შესრუტულნი, მსგავსად იმ წყლისა, რომელიც ქვევით ჩაედინება. შემდეგ ჯოჯოხეთში შემავალი ხვრელი მჭიდროდ დაილუქა, რომ აღარასოდეს, ხელახლა, მსგავსი არ მომხდარიყო. ამას საათები დასჭირდა და გეგონებოდა, მხოლოდ წამი გავიდაო. ხალხს არ ეშინოდა, გამხნევდნენ ღვთის სიყვარულისა და მფარველობის ამ მაგალითით. იდგნენ მღვდლებთან ერთად და ესწრებოდნენ ამ სასწაულს. ურწმუნოების რაიმე ნარჩენი, ღვთისმოშიშობაც კი, გაქრა, როცა ისინი უფლის წყალობის გამო ატირდნენ.

როცა ხალხი მშვიდად დაბრუნდა ვილიჯში, დაინახა მათი სახლების უმრავლესობა დანგრეულიყო. წმინდა მიქაელის ეკლესია კი თავმომწონედ იდგა, როგორც ღვთის შემწეობის მოწმე. ხალხი არ წუხდა თავშესაფარზე, რადგან მღვდლებმა დაარწმუნეს, რომ ისინი მანამ, სანამ საჭიროება მოითხოვდა, დარჩებოდნენ ეკლესიაში და მის მიმდებარე სახლებში, ვიდრე მათი სახლები ხელახლა აშენდებოდა და ისინი საცხოვრებლად გადასვლას შესძლებდნენ. მხიარული განწყობა სუფევდა,

რადგან ვოდკა ვილიჯისა და ხეობის ხალხი, რომელიც ღვთის დიდების მოწმე გახდა, თავს მოვალედ გრძნობდა უფლის წმინდა სახელი ედიდებინა.

აქამდე, ხალხს არ აერთიანებდა ღვთისადმი რწმენა. ახლა, სულ სხვაგვარად იყო, ყველა ერთმანეთის გვერდით იდგა. ურჩხულმა თავისი თათები ვოდკა ვილიჯის შესასვლელთან დააწყო და ყველა ღონეს ხმარობდა, რომ კარები ფართოდ გაეღო, რათა განსაცდელი დაეტეხა თავს იქ მაცხოვრებლებზე. შემაშფოთებლად ძნელი იყო შესასვლელის წინკარის ჩაკეტვა. ღვთის ძალით, ხალხმა ეს შესძლო. ნერწყვმორეული ურჩხული ემზადებოდა თავისი ნადავლის სრულად ჩასანთქავად, მაგრამ ღმერთთან ერთობით ვილიჯელებმა კარი შეაკავეს, გასაღები მოარგეს და სწრაფად ჩარაზეს. მოგერიებული ურჩხული ვილიჯის ირგვლივ დაძრწოდა, მაგრამ შესასვლელს ვერ პოულობდა.

ახალი ერა დაიწყო ვილიჯელებისთვის. ისინი მეტად აღარ დანებდებოდნენ პრობლემებს და ერთმანეთს აღარ განუდგებოდნენ. მათ ღვთისადმი რწმენა აერთიანებდათ და თავიანთი თავი თვითონვე გადაირჩინეს. იცოდნენ, რომ მუდამ ასე გაა-გრძელებდნენ.

ივანე, რუსული კომპანიის მიერ მოვლინებული, მბურღავებისა და ტობიასის გადასამოწმებლად, ჩამოვიდა ავტობუსიდან და თვალი მოავლო გადამწვარ ვილიჯს. უკმაყოფილოს ჩაეცინა და შებრუნდა, რომ უკანვე ასულიყო ავტობუსში, თან ლუღლუღებდა, მე ამ ჯოჯოხეთში არ დავრჩებიო.

შემდეგ ივანემ ჯიბიდან ამოიღო საგანგებო ვითარებისთვის გადანახული არყის ბოთლი. სანამ ყლუპს მოსვამდა, შედგა, რომ პირჯვარი სამჯერ გადაეწერა და თვალი მოჰკრა უვნებლად აღმართულ ეკლესიას. და როცა ზარებმა ჩამოკრეს, მან შეცვალა თავისი გადაწყვეტილება.

მიქაელ მულვიჰილი

ციმბირის ჯოჯოხეთური ხვრელი

ირლანდიელი ნოველისტი მიქაელ მულვიჰილი დაიბადა 1978 წელს დუბლინში. 2003 წლიდან შეუდგა ფსიქოლოგიის შესწავლას დუბლინის ბიზნესისა და ხელოვნების უნივერსიტეტში და მოიპოვა ბაკალავრის ხარისხი, ხოლო ფსიქოლოგიაში სამაგისტრო სწავლების დასრულების შემდეგ (2009 წ.) გახდა ექიმი-კონსულტანტი.

სწორედ ამ პერიოდიდან შეუდგა მიქაელ მულვიჰილი აქტიურ სამწერლო მოღვაწეობას და არის ავტორი გოთიკური ჟანრის წიგნებისა: „ციმბირის ჯოჯოხეთური ხვრელი" და "დუბლინის დემონი ".

მისი საშინელებათა ჟანრის მოთხრობები ინტენსიურად იბეჭდებოდა BP-ის ლიტერატურულ ჟურნალში.

ყოფილ კათოლიკე, ხოლო 2007 წლიდან მართლმადიდებელ მიქაელ მულვიჰილს ჰყავს ქართველი მეუღლე და ორი შვილი.

ცხოვრობს ქ. დუბლინში ოჯახთან ერთად.

ISBN - 978-9941-8-0126-6

ციმბირის ჯოჯოხეთური ხვრელი

მიქაელ მულვიჰილი